

24  
979

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

ISSN 0132-599 X

# ბავშვობა

10

1979



აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე  
ღაბაღებიდან 100 წლისთავის გამო



# გენათოვი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 56-ე

№ 10

ოქტომბერი, 1979 წ.

საპარტოვლოს საბოთა მწარმოების კავშირის ორგანო

## შინაარსი

მწარმოება და კონსტიტუცია, მოწინავე	3
ლალო სულაბერიძე — კანონის წიგნი, ლექსი	4
რევაზ მარგიაანი — ლექსები	5
იუზა შავეიშვილი — ბავშვთაღება, რომანი, გაგრძელება	10

### სამხრეთ ოსეთის მწარმოები

ბაფაი — ორი ლექსი, თარგმ. ბ. ხარანაულმა	72
ქოსტა მარგიაანი — სიბიძე, ლექსი, თარგმ. მ. წიკლაურმა	73
გიორგი შუბაიძე — შაჰნასხანული თიბვა, მოთხრობა, თარგმ. ბ. ხარანაულმა	74
ალექსანდრე ფუხაიძე — ორი ლექსი, თარგმ. მ. წიკლაურმა	82
ისიდორე კოხაიძე — ორი ლექსი, თარგმ. მ. წიკლაურმა	83
ილია კავკაზაძე — ლექსები, თარგმ. რ. ჩეთთიმა	85
რევაზ ანაიძე — ქოსტა ხეთიაშვილის ხმა ოსეთში, თარგმ. ვრ. ჭულუხიძემ	86
ბარსან კოვალაიძე — კულის სიმღიმი, ლექსი, თარგმ. ვრ. ჭულუხიძემ	87
ველიმონ ბაბუღიანი — ზამთარი, მოთხრობა, თარგმ. მ. ცხორეცხორეცამ	88
ილია კლივიძე — ორი ლექსი, თარგმ. ბ. ხარანაულმა	94
ნუგზარ ბაბაიძე — ორი ლექსი, თარგმ. ვრ. ჭულუხიძემ	95
რეზან ჩეთთიანი — ორი ლექსი	97
მიხეილ გუგუჩიანი — ნაიანი, მოთხრობა, თარგმ. ვ. წამალაშვილმა	99
ზურა კახიანი — მინი ხსენიანი, მოთხრობა, თარგმ. ბ. ხარანაულმა	104
საგომ მიწიანაშვილი — ორი ლექსი	112
ალექსი ბუჭულაძე — სიუჟეტი, მოთხრობა, თარგმ. თ. ანდლუღაძემ	114

### 100 კორნელი კეკელიძე 100

აკაკი შანიძე — კორნელი კეკელიძე	118
სარგის ცაიშვილი — კორნელი კეკელიძე — ახალი ქართული ფილოლოგიის ფუძემდებელი	123
ლევან მენაბდე — კორნელი კეკელიძე და ქართული ლიტერატურის ისტორია	131



კოსტა ხეთაგათი — ანდრძი. ლექსი. თარგმ. ვრ. აბაშიძემ . . . . . 129

რუხვე ჩეთითი, ვარგარიტა ვალიშვა — კოსტა ხეთაგათი და ქართველი  
საზოგადოებრიობა . . . . . 141

აკაკი ვალოვანი — ლესხანი . . . . . 156

**კრიტიკა და კვლევითი**

ვენოტი ქვანახია — მიხეილ კვისელავას წიგნის — „კობეჭერი ინტეგრალიზის“  
მართებულნი შეფასებინათვის . . . . . 158

ციურნი ხეთაკალი — უკვლავი სიტყვის მოსასაბრძო . . . . . 173

რამაზ პატარიაძე — სულიერი და სოციალი . . . . . 186

**წიგნების მიმოხილვა**

ზალვა შავალაშვილი — ორი ინბრინის პიკოთუზა . . . . . 189

**მთავარ რედაქტორი პიორგი ნატროშვილი**

**საკრედიტო კოლეგია:**

ზრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამასუქალი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინე-  
ოშვილი, ა. გომიზაშვილი, ა. ქალაძე, მ. ლეშანიძე, ლ. მგელაშვილი, ა. სულაქანიძე,  
ა. ქუთათელი, ს. შაფიაშვილი, დ. შენგელაძე, ნ. წულუხიანი, ვ. წულუკიძე, ო. ში-  
ლაძე, ხ. ხარანაული, კ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

**ტექნიკური რ. ნაპვეტაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუხთველის პარსეკტი № 12.

ბეჭდვითი ნაბეჭდები: რედაქტორის — 98-55-11.  
პ/მე. მდწუნის — 98-55-18, ვანოთაძეზე-  
ნის — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20.

გადეცა ასაწყობად 8/IX-79 წ., ხელმოწერი-  
ლი დასაბეჭდად 20/IX-79 წ., ასაწყობის ზომა  
7<sup>1</sup>/<sub>4</sub> × 12, ჭალადის ფორმატი 70 × 108<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი  
თაბაზა 16,58.  
№ 13246. ტირაჟი 15.250 შეკვ. 2398  
ნაბეჭდი ფურცელი 13, სალარ.-საგამომცემლო  
საქ. კა ცკ-ის გამოცემლობის სტიმბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# გენერალთა და კონსტრუქციის

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
საზღვაო  
საზღვაო  
საზღვაო

გენმა ეპოქამ, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეპოქამ მხატვრული შემოქმედების თავისუფლება საქონისწოდებლო წესით განამტკიცა და საბჭოთა კონსტიტუციის ორმოცდამეშვიდე მუხლით დაადასტურა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგისტრაციის განყოფილება დადგინდა სახალხო პოეტმა რასულ გამზატოვამ და თვალსაჩინო არსმა პარზია-ტრსმა აღ. ნავოუსკიმ თავიანთ გამოცდებში გამოთქვეს სურვილი, რომ კონსტიტუციის განსაკუთრებით აღნიშნულიყო ლიტერატურის როლი და შემოქმედების თავისუფლების უფლება, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დაეთანხმა მათ და განაცხადა თავის ინფორმაციაში საერთაშორისო კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ: „კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ სულიერი ღირებულებანი გამოყენებული უნდა იქნას საბჭოთა ადამიანების წინაშე და ესთეტიკური აღზრდისათვის“.

ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ამბავი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თვალსაჩინო. ეს იმის ნიშნავდა, რომ დადგა დრო, როცა მხატვრული შემოქმედების თავისუფლებას, ყველა დიად უფლებათა გვერდით, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და დახვედების უფლებათა გვერდით, კონსტიტუციაში ეთმობა სათანადო და სპატიო ადგილი და ეს ხდება პირველად კაცობრიობის ისტორიაში, დაწყებული ამ დღიდან, რაც კონსტიტუციები არსებობენ ქვეყნად. ამით ხაზგასმით აღინიშნა მხატვრული სიტყვის უდიდესი როლი კომუნისმის მშენებლობის გზაზე, აღინიშნა მწერლის აქტიური ცხოვრებასეული პოზიცია, რაც კომუნისტური პარტია ქადაგებდა, დაწყებული თავისი დაარსების დღიდან, მთელი თავის ისტორიის მთელ მანძილზე; ამის ბრწყინვალე მაგალითი იყო ვ. ი. ლენინის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც ჯერ ისევ პირველი რევოლუციის წლებში გამოქვეყნდა და რომელშიც აღნიშნული იყო — მწერალს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია უნდა ექმნოს.

ვადავებლით მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას: მხატვრული სიტყვა მუდამ მაღალ ტარებულს იყო; როგორც ფეოდალისმის, ისე კაპიტალისმის ეპოქაში იგი იყო უადრესად აქტიური მონაწილე იმ ავარიებისა, დამატარებულ კლასებს მიაგერებულზე რომ მიჰქონდათ, იმ ბრძოლსა, დამონებული ერები და ხალხები დიდი იმპერიების დასაშობად რომ აწარმოებდნენ; მაგრამ მომხრენი თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ რთვი ითვალისწინებდნენ, რომ ლიტერატურა მებრძოლს ფუნქციას უნდა ასრულებდეს, რომ უამისოდ ის ვახვრეტოდ ფარად იარაღის.

მარქსიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსმა, რევოლუციური მოძრაობის გამორჩეულმა მოღვაწემ ვ. ი. პლენანოვმა 1912 წელს პარიზში ჯერ მოხსენების სახით წაიკითხა და შემდეგ პრესაში გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, რომელიც შემდგომში მატერიალისტური ესთეტიკის უმნიშვნელოვანეს ძეგლად იქნა მიჩნეული; ამ წიგნში პლენანოვმა ბრწყინვალედ დასაბუთა, თუ რაოდენ მტკარაა თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომლის ყველაზე შავი გამოხატულებად მან მიიჩნია ი. ს. ტურგენევის ფრთხილი ფრანა: „ნილოსის ვენერა უფრო ნამდვილია, უფრო ეჭვს ვარგება, ვიდრე 1789 წლის პრინციპები“; ამით ტურგენევს იმის თქმა უნდოდა, რომ ნილოსის ვენერა მარჯობდა, ხოლო „1789 წლის პრინციპები“, ვ. ი. იმ დროისათვის მოწინავე ფრანგი რევოლუციონერების მოთხოვნები, მესამე წოდების იდუალოვან მოთხოვნები ისეთი პარაუღლი, ახარებისითი, ახანამდელი რამ არის, რომ იგი არ შეიძლება იყოს ლიტერატურის საგანი და თემა.

იმავე ნაშრომში პლენანოვმა მოიყვანა ფრანგი რომანტიკოსის ტოფლიე ვოტეის მოხსარება: „მე დიდი სიხარულით უარს ვიტყვი ფრანგის და მოქალაქის უფლებებზე, რადონდ ვახილო რაფაელის ზელით შექმნილი სურათი, ან შიშველი მშვენიერი ქალი“. შემდეგ პლენანოვს მოჰყავს ამონაწერი ფლოპერის წერილიდან ფორტ ზანდისადმი: „საყოველთაო სარჩევნი უფლებების დროს რაცხვი ბატონობს ვიღებზე, განათლებიზე, რასაზე და ფულზედარა, რააღ უფრო ნები ღირებულეა აქვს, ვიდრე რიცხვს“.

ქ. შარვაშიძის სსრ. საბ. სსრ.



საქართველო

1917 წლის იანვარი

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება


საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობის განცხადება

უკვლავად ეს ერთ ნიშნში უმჯობესდა, ერთ წერტილში უტყუარად: სრული სიბრძნითა და სიბრძნით, არაფრად ჩავგდოთ, დაეძვირებინათ მოწინავე, მოქალაქეობრივი პოეზია და პარა-ზა, როცა მწერალი აქტიურად იტრებოდა ცხოვრების შუაგულში, ეხებოდა ადამიანის უკეთეს საჭიროებებს; ისინი იფიქრებდნენ, რომ უბრალო ადამიანური ტყვეობა, პარა-ზალი სინამდვილე, ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის, კერძოდ, იმ დროის სოციალიზმის ბრძოლა საყოველთაო ხარისხით უფლებებისათვის ისევე საჭირო და აუცილებელი იქნება ხელისუფლებისა და ლიტერატურისათვის, როგორც ხელისუფლების ვენერა, ან კიდევ რაფაელის სიქსტეს მადონა; ეს უკანასკნელი ზომ მარადიული ძველია საქართველოში მუშაობისა და გამოხატვის დედა-შვილობის უკუდავ ვრცობას! ამრიგად, კვლავიტი ხელისუფლებისათვის არ არსებობს მიწა, რომელიც ერთი-მეორისაგან მყოფდეს, ერთი მხრივ, მარადიულსა და, მეორე მხრივ, წარმავლს, უფლებდელს... ორივე საჭიროა, ორივე აუცილებელი — ცაც და მიწა-მწერალი ხალხის მსახური უნდა იყოს, მისი შთამავლებელი ნათელი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე. ჩვენმა გამოქმნიდი ხანა ეს კვლავიტი ნათელი და საფუძვლად დაუდო საბჭოთა ლიტერატურას და ხელისუფლებას.

ეს ეპოქური გამოცდალება ვითარდებოდა და დაიწყო და დაიწყო საბჭოთა კონსტიტუციამ; დღეს მწერალი ახლის, კომუნისტურის შენების არა მარტო მემკვიდრეა, არამედ აქტიური მონაწილე. ამის ნათელი მაგალითია საბჭოთა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი მუშაობა — ამ ბოლო წლების მანძილზე ვერ დასახებდნენ ვერც ერთ მნიშვნელოვან უბანს ახლის მშენებლობის გზაზე, ახალ ყოფასა და ეკონომიკაში, რომელსაც ქართველი მწერლების კალამი არ შეხებოდეს და მწერალი ოპერატიულად, აქტიურად დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში არ ჩარეულიყო.

მთელს ჩვენს ხალხთან ერთად, საბჭოთა მწერლობა ზემოთ აღნიშნულ კონსტიტუციის ნიშნებს მეთრე წდისთავს.



ლადო სულავერიძე

კანონის წიგნი

კანონის წიგნი, სინდის-ნამუსის და ერთგულების კანონი ჩვენი, დაწერილია სისხლით მამულში, დაწერილია მამულის ენით.

მამულიშვილური უფლებების გუჯარი, მამულიშვილური გზების კანონი. წინ, წინ მიგვაფრუნს ღვთისმშობლის ღვთისმშობლის, არა ვართ უგზო და უკვალონი.

გაფრულია საფრუნი მანძილი გასაფრუნია კიდევ შორეთი. წესებს გმირობის და თავგანწირვის ვაძლიერებდით, ვიმეორებდით.

კანონი, ღმერთ ჩვენი კაცობის, კანონი, ხალხის მტკიცე ერთობის. ზნე-წესთა კანონის ენით განწყობილს, მამულის მშვე, შემოქმედობი. კანონი მიწის, კანონი ზეცის, და ლავარდების, საკამკამონის. ავ ბოროტების ციხეთა ლეწვის და სიყვარულის ტაძრის კანონი.

კანონის წიგნი, სინდის-ნამუსის და ერთგულების კანონი ჩვენი, დაწერილია სისხლით მამულში, დაწერილია მამულის ენით.



## ს ი მ ლ ე რ ა

ძმობა არ მომიშალო,  
 ღმერთო, არ დამაოხლო,  
 მზესთან გაუთიშავო  
 ჩემო თბილო საუფლოვ!  
 ცეცხლად ამიბრიალე  
 სიმღერები წარმტაცი,  
 კალო გამინიავე,  
 გამიმრავლე თავკაცი!  
 ღმერთო ნუღარ დამიშლი,  
 ცოტა დარდი მაკმარე,  
 რომ უნაწეს ყვავილში  
 ჩანდეც ცის სიანკარე!  
 ზუგას შერჩეს სიწმინდე  
 დედაჩემის თავშალიც,

არ ენახოს ცის კიდევ  
 წყარო — ძუძუდამწრალი!  
 მომეც ნიჭი იმისა,  
 რომ მზეს გავესაუბრო  
 და სიმღერამ დილისამ  
 შესძრას ჩემი საუფლო.  
 დადგი ოჭროს ზვინებად  
 ბარაქა და ხელხვავე.  
 ენახო გამობრწყინება  
 ფიჭვნარის და ვერხვნარის.  
 ძმობა არ მომიშალო,  
 ღმერთო, არ დამაოხლო.  
 მზესთან გაუთიშავო  
 ჩემო თბილო საუფლოვ!

## სიზმარი თუ გართა ღამაზი...

თუ ძილი ხშირ-ხშირად გამიკრთება,  
 ზელს დამრეცხ უძილობა.  
 ფერმკრთალი სიზმარიც გამიჭრება,  
 დამტოვებს უცილობლად.  
 სიზმარში მრავალი რამ შემითხზავს,  
 სიმღერაც გამიმართავს.

ღეჭის თქმა ძილშიაც შემიძლია,  
 თუ ბედმა გამიმართლა.  
 სიზმარი თუ მართლა ღამაზია —  
 კეთილად ბოლოვდება.  
 ეს ნიშნავს: კარები ჩარაზვია  
 ავსა და ბორბლებას.

## აღაბი, ორბე...

იტყვიან ალბათ, ოდესმე  
 მაღლიან საქართველოში,

ერთხელ მიუვალ კბოდეზზე  
 მე და მზე როგორ შემოვრჩით!

იტყვიან ალბათ, ოდესმე  
 ნაცადხ ახალ-უხლები,  
 რომ იმ უმაღლეს კბოდეზე  
 არ შედრკენ ჩემი მუხლები.

იტყვიან, ვამიხსენებენ,  
 შრშიგონებენ ოდესმე,  
 დაკოტრებული სქლებით  
 თუ როგორ გავჩნდი კბოდეზე.

## ჯერ არ შეზინდდება

ჯერ არ შეზინდდება,  
 ბევრჯერ ნამეხარი  
 ნულარ დაფეთდები  
 ერთის მეფიქრება,  
 რიხთვის დამეყარა  
 თოვლის ნაფლეთები?

წუხილს გაღაგურჩი,  
 ვარამს გაგუძელი,  
 რა გაქვს სავარამო?  
 ხმა ჟღერს სალამურში,  
 შეგერჩა შეუცვლელი,  
 სხვათა სავალალოდ!

დარდს ნუ უშინდები,  
 გაქრა, გადიჯვება,  
 გულმა გადათელა.  
 სიტყვამ გუშინდელმა  
 ისე დაიჭექა,  
 როგორც მაჭახელამ!

ჯერ არ დაღამდება,  
 მიგრამ შეღამება  
 მაინც ახლოვდება.  
 წარსულს ჩაბარდება:  
 ბევრი ნეტარება,  
 წვა და შთაგონება!

ალბათ დაზამთრდება,  
 მდელი გადახმება,  
 თოვლით აივსები.  
 წარსულს ჩაბარდება,  
 ვაგიფერმკრთალდება  
 ძველი მაისები...

ნუ, ნუ დაიმწუხრებ,  
 ისევ მოგიხდება,  
 ქართან დაჯახება.  
 ბევრჯერ დაიჭუნებს,  
 თუ კი მოგიხდება,  
 შენი მაჭახელა!

## ღ ლ ე მ რ ე

დღემდე არ ჩაქრა  
 წუხილი მკერდში,  
 გამოეატარე  
 მშფოთვარე დარში.  
 ხომ გახსოვს როცა  
 დაეტოვეთ ქერჩი  
 და ჩემდა იღბლად  
 ცოცხალი დაერჩი!

დღემდე უნ ფიქრი  
 ივსება შხამით  
 და არ მასვენებს  
 განვლილი თქორი?

ჩნდება და ქრება  
 ის ერთი წამი  
 სიკვდილ-სიცოცხლის  
 მიჯნასთან მდგომი.

ჩნდება და ქრება,  
 დაღუპულ ძმათა  
 ანრდილი შთაქვს  
 და ისევ მიაქვს —  
 სიკვდილ-სიცოცხლის  
 ხაოცარ ზღვართან  
 ჩამოქრთლვებულ  
 უხილაფ ტყვიას.



გუშინ ავარი...

გუშინ ავარი  
 მოვარდ მთაში  
 და სათიბს მკერდი  
 გადაუცხრილა.  
 ერთ დღეში იყო  
 მახვილი და ბავშვი,  
 ერთ დღეში იყო  
 ფიჭვი და რცხილა.

გუშინ წვიმამი  
 გაფითრდა ფოთრი,  
 ბალახს დაადგა  
 სათუთი ჩლიქი.  
 კვნესა მოესმა  
 გალუმბულ ფოთლის,  
 კვნესა-შრიალი  
 ნაკადულს იქით.

გუშინ საავდრო  
 ღრუბელის ელვამ  
 მოულოდნელად  
 და უცაბედად;  
 აკუწ-აკუწა  
 მხურვალე ხელმა  
 და როგორც რუხი  
 მატყლი დაქენტა.

გუშინ მეტ ვიგრძენ  
 სიმკაცრე წვიმის,  
 გუშინდელს მერე  
 ბეჭებში მცოვა  
 და ყურთან ისევ  
 შხაპუნით წივის  
 ხანგრძლივი, მკაცრი  
 თიბათვის წვიმა.

ავარიზე არც უნდა გუშინდა

ავდარზე ადრე  
 უნდა მეფიქრა,  
 ელვაზე ადრე  
 უნდა მეღელვა.  
 ელვა-მეხს დაძრულს  
 ქარაფებიდან  
 შეეძლო თურმე  
 მწიხის შებეღვა.

ახლა როცა თმა  
 გადამეფიფქა  
 სინანულს რატომ  
 ვიწყებ გლეხურად?

ავდარზე ადრე  
 უნდა მეფიქრა  
 და სახლი ყავრით  
 გადამეხურა,

ავდარზე ადრე  
 უნდა მეფიქრა,  
 უნდა მეფიქრა  
 ამ დიდ თოვანზე.  
 დედაბუნებამ  
 გამანებიერა  
 და ახლა სათქმელს  
 როგორ მოვასწრებ?

სიკვამილი პირი საბავშვო

ვცადე კალმასობა,  
 აღმართს შევუდექი,  
 მზეში გავსაოთდი.  
 კალო აღმასობდა,  
 შევდექე შეუდრეკი,  
 ჩემი საწყაოთი.

„კალმასობის“ წაითხვის შემდეგ

მწადდა მამაუფალს  
 გზაში დაველოცე,  
 პურიით დავეხუნძლე.  
 ერთოლა დამეუფლა,  
 მზიან კალოებზე —  
 დევის ნაფეხურზე.

კვერზე გადავედო,  
 ვნახე ნაწამები  
 კვერი კოჭრიანი,  
 ვნახე თავთავები  
 ოჭროს წამწამებით  
 მზეში მოშრიალე.

ვცადე კალმასობა,  
 სიტყვა გესლიანი  
 მკადრეს გოგობმა:  
 — თურმე ჩამოთხოვით  
 ერთობ ძნელი არის  
 პურის მოპოება!

მრველი მომიმრავლდა,  
 ჩიტი მომიშივდა,  
 ფეტვი დამეფანტა.  
 ვილა მომიტანდა,  
 ვილა მომივლიდა,  
 სხვასაც არ ებადა.

ვლიდი კალო-კალო,  
 ჩემი საწყაოთი,  
 ვლიდი კარდაკარა.  
 სხეისდა სამოწყალოდ,  
 გზაზე გაფსაოთდი,  
 ბედის ანაბარა...

გზაზე შემომაცვდა  
 ბვერი ქალამანი,  
 ბვერიც დამიცვდება,  
 დუგმაც შემომაწყდა,  
 დავიდარაბანი  
 მივეც დავიწყებას.

ერთობ გამიძნელდა  
 გულის ამოვსება,  
 პურის მოშოება...  
 გული არ ითმუნდა,  
 გული საოცრება,  
 სახლკარს მოშორებას.

...სიზმარს გავექციე,  
 ცხადში ვლიდინებდი  
 და მზეც აღმასობდა...  
 ვიცი სიზმრის წესი:  
 ბვერი ვიხილე და  
 ცოტა დამმასხოვრდა!

...ვცადე კალმასობა,  
 სიტყვა გესლიანი  
 მკადრეს გოგობმა:  
 — თურმე ჩამოთხოვით  
 ერთობ ძნელი არის  
 პურის მოშოება!

## გვსიზმრა თითქოს...

მესიზმრა:  
 თითქოს გავზდი საპყარი,  
 ჩამოვჭკნი,  
 ჩავეკრი და დაფაბუნდი.  
 წლებს იქით დარჩა ტკბილი ზღაპარი  
 და სიჭაბუკის ბვერი საბუთი.

მესიზმრა:  
 თითქოს ტანში მოვეშვი,  
 აღარ ვარ მარდი  
 და მუსლმაგარი.  
 აღმოვინდი უძლურ სიმარტოვეში  
 ოდესღაც მძაფრი გრიგალთაგანი.

მესიზმრა:  
 თითქოს გულს ვეფერები  
 და ტკივილებმა  
 ხელი დამტაცეს.  
 კიბეს ავდივარ სვენებ-სვენებით,  
 თითქოს ავდივარ უშბის კალთაზე.

მესიზმრა:  
 თითქოს ტანში მამციენებს,  
 დაძაბუნებულს,  
 შემერთალს მარეოლებს.  
 შორით ხელს ვუქნევ  
 ჩემს სიყმაწვილეს,  
 ყრმობისდროინდელ სათამაშოებს.

მესიზმრა:  
 თითქოს დატყნა ბალახი,  
 მინდორს დაედო  
 ფერი ზაფრანის  
 და მოეხვია ვით ყაბალახი,  
 ავზე-ავი და  
 მკაცრი ზამთარი.

მესიზმრა:  
 თითქოს გაეხდი საპყარი,  
 მოვეშვი,  
 ჩავექრი  
 და დაეძაბუნდი.  
 წლებს იქით დარჩა ტკბილი ზღაპარი  
 და სიჭაბუკის ბევრი საბუთი.



იუზა შაბიუშვილი

# გამოცხადება

რ მ მ ა ნ ი

— რა ჰქენი... ნახე?.. — თუქმის სამივემ ერთდროულად ჰკითხა.

დიდ დარბაზში ისხდნენ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ იუბილე გადაიხადეს; ისხდნენ ცვლ-ცალკე, თავთავიანთოვან და მწარე ფიქრებს მისცემოდნენ. ნიკა უყურადღებოდ მიეტოვებინათ და ისიც, იატაკზე ფეხმორთხმული, უჯარღელად მღეროდა, როგორც მღერიან ხალხმე ბავშვები ენის ამოდგმისას.

— ვნახე... — თქვა ნანომ ნამტირალევი ხმით.

— რაო, რა თქვა?.. — ჰკითხა ნუცამ.

— იფარა, ვითომც პირველად ესმოდა...

„ქარგია თუ იფარა... — გაიფიქრა მირიანმა, რომელიც კუთხეში მიკუნძულ საფარქელში იჭდა და სიგარეტს აბოლებდა. — ჩანს ჯერ არ ყოფილა მთლად გადარეული და გაცოფებული...“

— რა შეატყვე, როგორ გამოიყურებოდა?.. — ისევ ნუცამ ჰკითხა.

— ჩვეულებრივ... ეზოში იყო და ხატავდა...

— ნორმალურს ჰგავდა?.. — ჰკითხა ლიზიკომ.

— საქმეც ეგ არის... — ნანომ ბავშვი აიყვანა და დივანზე ჩამოჯდა. — მესმის სიგიჟით მოსვლოდა...

— უნდა დავაპერინოთ! — წამოიძახა ნუცამ.

— შენ გგონია ასე იოლად დაუმტკიცებ?.. — თქვა მირიანმა. — ვერა ხედავ — უარობს, თურმე!..

— რატომ?.. — მივლენ, ნახავენ, გამოიძიებენ... რამეს უბოვოან ან წამოაცდენინებენ!

— შე გგონია არ ღირს ამ ამბის გამწვავება... — თქვა ლიზიკომ და მირიანს შეხედა. — ნახო უნდა, პირადად მოელაპარაკო... მინც შინაურულად სჯობია მოგვარება!

— არა!.. — იყვირა მირიანმა. — მის დანახვას ვერ აჯიტან... შემომაკვდებია!

სინამდვილეში თავდაცვამ აზრს ადგა: მილიციის ჩარევას იქნებ უარესად გაეფუჭებინა საქმე... რაკი ღმერთმა არ გასწირა და გადარჩა, ახლა სპირო იყო ბიჭთან საერთო ენის გამოხახვა;

სურდა თუ არ სურდა, საძულველ მტერს უნდა შეხვედროდა — დაეწყინარებინა და დაეშოშმინებინა...

სწრაფად ჩაიკცა და წასვლისას, რაღაც თქმა უნდა, რევოლვერიც ჩაიღო ჯიბეში. ნანოს დიდად აღარ ენდობოდა, მაგრამ მისი წყევანა, როგორც შუამავლისა, აუცილებლად ჩასთვალა...

ბოლმა აბრჩობდა, როცა საფეხურებ-ჩამპალი კიბის სიახლოვეს, გაწვრილებულ მანქანაში მჯდარი, ვიღაც ნაბიჯვარს ელოდებოდა. კიბის ქვეშ, ფერდობზე, ნარეცხი წყალი მოწანწვარებდა... აი, როგორ წაუვიდა საქმე!.. მილიმალ პყოფდა ხელს შალითის ჯიბეში, სადაც გატენილი დამბახა ედო... იმის შიში. პკონდა, არ წამომეპაროსო.

ვაცა ეზოში შემოხვდა ნანოს, — თათხი დაეკეტა და აკადემიაში მიდიოდა... ბიჭს ელდა ეცა მის დანახვზე.

— მატლთა მილიცია მოიყვანე, ნანო?.. — ჰკითხა და სახეზე მიწისფერი დაედო.

— არა... მამას უნდა შენი ნახვა. — მიუგო ტკბილი, დაშკარული ხმით: მირიანმა დაარჩია — არ ეჩხუბო, არ გააღიზიანო, მომიყვანე და მე თვითონ ვეტყვი რაც საჭიროაო.

— რა გინდათ, ნანო, ჩემგან, რას მერჩით?..

— ნუ გეშინია... — უთხრა ვოგომ, რომელსაც ძლიერ შეეცოდა ახლა ბიჭი. — მამას რაღაც საქმე აქვს, წყნარად უნდა მოგელაპარაკოს.

ამასობაში კიბე ჩაიარეს. მირიანმა გადმოსვლა ველარ გაბედა — მანქანიდან აღევნებდა თვალს.

ნანო უკან კაბინაში მოთავსდა: ვაცაც იქვე აპირებდა დაჯდომას, მაგრამ მირიანის ხმამ შეაჩერა:

— აგერ წინ დაბრძანდით, ბატონო!.. — და კარი გაუღო.

— არა, აქ მირჩევნია... — მიუგო მან და გვერდით მიუჯდა ნანოს.

— გამარჯობათ... — როგორღაც უცნაურად უთხრა მირიანმა, მიტრიალდა და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოთ... — იმავე მოუვიდა ბიჭს ნათქვამი, და დაბნეულმა ოდნავ დაყოვნებით ჩამოართვა ხელი.

— როგორ გიკითხოვ... ხომ კარგად?.. — გაუცინა მირიანმა. — გავიგე აკადემიაში მოწყობილხარტ წელს... გილოცავთ!

— გმადლობთ... — წაიბურტყუნა ბიჭმა. — ნანომ მითხრა, თითქოს რაღაც უსიამოვნება შეგმთხვევიათ... იცოდეთ, მე არაფერ შუაში ვარ, ბატონო მირიან, — ეგ რამ გაფიქრებინათ!

— როგორ გეკადრებთ... — უღარდელი ღიმილით მიუგო მან. — ამას როგორ გავივლებდი გულში... ქალებმა გააზვიადეს...

„სწორედ ამისთანებზეა ნათქვამი, — შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვსო, — გაიფიქრა მირიანმა. — ჩანს, მთლად აუღია ნამუსზე ხელი... არაუშავს, ჩემი დროც დადგება!“

— როგორ მოხდა მაინც, ტანირად? — არ ვიცი, ჩემო კარგო, — ათასი ძაღლი-მამაძაღლი დაეთრევა ამ ქვეყნად... ნულარ გამახსენებთ!

„ასე სჯობია... — გაიგლო კვლავ გონებაში. — ვითომ ეჭვიც არ მეპარება მის კაი კაცობაში... ვითომ ქალებმა მოჩმახეს... აჯობებდა წინ დამჯდარიყო — მხედველობის არეში შეყოლებოდა... არა, არა, ასე აშკარად ვეჭაფერს გაბედავს, მაგრამ მაინც ფხიჭლად უნდა ვიყო, არ დამასწროს... — ხელი შეავლო რევოლვერის ტარს. — ახლა რამე რომ მოხდეს, საშიშია, ნანო არ შემომაკედეს... თუმცა, კაცმა რომ თქვას...“

— ვერ შეიცანით ვინ იყო?.. — „ინტერესებს, დავინახე თუ არა, ნიღბი რომ მოძვრა და შინდის ტოტს შერჩა... ო, რა სწამოვნებით ჩავაძალებდი ახლა!“

— ვერა, ვერა... — ეჭვიც არავისზე გაქვთ, ბატონო მირიან?

— არა... აბა საიდან, როგორ?... იქნებ შემთხვევით გაუვარდა ვინმეს... ქა-

ლების ბრალია — იმათ ატეხეს განგა-  
ში!

„დამცინის ლაწირაკი... — მწარედ  
ჩაეცინა გუნებაში. — დრო მოვა, ჯავრს  
ამოვიყრო... ჯერ-ჯერობით კი ასეა სა-  
ჭირო!“

— მილიციისთვის უნდა შეგეტყობი-  
ნებინათ.

„მილიცია-პოლიცია არ უნდა ამას...  
მე თვითონ მოგივლი, — შენივე დანით  
გამოგჭირ ყელს!“

— არ ღირდა ამხელა ამბის შექმნა;  
ჩანს, ვიღაც ახალბედა მონადირე იყო...  
ყველამ კი არ იცის იარაღის ხმარება!

— სად მოხდა ეს ამბავი, ბატონო მი-  
რიან?

— არსად... დარწმუნებული ვარ  
სულაც არაფერი მომხდარა... სროლის  
ხმა გავიგონე უბრალოდ, — ეს იყო და  
ეს... იქნებ მომეყურა კიდევ!

„ეს შავდიაზე უარესი ყოფილა... იმ  
შავდიაზე, მე როგორც მეგონა, თორემ  
რას ვერჩოდი თურმე იმ დეთისნიერ  
კაცს, იმისი არ იყოს, — მგელს მგლო-  
ბა დაბრაღდა, ტურამ ქვეყანა დააქ-  
ციაო...“

— მეც არ გამიკვირდა, რა მოხდა-  
მეთქი?! — თქვა ბიკმა. — ნანო ისე  
იყო ამ დილით აღელვებული, ისე, ისე...  
ჩემთან რამე საქმე გქონდათ, ბატონო  
მირიან?..

„ტიფის ექნეს შენთან საქმე... მაგ-  
რამ რას იზამ, — დათვი რომ მოგერი-  
ოს, ბაბა დაუძახეო, ნათქვამია... ახლა  
ასე იყოს: ჯერ მხეცი უნდა მიიჩვიო,  
გაიშინაურო და მერე... ვნახოთ!“

— ჰო... მინდოდა ცოტა წაგვესაუბ-  
რა — სამივე ერთად ვართ აგერ...

— ვისმენთ აბა!.. — ყურები ცქვიტა  
ბიკმა.

— ზომ არ აჯობებდა, სადმე შეესუ-  
ლიყავით?.. ჩვენ არ გვისაუბრია ამ დი-  
ლით — მე და ნანოსა..

— საიმონებით, ბატონო მირიან,  
ოღონდაც ამჯერად მე ვბატყებთ!

— რასა ბრძანებთ, ჩემო კარგო...  
სტუდენტ კაცს ფულს როგორ დაგა-  
ხარჯვინებთ.

ნანო განცვიფრებული მიხედავდა  
ხან ერთს, ხან მეორეს; მთლად აებნა  
თავგზა: ნუთუ ვაჟა არაფერ შუაშია?...  
ნუთუ მართლა არაფერი მომხდარა?...  
მაშ რად დასჭირდა მამას ჩვენი მოტ-  
ყუება?... ღმერთო, რა კარგი იყო ასე  
ტკბილად რომ საუბრობდნენ!

მირიანმა სანაპიროზე გაიყვანა მან-  
ქანა და იქვე ახლოს, ფერადი შიფე-  
რით გადახურული ღია პავილიონის  
წინ შეაჩერა.

მალე სუფრაც გაიშალა და მადია-  
ნად მიეძღვნენ საუზმეს სამივენი; ნა-  
ნოს სიხარულისაგან სახე უბრწყინავ-  
და... მირიანმა წითელი შუშხუნით სავ-  
სე ქიქა ასწია:

— სწორი გითხრათ, მეუხერხულემა  
და მიჭირს თქმა, მაგრამ რა ექნა, სი-  
მართლეს ვერსად გაექცევი... ჩანს, ექ-  
ვმა თვალეები დამიბრმავე... გაათხო-  
ვოყვანა მაინც ისეთი რამაა — მით უფ-  
რო, როცა საქმე შვილის ბედს ეხება...

— მამა!.. — აღმოხდა ნანოს.

— დამაცა, შვილო... ხო ზედაც კაცს  
საქმეზე ველაპარაკები... ჰოდა, იმას  
ვამბობდი, შვილო ვაჟა... ადრე სხვანა-  
ირად ვუყურებდი ამ ამბავს — ხო გახ-  
სოვს, შარშან რესტორანში რო ვესაუბ-  
რეთ... მაგრამ ახლა კი მჭერა, ვხედავ  
და მესმის, რარიგ გყვარებით ერთმა-  
ნეთი...

— სწორი ბრძანდებით, ბატონო!.. —  
მღელვარედ თქვა ბიკმა.

— ისიც ვიცი, ერთმანეთს რომ ზედ-  
ბოლით მალულად... მინდა ბოლო მო-  
ელოს ტქვენს ტანჯვას და საერთოდ,  
ამ გაუთავებელ უსიამოვნებას... მოაწე-  
რეთ ზელი, — ქორწილსაც გადაგიბ-  
დიოთ... ბავშვი თქვენი და გვარიც მა-  
მისა უნდა ჰქონდეს... რაც მოხდა-მოხ-  
და, — გულში არ უნდა ჩავიჩინოთ  
წყენა!

— შენი ჰირიმე, მამა!.. — წამოიძა-  
ხა ნანომ; წამოხტა, ყელზე მოეხვია და  
ლოყები დაუტოცნა... ჩემო კარგო, ჩემო  
ლამაზო, ჰოდა რა მამიკოო, — ბუტბუტებ-  
და და თავზე ხელს უსვამდა. არაფრით  
არ მოელოდა საქმის ასე შეტრიალებას,

მით უმეტეს მაშინ, როცა მთლად და-  
ღუპული ეგონა ყველაფერი.

— მადლობელი ვარ, ბატონო მი-  
რიან... — უთხრა ბიკმა. — მაინც  
ასე მოხდებოდა და კარგია, რომ თქვენ  
თვითონ...

— მე რაც კი გამაჩნია, შეიღებო... რაც  
ამდენი წლის პატიოსანი შრომით შე-  
მიქმნია და მომინაგრებია, ყველაფერი  
თქვენია და ჩემს შემდეგ თქვენ დაგრ-  
ჩებთ; მანამდე, როგორც მოილაპა-  
რაკებთ ცოლ-ქმარი და როგორც გარ-  
ჩვენიათ, ისე გადაწყვიტეთ: გინდ ცალ-  
კე იცხოვრეთ, გინდ ჩვენთან ერთად...  
მე მგონია, ახალგაზრდებს მაინც ცალკე  
ურჩევნიათ, თავიანთ ჰუბუნზე... კი, ბა-  
ტონო... ბინის ქირას გადაგიხდით  
და ისედაც, ცალი ხელი თქვენსკენ მექ-  
ნება!

შუალღემდე ისხდნენ და ტბილად  
ტუტუნებდნენ, თან წითელ შუშუნას  
მიირთმევდნენ. ცოტ-ცოტას ნაწი-  
სევდა... სიზმარში ეგონა თავი. ინს-  
ტრუქტი და აკადემია ვილას ახსოვდა  
— მირიანმაც გააცდინა სამსახური...

ვაჟამ ცალკე მოისურვა ცხოვრება:  
ერთოთხიან ბინას დაეჭირავებ სადმე  
— გათბობაც უჩნება შიგ, ცხელი წყა-  
ლიც და ყველაფერიც; ქირას მე გა-  
დაგიხდი, თქვენ რად უნდა დაიხარ-  
ჯოთ, რა ვალდებული ბრძანდებითო.  
შეკვეთებს იღებდა უკვე სამხატვრო  
ფონდში და ცუდად როდი მიუღიო-  
და საქმე... ვიდრე ბინას იშოვიდე, მა-  
ნამ მაინც გადმოდი ჩვენთან — არ  
ღირს ახლა ერთი კვირის გულისთვის  
სატიფოს უბანში გადმოზარტებო, ნა-  
ნონ სთხოვა, და ბიკმა ველარ გაუტეხა  
ხათრი...

ნაშუალღემეს, შემორიგებული სიძე,  
მირიანმა შინ მიიყვანა...

• • •

ნუცა ვერაფრით ვერ გაერტვა, რა  
ხდებოდა... ეზოში ჩამოსული ბიჭი  
რომ დაინახა, გაქცევა დააპირა, მა-  
გრამ ლიბეცომ ჩამოქაჩა კაბის კალ-

თა და ისხნა სირცხვილისაგან; დედა-  
ბერმა მყისვე იაზრა ყოველივე.

მეორე დღესვე მოაწერეს ხელი, —  
კვირის სწორზე კი ოთახნახევრიან ბი-  
ნაში გადაბარდნენ, თვით მირიანმა,  
რომ აღმოაჩინა პავლოვის ქუჩაზე.

იმ ერთ კვირაში განსაკლტრებული  
არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ  
სიძე-სიმამრის გაუტანლობამ და ფა-  
რულმა მტრობამ კვლავ იჩინა თავი...  
კაცს აშკარა ზიზღი ეხატებოდა თვა-  
ლებში ბიკის დანახვაზე; კი, მარ-  
თალია, დააშოშინა და ახლა აღარ ერ-  
ხოდა, მაგრამ განა შეეძლო ასე  
იოლად მიეტყუებინა?.. ან რა გარანტია  
ჰქონდა კვლავ არ წამოუვლიდა სიგიჟე  
და დანას არ ჩასცემდა ზურგში?.. შხა-  
მიანი გველი ჰყავდა ოჯახში შემომძე-  
რალი და რაკი თავს ვერ უქმეყავდა,  
გოგირდი შეუქმია: ის ოთახნახევრიანი  
ბინა სასწრაფოდ მოუძებნა, — არი-  
ქა, მალე გადაშენდეს აქედანო; ეშინო-  
და, მართლა რამე უბედურება არ მომ-  
ხდარიყო...

ერთხელ ოთახში შეუსწრო მძინა-  
რეს და უცებ ის დანა გაახსენდა, ამან  
რომ ესროლა... ახლაც საწერი მიგიდის  
უჯრამი ჰქონდა ჩაკეტილი. ოფლმა  
დაუწინწკლა შუბლი... ღმერთო, შენ  
დამიფარე ამ უმეური ფქვრებისაგანო...  
არადა ისიც ისე გამომწვევალ იწვა,  
ყელგადაგდებული... დიდ უტეფრობად  
კი მიიჩნდა, აქ რომ ათევედა ღამეს —  
თვითონ მაინც როგორ ბედავსო...

რა მალალი გალავანი შენგოგვილიაო,  
ბატონო მირიან, ჩიტე ვერ ჩამოგფ-  
რინდებათ ეზოშიო, უთხრა ერთხელ  
სიძემ... არც ისე საინფლათო — მიუგო  
ბოლშიანად — თქვენისთანა მარდ და  
ცქვიტ ყმაწვილებს მაინც ვერ აკავებ-  
სო... ვაჟას გულიანად გაეცინა... რა  
თქმა უნდა, საწყენია, განაგრძო მირი-  
ანმა, როცა სამ გასროლაში ერთხელაც  
ვერ არტყამენ მიზანს, მაგრამ კიდევ  
უფრო გულდასაწყვეტი ისაა სხვა  
შვიდ ცალშიაც რომ ვერ აღწევს უკე-  
თეს შედეგს. — თანაც იმ შვიდიდან, სამ  
ძვირფას ტყვიას მუქთად წყავსო... ბიკ-

მა გაკვირვებით შემოხედა, თითქოსდა ვერ მიხვდა ქარაგმასო... დანის ნაკბილარიც აჩვენა კარის გულზე, ნიღბიც უხსენა, მაგრამ თავს ისე იქერდა, ვითომ მას სულაც არ ეხებოდა... ხანდახან მის ღამინევე მზერას დაიქერდა და ბრაზისაგან სისხლი აწვებოდა სახეში: გრძობდა, დასცილოდა სიძე — რა მექნა, ბატონო მირიან, სხვანაირად ვერ მოგიყვანე ჩემს ჭკუაზეო...

გამომწვევად და უზრდელად ექირა თავი: იმ ხანებში მშვენიერი ნარკვევი დაიბეჭდა მირიანზე — ქარხანა“ დიდი გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს და ჩანდა, წელსაც დაინარჩუნებდნენ გარდაშვალ დროშას; კორესპონდენტი ძალზე ტაქტიანად, მაგრამ ნათლად და გარკვევით აღნიშნავდა დირექტორის დამსახურებას ამ საერთო წარმატებაში, — იქვე მისი ფოტოსურათიც იყო მოთავსებული...

განეთი გამალა და განგებ თვალსაჩინო ადგილას დადო მაგიდაზე — ბიქს რომ შეენიშნა... თვითონ მალულად ადევნებდა თვალს — აინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენსო: ამას ხომ საკუთარი თავის მეტი არავინ არაფერად მიაჩნდა... მაგიდასთან ჩავლისას ვაჟამ მართლაც აიღო ვაზეთი — ულვაშებში ჩაიციხა, ხელში ოდნევე შეკმულა და იქვე მიაგდო...

საერთოდ კი მოუსვენრად გრძობდა თავს — ხომ იცოდა რა სისაძაგლევ ჰქონდა ჩადენილი... ნანოს რომ არ აეძულებინა, აქ გადმოსვლას აღბათ, ვერ ვაბედავდა. შიტომ ეშურებოდა ასე წასვლას — ჩანს, შურისძიებისა ეშინოდა!

სხვებზე ამ ამბავს ზერეულად უყურებდნენ...

მისი ბრალი იყო: სიმხდალე რომ არ დაეწამებინათ, ყველა დააჯერა — სიძე არაფერ შუაშია, გვონებ მართლა შემთხვევით გაუვარდა იმ საღამოს ვიღაცას თოფიო...

ნუცა ერთხანობას მაინც ცნობიერად უყურებდა ბიქსს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას და სთხო-

ვა დამხატეო... „ღამაში რომ გამოსულიყო“, ყელს კეკლუცად იღერებდა, აივანზე, სავარძელში მჯდომარე; ის რა იცოდა, უკუღმართი ხელი ჰქონდა და მაინც უხიაჯს გამოიყვანდა... აკი არც მოუშთავერებია ნახატი — მეორე თუ მესამე დღეს გადავიდნენ კიდეც, ხოლო ჩარჩოზე გადაჭებული ტილო, სიდედრის უფორმო გამოსახულებით, აივანზე დარჩა: მერე შეგუბრუნდებით დაპირდა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა დასრულებულად რომ თვლიდა...

ქორწილი უფრო იმიტომ გადაუხადა, ამასაც „ღამაში შინებულ ღონისძიებად“ თვლიდა... ოცდაათ კაცამდე შეგროვდა — მეტწილად ნეფე-დედოფლის ახლო მეგობრები; სამსახურიდან არვინ მოუწვევდა, მეზობლებიდან კი მხოლოდ ტიტეს დაუძახა... ასე არ წასვლიდა საქმე, იცოცხლეთ, სუფრას გაშლიდა, მაგრამ ამითვე ესეც არამი იყო...

სამაგიეროდ ტიტე დარჩა ძალზე კმაყოფილი (მერკვლად შემოდგა ფეხი ამ ოჯახში) და ძვირფასი საჩუქარიც მიართვა ნანოს: თავისი ხელით შეკერილი ღამაში ქოშები... რა ვაიფა სიძე მხატვარი ყოფილიყო, მყისვე საკუთარი პორტრეტი დაუჯვითა, რაზედაც ვაჟა ხალისით დათანხმდა; დიობარა კიდეც თავისთან პავლოვის ქუჩაზე, ახალ ბინაში... რა იყო მიზეზი, რად თქვი უარი ტრესტის მმართველის თანამდებობაზე, — მე ამ ამბის დიდი იმედი მქონდაო, — მასპინძელს მიუჩინა მერე ტიტე... მირიანმა თავი უხერხულად იგრძნო და სალაპარაკო რომ მოესპო, ცივად მიახალა: შენ რა გენადვლება, შენთვის ადგილი უკვე გამოქმნილი მაქვსო... იმაზე მალად გადაიბრია — მალე ქენით, გედევანოვიჩ, გამაფორმეთ, სანამ ვარდიკო გამოთხოვდებოდესო... ვარდიკო ერქვა. მის ცოლს — იმ პირობით შეგირიგდები თუ ხარაზობას თავს გაანებებ და სადმე ფულიან ადგილზე მოეწყობიო... ეგ რე არა, ჩემო ტიტეო — გეცინა მირიანს — შენ თუ ქურდობას და მამაძღვლობას ანი-



რებ, ისევ იმ ატელიეში იქურდვო...  
 „არის რამე და არ ვიპარავ თუ?!“ —  
 მიუგო ტიტემ; ამას წინათ ტყავი შე-  
 ვიტანე „ლევე“ და კინალიმ ზედ წა-  
 მიჭირესო... მირიანმა გაცლა დააპი-  
 რა, მაგრამ მეზობლის ნათქვამმა წამით  
 გვლავ დააინტერესა: ტყავის ამბავი  
 სიდერდრმა შეატყობინა მილიციასო...  
 იმან რა იცოდაო, ჰკითხა, და ტიტეს  
 თვალები აუელვარდა, აცმუკდა: გა-  
 ხარბებული უფრო ახლოს მიუჩინდა:  
 იმას არაფერი დაემალეზე, ჰკირიმე, კუ-  
 დიანია, ღამ-ღამობით ცოცხზე ვადამ-  
 ჯდარი დაპჭრის ჭუნებშიო... ფუი, დას-  
 წყველოს ღმერთმა—ეგ მთლად წყალ-  
 წალეხული ყოფილაო, გაიფიქრა მირი-  
 ანმა და ინანა, სახლში რად შემოვუშ-  
 ვოო; ქარხანაში გადაყვანაზე ხომ ლა-  
 პარაკიც ზედმეტი იყო—

ესინი კი მეორე დღესვე გადაბარგ-  
 დნენ პავლოვის ქუჩაზე, ოთახნახებრი-  
 ანში... დღისით ღიზიკო მოუცდიდათ  
 ბავშვთან — ასე შეთანხმდნენ.

ახლა ამ დედაბერს შეიკლავენ ხელ-  
 შიო, ფიქრობდა მირიანი... შევებით კი  
 ამოისუნთქა, ბიჭის სიფათს რომ არ  
 ხედავდა; არც ნანოზე წყდებოდა დი-  
 დად გული: მე თუ შევეწირე, იმისთანა  
 არც შეილი მინდა და არც ძირიო; ეგ-  
 დოს და იყოს იმ შერეკილთან, ის თუ  
 ურჩევნია ყველაფერს — ოღონდაც  
 მეტად ნულარ შემაწუხებენო...

ის აღიზიანებდა და აცოფებდა, თავი-  
 დანვე რომ ვერ აუღო ალღო ამ ამბავს;  
 გამჭრიახ კაცად იცნობდნენ და ეს რა  
 მომივიდაო, სწულდა—მეტადრე შევდი-  
 ასთან რომ შეირცხვინა თავი... რამ  
 იფიქრებდა ის პატიოსანი ადამიანიო...  
 მამა აბრამის ბატკანი არც შევდია  
 გახლდათ, მაგრამ ამ საქმეში ხომ უმ-  
 წიკლო აღმოჩნდა.

ყველაზე მეტად, რაღა თქმა უნდა,  
 ის აგიჟებდა, ადგილი რომ დაჰკარგა;  
 ორიოდღე დღის შემდეგ მაინც მოსინჯა  
 ნიადავი და სიტყვა ჩამოუვდო ნესტო-  
 რიჩს, მაგრამ იმან სიახლოვეს აღარ გა-  
 იყარა: იქ, ხომ იცო, ახალაქე ზის,  
 და ალბათ ისიც გეცოდინება, საიდან

არის გამოგზავნილიო. ბოლოს ერთი  
 ბრძნული აზრიც მოაყოლა ნათქვამს:  
 რასაც სხვისი მიზეზით ვკარგავთ —  
 მოგვპარავენ, გვართმევენ, ან წაგვლლე-  
 ტენ — იმის დაბრუნება კიდევ შეიძ-  
 ლება, მაგრამ რასაც ჩვენივე სიბრყ-  
 ვითა და დოყლაპობით ვთმობთ —  
 იმისი კი აღარასოდესო... რას ეტყოდა,  
 — მართალი იყო ის კაცი; დაღონებული  
 უხმოდ გამოტრიალდა... და ეს ყველა-  
 ფერი იმ ლაწირაკმა ბიჭმა დამართა.



ნეტამც ასე ყოფილიყო — ვინ მამა-  
 ძალი დაიჩივლებდა, მაგრამ მალე  
 ყველაფერი ყირაზე დადგა და სულ  
 მთლად აირია მონასტერი...

იმ საღამოს მირიანი სამსახურიდან  
 შინ ბრუნდებოდა...

ხელმარჯვნივ მტკვარი მოაგორებდა  
 მღვრიე ტალღებს — მარცხნივ, ფერ-  
 დობზე, ძეძემოდებული ბუნქნარი და  
 ტანდაბალი ფიჭვები ენაცვლებოდნენ  
 ერთმანეთს. ცივი, სუსხიანი ქარი დამ-  
 კვანარ-დაღრგვილ ფოთლებს ახვეტდა:  
 გზისპირებს, ცაზე საწვიმარი ღრუბლე-  
 ბი დაბორიალობდნენ...

მაგნიტოფონი ჰქონდა ჩართული და  
 მუსიკის ხმას სტენენასაც აყოლებდა,  
 მანქანაში სამოდ თბილოდა...

ერთ წაწში მოხდა ყოველივე:  
 ფიჭვნარში, ფერდობზე, ნიღბოსანი  
 კაცი დალანდა, ხელში რეველვერი  
 რომ ეჭირა...

საქვ გაქცა, კინალიმ ბოძს შეასკდა,  
 მაგრამ იმარჯვა... მხრებში თავჩარგუ-  
 ლი ბოლომდე დააწვა პედალს და სწრა-  
 ფად ჩაიჭროლა... ძრავას გუგუნში  
 გასროლის ხმა არ გაუგონია; იფიქრა  
 მომეჩვენაო, მაგრამ უცებ რაღაც გვე-  
 ლივით ასისინდა კაბინაში და ელდანი-  
 ცემმა შენიშნა: პარპრიზი სამგან გაეზ-  
 ვრიტა ტყვიებს...

მანქანა გააჩერა და როცა ხელებინ  
 ცახცახით თავპირსა და გულმკერდს  
 ისინჯავდა, იმ ჭაზების აკომპანიმენტზე,  
 მაგნიტოფონი რომ უკრავდა, მის არსე-  
 ბაში კვლავ ახმიანდა სიხარული

ველურ ყიყინად: გადავრჩი, გადავრჩი, გადავრჩი!.. მაგნიტოფონი გამართო და რეველოვერი ამოიღო შალითას ჩიბიდან... უკან მიბრუნება დააპირა — შეხარა კიდევ საჭე, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ბიჭი იქ არ მოუცილიდა, ხოლო მანქანიდან გადასვლა და ფეხდაფეხ დაღვენება სახიფათო იყო...

ეჭვი არ ებარებოდა, ამჯერადაც სიძე ჩამისაფრდაო... ჩანს, ოთახნახევრიანში ვიწროდ გრძნობდა თავს, — ერთი სული ჰქონდა, ვიდრე სიმაშრ: საიქიოს გაისტუმრებდა და მის ქონებას დაეპატრონებოდა...

ახლავე მილიციაში გაიქცევა და საქმეს აღძრავს, — ქვეყანა ჩალით ვი არა გადახურული — არსებობს სასჯელი, კანონი, სამართალი!

სისწრაფეს უმიტა თუ არა, კაბინაში ისევ ასისინდნენ შხამიანი გველები...

სამივე ნახვრეტი შუშის მარჯვენა მხარეს იყო მიჯრილი...

ლესელიძის ქუჩაზე მილიციის წინ გაჩერა მანქანა. ადგილი, სადაც თავდასხმა მოხდა, ამით „სამწყსოში“ შემოდოდა; გარდა ამისა, მილიციის უფროსი ლომკაცა დენიაშვილი მისი ახლო მეგობარი იყო... იქნებ „ცხელ კვალზე“ გაგზავნა ოპერატიული ჯგუფი და შეეპყროთ კიდევ ბიჭი...

— უფროსი სად არის?... — იკითხა სამორიგეოში. კაბინეტის კარი დაკეტილი დაუხვდა.

— გასულია. — მიუგო ახალგაზრდა ლეიტენანტმა, ტიხარს იქით რომ იქდა.

— მალე დაბრუნდება?

— ამ დრომდე უნდა მოსულიყო...

— მოუსვენრობა რა დაატყო, დასძინა:

— მოადგილე ადგილზეა, თუ სასწრაფოა ჩამქ!

— არა, არა უშავს... დაველოდები!

სამორიგეოდან გამოსული დერეფანში ბოლითის ცემას მოჰყვა, თან კბილებს აკრაქუნებდა და მუქარით იქნევდა მუშტებს... უცებ ადგილზე გაქვავდა: კედელზე გამოკრულ ძეხნილ რეკლამისტთა სურათებიდან ახალგა-

ზრდა კაცის გამორთტებული სახე შემოჰყურებდა...

კარგა ხანს იდგა ასე მონუსხული; მერე თვალებიდან ლიბრი მოეცალა, ახლოს მივიდა და აი რა წაიკითხა ბოლო სვეტში:

„ყურადღება!

იძებნება საშინაო დაშინავე ჯაბო დავითის ძე აბზიანიძე, რომელიც სასჯელს იხდიდა „ქ“-ის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. მიმდინარე წლის აგვისტოში მან მოახერხა გაქცევა: მძიმედ დაქრა ბედრაგი, გაიტაცა ცეცხლმსროლელი იარაღი და მიიმალა... ასაკი—28-29 წლისა; გარეგნული მონაცემები: მალალი ტანის, გამხდარი, ბუკებში ოდნავ მოხრილი; შუბლი — ფართო, წარბები, წამწამები და უღლაშები—მოწითალო, თავის მოყვანილობა — მოგრძო, თმა—უკან გადავარცხნილი, თხელი; სახე და ხელები ქორფლიანი. დამახასიათებელი ნიშნები: მოკლე ნაბიჯი, სიარულისას ტერფებს შეგნით ბრეკა; ტიკი: თვალების ხშირი ხამხამი, დროდადრო კისრის მიღრეცა მარჯვნივ...

მნახველებს ვთხოვთ შეგვატყობინონ მილიციის უახლოეს განყოფილებაში!

ან რა წაიკითხვა უნდოდა, — მასზე უკეთ ვინ იცნობდა ჩიბო აბზიანიძეს... ბიჭი ქარხანაში მუშაობდა კადრების განყოფილების უფროს ინსპექტორად, ამ ხუთიოდე წლის წინ ქრთამზე წაასრეს და დაიჭირეს, მაგრამ გაქცეულია აგერ, და მას აქეთ, თურმე, მოსაკლავად დასდევს!..

ასე სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად გაირკვა სიმართლე!..

ვაჟა დღისაძე, ისე როგორც კოწოშაგია, უბრალო ყოფილა!

კაცის ბუნება ხომ ისეა მოწყობილი, ცდილობს მუდამ სხვას დასდოს ბრალი თავის უბედობასა და უღიბლობაში: ჩიბო აბზიანიძესაც, ალბათ, ჰგონია მირიანისაგან სკირს, რაცა სკირს...

როგორ გამოეპარა მაინც ეს ამბავი — ან ქარხანაში რატომ არ ითქვა, ან ლომკაცამ რად არ შეატყობინა?... მაშინ ხომ მმართველის სავარძელს არ და-



კარგადა და ქალიშვილიც შინ ეყო-  
ლებოდა..

ჯიბო აბზიანძეს კი იოლად მიუღ-  
ლიდა... როგორმე დაამყარებდა კონ-  
ტაქტს: წერილს გაუგზავნიდა, ან ვინმე  
სანდო კაცის პირით შეუთვლიდა.  
აუხსნიდა, განუმარტავდა, დაარწმუნებ-  
და, რომ მასთან უბრალო იყო... გა-  
უგზავნიდა და შეუსმენელი ბიჭიც არ გა-  
ზღადა!

განა თვითონ ჯიბომ არ იცოდა?!.  
აქი სსსამართლოზე, განაჩენი რომ  
გამოუტანეს, ჭიჭიკო თავგარელობის და-  
ემუქრა: როცა იქნება გამოვალ ციხი-  
დან და დედას ვიტყვებო!.. ალბათ, რა-  
ხან თავგარელობე აღარ დახვდა ცოც-  
ხალი, გადაწყვიტა მირიანზე ეძია შუ-  
რი და ამოეყარა ჯაფრია... იქნებ ვინ-  
მემ რამე ჩააწვეთა?.. ანკი ვის რა უნდა  
ეთქვა, როცა ჭიჭიკოს შეტმა არავინ  
არაფერი იცოდა — ის კი რახანია მიაკ-  
ვდა პატრონს!..

მაინც, როგორ მოახერხა გაქცევა?..  
უუპ, ესენიც კი ბედოვლათები მყვა-  
ნან, დოყლაპიები — სიმწრით და-  
ჭერილი კაცი ციხეში ველარ უნდა  
დააკაენონ?!

ღვინიაშვილის ნახვაც აღარ არის  
სასწრაფო და საშური — მოსახდენი  
უკვე მოხდა და რაკი სამართალმა პური  
ქამა (სუმრობა საქმეა, სამჯერ ზედზედ  
გადაურჩე სიკვდილს?!), ხვალდანვე  
დაუტრიალდება და მოუვლის ამ ამ-  
ბაეს, მანამდე კი საჭიროა დეტალურად  
გაიხსენოს და ერთხელ კიდევ გულდას-  
მით გაანალიზოს გონებაში ყველა  
წერილმანი..

ისე, იცოცხლეთ, მისი ერთი სიტყვა  
ახლა მილოციას გზაზე დააყენებს და  
დღესვე გააძაგვრინებს ჯიბო აბზიანი-  
ძეს, მაგრამ არა, ცოდოა საწყალა  
ბიჭი, ისედაც ქვეყანა დასდევს დასაქე-  
რად... ჯერ ხმა უნდა მიაწვდინოს  
საკუთარი უდანაშაულობა არწმუნოს,  
თორემ ხომ შეიძლება ისევე გაიქცეს და  
კვლავ მოსაკლავად დაუწყოს დენა?..  
ჯერ უნდა აუხსნას, გააგებინოს — მე-  
რე კიდევ პო... თუმცა რა მისი

საქმეა, დაიჭერენ თუ არა — მთავარია,  
თვითონ გამოძერეს მშრალად, — თავში  
ქვა უხლიათ და შეცელში სამართე-  
ბელი, ერთსაც და მეორესაც!

მანქანაში ჩაჯდა და სიძე-ქალიშვილს  
მიაკითხა პავლოვის ქუჩაზე: გულ-  
ში მაინც ფათურობდა ეჭვი, უნდო-  
და მივეგო სად იმყოფებოდა აქამად  
ვაქა დეისაძე... ისე, მაინც — ყოველ  
შემთხვევისათვის — დაზღვეული რომ  
ყოფილიყო მოსალოდნელი შეცდომი-  
საგან!..

რაც ამ ბინაში გადმოვიდნენ, ეს მი-  
რიანის პირველი სტუმრობა იყო და  
ნანო ალტაცებული ჩამოვიდა მამას კი-  
სერზე. ნიჟამიც იცნო და ბაჯბაჯით მო-  
აშურა, — ფეხი აედგა უკვე!

ვაქა თავწყარული იწვეა ლოგინში;  
თავსთუმალთან, სკამზე, წამლის შუშე-  
ბი და რალაც აბები ელაგა. სიმამრის  
დანახეზე შეერთა: არ იცოდა სამტ-  
როდ იყო მოსული თუ, სამოყვროდ —  
რამე ვერაგობა არ ჰქონდეს გულში და  
ისევე არ ამირიოს თავმოყრილი ოჯახით,  
გაიფიქრა.

— დიდი ხანია წყევხართ?.. — თავა-  
ზიანად მოიკითხა მირიანმა სიძე და იქ-  
ვე, ახლოს, თავსთუმალთან, სკამზე ჩა-  
მოჯდა.

— მესამე დღეა. — მიუგო ბიჭმა.

— ისე ცუდად იყო, მამა, ისე ცუ-  
დად... — ჩაერია ნანო, რომელიც „ნა-  
ხევარ ოთახში“ მაგიდას აწყობდა. —  
სულ ორმოცეტი ჰქონდა სიცხე... ამ  
სალამოს მომჯობინდა ცოტა.

— ლიზიკო ხომ გეზმარებათ?..

— აბა რაა, — ის რო არ გვეყავდენს  
რა გვეშველება... მოზრძანდი მამა... ვა-  
ქაც წამოდგება!

ქათქათა სუფრა კი გადაეფარებინა  
მაგიდაზე, მაგრამ მოსატანი, ეტყობო-  
და, ბევრი არაფერი ჰქონდა, გარდა  
შემწვარი ბადრაჯისა, მოზარშული  
„ხეკისა“ და ბრინჯა ყველისა, რომე-  
ლიც დაჭრისას თევზზე დაფშვნილი-  
ყო; ერთი ბოთლი „სტოლინიც“ ჩა-  
მოედგა.

16216

ქ. მანკისი წიგ. საქ. სსრ.

— არა... მე უნდა წავიდე!

— რა მოგივიდა?... — ნანომ ახლად შენიშნა, სახეზე ფერი რომ არ ედო.

— ისეთი არაფერი... სამსახურში შემხვედა რაღაც საწყენი!

წასვლისას ასმანეთიანი ჩაუღლო ნიკამ მუკში — ამით ბინის ქირა გადაიხადეთო... „არა, მამა, არა... ვაჟამ ამიკრძალა!“ — ნანო არ იტოვებდა, მაგრამ მირიანმა იწყინა: იმას სულ ნუ გააგებინებო...

ოთახში რომ შემობრუნდა მართლა აპირებდა ფულის დამალვას, მაგრამ ნიკამ ღრიალი მორთო, აჲ დაანება და ვაჟამაც გაიგო ეს ამბავი.

— თუ გინდა ჩვენი სიყვარული არ გაიბზაროს... — წყნარად უთხრა ბიჭმა. — ვთხოვ ახლავე დაუბრუნო უკან!

— წავიდა უკვე, ვიღარ დავეწვიე... — აიღეწა ნანო.

— ხელზე გაუგზავნე ლიზიკოს ხელით... ნუ გეშინია, შინშილით არ დაეიხოცებო... არ მსურს მამამენს ეპყვები ვაუღმართლო... დრო მოვა და ხელგაშლით ვიცხოვრებთ!.. დაიხსომე: როცა საქმეში ფული ერევა, სიყვარული და სიღამაზე ნადგურდება!.. გეფიცები, ჩემი ალალი შრომის საფასურად რომ მაძღვეენ, მაშინაც კი მეუხერხულება და შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს... მჯერა, დადგება დრო, ადამიანები ამ ეშმაკეული შეამავლის გარეშეც მიიღებენ კუთვნილ არსებობის პურს!

— მესმის... — მიუგო ნანომ; დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

მოგვიანებით, ბავშვი რომ დააძინა და თვითონაც დასაწოლად ემზადებოდა, ჰკითხა:

— რად გინდოდა, ვაჟა, ის რევოლვერი, უკრაში რომ გქონდა დამალული?..

— ხომ გითხარი — მიუგო ბიჭმა. — ამხანაგს დარჩა-მეთქი; ისე იყო ქანგი-საგან შექმული, მაინც არაფრად ვარგოდა!

— სად არის მერე, რა უყავი?

— აი, მაშინ... რაღაც გაუგებრობა რომ მახდა, დავნაყე და მტკვარში გა-

დავაგდე! — გაიცინა და მოუთმენლად გადასწია საბნის კიდე; თვალს აღევნებდა, როგორ იხდიდა ქალი სიბნელეში.

— რა კარგი ხარ, ძვირფასო... — მიუგო ნანომ და ლოგინში შეუწევა. — მე კი ის ამბავი მართალი მეგონა!

• • •

მირიანმა შინ მისვლისთანავე ჩარახა ალაყაფის კარი... ქალებისათვის არ გაუხმებელია მომხდარი ამბავი, მაგრამ დაატყვეს აფორიაქებული იყო და, რა მოგივიდაო — ჰკითხეს. რაღაცები მიკიბ-მოკიბა: კოლეგიაზე ვარ ხვალისათვის დაბარებული, სასწრაფო სამუშაო მაქვსო... კაბინეტში ჩაიკეტა და მაგიდაზე ქაღალდები გაშალა, მაგრამ ქაღალდებმა როგორც კი დაიძინეს, თვითონაც ჩააქრო შუქი, ჭიბეში რევოლვერი ჩაიღო და ფანჯარასთან მოკალათდა სავარძელში... მგელთან ნაჯვარი კავკასიური ნაგაზებიც ფხიზლობდნენ. ეზო გაჩახახებულ იყო და ელექტრონის შუქზე ჩანდა რა კოკისაბრულოდ წვიმდა. ქარის ყოველ შემობერებაზე უამრავი ფოთოლი ცვიოდა და იმ ერთ ღამეში სანახევროდ განიძარცვნენ ხეები... იქნებ სიძესთან მართლა რაღაცას სცოდავდა, მაგრამ ჯიბო აბზიანიძესთან ხომ უბრალო და ალაღ-მართალი იყო?.. სულ აფრთხილებდა, თავიდან ამოიღე ეს მაცდური აზრი ფულის შოვნისათვის — იცოდე, ფებს წაიტებ და მერე გვიანდა იქნებაო!

ღამე თეთრად გაათენა და ის ამბებიც წვრილად გაიხსენა...

• • •

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯიბო აბზიანიძე ერთი წელი შინ იჯდა, მერე განათლების სამინისტროს უწყებაში, რომელიღაც მეთოდკაბინეტში დაიწყო მუშაობა... სტუდენტობისას კი მოჰქონდა თავი „ფილოსოფოსობით“, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიღვა, ამას ყველა პროფესიამ აჯობა; მეცნიერებაში თუ მოიკიდებდა ფებს,

თორემ ისე ვის რაში სჭირდებოდა... მეცნიერებისაკენ მიმავალი გზა კი, მოგესხენებათ, მეტად რთულია და ძნელად სავალი...

ორ წელიწადში ორი მოზრდილი წერილი დაწერა, ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე და გამოსაქვეყნებლად წარადგინა ჟურნალში, მაგრამ დაუწუნეს — მეცნიერული ხედვა და სიღრმე აკლიაო, უფრო კი იმის გამო, ცენზი რომ არ ჰქონდა... ამას თან დაერთო უსიამოვნება ხელმძღვანელობასთან, რაღაც „ლიმიტის“ თაობაზე და მიატოვა კიდევ იქაურობა... იმანაც გადაადგმევინა ეს ნაბიჯი, მაშის გარდაცვალების შემდეგ ეკონომიურად რომ გაუჭირდათ.

ოჯახს აღრე მოეკიდა ჯიბო აბზიანიძე...

მეხუთე კურსზე რომ გადადიოდა, იმ წელიწადს ინეზამ საშუალო სკოლა დაამთავრა... ერთმანეთი უყვარდათ და მოაწერეს კიდევ ხელი. მართალია, გოგოზე ოთხე წლით უფროსი იყო, მაგრამ ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ხშირად ერთადაც უთამაშობდნენ ქუჩაში... ინეზა კისკისა, თამაში გოგო იყო და ხანდახან აწვალებდა კიდევ ბიჭს: ხან ბურთს დაუშლავდა, ხან ბადმინტონის ჩოვანს — ხან რა და ხან რა, მაგრამ სამაგიეროდ, სკოლაში თუ გააბრაზებდნენ, ან „აურეგდნენ“, ჯიბოს შესჩივლებდა მაშინვე... მერე და მერე დაუფიქრდა, ჯიბო რა შუაშიაო... მეხუთე-მეექვსე კლასიდან დაიმორცხვა და ეკრძალებოდა ბიჭს; ამასობაში ბიჭმა სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

დილაობით, ლექციებზე მიმავალი, ხანდახან გოგოს წამოეწყო და ორი-ოლე სიტყვას ეტყოდა. ინეზა წითლდებოდა და ნაბიჯს უჩქარებდა, — აქაოდა, ვინმემ თვალი არ შეგვასწროსო, ვითომც ამით ქვეყანა დაიქცეოდა. ბიჭი ჩამორჩებოდა და უყურებდა, როგორ მიყვლელობდა გოგო უმცროსკლასელებს შორის; მასაც ისეთივე ფორმის კაბა ეცვა და თეთრი წინსაფარი ეკე-

თა, მაგრამ უკვე დასრულებული ქალი იყო...

მომდევნო წელს ფილოლოგიურზე აპირებდა ჩაბარებას, მაგრამ გაზაფხულზე ტყუპი ბიჭი შეეძინათ და საამისოდ ვისლა ეცალა... მერე ტყუპი გოგოებიც გაუჩნდათ — ასე, რომ სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი ზედმეტი იყო... დიდად არც აწუხებდა ეს ამბავი; მოსიყვარულე მეუღლის გვერდით, შვილებით დაყურსული, თავს ბედნიერად გრძნობდა. ყველა თვალეში შესცივნიებდა ამ პატარა ქალს, რომელმაც ორ წელიწადში ამდენი ახალი წევრი შემატა აბზიანიძეების ოჯახს...

ჯიბოს მამა, დავით აბზიანიძე, სამშენებლო სამმართველოში მუშაობდა ეკონომისტად. სამოცს მიღწეული უნო, მოკრძალებული კაცი იყო, — ყოველ საღამოს ბავშვის სათამაშოებითა და სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა შინ... არასოდეს უავადმყოფია და მით უფრო მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი: დღით, ჩაის სმისას, შეუძლოდ იგრძნო თავი; რძალს სამსახურში დაარქვინა, ცოტა შემავიანდებო... იქვე, შუშაბანდში ტახტზე წამოწვა და ისე უცებ დალია სხალი, ქიქა წყლის მიწოდება ვერ მოასწრეს... მადლიანი კაცი იყო და ბედნიერად აღსრულო, ამბობდნენ მერე ნაცნობ-მეგობრები.

მაშინვე მოაკლდა მისი ხელი... ჯიბოს ხელფასი, დედის მცირე პენსიისთან ერთად, რას გასწვდებოდა შვიდსულიან ოჯახს; ცოტ-ცოტას ძმა ეხმარებოდა, მაგრამ სხვისი იმედით ძნელია ყოფნა — ზალიყო ცალკე ცხოვრობდა და მასაც ცოლ-შვილი ჰყავდა სარჩენი.

სხვებმა ურჩიეს და თვითონაც ამ აზრს ადგა — სამსახური უნდა გამოეცევაო. მაშინ იყო სწორედ უთანხმოება რომ მოუვიდა ხელმძღვანელობასთან... ეს კი გაუმტყუნეს, — ჯერ სამაგიეროდ გეშოვნა რამე და ისე მიგენებებინა თავიო... ზალიკომ შესთავაზა, ჩვენს სისტემაში მოგაწყობდ, — საქმე

ნელმცოდნედ მუშაობდა „საზვეების“ ტრესტში — მაგრამ მოკრიდა მეთოდ-კაბინეტიდან პირდაპირ ვაქრობაში როგორ ამოვეო თავიო. პარტიული იყო და განცხადება შეიტანა რაიკომში — გთხოვთ რამე შესაფერისი, ადგილი გამომიძებნოთო.

დიდხანს არ უღოდინებიათ — ორი-ოდე კვირის შემდეგ დაიბარეს და კადრების განყოფილების უფროსობა შესთავაზეს საკონსერვო ქარხანაში. ხელფასი რომ გაიკითხა, თავი შეიკავა და მაშინვე არ მიუცია თანხმობა, რადგან დიდი განსხვავება არ იყო ძველ საშახურთან შედარებით — ოცი მანეთი ემატებოდა მხოლოდ. გადაწყვიტა ჭერძმას მოლაპარაკებოდა, იმან უკეთ იცოდა ყოველგვარი ადგილის ფასი და მაზანდა...

ზალიკოს მეგობრები ჰყავდა სტუმრად — იმპორტულ კოსტუმებსა და ჭრელ პალსტუხებში გამოწყობილი სამიოდე სახელაყუა ბიჭი... ლოჯიაში ისხდნენ და ღვინოს სვამდნენ. მზარული შეძახილებით შეხვდნენ ჯიბოს გამოჩენას — ფილოსოფოსს ვაუშარჯოსო.

— ჩემი ძმა პროფესიას იცვლის. — თქვა ზალიკომ, ჯიბოსავით ქერა და სახეჭორფლიანმა, მაგრამ უფრო ჩაფსკენილმა და ტანდაბალმა ბიჭმა.

— მართალია, ჯიბოჯან?... ფილოსოფოსობას თავს ანებებ?...

— პირიქით: ახლა ვიწყებ ნამდვილ ფილოსოფოსობას! — გაიციინა მან.

ძმის ნაამბობი რომ მოისმინა, ზალიკომ უსაყვედურა კიდევ — რატომ მაშინვე არ მიეცი დასტური, მაგას რა მოთათბირება უნდოდაო... ცოტათი ხელფასზე მეთანადრებოდა გულო — მიუგო ჯიბომ... რომელ ხელფასზე გველაპარაკები შენაო, — ახლა ზალიკოს ამხანაგებმა გამოიღეს თავი — შენ არ იცი საკონსერვოებსა და წვენებში რა „მაყუთი“ ტრიალებსო... მაგნაირ ადგილებს „ყიდულობს“ ხალხიო... აბა ჩვენი ქეციანი „საზვეება“ რაა, და საერთოდ, ვაქრობაში ნაშოვარი ფული

არც იქმევაო... მე შენ გეტყვი მატერი-ალური პასუხისმგებელი პირი იქნება: თუ რაო — შენი „პროცენტი“ გაქნება ყოველთვიურად, ალალი და უსაყვედურო; კაციშვილი ვერაფერში შემოგდება და ვერც ვერაფერში გამოგიჭერს — ოღონდაც დირექტორთან უნდა იყო კარგად, იმასთან იქნები მარტო „შეკრულიო“... ხალხსაც ის მიიღებს და გაუშვებს, ვინც მას მოეგუნებება — შენ მარტო საბუთები უნდა აფორმოო... ზუსტად არ ვიცით მანდ რა „სტავებია“, მაგრამ ოთხას-ხუთას მანეთზე მეტი თუ არა ნაკლები მაინც არ იქნებაო; ხვალვე გაიქცევი აღრიანად, „ვინემ ვინემ“ დაგასწრებდესო...

მეორე დღეს ჯიბო აზზიანიძემ საკონსერვო ქარხნის დირექტორს, მისსავე კაბინეტში, რაიკომის სარეკომენდაციო ბარათი მიართვა...

მირიანმა თავაზიანად მიიღო — ფეხზე წამოუდგა, ოდნავ გამოსცილდა მაგიდას, ხელი ჩამოართვა და მაშინვე სკამი შესთავაზა.

ვიდრე ფეხზე მდგარი წერილს კითხულობდა, ჯიბო ალტაცებული მისჩერებოდა: მოხიბლა მისმა მიღებამ, წარმოსადგობამ, ელეგენტურობამ და ოდნავ გადალილიმა, მაგრამ მეტად სიქმიანმა იერმა; ფართოზოლებიანი ყავისფერი კოსტუმი ეცვა, მაჯაზე „ორიენტის“ მარჯის მორზდილი საათი ეკეთა...

სამაგეროდ ბიჭი დააფრთხო უამრავმა ცხრილებმა და დიაგრამებმა, მაგიდაზე რომ იყო გაშლილი და კედლებზეც ეკიდა... სამაქრობიდან და ქარხნის ეზოდან მოღწეულმა უცხო, უცნაურმა ხმებმა კიდევ უფრო გაუძლიერეს ეს შთაბეჭდილება და მეტი პატივისცემით განმსჯვალეს დირექტორისადმი, რომლის განცეული და მახვილი ყურთასმენაც, ალბათ, ამ წარმოდგენილ ყავიანის ყოველ უმნიშვნელთ ნოტას სცნობდა... ცხადია, გამორჩეული კაცი იყო და მიტომ ანდეს ამხელა ქარხანა... გუნებაში შერცხვა კიდევ გუშინდელი საუბრისა „წი-

ლსა“ და „პროცენტებზე“; ვერაფრით წარმოიდგინა, მასთან „შეკრული“ დირექტორი როგორ ჩაუღებდა ჯიბეში, თვის ბოლოს „კუთვნილ“ ხუთას მანეთს...

— სიამოვნებით... — თქვა მირიანმა. დაჯდა და თვალბმობუტუტულმა ალერსიანად შეათვალიერა ბიჭი. — ან რა უფლება მაქვს უარი ვუთხრა ევსტაფინის გამოგზავნილ კაცს!

— როდის შემეძლება საქმეს შევუდგე?.. — ჰკითხა გახარებულმა.

— თუნდაც დღესვე, — მიუგო მირიანმა. — ახლაც დაეწერ ბრძანებას!.. ევსტაფინი თქვენი ხომ არაფერია?

— დიახ... ნათესავად მერგება! — იცრუა მან.

უნდოდა ღირსეულ კაცთან ღირსეულად გამოჩენილიყო და თავი მოეწონებინა კარგი წრით, მაგრამ ნათქვამმა, საბოლოო ჯამში, უარყოფითი შედეგი გამოიღო...

რაიკომის ახალ მდივანს, ნოდარ ჯინორიძეს, ათვალწუნებული ჰყავდა მირიანი. სწორედ იმ ხანად ბიუროზე დაემუქრა: შენს საკითხს საგანგებოდ შევისწავლიო... მირიანმა ველარ მოითმინა და პირში მიახალა — კი, მაგრამ, ევსტაფინ, რა სჭირს „ჩემს საკითხს“ საგანგებოდ შესასწავლიო (ალარ დასცალდა: თავად წაუვიდა საქმე შავად და ახლა რომელიაღაც საკონსტრუქტორთ ბიუროში მუშაობდა დირექტორის მეოთხე თუ მეხუთე მოადგილედ... ბოლოს „აბზიანიძის საქმეც“ მას დააწვკისტრზე!).

რაკი ერთხელ იცრუა, უკან ალარ დაიხია და თავს ისე იჭერდა, თითქოს მართლაც მდივნის ახლობელი ყოფილიყო... ერთი რამ კი უდავოა: ჯინორიძემ ისე ახლოს მიიტანა გულთან მისი გასაჭირი, ისე მალე აღმოუჩინა სამუშაო — მამა შეიღს არ უზამდა... უფრო ამ შთაბეჭდილებამ წამოაცდენინა ის ტყუილი.

დირექტორისადმი თავდაპირველმა კრძალვამ მალე გაუარა... ქარხნის საქმეებში ჩახედული არ იყო, მაგრამ ისე-

თი ხმები აღწევდა მის ყურამდე; გულარევას იყო კაცი; ალარ უკვირდა მანდელი საუბარი „სტავკასა“ და „მაცუთზე“... ის კი არა და ხუთასი მანეთიც ცოტააო, ფიქრობდა და საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად რაიკომის მდივანსაც ხშირად ახსენებდა.

— რა აზრისა ხარ კადრების ახალ ინსპექტორზე?.. — ჰკითხა ერთხელ მირიანმა მთავარ ბუღალტერ ავკოფაშვილს.

იმან ცალი თვალი წაჭუტა, ხელი ჩაიქნია და მოკლედ მოკრა:

— არ მომწონს ეგ ბიჭი.

— იცი ვისი გამოგზავნილია?..

— მაინც არ უნდა მიგელო... ყველა კი არ შემოიშვება კოლექტივში... — ავკოფაშვილმა პისტოლეტის მსგავსი სანთებელა გამოაჩინა მუტში, დააჩხაკუნა და სიგარეტს მოუკიდა; მერე კვლავ მუტში დამალა და თითებით დაუწყყო ალერსი.

— არ მინდოდა იმასთან ურთიერთობა გამემწვავებინა... — მირიანმაც მოუკიდა სიგარეტს და საფერფლე ავკოფაშვილისაკენ მისწია.

— შენ გგონია მართლა იმი ს ნათესავია?.. — ჩაეღიშა ავკოფაშვილს.

— ეგ ვიცი, ვატყობ... მაგრამ უარი რომ მეთქვა, ჩაერეოდა...

— მაგასთან ფრთხილად უნდა ვიყოთ... რაღაც-რაღაცები ეჩვენება!

თვე რომ მოსრულდა, ბიჭი გულისფანცქალით ელოდა — დამიძახებენ, ცალკე გამიხმობენ და ჩემს წილ ხუთას მანეთს ჩამიდებენ ჯიბეშიო. ვაღაწყვეტილი ჰქონდა პურმარილი ეკისრა და ასი მანეთი იმ საღამოსვე დაეხარჯა... რესტორანში უნდოდა წაეყვანა დირექტორი, მთავარი ბუღალტერი ავკოფაშვილი, მთავარი ინჟინერი კიკნაველიძე და კიდევ რამდენიმე კაცი... ისე მაინც ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა აეღო ფული... რა უნდა ეთქვათ ამ დროს, ან რა უნდა მოემოქმედნათ, ანდა მერე როგორა უნდა შეეხედნათ თვალბმობი ერთმანეთისთვის... არც ის იცოდა საიდან მოდიოდა ეს ფული და რისთვის

აძლევენ, მაგრამ წესი იყო ასეთი და თვითონ ხომ არ შეცვლიდა... შეცვლა რომ სდომოდა, აქ არც მოვიდოდა... გაიგო, ადრინდელ კადრების უფროსს სამასი მანეთი ჰქონდა „სტავეკოს“ და ნაკლებს არც მე შემომკადრებნო, ფიქრობდა... თავის მხრივ გადაწყვეტილი ჰქონდა პრეტენზია წაყენებონა და ხუთას მანეთზე ფეხი არ მოეცვალა: თვითონ თუ ამდენ-ამდენს იღებდნენ, ხალხი რომ იძახდა, მაშინ ხუთას მანეთზე აღარ უნდა ელაპარაკნათ... მაინც თადარიგი დაიჭირა და იმ თვის კუთვნილი „წილის“ ანგარიშში ფული რომ ისესხა ზალიკოს ამხანაგისაგან, სამასი მანეთით შემოიფარგლა... თუ სამსზე მეტს დაუნიშნავდნენ, მერეც კი მრიხმარდა, ან არადა, უკიდურეს შემთხვევაში, სამას მანეთზეც დაყაბულდებოდა. განა სამასი კი ცოტა იყო?.. ხელფასთან ერთად ეს უკვე ოთხას მანეთს აჭარბებდა და ეყოფოდა კიდევც!..

უკვირდა, რომ არაფერ ეძახდა... არადა, ზამთარი კარს იყო მომდგარი და არც მას, არც ინეზას პალტო არ ჰქონდათ... ალბათ, ორი თვისას ერთად მომცემნო, ფიქრობდა. კიდევ სამასი მანეთი ისესხა ზალიკოს ამხანაგ დათუნანხაგან, ამ თვის კუთვნილი „წილის“ იმედით. მერე ქალის პალტოს წააწყდა მალაზიაში და ოთხასი მანეთიც ისესხა: ორასი წინა თვის, ხოლო ორასიც ამ თვის „წილის“ ანგარიშში — ხუთასი მანეთობის კვალობაზე... იმედი ჰქონდა, როგორმე ხუთასზე დავითანხმებ „სტავეკოს“ დამდგენელს, მირიანი იქნება ის, ავეკოფაშვილი თუ ვინც იქნებაო...

— ჯიბო... — შეშფოთებული ხმით უთხრა იმ საღამოს ინეზამ. — მე ძველი პალტოთიც გავიტანდი თავს ამ ზამთარში... საიდან გაქვს ამდენი ფული?

— შენ არხეინად იყავი, — ამყავდ მიუგო ბიჭმა. — მაგაზე ნუ ფიქრობ... სამსახური მაქვს კარგი — მორჩა და გათავდა!..

— შეშინია ხიფათს არ გადაეყარო... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე

ოთხ ბავშვს მარტო ვერ გავხრიდი... წაიღე, უკანვე ჩააბარე!

— მეორედ აღარ თქვა ეს, ინეზა... განა შენ ჩემგან ერთი პალტოს ღირსი არა ხარ?..

— შეილო, ფტხილად იყავი... რაღაც ცუდს მოიქვამს გული. — ეუბნებოდა დედა. — შენ ფულის მკეთებელი კაცი არა ხარ... რამე საქმეში არ ჩაგითრიონ, არ დამლუპო, შეილო; ისიც გვეყოფა მამაშენი რომ გამოგვეცალა ხელიდან... რამე რო შეგეშინებეს, იცოდე ვერ გადაგიტან!

— ზალიკოს რატომ არ ეტყვი მაგას?.. — ითაკილა ჯიბომ.

— განა არ ვეუბნები, შეილო... ნეტა შენ მაინც არ იყო მოწმე... ვეუბნები, მაგრამ ეყურება?.. ეპკობაში სხვანაირად ვერ იმუშავებ, არ გაგაჩერებენო... არ უნდა წამოსულიყავი იმ ძველი სამსახურიდან; სხვანაირი კაცი ხარ შენ, მამაშენივით საწყალი და პატიოსანი... ზალიკო სულ სხვაა... განა ცუდია-მეთქი ვამბობ, ენაცვალოს დედა, მაგრამ უფრო ეშმაკია და გამოქექილი... შენ ბავშვივით გულუბრყვილო ხარ... ხომ გაგაგონია, არა შექდა მწყერი ხესაო...

ვინ შემოგისვამდა, თურმე, გვერდით, თორემ კი შეჯდებოდი... ადრე ეგონა, მთავარია გარისკო, სირცხვილ-ნამუსზე ხელი აიღო და დანარჩენი თავისთავად მოგვარდებო... ყველაზე მეტად ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, და ახლა, მორალურ მხარეს რომ დაძლეულად თვლიდა, დარწმუნდა: სწორედ იმ გემრიელი ნაყოფით დახუნძლულ ტოტზე შეფრენა ყოფილა ყველაზე ძნელიო... იქ, თურმე, საკმაოდ მჭიდროდ ისხდნენ ნისკარტბასრა ჩიტები... ნებით არაფერ დაგითმობდა ადგილს, ფრთებით უნდა მიგეწ-მოგეწია, რომ ჩამომქდარიყავი... მოგვიანებით მიხვდა: უცხო ფრინველად თუ შეგიცნობდნენ, ჩაგინისკარტებდნენ, თურმე და მიწას დაგანარცხებდნენ ქალაჩამსხვრეულსა და თვალბდაკორტნილს, თვითონ კი არხეინად განაგრძობდნენ იმ აკრძალული, მაგრამ გემრიელი ნაყოფის ძიძგას...



მესამე თვე რომ მიიწურა და მაინც არაფერი ისმოდა, მთლად გადაირია კაცი, — თანაც ათასი მანეთი ვალი ჰქონდა უკვე... დაბოღმილი დადიოდა კორი-დორში; ღირეჭტორს, მთავარ ინჟინერს, მთავარ ბუღალტერსა და სხვა „გამაძლარ-გამაძლარ ხალხს“ მოზვევრებით უბღღერდა, მაგრამ ისინი ამას აინუნშიაც არ ავღღებდნენ და თავაზიანად ესალმებოდნენ... ერთ მისალმებას კი ესალმებოდნენ დილაობით, პირველ დანახვაზე, მაგრამ მერე, თითქოს არც არსებულებო ამ ქვეყნად, მთელი დღე ისე გაივლიდა, ვეღარ ამჩნევდნენ... არადა იმდენი რამ გაიგო ამასობაში, იმისთანა, იმისთანა ამბები ესმოდა, ყურებს არ უჯერებდა!

თმინა, თმინა და ბოლოს გადაწყვიტა ღირეჭტორს მოლაპარაკებოდა.

დღის ბოლოს, კანტორიდან ხალხი რომ გაიკრიფა, მღელვარებისაგან აკანკალებულმა შეაღო კაბინეტის კარი... თან სციოდა კიდევ: იმ დღეს საქებაზე დაზიანდა და ვაჭობა გამოირთო, თანამშრომლები პალტოებით ისხდნენ ოთახებში, მას კი საშემოდგომო თეთრი ლაჭდა ეცვა... ახალი პალტოს ყიდვა ჯერაც ვერ მოეხერხებინა ამათ ხელში, ძველს კი პრინციპულად არ იცვამდა (დაე დაენახათ, ლაბადაში რომ იყინებოდა — იქნებ შერცხვენოდათ!)...

მირიანი ჭურჭყამოსხმული იჭდა კაბინეტში და თავშესაქცევად ფანქრით ქალაღზე რალაცას ხაზავდა — იქვე, მაგიღაზე, ნუტრიას ბეწვისყურებიანი ქუდი იღო...

ამის დანახვამ მთლად მოშალა ნერვებზე და შესვლისთანავე ზურგიით მძლავრად მიაწვა კარს... ინგლისურმა გასაღებმა რომ გაიტყაცუნა, ღირეჭტორმა თავი ასწია და შემოხედა.

— მოდი, ჯიბო, მოდი... — უთხრა მეგობრულად, როგორც იცოდა ხოლმე ხანდახან, როცა მოებრიანებოდა. — ნუ კეტავ კარებს, იყოს ღია!

— არა!.. — წამოიძახა ვალიზიანებით — არ უნდა იყოს ღია... — კვლავ

მიაწვა და როცა რბილმა დერმატინმა მისი კორპუსი აირეკლა, დაქანებული გაემართა მაგიდისაკენ.

— ბიჭოს... — ჩაიღიმა მირიანმა და გაკვირვებული მიაჩერდა. — რაშია საქმე?

ჯიბომ ხმაურით გამოსწია. სკამი, დაჯდა და კისერი წაიგრძელა.

— თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართ?..

მირიანი გრაფინს დასწვდა და ბიჭს წამით კიდევ შეეშინდა, — თავში არ მთხლიშოსო, მაგრამ იმან ღინჯად ჩამოასხა წყალი კიჯაში, წინ დაუდგა და ღმპილით უთხრა:

— აჰა, დალიე... დაიწყნარე ნერვები და მითხარი რა ეშმაკი შეგიჭდა!

— წყალი არ მინდა მე... — წაისისინა ბიჭმა.

— აბა რა გინდა?.. — გამოაჯაგრა მირიანმა, მაგიდას იდაყუები ჩამოაყრდნო, თითები ერთმანეთში გადახლართა და დამცინავად მიაჩერდა სადღაც ზემოთ, შუბლის არეში.

— თქვენ კარგად იცით რაც მინდა... მეოთხე თვეა ვმუშაობ და ჯერ კაპიტიც არ მინახავს თვალთ!

— რას ამბობ, მართლა?.. — მირიანს უზომო გაკვირვება გამოეხატა სახეზე.

— ხელფასი არ მიგიღია?.. ახლავე დავურქევ და ტყავს გაეძრობ ავკოფაშვილს, ამ დრომდე რატომ არ მითხარი?.. — ყურმილი აიღო და სელექტორის ლილასს თითი დააჭირა. — ალო, ალო!

— ვისმენ, ვისმენ!.. — მაშინვე გაისმა აპარატში ავკოფაშვილის წრებიან ხმა, თითქოს შიგ ყოფილიყოს ჩამძვრალიო.

— ხელფასი... ხელფასი... — წაიბურტყუნა ბიჭმა დაბნეულად. — ხელფასი არ ვიცი მე... ექვსი სული მყავს სარჩენი, — ჩემიანა შვიდი... რა ხელფასი ავკითავდება?!

— რაო, ვინა მყავსო, რა მყავსო?.. — დაიწრებიან ავკოფაშვილმა აპარატში.

— ჰო, კარგი... არაფერი, არაფერი!..

— მირიანმა ყურმილი დაღო და აბარატმაც მწვანედ მოციმციმე ცალი თვალი დახუტა, მაგრამ ბიჭს ისეთი გრძნობა დარჩა, თითქოს ავკოთაშვილი ისევ სელექტორში იქდა და მათ საუბარს აყურადებდა.

— უნდა იმყოფინო, ჩემო ჯიბილო... — მიუბრუნდა მირიანი. — ხომ გავიგონია: საბანი როგორც გავწვდება ფეხებიც ისე გაშალეო... რა ამბავი იყო ოთხი შვილი, შე კაცო!..

— დანაშაულია, არა?.. სირცხვილა თქვენი, რომ ასე მსჯელობთ! გარდა ამისა, წინასწარ რა ვიცოდი თუ ორივეჭერ...

— ერთხელ რომ დაინახე, ჩემო კარგო, მეორედ შეგეკავებინა უნდა თავი...

— აჰ... თქვენ მე დამცინით?! — მუჭარით ჰკითხა ბიჭმა და სკამიდან წამოიწია.

— მე კი არა, შენ დამცინი!.. — დაუყვირა მირიანმა და თვალები დაუბრიალა. — როდის იყო მე ხელფასებს ვაწესებდი, — განა არ იცი, რომ საამისოდ არსებობს გარკვეული შკალა?!.

— ხელფასებს არა, მაგრამ „სტაკებს“ ხომ თქვენ აღგენთ, ბატონო?.. — ნიშნისმოგებით უთხრა ბიჭმა.

— რაო?.. — მირიანი უკან გადაქანდა და სავარძელს ზურგით მიეყრდნო. — ეს რა, ახალი ტერმინია?..

— დიახ... თქვენი მოგონილი!

— რა ენაზე მელაპარაკები?.. — ჰკითხა მირიანმა და კაკოსფერი ქურქის კალთები შემოიკეცა.

— ესპერანტოზე... — ჯიბომ ხელის ნერვიული მოძრაობით შეისწორა მარჯვენა მხარეს ჩამოშლილი თხელი, სრილა თმა. — იქნებ გგონიათ არ ვიცი აქ რა „მაყუთი“ ტრიალებს და ვინ რამდენს იჯიბავს?..

მირიანს ღიმილა გადაჰკრა სახეზე: კიქას მისწვდა და წყალი მოსვა.

— წესიერად მითხარი, ჯიბო... რა გინდა, რა ვსურს... ამიხსენი, გამაგებინე...

გემრიელი ნაყოფით დახუნძლულ ტოტზე შესტუმების ქამი დადგაო, გაი-

ფიქრა ბიჭმა და სიამით აუტგერდა გული...

— ბევრი არაფერი, გედევანოვიჩ... — ნერწყვი გაუშრა და როცა მირიანმა

კიქა დაღვა, თვითონაც მოწრუბა წყალი. — მინდა ვიცოდე, რამდენი მერგება, ვისგან მერგება, როდის მივიღებ, რომელ რიცხვში და საერთოდ ყველაფერი... ოღონდაც წინა თვეებისაც უნდა ამინაზლაურით... ნუ დამიკარგავთ — ცოდვა ვარ... წვრილშვილის პატრონი...

— მაინც რამდენს ითხოვ?.. — მირიანმა ხელი მოიჭირა ცხვირზე და ლოყები გამოხერა, — სიცილს ძლივს იკავებდა.

— მე როგორც გავიგე, კადრების უფროსისათვის, ადრე, სამასი მანეთი გაძღვევით ყოველთვიურად, მაგრამ ის მარტოხელა კაცი ყოფილა, — ჩვენ კი შეიღნი ვართ, ამასაც აქვს მნიშვნელობა... მე ამ დღით დავიანგარიშე, გედევანოვიჩ, და ხუთას-ხუთასი მანეთი ყოველთვიურად... — ბიჭმა უცნაურად მიღრიცა კისერი მარჯვნივ.

მირიანმა ცხვირსაწოცი ამოიღო და პირზე აიფარა.

— სამასს არ დასჯერდები?... — გაციინა.

ბიჭი ისე იყო აღელვებული და აღზნებული, დირექტორის სიცილი არ შეუმჩნევია: ახლა წყდება „სტაკის“ ბედი და მაგრად უნდა დავუხედო, ფიქრობდა.

— არა, არავითარ შემთხვევაში... რატომ უნდა დავიანგრო? — ხელები გასავსავა, მაგრამ მერე შეეშინდა, მთლად არ გავაფუჭო საქმეო და დასძინა: — თუმცა უკიდურეს შემთხვევაში... — უცებ სიტყვა გაუწყდა, რადგან ამასობაში მირიანმა თავი ველარ შეიკავა და გულიანად გადაიხარხარა. — რა გაციუნებთ, გედევანოვიჩ?..

— მართლაც, მართლაც... — თქვა მან თავის კანტურით. — სასაცილოდ კი არა და სატირლად გვაქვს საქმე... აი, თურმე, რად იბღვირებოდი მოზვერვით... კარგია მაინც ბოლომდე გათქმე-

ვინე... ნეტა ერთი შენი თავისთვის შეგახედა, რა ჰკუთხებ დადგებოდი: ახალგაზრდა კაცი, პარტიის წევრი... კომუნისტი... ვინ გითხრა, შეილო, ეს სისულელე, ვინ გაგაბრძოვა?.. საკუთარი მოსაზრება არ უნდა გქონდეს?.. თანაც, თუ არ ვცდები, ფილოსოფიური გაქვს დამთავრებული... ესე იგი, კაცი ფილოსოფოსი ხარ, რაღა!.. რა ნამუსით მომჩერებისარ თვალეში ასე უტიფრად, რატომ მიწა არ გაგისკდება! როგორ გაბედე ამის თქმა, ა?..

— მარტო მე უნდა მრცხვენოდეს?..

— არა, — მიუფო მან მკაცრად და ირონიული ღიმი გაუქრა სახიდან. — მეც უნდა მრცხვენოდეს და მრცხვენია კიდევ შენს გამო!

— ჩემთვის ნუ იწუხებთ თავს... მე ხომ ჯერ არაფერი დამიშავებია, ვარდა იმისა, აკრძალულ ტოტზე შემოსკუბება განვიზრახე... უმჯობესია საკუთარი თავის გამო შეგრცხვეთ, — პარტიული სტაჟიც ვაცილებით მეტი გაქვით!..

— წესით, მაგ დემაგოგისათვის, გარეთ უნდა გაგაგდო — შენი საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად ვახედლო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და მერე სამსახურიდანაც მიგაბრძანო, მაგრამ როგორც ხელმძღვანელი, თავს ვალდებულად ვთვლი ჯერ მე თვითონვე გაგაფრთხილო, დაგარიგო და განგიმარტო, რომ...

— არ მჭირდება... — შეაწყვეტინა ბიჭმა, რომელსაც სიცივისა და მღვლვარებისაგან დროდადრო აძაგძაგებდა და სახეზე ჰორფლებიც კი გამუჭებოდა. — თუ გნებავთ, იქით განგიმარტავთ და ლექციასაც წავგიკითხავთ ფილოსოფიაში, კერძოდ — პრაგმატიზმზე, რომელიც ყოველგვარი ტერმინებისა და დეფინაციების გარეშეც მშვენივრად შეგითვისებიათ... მე ჩემი „მაყუთი“ მინდა და უკანასკნელად გვეკითხებით: მაძლევთ თუ არა?

— გირჩევ გონს მოხვიდე... — დაიწყო მირიანმა და კაკოსფერი ქურქი, რომელსაც თოვლივით თეთრი ბეწვის

სარჩული ჰქონდა გამოკრულზე, შეიღროდ შემოიხვია ტანზე. — დაფიქრდი, რას ამბობ, რას მოითხოვ... იცოდეთ თავს წააგებ და მერე გვიანლა იქნება თითზე კბენანი!.. არა, მაინც სად გგონია თავი?.. ეს სახელმწიფო დაწესებულებაა, ამხანაგო, ხოლო მე — მისი დირექტორი!.. და მე დირექტორი, მარტო ტექნოლოგიურ მხარეზე როდი ვაგებ პასუხს, არამედ კადრებზე და პირველ რიგში სწორედ კადრებზე, რადგან კადრები წყვეტენ ყველაფერს და წარმოებაც, საბოლოო ჯამში, ადამიანებს ემსახურება და არა პირიქით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ ხოლმე... დიხ, დიხ — მე პასუხს ვაგებ თვითელი თქვენგანის მორალური სახისა და იდეურ-პოლიტიკური დონის გამო, ხოლო რასაც შენ ამბობ, არც ერთს სიახლოვეს არ ეკარება და შეუთავსებელია სოციალისტური ყოფისათვის!.. თუ ამას არ შეისმენ, იძულებული ვახედლები ზემოქმედების სხვა ზომებს მივმართო... ფეხის ხმას აპუოლილხარ და აქ წინასწარ აკვიატებული ბოროტი განზრახვით შემომძვარლხარ — მე კი მეგონა, ეესტაფინმა უმწიკლო კომუნისტი გამომიგზავნა-მეთქი... კარგად რომ გაიცნობ კოლექტივს, შეგრცხვება შენი დღევანდელი საქციელისა; აქ უნდა აღიზარდო და ჩამოყალიბდე, როგორც მომავალი მოქალაქე და კადრი — შენ კი რას კადრულობ!.. ახლაც ზოდიში მომიხადე, თუ გინდა გააბატო, თუმცა მე იმ კატეგორიის კაცი როდი ვარ, ზოდიშის მოხდა რომ...

— ზოდიში არა... კიდევ რა გნებავთ?.. — ადგებულად წამოიძახა ბიჭმა — ნამუსი რომ გქონდეთ, ზოდიშს აქეთ უნდა მიხდიდეთ „სტაჟეა“ რომ შემიქამეთ... ან იქნებ გგონიათ მაგ ლაქლქით გამაბრუებთ და „წილს“ გადამივიყვებთ?.. შხამად შეგერგოთ, ღორებო!.. დღეიდან მე მკითხეთ თქვენი პატივისცემა... ყველაფერი ვიცი უკვე რა ხდება აქ, დედას გიტყვებთ — ციხეში ამოვალბობთ თქვენცა და თქვენს აკოფაშვილსაც, აპარატში რომ ჩამძვარალა

და გატრუნულა პატიოსანი კაცივით!.. — ბიჭს სახე აკრელებოდა და ტუჩის კუთხეებთან წერტილებივით პაწია, თეთრი ქაფი გასჩენოდა.

— რაო, რა ავკოფაშვილიო?.. — მირიანმა სელექტორის აპარატს შეხედა. — გამაგებინე ვისთან მაქვს საქმე... მე შენ ნორმალური კაცი მგონიხარ!.. თქვენი ერთი, რა იცი ამისთანა, — გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა. — იქნება მართლა ქვეყანას აქცევს აქ ვინმე?..

— თქვენ თვითონვე აქცევთ, ვინ დაგანებებთ თორემ!.. თქვენი საკუთრება გგონიათ ეს ქარხანა, მაგრამ მალე გეტრებათ ყოფა... გვეოთ რაც დღიღეთ და ფცქვენით ქვეყანას!..

— არა, მაინც როგორ „ვლიღეთ და ფცქვენით?..“ — მირიანმა სეგარეტს მრუტოდა. — ავეიხსენით უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება!

— აჰა ჰა... გულზე მოგხვდათ, არა?.. მე შგონია, ბარნაბაც ჩაძვრა შიგ... — სელექტორის აპარატს მიაპყრო ისევ მზერა. — იმასაც აინტერესებს რა ვიცი და რამდენად საშიში კაცი ვარ — სწორად ვერკვევი თუ არა თქვენს მაქინაციებში... შაქრიანობას ამცირებთ ხელოვნურად და ქარბ პროდუქციას ქვნით; მერე შესყიდვის ყალბ ქვითრებს სწერთ მოსახლეობაზე, — დამამზადებლებთან ხართ „შეკრული“ — ფულს კი იჯიბავთ!

— ვინ გითხრა, რომ ჩვენთან ამგვარი რამ ხდება?.. დამისახელე ვინ სჩადის ამას და გაძლევ პატიოსან სიტყვას, ხელავე პროკურატურას გადავცემ მის საქმეს!..

— ვინა და თქვენ, ყველანი... ერთი პირი გაქვთ შეკრული. ვაშაიძეც ჩაძვრა შიგ, — აინტერესებს, მარა, ეტყოფა ვერ ეტყევა და ფეხი მოუჩანს...

მირიანს ყურადღება არ მიუქცევია ბიჭის ბოლო სიტყვებისათვის, რადგან მიხვდა, რაღაცას ბოდავდა ან მისებურად აფრენდა...

— აი, ხომ ხედავ — კონკრეტულად, საქმე საქმეზე რომ მიდვა, სათქმელი არაფერი მაქვს... ამას იცი რა ქვია, ჩე-

მო კარგო?.. — ცილისწამება და უსაფუძვლო ლანძღვა-გინება, რაიც, სხვათა შორის, სისხლის სამართლის კანონთაგან ისჯება!

— მეტი რაღა კონკრეტულობა გნებავთ, ბატონო მირიან, ხალხი რასაც ლაპარაკობს, ყველაფერი სწორია...

— სამწუხაროდ, ზოგჯერ ორი-სამი კაცის ნაბუტბურევიც ხალხის ნალაპარაკევედ სალდება!

— მაძლევთ თუ არა ჩემს „წილს“?.. — მდღლილი ხმით ჰკითხა ბიჭმა.

— აღარ თქვა ეგ მეტად, სირცხვილია!

— ამდენი ვალი მაინც არ ამელო... — შეწუხებული მზერა მოავლო კაბინეტს; ბინდდებოდა უკვე...

— რამდენია, ბევრია?.. — თანაგრძნობით ჰკითხა.

— ათასი მანეთი...

— აუჰ... ძალიან ბევრია!.. და შენ გეგონა, ამდენ ფულს სამ თვეში იშოვნიდი?.. — ჩაიციინა მირიანმა.

— ორში... — წაილაპარაკა ბიჭმა. — კიდევ კარგი, ხეირიანი პალტო ვერსად ვიშოვნე, თორემ იმის ფულსაც ვალად დავიდებდი... — ლაბადის წაცრეცილ სახელოს დახედა.

— ნამეტანი კი მოგიწოდებია, რაც მართალია! — პრაქტიკულად, მე, აი, რით შემოძლია დაგეხმარო: მომავალ ხელფასზე, თქვენს რიცხვში, ერთ ოც მანეთს დაედებ... ამდენავეს ავკოფაშვილი შემოვიღებს თავზე და სხვებსაც შევასახელებ...

— ვინ გეხვეწებათ... თქვენი მათხოვარი კი არა ვარ! — წამოიქონრა ბიჭი.

— რა მოხდა მერე, მეგობრულად თუ გავუწევდით ერთმანეთს ხელს... იქნებ მეც დამპირდეს ოდესმე!

— თქვენ არაფერიც არ დაგპირდებათ... ნუ მასულელებთ!

— აბა, მაშინ, ადგილკომს შეუძლია ოფიციალურად... პროფკავშირის წევრი ხომ ხარ?.. თუ არა და გააწვევრიანებ... ოღონდაც ორი-სამი თუმნის მეტი არ შეუძლია წლიურად... დაახ-



ლოებით ოც-ოცდაათ წელიწადში კი-  
სერს მოვეუგრებთ მაგ შენს ვალს!

— დამცინით, არა?! — განრისხდა  
უცებ ბიჭი და მუშტი დაჰკრა მაგიდას.  
— არ მინდა, აღარ გეზიარებთ, ყველა-  
ფერი თქვენთვის დამილოცნია, ისიც და  
ისიც!.. მიდით, მისცხეთ: აშენეთ სახ-  
ლები და აგარაკები... ორ-ორი მანქანა  
დააყენეთ ეზოში, ხუთ-ხუთი ძალლი  
იყალიბეთ და თითო-თითო უნიჭო შვი-  
ლები ზარდეთ... იჭრაზე თითო გოჭი და  
თითო ფუთი ღვინო ჩაცეცხლეთ — იმ-  
დენი გიქნიათ, ფაშეებიც დაგსკდო-  
მიათ!.. ქალები, ვინც კი მოგეწონებათ,  
არ გაუშვათ... ალკოჰოლსა და ნიკოტინს  
დააჩვიეთ... მერე, რომ აღარ მოგივათ  
თვალში, უკანვე მიუღენით ნებადარ-  
თულ ტოტებზე ჩამომსხდარ მამებსა და  
ქმრებს... დაბოლოს, სქესობრივი დაუძ-  
ღურებისდა კვლობაზე გემოვნება რომ  
გაგიფაქიხდებათ, თექვსმეტ-ჩვიდმეტ  
წლის გოგოებს დარიეთ ხელი...

— კმარა... ვინ მოგცა უფლება!.. —  
იყვირა მირიანმა და ახლა მან დაჰკრა  
მუშტი მაგიდას, ისე მაგრად, რომ ჭი-  
ქიდან წყალი ამოიღვარა და მაგიდაზე  
გაშლილ ქალაღებს დაეშუფა. — პირ-  
ველად ვხედავ ასე ბოღმითა და გესლით  
სავსე კაცს... ღვიძლი გექნება გადაგვა-  
რებელი — თავიდანვე არ მომეწონა  
შენი ფერი... ჩემი ბრალია ამდენს რომ  
გალაპარაკებ!..

— აჰა ჰა!.. — დაისისინა ბიჭმა სიბ-  
ნელეში, სადაც ახლა მოთეთრო-მორუ-  
ხოდ სჩანდა მისი სილუეტი. — ლახვა-  
რივით გესობათ გულზე სიმართლე,  
არა?! ქორთვა გოგოების ხსენებამ ხომ  
არ იმოქმედა ნამეტნავად?.. დიახ,  
დიახ!.. — იყვირა მან და ისევ დაჰკრა  
მუშტი მაგიდას. — თქვენგან გარყვნი-  
ლი და გზას აცდენილი გოგონები, ოჯა-  
ხის ქალობა რომ უნდა გაეწიათ და მა-  
მულისათვის შვილები აღეზარდათ, სას-  
ტუმროებსა და რესტორნებში დაიწ-  
ყებენ მერე წაწალს და უცხო მამაკა-  
ცებს მიუწვებიან გვერდში!..

— შენ რაებს ბოდავ, ჰკვიდნან ხომ  
არ შეიშალე?.. — წყნარად ჰკითხა უკ-

ვე მირიანმა. — რა შეაშიათ ჩემი  
ჩვიდმეტი წლის გოგოები; ამისხსენი, გა-  
მაგებინე, თორემ ენას ძვალი არა  
აქვს...

— რა შეაშია და იმ შეაშია, ლაბო-  
რანტად რომ გიზის ეგერ, პირველ სა-  
ამქროში... რა ჰქვია?.. ლოლა, არა?..  
თუ ლოლიტა?.. თუ ხან ასე, ხან ისე,  
როგორც გვსიამოვნებათ?.. ჰე, ჰე, ჰე...  
პირის გემო კი გქონიათ, მაგრამ სირც-  
ხვილ-ნამუსი სად დაკარგეთ, შვილის-  
ტოლა გოგოს რომ ბურჯგინით?..

— თფუუ შენს კაცობას... — გადა-  
აფურთხა მირიანმა სიბნელეში და მერე  
მის წინ მოკენტულ სილუეტს მიაჩერ-  
და. — გადი ახლავე გარეთ!..

— თქვენ თვითონ მიბრძანდით თუ  
კარგია!.. — მიუგო ლანდმა.

— შევეცი რომ აგუწვი და ნერვები  
ავიშალე... — ამოიხენეშა მირიანმა. —  
ვერც კი ხვდები, რამხელა შეურაცხყო-  
ფას მაცენებ!

— გეხუმრეთ, ბატონო მირიან... —  
ჩაიციინა ბიჭმა. — რა უფლება მაქვს,  
თქვენივე კაბინეტიდან მიგობრძანოთ...  
ისე კი, ჩემი ნება რომ იყოს, სულ კინ-  
წისკვრით ვაგაგდებდით აქედან... პირ-  
დაპირ ფანჯრიდან ვისროდით,  
ისევე, როგორც თქვენ გამომძახებდით  
ახლა გარეთ ამ ყაიფითში, რაღაც-რა-  
ღაცები რომ არ გაკავებდეთ... თუმცა  
არა: მართლა რომ ვდომოდით, „გადის“  
მაგივრად „გაეთრის“ მეტყოდით...  
ვიცი, ვიცი, რატომაც... გაინტერესებთ  
კიდევ დამრჩა თუ არა რამე სათქმელი  
— განსაკუთრებით — ლოლიტას ამ-  
ბავი...

— აღარაფრის გაგონება არ მსურს...  
— მირიანმა ხელეები აიფარა ყურებზე.  
— ოღონდაც გაჩუმდი და იმ ათას მა-  
ნეთს მე გადავიხდი!..

— გმადლობთ... მაგრამ ახლა უკვე  
სხვა ჰქვიათ ვარი! მართლა ჰუმანუ-  
რი ხალხი მეგონეთ საქმოსნები... უნებ-  
ლიე სიკეთე კი გამოგივდი: თქვენმა  
უნამუსობამ ბევრ რამეს მიმახვედრა...  
სამაგიეროს იმით გადავიხდი, რომ  
მაგ ნიღაბს ჩამოგვლეჯთ და ბოლომდე

გავშიფრავთ, თუ ვყოფილვარ ბიჭი.. ხომ არ გგონიათ ამ საღამოს ახრი შემეცვალა და თქვენი პატიოსნება ვირწმუნე?..

— უღრმესი მადლობა... — ჩაიციხა მირიანმა. — ყელამდე ვარ შენი პატივისცემით... აი, მესამის ახალი თანამშრომელი!

— რა გველიყვებით... — ბიჭის თვალებმა წამით გაიღვავა სიბნელეში. — ხომ ვიცი, გეშინიათ უკვე ჩემი.. უკვეო?.. მაშინვე, როგორც კი დამინახეთ, როცა პირველად შემოვდგი ფეხი თქვენს აპარტამენტში... პატიოსან კაცად შემიცანით და იმთავითვე შემოძულეთ, განა ვერ ვგრძობდით..

— ნეტა ამდენს რა გალაქლაქებს, არ დაიძალე?.. მე კი თავი ამტკიცდა უკვე!.. კარგი ახლა, დაწყნარდი, რა იყო რამ გადაგრიდა! არ ვიცი, დღეის შემდეგ, ან სამსახურში როგორ უნდა მოხვიდე, ანდა თვალებში როგორ უნდა შემომხედო — ახლა ღამეა და რომ ვერ მხედავ ის გათამამებს, მაგრამ ხვალ?.. შექსაც იმიტომ არ ვანთებ — ყველაფერი ბარემ მინდა ბოლომდე გათქმევიო... მიდი, მიდი, არ მოგერიდოს — ნუ გეშინია, მოხსნით მაინც არ მოგხსნი, შენ კი როგორც გაგიტრას სინდის-წამუსმა, ისე მოიქციე: გინდ მოდი ხვალ სამსახურში, გინდ არა... ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; არც მძტლხარ და არც მიყვარხარ — უფრო მეცოდები, რადგან უმწეო ბარტყს გაეხარ, ბუდიდან გადმოვარდნილს... ერთი კი იცოდე: შენი ბაქი-ბუქისა არ მეშინია და მეცინება კიდევ გუნებში, რომ შემუქრები!

— რატომ, ბატონო მირიან... „მაყუთი“ გიმაგრებთ გულს, არა?!

— ხომ ხედავ, ყურადღებას აღარ ვაქცევ მაგ ლაპარაკს... ჩანს, ეს შენი ავადმყოფური მხარე ყოფილა... დიასაკ ზურგს მიმავრებს ჩემი ოფლითა და გარჯით მონავარი... იმუშავე ჩემსავით ოცდაათ წელიწადს მკლავებდაკაპიწებულნი და შენც გექნება, მაგრამ ახალგაზრდებს მოთმინება არ გყოფ-

ნით, — უსრომელად გინდათ ყველაფერი, სხვის ხარჯზე...

— გახუმდით, ბატონო მირიან, გაჩუმდით... — წამოიძახა ისევ ჯიბო აზიანიძემ. — სულერთია, მაინც არაფერი მჯერა, ტყუილა რას იტყვი ენას!.. პო, მართლა: ქალბატონ ლოლიტაზე ხომ არ... (ან იქნებ ჯერ არ გაგიქალბატონებიათ?.. არა, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, თქვენ კი სიმართლეს ვერ წამოგაცდევინებთ კაცი... უუბ, მირიან, მირიან... რამდენი რამ გავიგე ამ სამ თვეში... ჩემზე დიდი მტერი არ გეყოლებათ ამ ქვეყნად!..), ლოლაზე გეკითხებოდით რალაცას, არა?.. ან იქნებ „ლოლიტა“ გირჩევნიათ?.. უფრო რომელს ხართ შეჩვეული და შეგუებული?.. ფუჰ, რა მომდის, თავი ველარ მოვაბი სათქმელს... ვატყობ, ამ საღამოს სულ შევიცვალე და სხვა კაცად ვიქციე... ეს რომ ადრე მომსგლოდა, იმ მეთოდკაბინტიდან აღარ წამოვიდოდი, თუმცა არ ვნანობ, პირიქით: მოხარული ვარ, რომ ასე მოხდა: თურმე ჭურში ვიჭექე და რალაცას ვჩიბრკედლეაობდი — სწორედ აქა ვარ საჭირო თქვენი და თქვენისთანების მოსარჯულეზლად... არადა, რა ალტაცებით შემოგაციცინებდით მაშინ, მომართვას რომ კითხულობდით ფეხზე მდგარი და რა არაობად იქეცით უკვე ჩემს თვალში... კი, ვიცრუე, მოგატყუე, ნოდარ ჭინორიძე ჩემი ნათესავია-მეთქი, იმიტომ რომ კაცური კაცი მეგონე და ვიფიქრე გაგეხარდებოდა... თუმცა რატომ?... დიხ, ყველა პატიოსანი და წესიერი კაცი ჩემი ნათესავია!.. ხვალვე მივალ და გულახდილად ვუამბობ ყველაფერს... განა ვერ გხედავ, — ჩემი „გამოხდომა“ ამ საღამოს, იწერია იყო და სხვა არაფერი და, რაღა თქმა უნდა, არც ამას დაფუშალავ!.. ერთი სიტყვით, ქალბატონ ლოლიტაზე თუ ლოლაზე... რას ვერჩი იმ საწყალ გოგოს — თქვენა ხართ მოსაკლავი... მართალია, რასაც ამბობენ, ბატონო მირიან?... ის საბრალო გოგო მართლა დაღუპეთ?.. ვთქვათ და მეტი



მაქვს უფლება, ხანდახან არ დაგეთანხმეთ?..

— შენ, ჩემო ძმაო, კიდევ კრი და კიდევ კერავ... რა ვიცი აბა, ერთი ამბავი კი დამაწიე იმ გოგოს გამო; მილიონჯერ მაინც ახსენე ამ საღამოს მისი სახელი... მეც რა ნერვებს ვიშლი!

— მე ის გითხარით, რასაც ხალხი ლაპარაკობს... თუმცა, რაც მართალია იმასაც მოვკარი ყური — ნათესავიაო!

— უკანასკნელად გაფრთხილებ... — ცივი, ოფიციალური ხმით უთხრა უკვე მირიანმა. — თუ მუშაობა გინდა, იმუშავე, თუ არა და დაწერე განცხადება და წადი... მე აქ უამრავი საქმე მაქვს და ინტრიგებისთვის არა მცალია; მე მუყაითი კაცი მჭირდება, აღმსრულებელი და არა ფილოსოფოსი... მკერძმეტყველებითა და ლოგიკით შეგიძლია ქვეყანა კიდევ აამწონო და კიდევ დაანგრის — სულ ჭკად და ღორღად აქციო, ანდა ბროლის კომუნიზმით მოქარვო, მაგრამ სინამდვილეში ერთ კონსერვსაც ვერ მოხუფავ იმ შენი სილოგიზმებითა და სოფიზმებით!

— ბიჭოს... — ჩაიცინა ჯიბომ, თქვენ ჩემზე „უარესი“ ფილოსოფოსი ყოფილხართ, ბატონო მირიან... ისე კი, ვთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ მე უკვე არსად წამსვლელი აღარ ვარ!

— მაშინ კეთილი ინებე და მოიქეცი ისე, როგორც ქარხნის შინაგანაწესი და შრომის დისციპლინა მოითხოვს — კიდევ უფრო გაიმკაცრა ხმა მირიანმა. — უორებსა და მითქმა-მოთქმა თავი ანებე, ყურს ნუ უგდებ, თორემ უარესად გადავრევინ... იქით უნდა ჩასჩარო პირში ბურთი, ამგვარ ცილისმწამებლებს და პროვოკატორებს — ქარხნის ღირსება, სახელი და ავტორიტეტი უნდა დაიცვა; სამსახური მეორე ოჯახია და თანამშრომლებიც ოჯახის წევრებივით უნდა ვიყოთ ერთმანეთში... რა იყო მშინც, ამ საღამოს რა ამბები ასტეხე: „პროცენტო, წილი, სტაჟი, მაყუთო...“ — გადავირიე კაცი!

— ვითომ პირველად გესმით, ბატო-

ნო მირიან... მიტომაე მგზავრსაქმე... თქვენს გულწრფელობაში!

— განა მე იმას ვამბობ, პირველად მესმის-მეთქი?... — ლმობიერად უთხრა მირიანმა. — შენ მე მართლა ციდან ჩამოფრენილი ხომ არ გგონივარ?... მეც ამ ქვეყნად ვცხოვრობ და უფრო მეტი მინახავს, მსმენია და ვიცი, ვიღრე შენ... ესეც საწყენად არ მიიღო — მე ხომ ასაკით შენზე უფროსი ვარ და ისედაც, ორ ათეულ წელზე მეტია რაც, ამ წრეში ვტრიალებ; ბევრ კომინატორსა და ფულის მკეთებელ ხალხს პირადად ვიცნობ — ვხედებოთ, ვესალმებით, ხელს ვართმევთ... მეტსაც გეტყვი: ზოგიერთთან ვამხანაგობ კიდევ — ერთად პურსა ვჭამთ, ვჭეიფობთ, ვმღერით... ხანდახან ვცეკვავთ კიდევ!; ოჯახებში დავდივართ ერთმანეთთან, მისალოც დებუშებს ვუგზავნი... მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მეც ასეთი ვარ — ღმერთმა დამიფაროს!.. ჩვენი ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ სისტემაში... აი, შეხედე ეგერ, რამდენი გარდამავალი დროშები და სიგელები გვაქვს მიღებული... — ბიჭმა გაიხედა, მაგრამ ისე ჩამოხნულეზულიყო უკვე, დროშებსა და სიგელებს კი არა და მოსაუბრესაც ვეღარ ხედავდა; ჩანდა მხოლოდ როგორ ბზინავდა ღირეპტორის თითებში მოკიდებული სიგარეტი. — ასე რომ იყოს, ჩემო კარგო, — განაგრძო მირიანმა. — მილიცია, პროკურატურა და სახალხო კონტროლი იქნებოდა ყოველ წელიწადს ჩამომჯდარი... აბა როგორ?... შენ გგონია მარტო შენა ხარ ამ ქვეყნად წესრიგის დამცველი და დამამყარებელი?... პირობას ვაძლევ, რაც აქ ითქვა, ჩვენს შორის დარჩება და ამ კედლებს იქით არ გავა, შემთხვევით თუ არ მოპკრა ვინმემ ყური — იმოდენას ღრიანლებდი, მაგრამ კიდევ გაფრთხილებ: თუ მსგავსი რამ განმეორებულა, ხელს აღარ დაგაფარებ და ღია პარტიულ კრებაზე გავატანიებ შენს საკითხს... ყოველთვის ასე კი არ მოგიტომენ, როგორც ამ საღამოს მოგიტომინე — დედა



არ შეგიგინებია, თორემ სხვა აღარაფერი დაგიცლია, თუმცა ბევრი ისეთი რამ მაქადრე, დედის გინება სჯობდა.. ვიცი, მესმის შენი მდგომარეობა: მამა ახალგაზრდაცვლილი, აქეთ წვრილი ცოლ-შვილი, თან ვალეზიც ავიღია და ამიტომ გპატიობ ყველაფერს — გაღიზიანებული ხარ... მე, როგორც უფროსი მეგობარი და ცხოვრებაშიც უფრო მეტად გამოცდილი კაცი, გირჩევ ისევ მეცნიერებას დაუბრუნდე, მერე სანაწიხელი რომ არ გაგზიდეს, მაგრამ თუ დარჩენას გადაწყვეტ, გასოვდეს — დღესა ამას იქით, მე ხელმძღვანელი ვარ, დირექტორი, შენ კი კადრების ინსპექტორი... დიახ — არსებობს სუბორდინაციის გარკვეული წესი, რომლის დაცვაც ყველგანსათვის სავალდებულოა!

ლაპარაკი რომ მოამთავრა, ბიჭს პასუხი აღარ გაუცია; კარგა ხანს უხმოდ ისხდნენ, ერთმანეთის ლანდს მიჩერებულნი და ანაზღად ერთმანეთის მიმართ შიშით განიმსჯელებდნენ... მირიანმა ხელი მოაფათაურა მაგიდაზე, ქუდი მოძებნა.

— დიდი სასაცილო ბიჭი კი ყოფილხარ... — ეუბნებოდა მერე ქალაქისაკენ მიმავალი, მანქანაში მის გვერდით მჯდომ ჯიბო აბზიანიძეს. — გეტყობა, სულ ვერ ერკვევი ამ ცხოვრებაში... მე ჩემო კარგო, ფულის მკეთებელი კაცის ფსიქიკასა და ფსიქოლოგიასაც კარგად ვიცნობ: ვთქვათდა მართლა იმისთანა ქარხანაში მოხვედრილიყავ და იმნაირ ხარხში ჩავარდნილიყავი, — შენ გგონია, ტყუილ-უბრალოდ, მაგ ლამაზი თვალების გამო, ვინმე რამეს მოგცემდა?.. ფულს საქმეში იღებენ და საქმეში იძლევიან — ეს ყველაფერი ათას რისკსა და ნერვების წყვეტას მოითხოვს და ამიტომაც ის ნაპარავი იმან უკვე თავის კანონიერ საკუთრებად მიიჩნია — შენ რალაზე მოგცემს!..

ბოლოს მირიანმა ანეგდოტების მოყოლა დაიწყო; მთელ გზაზე, სულ ხუმრობდნენ და იცინოდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში, ჯიბო აბზიანიძე გრძნობდა

და რა შლიერი სიძულვილით სთვლიდა ეს კაცი...

\* \* \*

ამ ამბიდან ორიოდე კვირის შემდეგ ბიჭი დაიჭირეს... საქმე იმდენად ცხადი და ნათელი იყო, გამოძიებას დიდი დრო არ დასჭირებია და მალე სასამართლომ მას თხუთმეტი წლით ციხე მიუსაჯა...

ერთი სიტყვით, დაიღუპა საბრალო... თავი ხრმ სამუდამოდ დაისამარა და ოჯახი გააუბედურა — კოლექტივის სახელიც შებღალა...

აი, როგორ მოხდა ეს:

იმ ხანებში, ნესტორიჩმა, კაცის მოწყობა დაავალა მირიანს... კი არ დაავალა — მეგობრულად, შინაურულად სთხოვა...

მასალების საწყობში გამგის ადგილი ჰქონდა თავისუფალი და გადაწყვიტა იქ მიედო; განცხადებაზე რეზოლუცია დაუდო და კადრებში გაგზავნა გასაფორმებლად...

კაცი წელგამართული შევიდა კადრების განყოფილებაში და ბიჭს ქალაღი გაუწოდა.

— რა გვარი ბრძანდებით?.. — ჰკითხა ჯიბომ განცხადება რომ ჩამოართვა და სკამიც შესთავაზა.

— თავგარელიძე ვარ, ბატონო... — დაიკვანწა იგი.

— ბირველად მესმის ასეთი გვარი... — გაიღიმა ბიჭმა. — სახელი?

— ტიქიკო მქვია, ბატონო... წერია მანდანა ყოლისფერი.

— კი სწერია, მაგრამ ვერ ვკითხულობ... — გაიცინა ჯიბომ.

ტიქიკო თავგარელიძე ორმოციოდე წლის ტანდაბალი, ჩოფურა კაცი იყო; წამოწითლებული მოგრძო ცხვირი და მოკლედ შეკრებილი ქალარა თმა ჰქონდა. გაქეპილი ტყავის ჭუბა, კუბოკრული შარვალი და სქელლანჩიანხა წითელი ბათინკები ეცვა. მუდოსავით იჭდა მუხლებზე ხელებდაკრფილი.

— მომეცით თქვენი შრომის წიგნაკი!..

ჯიბომ სეიფი ვახსნა და ანკეტა გამოიღო შესავსებად.

— შრომის წიგნაკი არ მაქვს, ბატონო...

— როგორ... რა უყავით?

— რა ვიცი... დამეკარგა; გამიხსენით ახალი და რაც ეღირება, არ ვაწყენივით, ბატონო!..

— რაო?... — ბიჭმა ვაკვირვებით შეხედა.

— არაფერი, ბატონო... გაიბღღალა ჭიქიკო.

— ადრე სად მუშაობდით?

— ცეკაეშირის სისტემაში, პარტიკულულო.

— კარგი... დატოვეთ ვინცხადება, — პასუხს შეგატყობინებთ.

— კი მარა... ხო წერია მინდანა ვაფორმეთო, ბატონო? — გაუკვირდა თავგარელიძეს.

— გამოშიარეთ ერთ კვირაში. — ცივად უთხრა ბიჭმა.

კაცი ოთახიდან გავიდა, თან მხრებს იხეჩდა — ვითომდა, რას ვხედავ ამას, რას მოვესწარით.

მალე შიგა ტელეფონის ზარმა გაიწკრიალა; ბიჭმა ყურმილი აიღო.

— რა მოხდა, ჯიბო... რამე გაუგებრობას აქვს ადგილი? — ჰკითხა მირიანმა.

— შრომის წიგნაკს მალავს, გედევანოვიჩი... არ შეიძლება მაგის ასე ხელალებით დანიშვნა მატერიალურ-პასუხისმგებელ პირად — ეტყობა, ნასამართლევი... ენახოთ, — შეკითხვას გავგზავნი სპეცგანყოფილებაში.

— ჰოო... — გაისმა ყურმილში. — მე ეს სულ გამოშრჩა მხედველობიდან... ალო, ალო... მისმენ?... არა ვარ ნასამართლევიო, ამბობს, — აგერაა ახლა ჩემთან!

— დაველოდოთ მაინც პასუხს, გედევანოვიჩი!

— კარგი, ეგრე სჯობია... — გაიცინა მირიანმა. — აი, ყოჩაღ... ახლა კი ნამდვილი კადრები ხარ!..

ჯიბომ მაშინვე შეადგინა შეკითხვის ტექსტი და ხელმოსაწერად შეუღზავნა

მირიანს... იმ საღამოს <sup>ქართული</sup> <sup>საქართველოში</sup> ვენილი იყო და ერიდებოდა თავისუფლად შესვლა; მართლა ღუთისნიერი კაცი ყოფილა, რაც მე მაგან მომითმინაო — ფიქრობდა.

თავგარელიძე მეორე დღესაც მოვიდა ქარხანაში...

თავ-პირი ჩამოსტროდა, დაღვრემილი იყო... ბიჭის დანახვაზე ყურებამდე ღიმილად იქცა, მაგრამ იმან თავშეკავებულად რომ უპასუხა მისალმებაზე, მისვლა ვეღარ გაბედა და ბეჩაეი სახით იდგა მისაღებაში, ზურგით კედელს მიყრდნობილი... ამასობაში მირიანი მოხრუნდა სამქროდან, მხრებზე წამოსხმული თეთრი ხალათის ფრიალ-ფრიალით ჩაუარა და — შენ ისევ აქა ხარო — ჰკითხა. პასუხად იმან რაღაც წაიბღღაუნა — თან ქუდს ქმუქნიდა ხელში — და წელში ოთხად მოკეცილმა ღრეკით შესდია კაბინეტში.

მას აქეთ ყოველდღე დადიოდა და კადრების უფროსსაც თანდათან გაუშინაურდა...

შესვენებისას ჯიბო, ხანდახან ვხატკეცილის მეორე მხარეს გადადიოდა. „მალაქიას დუქნად“ წოდებულ სასადილოში, პურის საკმეღად... ქარხანაშიც ჰქონდათ სასადილო, მაგრამ ეტუის წვა აწუხებდა და ერიდებოდა შესვლას, „მალაქიას დუქანში“ კი უფრო გემრიელად ამზადებდნენ კერძებს. შუადღისას იქ უამრავი ხალხი იყრიდა თავს, ახლო მდებარე წარმოება-დაწესებულებებიდან...

იმ დღეს კერძი რომ აიღო და შეგულებული ადგილისაკენ გაემართა, მაშინაა შენიშნა მაგიდასთან მჯდარი ჭიქიკო თავგარელიძე — წინ „სტოლიჩნის“ გახსნილი ბოთლი ედგა, იქვე ცხელ ზინკლებსა და მაკიდოწყაყრილ ხაშლამასაც ასდიოდა ოზშივარი...

— მობრძანდით, პარტიკულულო... — დაიგრიბა თავგარელიძე.

— მე არ შეგიშლით ხელს... — მიუვო ჯიბომ და ხარჩოთი გადაპიბინებულ თევში ფრთხილად დადგა მაგიდაზე. — უცებ შევიპ და გავიქცევი!

თავგარელების გარდა, იქ შეე და ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი ორი კაციც იქნა და ბიჭს ეგონა ერთად არიანო, მაგრამ ხარხო რომ შეხებრიბეს და თითო ლიმონათიც კბილზე დაიწრითეს — ისინი ადგნენ და უხმოდ გაეცალდნენ მაგიდას.

— მარტო ხართ?... — გაუკვირდა ჭიბოს.

— დიახ, პატივეცმულო... — გაიბადრა თავგარელიძე.

— გეტყობათ უმადობას არ უნდა უჩიოდეთ... — ბიჭმა გაკვირვებით გადახედა ხორავით სავსე სუფრას.

— მეტი რა მაქვს საქმე... — ისევ გაიღრია თავგარელიძე. — ნუ გეშინია, სამსახურს ვერ ვიწყებ და ვერაფერი... დავტყუებ ჩემიანს ჩემს გემოზე და გემ და ესეამ, რაც გამიხარდება!

— რალად გინდათ მუშაობა, ასე თუ გაქვთ საქმე აწყობილი. — გაიციინა ბიჭმა.

— რაე არ მინდა, პატივეცმულო... — მიუგო თავგარელიძე. — რაცხა ორი კამიკი მაქვს ძველი შემორჩენილი, რო გამითავდება რა ვქნა მერე?..

— მანამდე დაიწყებთ მუშაობას, — უთხრა ბიჭმა. — ჩვენ წინააღმდეგი კა არა ვართ: აი, მალე პასუხი მოგა და...

— ნეტავ სულ არ გაგეგზავნათ ის ქალაქი, ბატონო...

— რატომ?..

— მე გეტყობდით აგერ, — რალა სხვის ეკითხებოდით... ვარ ნასამართლევი და მომკალი თუ გინდა!

— ოო... მაშინ არ გამოვა ეს საქმე, ჩემო ჭიჭიკო!

— რაე არ გამოვა, ბატონო... — გაეღიმა თავგარელიძეს. — ეგ კაი ხნის აბაეია — მას აქეთ ათასი ადგილი გამოვიცვალე და თქვენს მეტს არავის გაუგზავნია შეკითხეა... აქ თუ არ გამოვა სხეაგან დაეიწყებ სადმე, რა ვქნა აბა!

— მატერიალურ-მასუხისმგებელ თანამდებობაზე სხეაგანაც არ მგეიღებენ... ისე კი მუშაობას ვინ დაევილით, ბატონო! — უთხრა ჭიბომ.

— რაეა გეკადრებთ, პატივეცმულო... — გაიციინა თავგარელიძემ. — ფულს მიეცემ, ტყვილა კი არ მინდა!

— არ დაიჯეროთ, ჭიჭიკო... რასაც ხალხი ლაპარაკობს, ყველაფერი მართალი კი არაა!

— ხალხი რათ მინდა, ბატონო... — გაკვირვებით შეხედა თავგარელიძემ, — არ მიმიცია ჯერ, თუ რა?!. არც თქვენ დაგწყვეტდით ფულს და არ დაგტოვებდით უპატივეცმულოდ, მარა ნამეტანი გამოიღეთ თავი!

— აბა, აბა... მეტად აღარ გამავკნოთ, ჭიჭიკო! — იწყინა ბიჭმა.

— არაფერს არ ვამბობ, ქე ვარ აგერ ჩემთვის განერებული... — ნალვლიანად გაიციინა თავგარელიძემ. — ერთი ასი გრამი რომ დავგელიათ, კი გამიხარდებოდა, მარა რაეა ეკადრებთ ნასამართლევი კაცთან... თავიდანე გლახა თვალზე შემომხედეთ, პატივეცმულო... ნამეტანი არ მოგეწონეთ რაცხა... ადამიანადაც არ მაგდებთ, მე მგონი!

ბიჭს სინდისმა გაქქენჯნა ამის გაგონებაზე: მართლა არ მოსწონდა თავგარელიძე და რომელიღაც ცხოველს ადარებდა გუნებაში... ახლა კი შერცხეა და შეებრაღა თანაგრძობის მძებნელი.

— რა შემატყვევ ასეთი ჭიჭიკო... დამისხი, დავლევ ერთ ჭიჭას, შენი ხათრით.

თავგარელიძემ ზედმეტი თეფშეა აალაგა და კიდევ რალაც-რალაცები შემოუმატა მაგიდას... სასმელმა სასმელი მოითხოვა და კაი გვარიანი პურის ქამა გამოუფიდათ!

დრო შეუშინველად გაპარულიყო — მესამე „შუშას“ სცილიდნენ უკვე...

ჭიჭიკომ სადღეგრძელოები გააჩაღა... ახლა, სტიქიაში რომ იგრძნო თავი, არც ისე ბეჩაეი ჩანდა, მაგრამ ბიჭს, რატომღაც, მაინც ეცოდებოდა იგი...

აღღეგრძელა დედამამიშვილები — ჩვენი სისხლი და ხორცი, ვისი იმედიც ყველაზე მეტად უნდა გვექონდეს ცხოვრებაში; მეგობრები — ხანდახან დედამამიშვილებსაც რომ სჯობნიან; მშობლები — მაინც ყველაზე მეტად

რომ ვუყვარვართ და შესტივით ჩვენზე გული; მეზობლები — იქვე ყურისძირში რომ გვეყვანან და მშობლებზე, დედმამიშვილებსა და მეგობრებზე უწინ გაჩნდებიან ჩვენს გვერდით ქირსა თუ ლხინში; ჩვენ-ჩვენი მარჯვენა — პურს რომ გვაჭმევს და სხვის მოიმედედ არ გვამყოფებს; შვილები (უტყულებუტყულები) — ვისი ხათრითაც ყველაფერს ვიტანთ და ვკადრულობთ (აჰ, თქვენ ბევრი გყოლიათ, პატივცემულო — ღმერთმა გაგიზარდოს!); დაქმუქნილი, ტურფა საქართველო, რომელსაც თუ გაშლი, გასწორებ და გააბრტყელებ, კაი გვარიანად გაიწ-გამოიწევეს სიგრძესიგანეში; მერე ჯიბო დალოცა და ბოლოს ისევე თავის გასაჭირზე ჩამოავდო სიტყვა...

— ნეტა მართლა არ გამეგზავნა ის შევითხვა... — ინანა ჯიბომ. — რეზო-ლუცია ედო განცხადებას და ყველაფერი, მეც ავმტგარიყავი და გამეფორმებნი!

— ნახეთ, იქნებ არაა ჯერ წასულა, ბატონო!..

— რას ამბობ... — ამოისლოკინა ბიჭმა. — საცოტა პასუხს მივიღებ, კვირაზე მეტია უკვე!

— პირადად თქვენ ვაგზავნეთ, პატივცემულო?

— არა... ნადიამ — ჩვენმა მდივანმა.

— ნახეთ მაინც ხვალ, რა გენაღვლებათ, ყოველ შემთხვევაში... მე საქმის კაცი ვარ, ჯიბო ბატონო, იცოდეთ თქვენ ეს... ალბ-მიცემობა არ მეშლება... ტყუილებრალოდ კაცს არ შევაწუხებ — ანკი რა ვალდებული ბრძანდებით!.. მუქოდ გაკეთებული საქმე არცაა საიმედო და მყარი — მეორე დღესვე მოგდებენ შარს და გამოგაბუნძულდებენ... ჯერ ერთი, მაინც ვინ გავიკეთებს მუქთად, მარა... დაგიბარებენ, გაწვალდებენ, გათრევენ, გაჩარჩალებენ და ბოლოს ხეიშტები!.. მოგძულდება კაცს თაჭ და ჩაიქნევ ხელს... ამას არ ჯობია მისცე იმ კაცს რაც ერგება?.. გეცოდინება ქემინც ნადი რომ გიჭირავს ხელში და ისე ვაგლახადაც ვერა-

ერქვენი

ვინ შემოგბედავს!.. იმას იმეტივტანს ანაგებად — არც ფულს რომ არ იღებენ და არც საქმეს გიკეთებენ... ამას თქვენზე კი არ ვამბობ, მარა მაინც რატომ, რისთვის?.. ძმაკაცობა ძმაკაცობაა — საქმე — საქმე! შენ, ეგება, მერე იმაზე მეტი დახარჯო ჩემთან, მე რომ მოგეცი — ან მე შენთან, მარა ეს სხვა ამბავია, იმას არ ეხება; ანგარიში — ანგაშირია!.. — ჯიბეში ჩაიყო ხელი და ფული ამოიღო, — არ იფიქრო, მართო ეს გაქმარო — ათასი მანეთი რა ჩემი ფეხებია... ბოდიში გამოთქმისთვის, მარა მალე ნახავ ჩემი სახით რა მეგობარი შეიძინე... იყახის პატრონი ხარ — ცოლ-შვილი გყავს სარჩენი... ერთი სიტყვით, ჯერ ეს იყოს და მერე სხვა იქნება... — მაგიდის კიდევად გააყოლა ხელი და გაოგნებულ ბიჭს ბანკის წითელბოლებიანი ქაღალდით შეარული დასტა ჩაუდო ჯიბეში.

— არ ქნა ეს, ჭიჭიკო, თუ ძმა ხარ... — ბიჭმა ხელის კანკალით ამოიღო ფული ჯიბიდან და წინ დაუდო მაგიდაზე. — ისედაც დაგეხმარები, — შევალ ხვალ მირიანთან და ვთხოვ...

— არ გეწიყნოს, ჯიბო... — თქვა ნირწამხდარმა თავგარელიძემ და ქარხალივით გაწითლდა. — მართლა ფულზე ხომ არაა საქმე, მე ამის დედა ვატირე, ამისი... კაი ადამიანი ყოფილხარ, ჩემმა მშემ, — პირველად ვხედავ ამისთანა კაცს... თუ დაგვირდეს სხვა ღროს, სასესხებულად ან რამე, არ მოგერიდოს... ერთადაც რო არ ვიმუშაოთ, მაინც მინდა ამხანაგები ვიყოთ... გლახა ხალხში მიწვეს, ბიჭო, ტრიალი; სულ: ფული, ფული, ფული... მეტს ვერაფერს გაიგონებ კაცი; ერთმანეთს ვატყუებთ და თვალეში ბეწვს ვაცლით... შენისთანა კაი მეგობარი მინდა მყავდეს... — ბიჭმა დაინახა როგორ ჩამოუგორდა თავგარელიძეს მწითურ ლაწვებზე კურცხალი; მიხვდა რაც ხდებოდა ამ წუთას მის სულში და ამ დრომდე თუ ებრალებოდა, ახლა შეუყვარდა კიდევ...

მეორე დღეს, დილით, გასული ქაღალდების ქურნალი რომ გადაათვალიერა,

წერილი გატარებული არ აღმოჩნდა...  
ეძებებს, ეძებებს და დირექტორის მაგი-  
დაზე იპოვეს — ქალაქში გაბნეუ-  
ლიყო!..

— თო... ეს როგორ მოგივიდა, —  
შეწუხდა მირიანი. — შენ უნდა მიგე-  
დევნებინა თვალი, ჩემო კარგო! — ხე-  
ლი მოაწერა და მისცა.

— რაღას ვაწვალებთ იმ კაცს, გე-  
დევანოვინა... — უთხრა ჯიბომ. — ად-  
გეთ და მივიღოთ — არ ჩანს ცუდი ად-  
ამანი!

— მერედა ვინ დაგიშალა?.. — გაი-  
ცინა მირიანი. — აქი მოგწერე კიდევ  
გაფორმე-მეთქი; შენ თვითონვე მოი-  
სურვე სტეგანოფილემბაში შეკითხვის  
გაგზავნა!

ნაშუადღევს ბიჭმა თავგარელიძეს  
ახარა, — შენი საქმე გაკეთებულიაო.  
ანეტა შეუვსო, შრომის წიგნაკი გაუხ-  
სნა, ბრძანების ტექსტი თვითონვე გა-  
დაბეჭდა მანქანაზე და ხელმოსაწერად  
შეუგზავნა დირექტორს...

ხალამოხანს, სამუშაო საათები რომ  
დამთავრდა, თავგარელიძე შეუჩნდა და  
კლავ მალაქიას დუქანში ამოყვეს თა-  
ვი.

მაშინ იყო რომ წამოსცდა — წუხელ  
მეგალემ მომაკითხოო... თუ ეგრე იყო,  
აგლო ის ფულობო — გაჰკიცხა თავგა-  
რელიძემ... არა, როგორ გეკადრება,  
უბრალოდ სიტყვამ მოიტანა და იმიტომ  
ვთქვიო; ჭისესხებ სადმე და მერე ნელ-  
ნელა გადავიხდიო... რაღა სხვაგან ეძებ,  
მე აგერ არ ვარო? — დაივინა თავგარე-  
ლიძემ, — მეც ხომ თქვენი კოლექტივის  
წევრი ვარ უკვე, და ყაცმა კაცს ხელი  
არ უნდა გაუმართოსო? ჯერ ის მოძალე-  
ბული შევალე გაისტუმრე და როცა  
მოგიხერხდეს, მაშინ დამიბრუნეოო არა,  
არაო — უთხრა ბიჭმა არ გამოდის რა-  
ღაც ლამაზიო... თავგარელიძე კი თა-  
ვისას ადგა: თუ ძმობაა ძმობა იყოს —  
რა მოხდა მერეო, — ახლა არ მაქვს თან  
ჯიბეზე იმდენი, მარა ხვალ მოგიტან  
სამსახურშიო...

კადრების განყოფილებას პაწაწვი-  
ტელა ოთახი ეპირა მირიანის კაბინე-  
ტის გვერდით (განყოფილებაც სახე-  
ლად ერქვა, თორემ სინამდვილეშა  
მარტო ერთი კაცი მუშაობდა). ოთახში  
უბრალო საწერი მაგიდა, ცეცხლგამ-  
ლე სეფი და ქალაქებით გამოტენი-  
ლი ორი კარადა იდგა. ერთადერთ ფან-  
ჯარას, ინსტრუქციისამებრ, ვისოსები  
ჰქონდა დატანებული. ფანჯრიდან გა-  
შიშვლებული ალვის ხის კენწეროება  
ჩანდა, სადაც დროდადრო მტრედები  
ჩამოსხდებოდნენ ხოლმე; ისეთ წერილ  
ტოტებს შეარჩევდნენ, ზუსტ უყვირდა  
როგორ უძღებნენო...

მეორე დღეს თავგარელიძე მოგვი-  
ანებით გამოჩნდა ქარხანაში...

შემოსვლისას, რატომღაც კარი გა-  
მოიხურა, მაგრამ ჯიბოს ამისთვის ყუ-  
რადღება არ მიუქცევია; მზარული  
შემახილით შეხვდა და უგუნებობა  
რომ დაატყო, რა მოგივიდაო — ჰკით-  
ხა... რა და... — წაიბლუქუნა თავგარე-  
ლიძემ — ვერ ვიყავი წუხელ კარ-  
ვად, ღვინომ მაწინა, — დედო ჭია არ  
შემჩრჩნია მუცელშიო; აჰა, მოგიტანე  
რაც შეგებრდით — გულის ჯიბიდან  
ფული ამოიღო და მაგიდაზე დაუდო.  
რას მოგქონდა, ხომ ვითხარი არ მოგე-  
ტანა; წაიღე თუ ძმა ხარ, მოაშორე  
აქედან — არ დაინახოს ვინმემ და  
სხვანაირი კუდი არ გამოაბასო... რა  
მოსდა მერე, ნუ ეტყვი ნურავის, ნუ გა-  
აგებინებ, მე და შენ ვიცოდეთ მარტო  
და როცა შეძლო, მაშინ გადამიხადე,  
გინდ ერთბაშად, გინდ ნაწილ-ნაწი-  
ლო — მიუგო თავგარელიძემ და ფუ-  
ლის დასტა ახლოს მიუჩოხა...

ჯიბეში რომ იდებდა, ისე ამოიოხრა  
თითქოს გული ამოიღოო. ისევ ის ათმა-  
ნეთიანების დასტა იყო, ქრთამად რომ  
შემოაძლია ამ ორიოდე დღის წინ და  
უფრო მიტომაც არ მოსწონდა ახლა ეს  
ამბავი... მოეჩვენა, თითქოს დასტა გა-  
ეხსნათ და წითელზოლებიანი ქალაქი  
ხელახლა დაეწებათ...

ან იქნებ იმ წუთას ეს არ უფიქრია?..

არა, არა... მერე, მოგვიანებით, როცა ამ საბედისწერო წამებს იხსენებდა, მიწასთან გასწორებული და განადგურებული, ეჩვენებოდა, თითქოს რაღაც ამდაგვარი შენიშნა...

საკუთარი თავისთვის ვერ ემატიებინა ეს ამბავი...

მერე, ციხეში, გული გაუფუჭა დარღმა, ნაღველმა და სინანულმა იმის გამო, ადამის ძეთა მზაკვრობა რომ დაიფიჭა და ორი დღის „მეგობარს“ ასე ალაღად ენდო...

მიდი, კიკიკო, ნადიასთან, ამონაწერი გამოართვი, ბრძანება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა — თავგარელიძეს ეუბნებოდა: ის კი ლენინით იდგა კარისაკენ ნახევრადმიბრუნებული, თვალები იატაკისთვის გაეშტერებინა და სახეზედაც ფერი აღარ ედო... მერე კი ბორჩხალასავით გვერდულად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და იატაკისათვის მზერა არ მოუწყვეტია, ოთახიდან გაილალა... რა მოვივიდა, ცუდადა ხარ?.. ისევ გული ხომ არ გერვეო, — დააწია ბიჭმა და გაყოლასაც აპირებდა, მაგრამ...

ის, რაც შემდეგ მოხდა, კოშმარს ჰგავდა, ძილშიაც რომ ვერ უძლებს კაცი და შეძრწუნებული იღვიძებს... არა, ეს უარესი იყო: ამას აღარაფერი ეშველებოდა...

ოთახში უცხო ხალხი შემოლაგდა დაქინჩაჩებულნი...

ახალგაზრდები იყვნენ, მისი ტოლები.

— ნება მოგვეცი მოწმეთა თანდასწრებით გავჩხრიკოთ! — უთხრა ერთმა მთგანმა, ტყავის კურტაკი რომ ეცვა, და რაღაც ქალაღი დაანახა. ცნობა გვაქვს, უნებართვოდ იარაღს ატარებთ...

— მე უნდა გამჩხრიკოთ?.. კი ბატონო, სიამოვნებით... მაგრამ ნამდვილად გეშლებათ!.. — ბიჭს უხაროდა, რომ ვერაფერს უპოვნიდნენ და მერე გაწბილებულნი ბოდიშს მოუხდიდნენ.

ულვაშამ მაგიდაზე დააღაგა ყველაფერი: გასაღებების ასხმა, ტყავის საფულე, პარტიზლეთი, ცხვირსახოცი, პა-

წია ჯაყვა და ბევრშეხისათვის იმ დილით ნაყიდი ფერადი გასაბერი ბუშტები... ცხვირსახოცი დაქმუქნილი იყო და ბიჭს შერცხვა, ქუჭკუიანი არ ეგონოთ... მერე იმან შარვლის ჯიბეში ჩაუყრელი და როცა იქედან დასტად შეკრული ფული ამოიღო, შეწყვიტა კიდეც ჩხრეკა... ბიჭს უსიამოდ. გაჰკენწლა გულმა, რაღა ახლა დაემთხვა ეს ამბავი, ვილადაში რომ შევეშალო...

ულვაშამ ფული მაგიდაზე დადო და თავის ერთ-ერთ მსლებელს, ჩაფსკენილ, შევგვრემან ბიჭს უბრძანა, ოქმის საწერად მოეშადა...

შევგვრემანი, ჩაფსკენილი ბიჭი მაგიდასთან მოკალათდა და პორტფელი გახსნა.

— ვთხოვთ ვეპასუხოთ, — მიმართა ულვაშამ ჯიბოს. — რა თანხას შეადგენს ფული, რომელიც თქვენი შარვლის მარჯვენა ჯიბეში იქნა აღმოჩენილი და საიდან გაქვთ იგი?..

ბიჭი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხზე იდგა მაგიდასთან... ახლა კი გული შეუკრთა: ყველაზე მეტად სწორედ ამ შეკითხვისა ეშინოდა; სწუხდა — რაღა ახლა მოხდა ეს გაუგებრობაო... თქმა იმისა, ფული თავგარელიძისაგან ვისესხეო, ეუხერხულეზოდა, რადგან შეიძლებოდა გაეკითხათ და როცა ვაიგებდნენ თავგარელიძე ქარხანაში ახალ-მოსული იყო, იქნებ ეკვიც შეჰპარვოდით და სხენაირად ჩამოერთვით ეს ამბავი... კიკიკო თავგარელიძე კი დაადასტურებდა — ვისესხეო, მაგრამ მაინც... რად უნდა გაერთულებინა საქმე?.. სჯობდა თავგარელიძე სულაც არ ეხსენებია... და მან გადაწყვიტა დაესახელებინა თავისი ძმის ამხანაგი, ვისვანაც მართლაც ჰქონდა ფული ნასესხები... ასეც მოიქცა!

— ვთხოვთ პასუხი სიტყვისიტყვით შეიტანოთ ოქმში!.. — უთხრა ულვაშამ შევგვრემანს და მერე ისევ ჯიბოს მიუბრუნდა. — როდის ისესხეთ?

— გუშინ... — მიუგო ბიჭმა. გადაწყვიტა იმ საღამოსვე, როგორც კი აქედან გავიდოდა, მოენახულებინა გე-

ლა დათესანი, ვისი ვალიც ჰქონდა, და გაეფრთხილებია: თუ ვინიცობაა კინმემ რამე გკითხოს, შენც ასე თქვიო... შეგვერემანმა ბიჭმა თქმში შეიტანა პასუხი.

— კიდევ ერთხელ ვთხოვთ სწორად გვაპასუხოთ, — უთხრა უღვაშამ. — საიდან გაქვთ ეს ფული?..

ჭიბომ იგივე გაიმეორა.

— რატომ არ გრცხვენიათ?.. — თავი ველარ შეიკავა და ზიზლით უთხრა მოწმედ მოყვანილმა ქალბა ქალმა ჭიბოს. — ახალგაზრდა კაცი, კომუნისტი... ჭრთამს ართმევთ ხალხს სამსახურში მოწყობისათვის... თავს იღუპავთ, ოჯახს აუბედურებთ და ქვეყანასაც რყვინით... ფუი შენს კაცობას!

ბიჭი მოწყვეტით დაეცა სკამზე, მაგიდას დაემხო და ატირდა— მიხვდა, ეს ამბავი თავგარელიძის მოწყობილი იყო...

ამ წუთას, მაგიდაზე პირქვედამხობილს, სამსხვერპლო მოხვედრით რომ ზმუთდა, საკუთარი უბედურება ჯერ სასტუმროს შეგნებული არც ჰქონდა... არც დედა ახსოვდა ახლა, არც ცოლი, არც შეილები; ვერც იმ ტანჯვას წარმოიდგენდა, მომავალში რომ უნდა გაენჯიდა — ყოველივე ამას ჭიბო მოგვიანებით გაიხსრებდა და მალე საკუთარ ტყავზეც იწვნედა... ამჟამად კი კაცთა გაუტანლობასა და მზაკრობაზე მოსთქვამდა ადამიანებზე გულის გატეხვასა და რწმენის დაკარგვას იგლოვდა...

ვერც წინასწარმა გამოძიებამ, ვერც სასამართლო პროცესმა საქმეს ახალი ვერაფერი შესძინა, რადგან ყველაფერი აბზიანძის საწინააღმდეგოდ შეტყვევებდა... თავგარელიძისაგან ვისესხეთ — იძახდა მერე, მაგრამ თვითონვე ვრძნობდა რა სასაცილოდ და დაუჭერებლად ეღერდა ნათქვამი, მაშინ, როცა თავგარელიძე ჩოუტად ადგა თავისას: ათასი მანეთი ფული ჭიბო აბზიანძემ საბსახურში მოწყობისათვის ჭრთამად მომთხოვა და მილიციასაც მიტომ ვაცნობეთ!

შირიანს ოდნავდაც არაფერი შეჰხებია, რადგან ბრძანების პროექტი ხელ-

მოუწერლად იდო მაგიდაზე; არც კი ვიცი როდის შემოიტანესო. — ვიდრე სასამართლობაზე პასუხი არ მოვიდოდა, მანამ თავგარელიძეს საწყობს როგორ ჩაებაზრებდით. სპეცგანყოფილებაში გასაგზავნი წერალი კი ჭიბოს სეიფში იპოვეს და, რაღა თქმა უნდა, განზრახ გადამალულად ჩაუთვალეს. დევიდემ იმას სწუხდა, ამ სამარცხენო ინციდენტით კოლექტივის უმწიკვლო სახელს ჩირჭი არ მოეცხოსო და ხშირ-ხშირად იმეორებდა — რა ჩემი ბრალია, ეს ბიჭი რაიკომმა გამომიგზავნათ...

სასამართლოზე, საბოლოო სიტყვაში, აი რა თქვა ჭიბო აბზიანძემ:

— მე დამარცხებული სიმართლე ვარ, თქვენ — გაბრიყვებული სამართალი. ბოროტება კი გამარჯვებას ზეიმობს...

— თავგარელიძისაგან გაიშვირა ხელი, რომელსაც, სხვათა შორის, არც დაპირისპირებისას, არც წინასწარი გამოძიების მსვლელობაში და არც მერე, სასამართლო პროცესზე, მისთვის თვალეშში ერთხელაც არ შემოუხედავს. — ჩანს, ბოროტება სიკეთის გარეშე ვერ იარსებებს და მაშინვე ამოსკამს საკუთარ თავს, — განაგრძო ბიჭმა. — იგი ფითრით სიკეთის ტოტზე ბინადრობს და მისივე წვენი იკვებება... ნიღბაფარებული ლალად დააბიჯებს ჩვენს შორის, ზურგში მახვილს გაცემს და გამპირით ჩვენს სისხლს ეწაფება... თავად ვერაგსა და დაუნდობელს როდი ეშინია, — იცის, სიკეთე ბავშვით გულუბრყვილოდ და შემბრალება...

სიკეთე მხოლოდ მაშინაა უძლეველი, როცა ხელში მახვილს აიღებს და ბოროტების პირისპირ დგება, თუმც ხალხით როდი მიუწყევს გული ბრძოლის ველზე, რადგან მისი მოწოდება გუთნით ხნულის გავლებაა და არა ხმლით თავის წავადებიანება... იგი უმოთარესად იმ გაწერთილი რაზმის მოიმედება, რომელსაც, თავისი რიგებდან, ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოპყობს; ესეც საკმაო იქნებოდა ქვეყნად სიავის დასაბრუნებლად, მაგ-

რამ... სიკეთე თავისივე ფესვით ნაზრდობს და ამიტომაც მისი უღუფა ისევე მოკრძალებულია, როგორც მთლიანად კაცობრიობის მიერ მოწვეული არსებობის პური, ხოლო ბოროტების სუფრა ნაალაფარითაა საფსე... იგი ნემსის ყუნწში ძვრება საყეთის რაზმელები რომ გადაიბიროს და ხანდახან მიხანს აღწევს, რადგან თითო-ორთა ჯარისკაცი, ლაშქრობაში სავალი რამ შემოაყლდება, სულსწრაფობას იჩენს, ბოროტების მიერ გამოწვეულ ჯამში ხელს პუფს და მასთან ერთად პურსა სჭამს... სიკეთის უნიფორმები აცვიათ, ჩუმ-ჩუმად კი ბოროტებასთან მკლავგაყრდენი დასეირნობენ...

—საქმეზე ილაპარაკეთ, ბრალდებულ აბზიანიძე, — შეაჩერა იგი თავმჯდომარემ, რომელსაც მოეჩვენა, თითქოს ბიჭის სიტყვებს პროვოკაციული ელფერი დაჰკრავდა. — ქვეყნის საზრუნავს და საფიქრალს თქვენ აღარავინ გეკითხებათ, — ანკი რა ფასი აქვს მაგ სიტყვებს, მას შემდეგ, რაც ჩაიდინეთ!?

განაჩენი რომ გამოუცხადეს, ბიჭს ნერვებმა უმტყუნეს... არ ეგონა მართლა თუ ვასწირავენ, — უზრო, გაკია ნურებულ თამაშად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი და უკერდა კიდევ ამდენი ხალხი რომ ცდებოდა ამ სულელურ საქმეზე... იმედი ჰქონდა, წამოდგება ბოლოს თავგარელობე და იტყვის სიმართლესო, მაგრამ ამოდ...

— თუ ღმერთმა არ გამწირა და ცოცხალი გამოველ, — მიძახა სასოწარკვეთილმა, ვიდრე გაიყვანდნენ. — იცოდე გადავიხდი სამაგიეროს, — მე თვითონვე გაგისწორდები... გეშინოდეს... ციხიდანაც გეშინოდეს ჩემი, თავგარელობე!..

• • •

გამთენიისას წასთვლიმა და მაშინაც ჯიბო ამზიანიძე წამოესიზმრა, — სახელოებწაცრეცილი თეთრია „პლაში“ ეცვა... რა კარგია რომ გნახე — სწო-

რედ შენთან მოვდიოდით... დიდხანს ედავებოდა და არწუნებდა, მე ამ საქმეში უბრალო ვარო, თან ზიზლით შეპყურებდა ჰორფლიან სახეში და ბოლოს, რომ ველარაფერი შეასმინა, გამწარებული ყერში სწვდა... უნდოდა იქვე მიეხრჩო და ამით მოემთავრებინა ბარემ ყველაფერი, მაგრამ ბიჭს კისერი რკინისა ჰქონდა და ვერა დაავლო რა... მკლავები დააწყდა, თითებიდან სისხლმა გამოჟონა, — იმან კი მუცელზე რევოლვერის ცივი ლულა მიადო... თვალი გაახილა და დაფტებულა წამოვარდა ზეზე, — ხელში რევოლვერი ჩაებდაუჭა... გათენებულყო უყვე!

კარგი იყო თავგარელობეს ეცოცხლა, ვისაც მართლა მიუძლოდა ბრალი, — სწორედ იმ ხანად დაიღუპა, ჯიბო რომ ციხიდან გამოქცეულა... ცოტა მაინც დაეცადა იმ მამაცხონებულსო, გაიფიქრა, ჩემზე ტყდება ახლა ჯობიო...

ტირად აჰკიდა მაინც ნესტორიჩმა თავგარელობე... მშვენიერი ადგილი უშოვა მერე — დამამზადებლად მოაწყო რაიონში, მაგრამ ვერ ივარჯა, — სირცხვილი ჭამა და მალე გამოაპალურეს იქიდან, მიუხედავად დიდა ხათრისა... ბოლოს ნესტორიჩმაც აიღო მასზე ხელი, აბა თან ხომ არ გადაყვებოდნენ!

ქარხანაში მოაკითხავდა ხოლმე ხშირად — მუშაობას გულს ველარ ვუდებო, ბლუქუნებდა... აღარაფრის თავი აღარ მაქვსო... მილიცია დამდევს და საქურად, „დამუშავებაში ვყვებარო“ — აჰკეიბებოდა. შირიანი ფულს აძლევდა და ისიც მაშინვე დასალევედ გარბოდა, ოღონდაც მალაქის დუქანს ხათოფეზე აღარ ეკარებოდა... სახინკლეებსა და სამწვადეებში ათენ-ალამებდა... ბოლოს ისე წაუვიდა საქმე, სხვებმე აღევი-ნებდნენ სამადლოდ. ამბობდნენ ორ ქიქაზე ითვრება, რალაც გაურკვეველს ლულულებს და ცრემლებად იღვრებაო... ავეისტოს თვეში მოინახულა უკანასკნელად — მთლად წასთლიყო ხე-



ლიდან, კაცად აღარ ვარგოდა... ფუ-  
ლიც აღარ მიუცია — ეჩხუბა და ხედა-  
ვივით ეზოდან გააგდო, მეტად აღარ და-  
ვინახო აქ ფეხმოდგმული... ორიოდუ  
დღის შემდეგ ქუჩაში ენახათ მკედარი  
დღის ნათელმა მხნეობა შეჰმატა,  
თუმც წვიმიანი, ღიზი ამინდი იყო;  
ეზო გაყვითლებულ სველ ფოთლებს  
გადაკურებინა, — ხის ძირებსა და  
გალავნის ჩასწვრივ კი მუხლებამდე  
ეყარა ნეშო.

მისხალ-მისხალ ჰქონდა გონებაში  
ყოველივე გამოწონილ-გამოწონილი, ჯი-  
ბო ვერაფერს წამოედევებოდა... ძნელი  
კი იყო თავხეხილადებული კაცის და-  
შოშინება — იმას შენი ტყუილ-მარ-  
თალი ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ მირიან-  
ის ლოგვის ძალას თავისი უნდა გაე-  
ტანა!

შეხვედრა არ მოხერხდებოდა და დი-  
დად არც იყო მოსურნე, რადგან ჯერ  
მაინც ძნელი იყო ნდობა, თუმცა ბიჭს  
ეს არ უნდა ეგონო, — პირიქით: ისეთი  
შთაბეჭდილება უნდა შეჰქმნოდა, თით-  
ქოს მასთან პირისპირ შეყრა ეწადა...  
ამიტომაც მიიღო ესოდენ თამამი ვადა-  
წყვეტილება — აბზიანიძეებს სახლში  
სწევოდა!.. ჯიბო შინ მაინც არ იქნე-  
ბოდა (თუმცა გამორიცხული როდი  
იყო!), გავებით კი უსათუოდ გაიგებდა  
ოჯახში მირიანის მისწლას და ჯეროვ-  
ნად შეაფასებდა ამ ექსტს — ეს ხომ  
მართალი კაცის სითამამე გახლდათ!

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომე-  
ლიც მის წისკვილზე ასხამდა წყალს,  
კერძოდ: თავგარელობის სიკვდილი...

წუხელ, ბიჭის გაქცევა რომ ვაი-  
გო, ამ ფაქტმა (თავგარელობის სიკე-  
დილმა) ჯერ შეაღონა, მაგრამ კარგად  
როცა ჩაუყვირა საქმის ვითარებას,  
მიხვდა — ასე სჭობდა!

ვინც ამ ამბის ავან-ჩაავანი იყოდა,  
მისთვის დღესაკვით ნათელი იყო თავ-  
გარელობის დაღუპვის მიზეზი: იგი სინ-  
დისის ქენჯნამ იმსხვერპლა: ეს უკვე თა-  
ვისთავად ამართლებდა მირიანს და საქ-  
მეს უიოლებდა... „კაი დროს ჩამაღლდა  
ის ოჯახაშენებელიო!“ — გაიდგრა.

ათი საათი სრულდებოდა...  
კრწანისის ქუჩის შესახვევში ნაწილობა  
ალაყაფის კარებს მიადგა...

ადრეც იყო ერთ-ორჯერ ნამყოფი,  
ჯიბო რომ დააპატიმრეს იმ ხანებში:  
დამწუხრებულ ოჯახს ამბავი უკითხა,  
ნუგეში სცა და შემოუძახა, თან დახმა-  
რებაც აღუთქვა — მთელ ქარხანას ფე-  
ხზე დაეყენებ, იქნებ როგორმე გამო-  
ვისნათ საწყალი ბიჭიო... ბავშვებს მი-  
უაღერსა და შოკოლადები ჩამოურთავა,  
ძალზე აღელვებული და შეწუხებული  
იყო: ნეტამაინც არ ვამეფრთხილები-  
ნის — ამის თაობაზე ერთხელ კიდევ  
წავლაპარაკდითო... „გვიყვარდა უვე-  
ლას, პატივს ვცემდით, ალა-მართალი,  
კეთილი ბიჭი იყო!“ — მე მერა სესხად  
გამოართმევდა, მაგრამ რანაირად გინდა  
ძიებას დაუმტყიცო, ის გველაძუბ თავ-  
გარელობე პირზე ადგებო... ვნახოთ,  
ვცდი კიდევ — იქნებ სიმართლე ვათ-  
ქმევიინო... მართლა წამგლეჯი რომ  
ყოფილიყო, ეს არც მოუვიდოდათ —  
ეგ კი არა, ხალხს მილიონები უწყევია და  
იმათ ვერ იჭერენო... მაგრამ იმისთანამ  
იცის როგორ და რანაირად აიღოსო...  
ექნა ჰკუთა და ჩემთვის დაეჯერებია  
კარგი იყო — მაშინვე ეურჩიე ძველ  
სამსახურში მიბრუნებულიყოო... ქალე-  
ბი იმედით შესცივინებდნენ თელგბ-  
ში — იქნებ მართლა გვისაშველოს რა-  
მე, გავლენიანი კაციო...

ახლა კანკალით შეაღო ალაყაფის კა-  
რი... რისკზე მიდიოდა, მაგრამ გუმანით  
გრძნობდა, გამართლებული რისკი რომ  
იყო!

მოსაფალტებულ პატარა ეზოში, შე-  
სასვლელთან, ბებერი თუთა იდგა. მი-  
რიანი ხეს მოეფარა და იჭაურობა დაზ-  
ვერა... ხელმარტხნივ, პირველი სართუ-  
ლის აივანზე, სადაც აბზიანიძეები  
ცხოვრობდნენ, თოკზე ბავშვის საცე-  
ლები იყო გაფენილი, შინ არავინ ჩან-  
და და ცოტათი გული მოეცა; წვიმდა...  
თუთასთან, ონკანში წყალი მოქშუო-  
და... უცებ მოეჩვენა, თითქოს ხელ-  
მარტხნივ, მოპირდაპირე სახლის ფან-  
ჯარაში ფარდა შეირხა...

ვიღაც უთვალთვალეზდა..

გაქცევა დააპირა, მაგრამ ამასობაში კარი გაიღო და მხრებში მოხრილი ჭრელხალათიანი, თმაგათეთრებული ქალი გამოვიდა აივნზე.

— ხომ არ იცით აზნაინძეები სად არიან, დედი?.. — მირიანი ხეს გამოშორდა.

— ვინ ბრძანდები თქვენ, ბატონო?.. — დედაბერმა ეკვიტ შეათვალღერა და პასუხის მოლოდინში ტუჩები ააცმატუნა.

— ჯიბოს სამსახურიდანა ვარ... მისი მეგობარი!

— ინეზა სამუშაოზეა, ბატონო.

— ჯიბოს დედა?..

— საწყალი ტასო ხომ ვარდაცვალა ამ ზაფხულს...

ტყვიასავით მოხვდა გულზე ნათქვამი... აი, თურმე რას გაუბოროტებია ასე ძლიერ... საწყენია, დიდად საწყენი — ცუდი ამბავი მომხდარა: გაუქმდებოდა ახლა ბიჭთან საერთო ენის გამოწახვად!

— ჯიბოსი რა ისმის?..

— შე რა ვიცი, შეილო... — დაფრთხა დედაბერი.

— სხვანაირად არ იფიქროთ, დედი... მე მართლა მისი სამსახურიდან ვარ...

— დირექტორი ხომ არ ბრძანდებით... — გამოცოცხლა ქალი.

— დიას... თქვენ რა იცით? — გული შეუქანდა, რა ხდება ნეტავი, რა ამბები ტრიალებს ჩემს თავსო; რა იცის ამან ვინა ვარ და რა ვარო.

— ვიცი, ვიცი... გახსენებენ!

— რაო, ვინ ნახსენებს: რა უნდათ, რას ამბობენ?.. — მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა.

— მადლიანი კაციო... კარგი დახასიათება მიგიციათ ჯიბოსთვის, სასამართლოზეც კარგად ვილაპარაკიათ... ერთხელ აქაც ბრძანებულხართ, მგონი...

— დიას, დიას... — მირიანმა შევებით ამოისუნთქა.

— შემოდით, ნუ სველდებით! — აივნის პაწია კარი გაუღო.

— არა, წავალ... — მირიანმა დაბადის ქვეშ შავი კოსტუმი ეცვა და პალსტუხი ეკეთა: თავშიშველი იყო, თმასა და სახეს წვიმა უწინწყალავდა.

რა კარგი ოჯახი ჰქონდათ და რა უბედურად წაუვიდათ საქმეო, ეუბნებოდა აივნის მოაჯირის გადმოყრდნობილი დედაბერი. საწყალი ტასო ჯიბოს ამბავს შეეწირაო; არ უნდა ექნა, არა — არ ჰქონდა იმის გაქირვებო... სიმართლე გითხრა, მე არცა მჯერა ეს ამბავიო; მართო ინეზა ზრდის ახლა ოთხივეს და ქმარიც რომ თავზე დგომოდა, რაღა ექნებოდათ საფიქრალიო... საბავშვო ბაღში მუშაობსო... ბიჭები უკვე სკოლაში დადიანო... ყოჩაღი ქალი გამოდგა, ყოჩაღი. — მაგისტანა ნეტა, ყველას შეგვახვედროსო; შეწყალენის არზა ჰქონდა შეტანილი მთავრობაში და მგონი კეთდებოდა კიდევ საქმე, ჯიბოს რომ ეს სისულელე არ ჩაედინათ...

ყველაზე საგულისხმო, რაც ქალის ნალაპარაკევიდან შეიტყო, ის გახლდათ, თითქოს მიზეზი ბიჭის გაქცევისა, დედის ვარდაცვალემა ყოფილიყო... ეტყობა ამ ხმას განგებ აერცულებნო, გაიფიქრა მირიანმა... შეაღამისას შეპარულა დასატირებლად და მეორე დღეს სასაფლოზე გაყოლია, სულ სხვა კაცად გადაცმული და ნიღაბაფარებულაო...

— თუ არ შეწუხდებით, დედი — მირიანმა ქალაღში გახვეული ფული ამოიღო ჯიბიდან და გაუწოდა. — ინეზას ვადაცვით... უთხარით ჯიბოს ამბავებს შეუგროვებით და მირიანმა დატოვა-თქო... სიაც თან ახლავს და იქ სწერია ვინ რამდენი დადო!

ფული სახლიდან წამოიღო და სიაც ზეპირად შეადგინა ამ დილით — მერე იქნებ ნაწილობრივ შაინც ავინახლავრო... არადა ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებლად მიიჩნდა.

— რამდენია?.. — ჰკითხა ქალმა და ხმაზე დაეტყო, ეამა ეს ამბავი.

— ხუთი ათასია... — მიუგო მან. — ჩამიც არის მანდ გამოყვანილი, მაგ-

რამ მაინც დაითვალეთ... ფულს დათვ-  
ლა უყვარს, დედი!

— ოო, არა შეილო... — მიუგო ქალ-  
მა და გაწედილი ხელი უკანვე წაიღო.  
— ამდენ ფულს ვერ ვინდობ... თქვენ  
მიუტანეთ, აქვეა ინგზას საბავშვო ბა-  
ლი...

— კარგი, კარგი... ამ საღამოს შემო-  
ვივლი!

— პო, შეილო, ეგრე აჯობებს. გადაი-  
რევა საწყალი გოგო სიხარულით!

— ამ დრომდეც უნდა მოგვეფიქრე-  
ბინა, მაგრამ ვერ მოვებით თავი... ჯიბო  
ნამეტანი გვიყვარდა და მიგვანდა ყვე-  
ლას... გადავწყვიტეთ ყოველ წელიწადს  
ამდენ-ამდენი...

— ღმერთი გადაგზღით სამაგიერ-  
ოსს!

— კარგი იქნება ჯიბო ჩემს ნახვას  
რომ მოახერხებდეს... — თითქოს სხვა-  
თა შორის ჩაილაპარაკა მირიანმა. —  
ვერჩევდი როგორ მოქცეულიყო, გზა-  
ზე დავაყენებდი, იქნებ როგორმე გა-  
მოგვეხსნა... ცოდოა, წერილშვილის  
პატრონმა და, რაც მთავარია, კაცი მარ-  
თალია!.. თუ აქვს ნეტავი ოჯახთან რამე  
კავშირი?... თუშეა თქვენ არ გეცოდინე-  
ბათ!..

— შემობრძანდით, ბატონო, რატომ  
სველდებით?..

— არაუშავს, არაუშავს... — მირიან-  
მა ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე.

— თქვენ რავე დავგიძალავთ რამეს...  
— დედაბერმა იღუმალი მშერა მოაე-  
ლო ეზოს. — როგორ და რანაირად  
ვერ გეტყვით, არ ვიცი, მარა ხანდა-  
ხან კი ხედებიან, თურმე, ერთმანეთს...  
არ იციოთავთ რატომ გამოქცეულა?

— ვიცი, ვიცი... დედის დასატირებ-  
ლად! — მიუგო და კვლავ დახვერა  
ეზო.

— არა, არა... — გულამა. — ცოლ-  
შვილი მომენატრაო, უოქვამს... საწყა-  
ლი ტასოს სიკვდილი უბრალოდ დამო-  
ხვევია ამ ამბავს... კიდევ რა უოქვამს  
იციოთ? — მართალი ვარ და იმიტომო;  
სასამართლოს მიერ დაშვებულ შეც-  
დომას ვასწორებო... მარა მიზეზი მაინც

სხვია, ინგზას წამოცდა ერთხელ...  
თან... — ხმას დაუწია და სამაგიეროდ  
აივანზე გადმოიხარა დედაბერი. — ვინც  
ამ დღეში ჩამავლო, იმასთან მაქვს ჩემი  
ანგარიშებიო... მარა ცოცხალი აღარ  
დახვედრია ის ბედშავი — კი გაიგებ-  
დით თქვენც, მანქანას გაუტანია ამ ზა-  
ფხულს; ხედავთ — ღმერთი სამართლი-  
ანია!..

— კიდევ რაო, რა ულაპარაკიო?.. —  
გულისთანაცქალით ჰკითხა და იგრძნო  
წვიმიტ გალუმბულ სახეზე როგორ გა-  
მოყოფა ოფლმა.

— ნამეტანი არ გაპხარებია იმისი...  
რა ქვიოდა იმ სულწაწყვედილს?

— თავგახელიდეთ... ქიქიკო თავგარე-  
ლიძე!

— თქვენა?

— რა შე?... — შეკრთა მირიანი.

— თქვენ რა გქვიათ, ბატონო?..

— შეე?... მე — მირიანი!

— ჰოდა იმას გეუბნებოდით, მირიან  
ბატონო — არ გაპხარებია იმ საცო-  
დავის დალუპვა!

— რა თქმა უნდა... გასაგებია... —  
სველი ტუჩები გაილოკა ენაგამშრალ-  
მა. — ერთიენა თვითონვე, თავისი ხე-  
ლით ჩაქაღლებინა!

— რავე გეკადრებათ!.. — იწყინა და  
თავისებურად გაჯავრდა დედაბერი. —  
არ ვიცნობდე მაინც ჯიბოს, ჩემს ხელ-  
ში გაზრდილია; ის კი არა და იმაზე იკ-  
ლავდა, თურმე, თავს — გამოქცევისას  
ყარაულს გაეარტყიო, მარა კარგად ყო-  
ფილა ახლა ის კაცი, ინგზამ მითხრა...

— აბა რისთვის მორბოდა?... — ჰკით-  
ხა მირიანმა.

— იქნებ სიმართლე ვათქმევინო  
თავგარელიძესო, უფიქრია; მტომაც  
დარდობს ასე ძლიერ... ერთადერთი კა-  
ცი იყო, ვინც ჩემი უდანაშაულობა  
იცოდაო... ახლა ჩაპხარება გადუწყვე-  
ტია; უნდა გამოვცხადდე პოლიციაშიო,  
უთქვამს.

მირიანი გულსყურით უსმენდა და  
მართალია ამ ულაპარებისა არაფე-  
რი სჭეროდა, მაგრამ ერთი რამ კი  
უღაფო იყო: ბიჭს ოჯახთან კავშირი

ჰქონდა, და იქნებ, ინებს მეშვეობით, როგორმე მიეწვდინა ხმა!

სალამოს შემოვივლიო, შეახსენა დედაბერს და ეზოდან გავიდა...

მილიციის უფროსი ლომკაცა ღვინიაშვილი უნდა ენახა სასწრაფოდ, — რჩევას ჰკითხავდა, თან გამოლანძღავდა კადეც — რატომ ამ დრომდე არ შემატყობინებ ეს ამბავიო... ხომ უნდა მიმხვდარიყო, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა აბზიანიძის ციხიდან გაქცევას, — განა მისი გამოგზავნილი არ იყო ოპერატიული ჯგუფი, როგორც ვიბო დააკავა?! ასეა, თავისას რომ გაინაღდებენ მერე ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათო...

მილიციასთან დაკავშირება როდინიშნავდა წინასწარ მოფიქრებულ გეგმაზე ხელის აღებას, მაგრამ ბიჭს რომ ეს გაეგო, შესაძლოა დამფრთხალიყო და აღარ წდობოდა, იმიტომაც გადაწყვიტა კი არ მოსულიყო, არამედ დაერქვა და გარეთ გამოეხმო ღვინიაშვილი...

იქვე, გორგასლის ქუჩაზე, ტელეფონის ჯიხურთან შეაჩერა მანქანა.

— უპ, შენა ხარ, კაცო?.. — მართლა ლომივით დაიბუხუნა ყურმილში ღვინიაშვილმა. — სად დაიქარგე, იუბილეს მერე აღარც მინახიხარ!

— წუხელ გამოვიარე, რაღაც საქმე მქონდა...

— უპ, უპ... რა საქმე, კაცო?.. წუხელ ოპერაციაზე ვიყავი, ძეხნილი გეყავს ერთი... აი, ისა, ისა, ისა—აბზიანიძე... — ჰო მართლა, შენ თუ იცი, ამხანაგო, აბზიანიძე რომ გაიქცა ციხიდან?.. სულ მინდოდა შეთქვა, რამ დამავიწყა, კაცო — საქმეა ახლა ეს?.. ა, რა თქვი? რა მითხარი?...

— რას ჩქარობდი. ბარემ მოვეკალი...

— რაო, რას ამბობ?.. არ ისმის კარგად, ხალხი მყავს კაბინეტში — ოპერატიული თათბირი მაქვს... რა ამბავია, რა ღრიალია, ქუჩიდან ხომ არ რეკავ?.. ჰო, იმას გეუბნებოდი: აბზიანიძის ბიჭი გეყავდა წუხელ ლამის პირველ საათზე, ორთბჯალაში მიიხსულა სახლში კი

არა, სხვაგან... მიიხსულა... უფრო სწორად, ჩვენ აღმოვჩნდით აქეთ მოჩიხული...

— მერე?.. — ჰკითხა მირიანმა.

— დაგვასწრო იმ ყურბმსალმა!..

— გაგასწროთ?.. — შეშინებულმა გაახედა ქუჩას.

— კი არ გაგვასწრო — დაგვასწრო, დაგვასწრო, ვაპ, ვაპ!..

— რა დაგვასწროთ, სროლა?.. — ვერ გაერკვა მირიანი. — კაცი ხომ არ მოგიკლათ?

— კაცი არა, ვაცი!.. — ისე გაცინა, თითქოს ყორე ჩამოანგრიაო.

— რა ქენით ბოლოსდაბოლოს, დაიჭირეთ?.. — სასოებით ჰკითხა.

— არა, კაცო, არა, ვაპ... ვერ გაგებინე: ჩვენ იქ ვითოშებოდით ლამის პირველ საათზე, მტკვრისპირას, ის კი, შობებძალი, თორმეტის ნახევარზე თავისი ფეხით მისულა მილიციაში!!

მირიანმა იგჭნო ერთბაშად როგორ აუმჩატდა სხეული, თითქოს მძიმე ლოდი ჩამოეგდოს მხრიდან; ნეტარებით მოხუჭა თვალები ჯიხურის კედელს მიყრდნობილმა, ესმოდა ყურმილის ხრიწინი: „ალო, ალო, მირიანი!..“

— გისმენ, ლომკაც, გისმენ... მართალია ეს ამბავი?..

— რა ამბავი, კაცო — ხომ შშვილობა?

— მართლა ჩაბარებია მილიციას?

— ვინა, ისა?.. მაშა, მაშა!.. ამდენი შრომა წყალში ჩამიყარა მე იმისი... არადა ერთი დღე რომ ეცლია, ახლა გაძაგრული მეყოლებოდა!

— ისევ გართთა? — ჰკითხა დამფრთხალმა.

— გართ რაგაა, მარა მე რა თავში ვიხლი — საქმედ მაინც აღარ ჩამეთვლება!..

— შენც ლაპარაკობ, რაღა!.. — გაციანა მირიანმა. — რაც მოთავარია, შიგნოა შესული?..

— სადა, კაცო... სად შიგ?

— სად და — ცხეში!

— ვაპ, ვაპ... აბა როგორ! პატაკშია მოხსენებულია — ჩემც თვა-

ლით წავეითებ ამ დილით... მითხარი რა საქმე გაქვს — ხომ არაფერი გიპირის, კაცო, მირიან, პა?..

— არა, რა უნდა მიპირდეს... მომენატრე, ლომკაც... დაგვიძველდა პურ-პარჩილი!

— ამ საღამოს, მირიან, ამ საღამოს!.. ახლა არ მცალია, ხალხი მადგას თავზე — ვაპ, ვაპ, რამოდენა შეგროვილი!

მირიანი ჯიხურიდან გამოვიდა და წელგამართული ლაღად გაეშურა მანქანისაკენ. ჩანს, წუხელ — თავდასხმის შემდეგ — დარწმუნებული, საწადელი ატარებდა, ბიჭი პირდაპირ მილიციაში გამოცხადებულა... ახლა, ალბათ, მკვლარი ვგონივარ უკვე, „ვაპ, ვაპ!“ — ჩაიციხა მირიანმა. — ბედი მწყალობსო ამას ჰქვია!

ოციოდე წუთის შემდეგ კაბინეტში იქდა, ზვიადი და გოროზი, თითქოს მართლა საიქიოდან მობრუნებულა და იქაური მძიმე შთაბეჭდილებებისათვის თავი ჭერაც ვერ დაუღწევიაო... იმ დღეს ყველა განაცვიფრა მისმა უჩვეულო სიმკაცრემ: ეტყობა, რაღაც მაგარი საწყენი შეხვედრია და ჭავრს ჩვენზე იყრისო, დაასკვნეს...

საღამო ხანს ლომკაცა ღვინიაშვილს გაუარა შეპირებისამებრ. ჭერ განზრახული ჰქონდა დაწვრილებით ეამბნა ყოველივე, რაც თავს გადახდა, მაგრამ ბოლოს აღარ დაუჭდა კეუში, რაკი ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და ჯიბო აბზიანიძეც საიშედოდ იყო ციხეში გამოკეტილი...

იქ სხვა მეგობრებიც დაუხვდნენ — ლომკაცას შეეტყობინებინა, პურის საკმელად გავდივართო; მანქანებში ჩასხდნენ და ტაბახმელასაკენ გაუტყეს.

გვიანობამდე ილხენდნენ იმ საღამოს მეგობრები; ასე გამკრიახი, ენამჭკვერა და გალაღებული მირიანი არასოდეს ყოფილა... პურ-პარჩილიც თვითონ იყისრა, როგორც გადარჩენის მაღარიჩი, თუმცა ეს მხოლოდ მან იცოდა, სხვებთან კი სიტყვაც არ დასცდენია!

მეორე დღეს, ნადიამ ბორჯომი რომ შემოუტანა კაბინეტში, მაშინლა მოა-

გონდა აბზიანიძეებისათვის შენაპირები ფულიო...

ასე არ უნდა ავრჩარებულყოფიყო, ინანა, იმ დედაბერთან მაინც რა მკლაპარაკებოდაო — ინეზა, ალბათ გუშინ, მთელი საღამო თვალგამოსტერებული მელოდაო; „ჰმ... რატომაც არა — ეხუმრები ხუთი ათას მანეთს? ეს ხომ ძველი კურსით ღრმოდებათი ათასი მანეთია!“ არადა, ახლა მთლად უარის თქმაც უხერხული იყო... ბორჯომი მოსვა და ჩაფიჭრდა.

— დაჯექი ცოტა ხანს, ნადია!

— გისმნთ, გედევანოვიჩ... ქალი დაქდა და როცა მზერა ფანჯარას გაუსწორა, მირიანი მიხვდა, ახლა კი ნამდვილად მე მიყურებსო.

— გახსოვს ის საწყალი ბიჭი, ჩვენთან რომ მუშაობდა კადრებში?

— როგორ არა, გედევანოვიჩ... — ქალმა სინანულთ გადააქნია თავი. — ციხიდან გაქცეულაო ყური მოვკარი... თქვენ ხომ არაფერი გსმენიათ?

— პო, მეც გავიგე, მაგრამ ისეც დაუჭერიათ საცოდავიო. — კანონს და სამართალს სად დაემალეები.. ახლა მთლად დაუღუპავს თავი: ერთ ზუთ წელიწადს კიდევ დამატებით გაატყუვინებენ ციხეში!.. ისე, ჩვენში დარჩეს, ნადია და მე მაინც მგონია, ტყუილა დალუპა ის ბიჭი თავგარელიძემ.

— ნამდვილად, გედევანოვიჩ... ისე გული მწყდება, ისე, ისე... თუმცა არც თავგარელიძეს დასდგომია კარგი დღე — გაიგეთ, არა? მანქანას გაუტანია ამ ზაფხულს!..

— ახლა ამ ამბავს აღარაფერი ეშველება; თავგარელიძე რომ არ მომკვრიყო, იქნებ ეთქვა სიმართლე... საბრალო ბიჭს დედაც გარდაცვლია წელს... — მირიანმა დაწვებზე მოისვა ხელი. — სხვათა შორის, ნადია, ჩვენც მეტი ყურადღება გვმართებდა...

— ნამდვილად, გედევანოვიჩ... გენაცვალეთ, მაგას რომ ამბობთ. სულ ვეღარ ვუკითხებთ ამბავი.

— მარტო ამბის კითხვა რას შევლის საქმეს, — იმ ბიჭს ოთხი პირდაფრენი-

ლი ბარტყი ყავს შინ დატოვებულს; შეადგინე სია და ჩამოუარე ხალხს, არც ახლა გვიანი — ხუთას მანეთამდეც რომ შეგროვდეს, მაღლია! მე პირადად, თხუთმეტი მანეთს ვდებ... — ჯიბიდან ფული ამოიღო და გაუწოდა.

— დიდი სიამოვნებით. გედევანოვიჩ: მე აღრეც მქონდა გუნებაში, მაგრამ უთქვენოდ ვერ ვბედავდი...

სამიოდე დღის შემდეგ, ნადიმ, ფული და სია დირექტორს ჩააბარა. ხუთას თხუთმეტი მანეთი შეგროვიდაყო.

• • •

დარწმუნებული იყო სამსახურში მომაკითხავსო, მაგრამ მას აქეთ კვირაზე მეტმა განვლო, ინება კი არ გამოჩენილა.

ერთ საღამოს, სამსახურიდან შინ რომ ბრუნდებოდა, კარწინის ქუჩის შესახვევთან, ავტობუსის გაჩერებაზე, შავპალტოიანი კოტა ქალი შენიშნა, რომელსაც ხელში მოზრდილი საოჯახო ჩანთა ეჭირა. ახალდაღმებული იყო; ლამპიონები ოდნავ ბეჭტავდნენ, თითქოს მსუსხავი ქარი ჩაქრობას უპირებსო. მირიანმა მანქანა გაჩერა და გადმოვიდა.

— თუ არ ვცდები, ქალბატონო... თქვენ ინება უნდა ბრძანდებოდეთ.

— დიახ... — ქალმა გაკვირვებითა და ეჭვით შეათვალიერა უცხო მამაკაცი.

— მე მირიანი ვარ, დევიძე... ჯიბოს ყოფილი სამსახურიდან... — გაუღიმა და ხელი გაუწოდა.

— აა... — შუბლი გაქსნა ქალმა და ხელი ჩამოართვა. — გავიგე ჩვენთან ბრძანებულხართ, ბატონო მირიან!

თალხი ფერის შალი მოეხვია თავსა და ყელზე, რომლის დაგრებილი ფოჩები მხრებსა და მაღალ მკერდზე ლამაზად ეფინა. სიცივისაგან ქალს ლოყები ასწითლებოდა.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა მირიანმა. — შეგპირდით და გამოვლა კი ვეღარ მოვახერხე... ახლა მიწოდდა სწორედ... კარგია რომ შეგხვდით!

— რატომ სწუხდებოდხარ? —

— პირაქით, ქალბატონო ინება, — მეტი ყურადღება იყო ჩვენგან საქირთ... სად მიბრძანდებით?

— სამბურთალოზე მივდივარ, დასთან; ბავშვები მყავს იქ დატოვებულა.

— ძალიან მეწყინა თქვენი ღელამთილის გარდაცვალება... საწყალი, ალბათ, იმ ამბავს გადაეცა... დაბრძანდით, წაგიყვანთ, — წინა კაბინის კარის სახელურს წიეტანა.

— არა, არა... — მიუგო ქალმა. — ავტობუსს დაველოდები, მირჩვენია!

— კარგი, როგორც გნებავთ... — გაიღიმა მირიანმა. — ისე კი, მაინც იქით მივდივარ, თან პატარა საქმეც მაქვს თქვენთან... გითხრათ, ალბათ, მეზობელმა, ფულის თაობაზე...

— დიახ, მითხრა... — სეველიანი ხმით მიუგო ქალმა და თვალი მოართდა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით... — ისევ შესთავაზა მირიანმა და ახლა უკანა კაბინის კარი გაუღო. — ქუჩაში ლაპარაკი ცოტა უხერხულია...

ინებას წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

დაჯდომისას კაბის კალთა მუხლებზე შემოთ წამოუცურდა... მირიანს სახელური ეჭირა და ქალს მოეჩვენა კარის მოხურვას განგებ აყოვნებსო... რაკი უცებ ვერ მოახერხა კაბის გასწორება, ჩანთა დაიდო სასწრაფოდ მოშიშვლებულ მუხლისთავეებსა და შარძაყებზე. მირიანმა კარი ფრთხილად მიხურა, მანქანას წინიდან შემოუარა და საქვს მიუტყდა.

უხერხული დღემილი ჩამოვარდა, რომელსაც ძრავას მონოტონური ხმაური და ასფალტზე შინების ყრუ შრიალი არღვევდა... არ იცოდა რა ეთქვა, საიდან დაეწყო — ეს ინება, ცოტა უცნაური გოგო ჩანდა, რაღაცნაირი სიცივე იგრძნობოდა მის ხმაში... ჯიბოს სახელის ხსენებასაც გაურბოდა მირიანი, ან კი რა აზრი მქონდა: იქნებ ცოცხალიც ვეღარ გამოსულიყო ციბიდან... ჩანს არ გაუმხელია გამოქცევის ნამდვილი მიზეზით, გაიფიქრა; ეს რომ სცოდნო-

და, მანქანაშიც ვეღარ გაბედავდა ჩაქდომასო... არადა თვითონ ხომ არ ეტყობა ახლა, ასე და ასე იყო საქმე — ამ სამ თვეში შენი ქმარი სამჯერ დამესხა თავს და სამივეჯერ ბეწვზე ვარ კაცი გადაჩნდილი; მადლობა ღმერთს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა — ავად მოსაგონარ ზმანებად იქცა... რეალური და ნაღდი კი ის გახლდათ, რომ ბიჭკვლავ დიღეგში იყო გამოშვადებული, ხოლო მისი ლამაზი ცოლი, ინეზა, აგერ მანქანაში ეჯდა... გემოვნება კი ჰქონია იმ უტყინოსო, გაიფიქრა. თავიდანვე ძლიერ მოეწონა ინეზა; ახლა კიდევ უფრო დამშვენებულიყო და დაქალბუღიყო... სიგარეტს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და უცებ ისე აწრიალდა, ისე მოათათურა ხელი ჰაერში, თითქოს სალონში გაფანტული ბოლის მოკრეფას და მუჭში თავმოყრას ლამობსო.

— ბოდიშს ვინდი, ნებართვაც არ ამიღია... იქნებ გწყენთ თამბაქოს კვამლი?

— არა, ბატონო, მოსწიეთ! — მიუგო მან.

— ან იქნებ თქვენც ინებებთ?.. — დაფაცურდა მირიანი. — სულ გამომჩნა მხედველობიდან... ვერა ვარ, ნამდვილად, კარგი კავალერი... — ცერა თითით ვადახსნა „საქართველოს“ წითელი კოლოფი და გაუწოდა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო...

— ეეჰ, რა ვიცი, ჩემო ინეზა, — თანაგრძნობით ამოიოხრა მირიანმა. — ამდენი დარდი და ნერვიულობა შეგხვდათ ამ ახალგაზრდა ქალს და რა ვასაკვირია... მით უფრო, გოგონებიც ეწევიან ახლა სიგარეტს... ნამდვილად ცოდვა ხართ — გაგვიკრძებთ მარტოს თთხი შვილის ვაზრდა!

— ყველაფერს ეშველება ამ ქვეყნად, ბატონო მირიან, — მიუგო ქალმა. — მთავარია, კაცმა გამოუსწორებელი შეცდომა არ ჩაიდინოს... ამ დრომდე საბავშვო ბაღში დამყავდა და იოლად გავვქონდა თავი... ვაისად ბიჭებს ინტერნატში გადავიყვან, გოგო-

ნები ჩემთან მეყოლება, უფრო იოლად მოსაველელებია; ცოტას სახელმწიფო გვეხმარება, ცოტას — მშობლები, მეც ვმუშაობ, რაღა თქმა უნდა, — ასე რომ, ღმერთთა მოწყალე!

— პოდა, ჩემო კარგო, მეც... უფრო სწორედ — ჩვენც, გადაეწვევით... მართალია, მოგვიანებით მოგვივიდა, მაგრამ ფული ყოველთვის საჭიროა... აწი მეტი და მეტი დაგვირდებათ...

— გეშლებათ, ბატონო მირიან... — მოკრძალებით შეაწყვეტინა ქალმა. — მარცხნივ უნდა აგეზვიათ და გმირთა მოედანზე გასულიყავით!

— პოო, სწორია... — გაიციინა მირიანმა. — ეტყობა, კარგი ორიენტაცია გქონიით... არაუშავს, ლაპარაკში გავერთე... გაგარინის ქუჩითაც გავალთ საბურთალოსე...

ხელმარცხნივ რესტორან „არაგვის“ გაჩახჩახებული შენობა ჩანდა, ნავსადგურში მდგარი გემივით.

— გაუგო-ხალხმა ცხოვრებას გემო, — განაგრძო ისევ მირიანმა. — თუმცა, კაცმა რომ თქვას, მეტი რა შეგრჩება ამ ქვეყნად?.. პო, იმას ვამბობდი: შევაგროვებ ცოტა...

— რა საჭირო იყო, რატომ შეაწუხებთ თანამშრომლები; ჯიბომ ხომ სულ რაღაც სამი-ოთხი თვე იმუშავა თქვენთან... — ქალმა ყრულ ამოიოხრა.

— დროს რა მნიშვნელობა აქვს, ინეზა... — მიუგო მირიანმა. — შეიძლება ერთ საათში მოგწონოს და შეგაცვარდეს ადამიანი... ვარდა ამისა, თანამშრომლები დიდად არც შემინუხებია — ეს ხუთი ათასი მანეთი ძირითადად მე თვითონ... მე ვარ ყველაფერზე პასუხისმგებელი..

— ხუთი ათასი ხომ ორმოცდაათი ათასი მანეთია ძველი ფულით?.. — ჰკითხა გოცებულმა. — ნერედა ამდენი როგორ შეაგროვებთ?.. მე ნეტონა, დეიდა საშა სცდებოდა — ყურებს არ დავუჯერებ რომ მითხრა!

— დედა საშა?.. აჰ, იმ თქვენს მეზობელს დეიდა საშა ჰქვია, არა?.. აკო ვითხარით, ინეზა — მე თვითონ — მე-

თქი... ეს ამბავი ჩვენ ორმა ვიცოდეთ... რა საჭიროა ქვეყანამ გაიგოს, ნეტა იმ დედაბრისთვისაც არ შეთქვა!

— სად მიდიხართ, ბატონო?... — ცივი, შეშფოთებანარევი ხმით ჰკითხა ქალმა, როცა მანქანამ გაგარინის ქუჩაც ხელმარცხნივ მოიტოვა და ლამპიონებით განათებულ სანაპიროზე გაეკრა სველ ასფალტს; ფანჯრის მინებში ქარი აზუზუნდა...

— ფუპ, დასწყევლის ღმერთი... — ხელი ჩაქნია მირიანმა. — ისევ გადამცილდა გულს... აი, რას ნიშნავს, როცა გვერდით ლამაზი ქალი გიზის!

— რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი, ბატონო... გთხოვთ მოაბრუნოთ მანქანა!

— მე შეგონა კომპლიმენტი ყველას სიამოვნებდა და თავი ვალდებულად ჩავთვალე... — გაიცინა მირიანმა. — კიდევ კარგი არაფერ ვეისმენს, თორემ შეიძლებოდა რაღაც ეფექტა... აი, გავცდები გაზონებს ზა დიდმას გადასასვლელთან მოვებრუნებ; განა მე კი მეხადისება ტყუილ-უბრალოდ სიარული?! ხალხს ჰგონია დირექტორები სამსახურში არ იღლებიანო, — ერთი სული მაქვს შინ მისვლამდე, ისე ვარ დაქანცული... თუმცა, ხანდახან მიყვარს წვიმასა და ქარში მანქანით სეირნობა — ფანჯრის მინა რომ დაიწყებს წვილს... — დიდმის ჩასახვევითან სვლა შეანელა და ქალს მიუბრუნდა. — ხუმრობა იქეთ იყოს და, თუ გსურთ, ცოტანი გაგასეირნებთ... აი, თუნდაც დროის იმ მონაკვეთით, ავტობუსით მგზავრობისას რომ დაგეკარგებოდათ... აგერ მაგნიტოფონსაც ჩაერთავ...

— გაიჩერეთ მანქანა! — მკაცრად თქვა ქალმა. — მე აქ ჩამოვალ და დევენ რამდენიც ვნებავთ ისეირნეთ...

— რას ამბობთ, ინეზა, — მართლა რა უცნაური გოგო ყოფილხართ... ვერა ხედავთ განა „მიგალკა“ ჩართულია რომ მაქვს და ვუხვევ?... —

— თქვენ ეს არ უნდა გაკვირვებოდეთ... — ლამობიერად უთხრა მერე ქალმა, როცა მანქანამ გაგარინის აღმართი აივკა და პირი საბურთა-

ლოსაკენ ქნა. — ჩემი მდგომარეობა კარგად მოგგხსენებათ... ყველაფერს ეპვის თვალთ ვუყურებ და ხანდახან, ალბათ, სასაცილო მდგომარეობაშიც კი ვვარდები...

— ეგ არაფერი... სიმართლე გითხრათ, მომწონს კიდევ ასეთი სიფრთხილე: პირადად თქვენთვის ძალზედ სასარგებლო და საჭიროა, მაგრამ მათთვის, ვინც ქეშმარიტად პატივს გცემთ და გაფასებთ, რაღა თქმა უნდა შეურაცხმყოფელია... თუმცა ამაზე ნუ იღარდებთ!

— მაპატიეთ, ბატონო მირიან...

— რა თქვენი ბრალია... — დანანებით ჩაილაპარაკა მირიანმა. — ბელი მაქვს ასეთი, ჩემი ყველაფერი უაქლმა ეჩვენებათ... იქნებ მართლაც უტაქტოდ გამომივიდა — განა უაჭყყოფ... ხანდახან გავიწყდება ყველა ერთნაირ ხასიათზე რომ არაა; გარეგნულად, თითქოს კი თანაფერძნობთ ერთმანეთს, მაგრამ შინაგანად მაინც ჩვენსავე გუნება-განწყობილებაზე ვრჩებით... მე შევსწრებივარ — შეუდღისას კაცს ნათესავის დაკრძალვაზე უღვრია ცრემლები, საღამოს კი მეგობრის დღეობაზე უცეკვია... მგონია, ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ ჩემს კეთილგანწყობაში თქვენი ოჯახი სმომართ; ჯიბოს დიდ პატივს გცემდი და არც ის დამიმაღავს, ერთხელ მაგარი წალაპარაკება მოგვივიდა-მეთქი... ახლა ვნაობ: ნეტა უფრო მკაცრად მოვქცეოდი, იქნებ ეს უბედურება შემეშორებინა... თუ რამ დაგჭირდეთ, ქალბატონო ინეზა, მოლით ჩემთან, არ მოგერიდოთ; ჯიბოს ჩვენთან შეგმობვა ის ამბავი და ვალდებული ვართ მის ოჯახს დავეხმაროთ... გან არ მესმის, ამ პატარა ქალს ზურგზე რამხელა ტვირთი გაწევი?

— მაღლობთ, ბატონო მირიან...

შეექვსე კვარტალში რომელიღაც ხუთსართულიანი სახლის წინ გაუჩერა მანქანა.

— თქვენ ისევ უკან აბირებთ ორთაქალაში?... — ჰკითხა.



— დიხ, ბავშვები უნდა წავიყვანო.  
— დაგელოდებით მაშინ... მარტო ქალმა, ამ დამით ოთხი ბავშვი სად უნდა ათრ... ატაროთ!.. თანაც ასეთ ამინდში; ხედავთ? — თოვს კიდევ ცოტ-ცოტას!

— ნუ სწუხდებით, რა საჭიროა... იქნებ დავრჩე კიდევ ამაღამ! — კარი გააღო და ჩასვლა დააპირა, მაგრამ მირიანმა შეაჩერა.

— მთავარი სულ მავიწყდებოდა... ჩანს ასაკს მაინც თავისი გააქვს... აჰა, ეს ფული... — გაიცინა და ქალაღმდეგული დასტა ამოიღო ჯიბიდან.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონო მირიან, რა უხერხულ მდგომარეობაში ვარ... — შეწუხებული ხმით თქვა ქალმა. — ნუ მიწყენთ და ამდენ ფულს ნამდვილად ვერ გამოგართმევთ...

— აბა ახლა, ერთი წამით, ჩემს მდგომარეობაშიც შედით, ინეზა... რას იფიქრებენ თანამშრომლები, როცა ვერცხვი, ჯიბოს შეუღლებ მქვენს გულწრფელ დახმარებაზე უარი განაცხადამეთქი?... ან კი რა ისეთი დიდი თანხა ხუთი ათასი მანეთი... უფრო ზუსტად, ხუთას თხუთმეტი მანეთი...

— ხუთასი თუ ხუთი ათასი, ბატონო მირიან?... — უნდოდ ჰკითხა ინეზამ.

— ხუთი ათასი ძველი კურსით... ახლით — ხუთასი... რა არის აქ გაუგებარი?... —

— აა... — გაიღიმა ინეზამ. — მე მგონა ხუთი ათასი იყო, ანუ ძველით — ორმოცდაათი ათასი მანეთი... მიტომაც გამიკვირდა!

— მართლა ასე ვითხარით?... — გაიცინა მირიანმა.

— დიხ... რა ვიცი, იქნებ არ ვითქვამთ, მაგრამ მე მომეყურა... დეიდა საშასაც ასე ეგონა!

— შეიძლება, შეიძლება!.. აი, ხედავთ? — რა ხანია ფულის რეფორმა მოხდა და მაინც რამდენ გაუგებრობას და არეგ-დარეგას იწვევს... საუბარში კა არა, ხანდახან ფაქრშიაც მესლება ზოლმე!

— გასაგებია, გასაგებია... — ჩაილა-

პარაკა ინეზამ. — მადლობა გადაგიტოვებენ კოლექტივს, ასეთი გულისხმიერებისათვის.

— აი, ესეც სია... — მირიანმა გვერდითი პაწია ნათურა აანთო და ქალაღმდეგულად გაშალა. — აქ ისეთი არაგინაა, ჯიბოს რომ არ იცნობდეს და პატივს არ სცემდეს.

ინეზა ნათურის შუქზე ხედავდა მისკენ მიბრუნებული კაცის დარბაისულს სახეს და ნანობდა, — წელან ნამდვილად გადაეკარბეო. ნაცრისფერი ფინური პალტოს საყელოზე მირიანს, ქალარის შესაფერი კარაქულის ბეწვი ჰქონდა შემოყოლებული.

— თუ ეღირსა ციხიდან გამოსვლა, ყველას გადაგიხდით სამაგიეროს... მე შეგუნახავ და დაეხვედრებ ამ სიას... თუ არა და... — ინეზას ხმა აუთრთოლდა. — მაშინ მისი შვილები გადაგიხდიან...

მირიანმა თვალი გადაღვნა როგორ მიიმალა ქალი სადარბაზოში... ფული და ქალაღმდეგის ფურცელი, რომელზედაც სია იყო ჩამოწერილი, უხერხულად ეჭირა ხელში... წასვლას აპირებდა, მაგრამ მეორე სართულზე, კიბის უჯრედში, მისი ლამაზი წვივები დაინახა და მანამ შეიკადა, ვიდრე ქალმა ხუთივე სართული არ აათავა...

მერე კარი მოიხურა და მანქანა დამარა; ქარი ჩამდგარიყო და ცოტ-ცოტას თოვდა, მაგრამ ფიქტები მყისვე დნებოდნენ სველ ასფალტზე...

\*\*\*

ადამიანები საკუთარ ბედ-იღბალს, მეტწილად, ყოფიერების ყოველი ახალი წამის ემოციურ პრიზმაში ჰკრეტენ და აქედანვე გასცქერიან ნამყოსა თუ მყობადს: ჭირისას ჰგონიან, — ამქვეყნიური სიაზე არასდროს გვიგემნია და ვერც ვერასოდეს ვიგემნებთო, ხოლო ლხინში ეჩვენებათ — მუდამ ასე იყო და ასე იქნებაო... მიტომაც, ხან უძლეველი, უკვდავი ჰგონიან

თავი, — ხან კი საკუთარი ლანდი აფრთხოთ და არსებობაც არ სჯერათ...

მირიანი ამ კატეგორიის ხალხს როდი ეკუთვნოდა: მან იცოდა, რომ აწმყო ნამყოთია ნასაზრდოები და აქედან გამომდინარე, შესაძლოა ყოველ „ავადმყოფურ წამს უმკურნალო“ — მყობადი გაიჯანსაღო, თუ გულდასმით გადაქეპავ წარსულს და „ანამნებს“ მიაგნებ...

ჩვეულებრავ დადიოდა სამსახურში, ტრესტში, სამინისტროში, — ხანაც რაიკომში ეძახდნენ... სიმე-ქალიშვილი მეტად აღარ მოუნახულებია, რადგან წყნა წყენად რჩებოდა და გულში ნანოს დაკარგულად თვლიდა...

სამაგიეროდ, დაწინაურების საკითხი დადგა კვლავ დღის წესრიგში: ნათქვამია, ზოგი ჰირი მარგებელიაო, — აღრე დარჩეულ ხმებს, უფრო დიდი თანამდებობისთვის იზოგავენო, თავისი საქმე გაეკეთებინა და საზოგადოებრივი აზრი მის სასარგებლოდ მოემწიფებინა: ამ დღეებში, სადაც არ უნდა მიგეყურადებინათ, ყველგან იმაზე ჰქონდათ სჯა-ბაასი, თუ ვის დანიშნავენდენ ხერხადის ადვილზე (ნესტორიჩი უკვე მინისტრად გადაეყვანათ), — მთაბარს რომ შეაფერებდნენ, ბოლოს მაინც დევდიქზე აჩერებდნენ არჩევანს...

წინა საღამოს ნესტორიჩმა უთხრა, ზემდგომი ამხანაგები შენზე დადებითი აზრისანი არიანო... ორშაბათიდან აპირებდა კაცი დატრიალებას, მაგრამ კერა საღამოს კვლავ თავდაყირა დადგა ყველაფერი:

კვირათბით მირიანი გოგირდის აბანოში დაიარებოდა. ოღონდაც ჯერ საპარიკმახეროში შეივლიდა ხოლმე... დალაქი საგულდაგულოდ გაიწმენდა თითებს სპირტიანი ბამბით — გულისპირზე ქათქათა წინსაფარს აფარებდა საპატიო კლიენტს, სავარცხელს მოიმარჯვებდა და მაკრატელს საამოდ აუპოკიკებდა ყურთან... ღერაღერა უწყობდა და უსწორებდა თმას, — ყურებსა და ცხვირის ნესტოებში წამოზრდილ ბალანს აჭრიდა, კომპრესს უკეთებდა; რაღა თქმა უნდა, ხე-

ლოსნის შრომა-გარჯის დაფასებაც იცოდა დევდიქემ.

მერე „ჭრელ“ აბანოს მიაშურებდა, სადაც, ამასობაში, მისთვის უკვე გაემზადებინათ ცალკე ნომერი... მექის სეროცა ტანს უხელდა და ხელ-ფეხს უწვართავდა ქვის მასიურ ტახტზე ნებიერად წამოწოლილს — მანამ ხეხავდა, ვიდრე კანს ვარდისფერი დაედებოდა, ბოლოს რბილ ნექვას უსვამდა ნახად, ქაფში ჩაკარგულს, კაციან-ტახტიანად, — ფეხის თითების გამობანაც არ ავიწყებოდა.

ყველაზე საამო პროცედურა მაინც მონაიკით აჭრელებულ აუზში ნებევრობა გახლდათ... მომსხო მილით ჩამომდინარე გოგირდის ცხელი წყალა ჩინჩხლებს ისროდა და ფსკერზე ისე ლივლივებდა მოზაიკა, თითქოს გველებში იკლავებინათ...

იწეა ახლა წყალში, საამოდ მოთენთილი, და აუზის კიდეზე თავმიდებული ჰერში ჩამოკიდებულ ნათურას შეკუთრებდა, რომელიც ორთქლსა და ნისლში ოდნავ ბეუტავდა...

ჩამოძანძული ფანჯრის მიწებიდან, რომელსაც ზემოთ პაწია სარკმელი ჰქონდა დატანებული, ნომერში დამეიხედებოდა. სარკმელი ღრეჭოდ იყო დატოვებული და გარედან შემოქრილი ცივი ჰაერი ორთქლის ფარდას აქიქებდა...

ანაზღად უცხო რამ ჩქამი ჩაცმა და მოეჩვენა, თითქოს სარკმელს ოდნავ წაპკრა ვილაყამ თითი...

ეს კი მოეჩვენებოდა, აბა რა, მაგრამ უცებ სარკმელი ბოლომდე გაიღო და ჰაერის ნაკადმა ორთქლის ბოლქვები უკანვე შემოაბარუნა...

მერე თეთრწვერა ნიღბოსნის სახეც გაკრთა ფანჯარაში...

თავი წამოსწია, მიაყურადა, მაგრამ არაფერი ჩანდა და საკუთარი გულისცემის მეტი არც არაფერი ესმოდა...

„ნიავემა შემოაღო... — გაიფიქრა და მღელვარების დასაოკებლად თვალგმა

მიღულა. — აი, რას ნიშნავს შიში... ისევ ის ბიჭი წამომელანდა!..“

მერე ყურთასმენას კვლავ მისწვდა უცხო ხმაური. თითქოს გარედან ფანჯრის გისოსზე ვიღაცას ფეხი ჩამოუქცდაო...

შეპარვით გაახილა თვალი და ძარღვებში სისხლი გაეყინა:

ნიღბოსანს გამბდარი შავი ხელი შეემოეყო ფანჯარაში და რევოლვერს უმიზნებდა...

იმავე წამს ლულამაც ინათა...

არ ახსოვს რამდენჯერ ესროლეს, ან ამ დროს თავად რას იქმოდა... თითქოს სხეულში ავტომატურად ჩართულიყო რომელიღაც მექანიზმი, რომელსაც სიკვდილი უნდა გაეიოლებინა და მიცვალებულთა სამყაროში უმტკივნეულოდ შეეყვანა...

გონს რომ მოეგო, კარგა ხანს უყურა ორთქლში მბუქრავ ნათურას — ვერ მიმხვდარიყო, ცოცხალი იყო თუ მკვდარი... განძრევაც ვერ გაეხედა და დაზაფრული თვალებით ეძებდა წყალში წითლად დაბოქვილ სისხლს... მერე უცებ სიძრაობაც დაუბრუნდა და სწრაფად ამოხტა აუზიდან; იქვე, ფანჯრის გასწვრივ, კუთხეში გაეკრა კედელს, სადაც მისი აზრით ნაკლებ უნდა მისწვდნოდა ტყვია...

— მიშველეთ!.. — დაიყვირა განწირულის ხმით, — თან ნატყვიარებს დაუწყო ტანზე ძებნა.

— ა, ჯან?.. — კარი გაიღო და მექისემ შემოჰყო თავი.

— მკლავენს!.. — იღრიალა მირიანმა.

— კლავი?.. — სეროჟა დაბნეულად იღგა კარებთან, ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი, ქამარშემოჭერილი ნაცრისფერი ხალათი ეცვა. საიდანაც ჩხირბივით მოუჩანდა შიშველი ფეხები.

— აქეთ, აქეთ, კაცო... რა მოგივიდა!..

— რაო, კაცო, რაო?.. ბარჯომი გინდა?.. — მზრუნველი ხმით კითხა მექისემ, რომელსაც ხელში ბოთლი ეჭირა. ზოგჯერ, გახურებული კლიენტები იქვე მიიბრუნებდნენ ცივ მინერალურ წყალს

და ახლა, ძახილი რომ გაიგონა სეროჟამ, ყოველშემთხვევისათვის მაინც გამოაყოლა ხელს.

აუზთან მიიბრინა, სადაც მირიანი ეგულეზბოდა, მაგრამ ვერსად მოჰკრა თვალი; ბოლოს დაინახა კედელსაკრული და შეეშინა, — რა სჭირს, ხომ არ შეიშალა ნეტავიო...

მისი ნათქვამი რომ მოისმინა, არაფრით არ დაიჭერა: რახანია აქ ვმოქშაობ და ჭერ არ მახსოვს ვინმე მოეტლათო... წაგზვლიმა, ალბათ და წამოგვისიზმბრაო; ფანჯარას მივარდა, გამოაღო და გისოსებს შორის გაიქვიტა — აჰა, ნახე მირიან-ჯან არავინააო!..

— ჩქარა მიხურე, ჩქარა!.. — დაიყვირა მირიანმა და კედელ-კედელ გაემართა კარადისაკენ.

ტანსაცმელი გამოყარა და აცახცახებულმა გაუშმარაღებლად იწყო ჩაცმა... სახეზე ხვითქი გადასდიოდა, თმაც სველი ჰქონდა... მექისეს, ამასობაში, ხალათის კალთები წამოეკრიფა და აუზში ჩამდგარი, ხელების ფათურით ფსკერზე რაღაცას ეძებდა — ალბათ ტყვიებს...

— რა დროს ეგაა!.. — გაბრაზდა მირიანი. — მილიციას დაუძახე უხლავე... ჩქარა, ჩქარა!..

სეროჟა აუზიდან ამოვიდა, წელში გასწორდა და მუქი გაშალა; ხელისგულზე ბამბისა თუ ქაღალდის ნაფლეთები ეყარა, თითებს შუა წურწურით დასდიოდა წყალი...

ახლაგზრდა რიგოსანი მოიყვანა, რომელიც იქვე, მახლობლად, სამორიგეო პოსტზე მდგარიყო; დირექტორისა და აღმინისტრატორისთვისაც უნდოდა დაეძახნა, მაგრამ მირიანმა არ დაანება.

— რა გქნა ახლა მე?.. — იკითხა მილიციელმა, რომელსაც ამკარად ეტყობოდა, არ სჯეროდა კაცის ნაამბობი.

— არაფერი... — მიუგო მირიანმა. — მანქანამდე მიმაცილე ოღონდაც... აქ არ იყოს სადმე დადარაჯებული!

— მანქანამდე კი, ბატონო...

მანქანა ზედ შემოსახლეულთან ეყენა;

მირიანი სწრაფად ჩახტა შიგ და ისარივით გავარდა...

მერე სვლა შეანელა, რადგან ლამპიონებით განათებულ ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა... წვრილად თოვდა, მაგრამ მშრალი ფიფქები ფეხს ვერ იკიდებდნენ — მანქანების ჩავლისას ბუქსა და კორიანტელს აყენებდნენ, — მერე კი ქაფმოდებულ მდინარესავით მოედინებოდნენ ლურჯ ასფალტზე... ნეტა რაში დასჭირდა ლომკაცას ჩემი მოტყუებაო — გაიფიქრა გამწარებულმა.

მილიციაში შეიარა, მაგრამ ღვინის-შვილი ადგილზე არ დაუხვდა — ქალაქის სამმართველოშიაო, მორიგემ უთხრა... გამოსვლისას კვლავ შეველო თვალი ძებნილთა სურათებს... ბოლო სვეტში ჯობო აბზიანიძის საძულველი სიფათი წითელი ჯვრით იყო გადახატული... „აჰა... — გაიფიქრა მირიანმა. — ლომკაცას სწორი უთქვამს — ბიჭუ უკვე აღარ იძებნება... მაშ რა მოხდა?.. — ჩანს, გაუგია უვნებლად რომ გადავრჩი და ხელახლა გამოქცეულა!“

ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა შინ... მანქანაც არ შეუყვანია ვარაუში... ძაღლები დაგეშა, ეზო გააჩახახა, კარები ჩარახა და ქალებს რომ რაიმე არ შეეტყვოთ, ჩაიხე უარი თქვა... კაბინეტს მიაშურა და ლოგინიც იქვე დივანზე გააშლევინა ნუცას, გაკვირვებულა რომ იჩეჩდა მხრებს მეუღლის შესული სახის შემხედვარე.

ლომკაცას დაურეკა ბინაში, მაგრამ ჯერ არ დაბრუნებულაო, მეღღღემ უპასუხა... რომ მოვა, რა დროც არ უნდა იყოს, დამიკავშირდესო, სახლოვა.

მერე რევილვერი ამოდო საწერი მაგიდის ღჯრიდან, თბილი ქურჭი წამოსხა, შლქა ჩააქრო და ფანჯარასთან სავარძელში ჩაქდა... ფარდის კიდე გადასწია, შეორთქლილი მინა თითებით გაწმინდა, — აქედან კარგად ჩანდა მთელი აივანი, კიბე, ალაყაფის კარი, გაღვანი... ასე, რომ იოლად ვერ წამოებარებოდა ბიჭი... თან ძაღლებიც ფხიზლობდნენ და ყეფით გარს ურბენ-

დნენ ეზოს. ელექტრონის შეჭმე, პაერში უამრავი წვრილი ფიფქები მოფარფატებდნენ — ხეთა გაშიშვლებულ ტოტებს კი ჭირხლივით დასდებოდა თოვლი...

პირველი იყო დაწყებული, ლომკაცამ რომ დარეკა: რა იყო, რა გინდო, დაიბუხუნა.

— ამ საღამოს ვიყავი შენტან... გამოვიარე! — შორიდან დაიწყო მირიანმა.

— ვაპ, ვაპ... ქალაქგარეთ იქნებოდიო საღამე — მერედა რა საქეიფო ამინდი იყო დღეს, აფსუს... ხვალ ჩემთავე შემოგველოს!..

— სხვა რაა ახალი?.. — უნდოდა ჯობო აბზიანიძის ხელმეორედ გაქცევის ამბავი ეთქმევინებინა.

— არაფერი... — დაიბუხუნა ლომკაცამ. — ხან ასე, ხან ისე... ვაპ, ვაპ, რას თოვს, რას თოვს, რა ამინდები დაიჭირა!..

„რატომ არ მეუბნება, ნეტავი?.. — გაუკვირდა მირიანს. — ან იქნებ ჯერაც არ გაუგია?!“

— კაცო, ლომკაც... ის ბიჭი კიდევ როგორ გაგექცათ, პა?..

— ვინ ბიჭი?

— აი, ისა... აბზიანიძე... ამის წინათაც რომ...

— ვაპ... ვინა თქვა?

— მე თვითონ დავინახე ამ საღამოს... მანქანიდან...

— შენე?.. — ჩაიციხა ლომკაცამ.

— პო, მე..

— რავე გეკადრება, მირიან... — გადაიხარხარა ლომკაცამ. — ჯერ ციხეშიაც არ გადაუყვანიათ — აგერაა ბებელის მოედანზე, „კაბეზეში“..

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს საიდან გაიქცა... მთავარი იყო არ გაგქცეოდათ!

— არ გადამრიო ახლა, მირიან... — არობროხდა ლომკაცა და ყურმილშიც კრიალი დაიწყო, თითქოს საცაო დაიშლებოდა. — ამ ნახევარი საათის წინ ვნახე ჩემი თვალით — იქედან მოვდივარ აბ-

ლა... იყო რაღაც ისეთი... ობერატული... გეტყვი მერე, რო გნახავ...

მირიანს ენა ჩაუფარდა, გაშრა...

— დღეს დამიძახა პროკურორმა... — განაგრძობდა ლომკაცა. — ვაიომ რაღაცებს მედავებთან ამ საქმეზე... დაწვრილებით მერე მოგიყვები, რო გნახავ... მარა ფეხები არ მომჭამონ ძირში... ნაღდი საქმეა ეგ, წყალი არ გაუვია, — ამდენჯერ უნდათ იმდენი უტრიალონ; მნახე ხელა... უპ, უპ, რას თოვს, რას ფოვს, რა ამინდები დაიჭირა!.. — პასუხი რომ ვერ მიიღო, იფიქრა, საუბარი დამთავრებულიაო და ყურმილი დაუკიდა.

მირიანი გაშტერებული იჯდა სავარძელში, — ხელები მუხლებზე დაეკრია, ყურმილიდან კი ზუმერის კენესისმაგვარი ხმა ესმოდა... ნუთუ კვლავ შეეცა და საბრალო ჯიბო აბზიანიძეც არაფერ შეაშია?... ლომკაცა ზომ ტყუილს არ ეტყოდა!.. მაშ ვინ არის უცნობი ნიღბოსანი მოსაკლავად რომ დასდევს?..

საზარელი იყო იმის შეგნება, რომ ვიღაც უხილავი მტერი სდევნიდა, მას კი ჯერაც ვერ გამოეცნო იგი... ჰგონია, ეს-ესაა დავაღწიე თავი საფრთხესო — პოზიციებს თმობს, სინამდვილეში კი, თურმე ტყემალზე ზის... ღობე-ყორენს ეღება...

ზომ არ შეიძლებოდა უმიზეზოდ მომხდარიყო ამდაგვარი რამე... შეეძლომა ერთხელ მოსდით — ან მოგკლავენ, ან გადარჩები, ეს კი სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკვიდებია მისი გაქრობა-გაცამტვერება განუზრახავს... რაც დრო გადის, მით უფრო მეტ გააფრთხილებსა და სისასტიკეს იჩენს, გული არ უღებება — ბორბტია და დაუნდობელი... მუხანათი, პილწი და საზიზღარია, როგორც უბეში ჩამძვრალი გველი... თავად უჩინო, თოფის ლულას არ აცილებს და სულმდებლობად ზურგში დანახ სცემს... ცდილობს წაართვას ის, რაც ყველაზე ძვირფასია ამ ქვეყნად — სიცოცხლე!.. ისედაც წამი-

ერი გაეღვება არარაობის მარადიულ წყვილადში...

უნდა თავი იმტერიოს, ლამეები თერთად ათენოს და როგორმე ამოიციოს იღუმალი მდევარი, რომელსაც დღეს, აგერ უკვე მეოთხედ, სასწაულებრივ გადაურჩა... სწრაფად, სწრაფად, სანამ გვიან არ არის და კოკა წყალზე არ გატეხილა... ჯერ გამოიციოს მტერი, მერე კი აუხსნას და შეაგნებინოს, რომ არაფერ შეაშია და ტყუილუბრალოდ შესჩენია!

მთელი ღამე ფანჯარას არ მოშორებია, სიგარეტს მზვერავი ჯარისკაცით მუკში ეწყოდა — მტერი არ იყოს სადმე ჩასაფრებული და ნიშანში არ ამოვიღოსო... გამალებით მუშაობდა ტვინი: ჩხრეკდა და ქეჩავდა იმ უთავბოლო, მტვერწყაყრილ მასას, წარსული რომ ჰქვია... უამრავ ხალხთან ჰქონია საქმე, ათასნაირ სიტუაციებში გახლართულა... ორ ათეულ წელზე მეტია ხელმძღვანელად მუშაობს — სხვათა უფროსი და ბედის გამრიგეა... რაღა თქმა უნდა, ყველა მადლიერი არ ეყოლება, იქნებ ოდესმე ვინმე გაუწაწყენდა და იმან კი გულში ჩაიხვია ბოლმა?..

უცებ გიცივით წამოვარდა ზეზე — გაირინდა, თითქოს რაღაცას მიიყურადო... ფარდა გადასწია, იდაყვებით ჩამოეყრდნო რაფას და ახალ ადგილას გაწმინდა ფანჯრის მინა... დიდხანს, დიდხანს დაეინებით გაპყურებდა ეზონ!

არა, ამჟერად გაღაგანზე არცინ გადმომძვრალა — არც ღამის მყუდროება დაურღვევია რამეს... მირიანი შინაგანმა ხმამ წამოაგდო სავარძლიდან, უფრო სწორად, მიხვედრილობამ თუ აღმოჩენამ, ნაპერწყალივით რომ გაჰკრა უცებ ტვინში და გონება გაუნათა... საოცარია, რატომ აქამდე ვერ მოისაზრა ეს ამბავი, იმისი არ იყოს, — სათვალეს რომ ეძებ კაცი და თურმე ცხვირზე გაქვს წამოკოსებული, ანდა შუბლზე აგონევი... საკუთარ გულს ასკდებოდა ახლა: ასე რამ გამომაშტერა, რამ გამომაღუნა — ლოლა, ლოლიტა რამ გადამავეწ-

ყო... წელს არ იყო ვანა აგვისტოში გოგომ რომ დაურეკა და გააფრთხილა: იმან ყველაფერი იცის უკვე... ვუამბე, და ისეა გადარეული და გაცოფებული, მეშინია რამე უბედურება არ დატრიალდესო... ცოტა ხნით გადი ქალაქიდან, მოერიდე — ფრთხილად იყავი მაინც, ყოველშემთხვევაშიო...

აინუნშიაც არ ჩაუგდია მაშინ ეს გაფრთხილება — ეგლა მაკლია, ვილაც ნაბიჭვარის მეშინოდესო... იმ ხანად ისე იყო იუბილეს სამზადისით გართული, სხვა აღარაფერი ახსოვდა; არც მიუღია სერიოზულად — ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა, აბა ამას როგორ იფიქრებდა!.. იმ ქირიანს კი, დახეთ რა მოუფიქრებია, რა ჰქვია?.. გუგა, არა?.. გუგა ჰო, გუგა... უპ, მე მაგისი!.. გუგა სამხარაძე!.. არადა გუგა უძახე შენ — ასე რომ მიდგება საქმე, ყველა საშიშია!.. ის კი არა და გლაბისა უფრო უნდა გეშინოდეს; გლაბის გადაკიდებას ისევე კაცური კაცის გადამტერება სჯობია — იმას მაინც არ იკადრებს, რაც ამ უღლეურს უკისრია... აი თურმე, სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი...

ცოტათი დაწყნარდა, რაკი მტერი გამოიცილა და იცოდა უკვე ვისთანაც ჰქონდა საქმე... გუგას ხელზე მოუგრებდა კისერს... მოუგრებდა როგორ... იარაღს კი არ აისხამდა და მუშტი-კრივს გაუმართავდა, არამედ სიტყვით, საქმით... დაუმტკიცებდა, რომ ისეთი არაფერი მომხდარა... მომხდარა როგორ... მისიგან, მისი მიზეზით, თორემ... ახლა ამის თქმა ცოტა უხერხულია (მით უფრო — ჩანს, შერიგებულან!), მაგრამ სინამდვილეში ხომ თვითონაა აქეთ, იმ აგხორცი გოგოსაგან, შეცდენილი და გამრიყვებულები... არადა, რომ გეკითხა სიყვარულობანას თამაშობდა!.. არა, არა, ქალს არ უნდა ენდო — სულერთია ვინც იქნება და რანაირადაც იქნება. სწორია რომ ამბობენ, ქალი ეშმაკთან წილნაყარიაო... თუ საჭირო გახდა, ამას ყველაფერს საბუთებით დაუმტკი-

ცებს... დიახ, დიახ!.. აღარაფერს მოერიდება, რაკი იმ კახას თავად არ შერცხვს და ქმარს ყველაფერი ჩაუკაკლა... მართლა ეგრე კი არაა საქმე, იმ ცალტვინა ბიჭს რომ ჰგონია..

ისევე ჩაქდა საეპარძელში და მიჰყვა ფიქრთა მდინარეს, რომელმაც მალე, ახლო წარსულის მღვრიე მორევში ჩაითრია... ისე კი, თავიდანვე უგრძობდა გული, ის გოგო რომ რაღაც ხიფათს გადაჰკიდებდა, მაგრამ ასე ძლიერ თუ გამწვავებდებოდა საქმე, არ ეგონა!.. მეტი რა გზა ჰქონდა ახლა — სურდა თუ არა, მაინც დაწერილებით უნდა გაეხსენებინა ყოველივე...

• • •

აგვისტოს მიწურული იყო, კარგად ახსოვს (ხუთი წელი კი არა, საუკუნე რომ გავიდეს, ამას რა დაავიწყებს!), — დღის ბოლოს კაბინეტში ფოსტას ათვალეირებდა... ტილოს საზაფხულო თეთრი ფარდები ვერ ანელებდნენ ფანჯრებზე მოგადგამებული მზის მცხუნეარებას; მაგიდის კიდევმი მონოტონურად მოხუხუნე ვენტილატორიც, თითქოს სულს დაფავსო, დროდადრო მომაკვდავი გედივით ატაკუნებდა ფრთებს...

მოკლესახელოებიანი თეთრი პერანგი ეცემა, ხელში ცხვირსახოცი გჭირა და მალიმალ იმშრალეზდა სახეზე ოფლს... როგორც ყველა ხელმძღვანელს, მასაც სიამეს ჰგვრიდა თანამშრომლებზე ფოსტის განაწილება და უნდოდა ბარემ მოეთაყვებინა საქმე... როტატორზე გათხუზული ცირკულარები უშლდა ნერვებს: ამით გამოიზავნა ხომ იცოდა მოვალეობის გულისთვის რომ ირვებოდა და მირიანიც ამიტომ არ აქცევდა ყურადღებას — წავითხვას ვინ ჩიოდა, ოღონდაც სათაური ამოეცნო და ადრესატები მოეძებნა... საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ ლერძიან წერილებს გულისყურით ეკიდებოდა და გაკრული ხელით ადებდა რეზოლუციებს: „სახელმძღვანელოდ“, „შესასრულებლად“, „გთხოვთ მომელა-

პარაკოთ“ და ა. შ. ზოგი მათგანი კონტროლზე აპყავდა და კუთხეში წითელი ფანქრით აწერდა ასო „კ“-ს.

ნადიამ შემოიხედა, ფანჯარას მიაბყრო მხერა და როგორც იცოდა „ოღმე წასელისას, ჰკითხა — ჩემგან ზომ არაფერი ვნებაეთო. ეზოდან ისმოდა „სამომსახურეო“ ავტობუსში ჩაქვდილი ხალხის ყაყანი — ჩქარა წადით, მძღოლს ეჩხუბებოდნენ...

ის იყო საქმეს მორჩა და კაბინეტიდან გასვლას აპირებდა, ვიღაც ქალმა შემოაღო კარი...

— აჰ, რა კარგია მოვისწარიო... — შეიძლება, ბატონო?..

— მობრძანდით... — მიუგო და დაკვირვებით შეათვალიერა სტუმარი, თუმც იმას მოპარტოვებაც არ სჭირდებოდა — სწრაფად მოკუხცუხებდა სხებმცინარე... შავი ქვედაწელი, გიბიურის ლურჯი კოფთა და ლაცის წერილქუსლიანი შავი ტუფლები ეცვა, იღლიაში მომცრო რედიჯული ამოეჩარა. მაგიდას მხარი უქცია და პირდაპირ დირექტორისკენ აიღო გეზი. მირიანა ზეზე წამოიღვა.

— ვერ მიცანით, ბატონო?.. — ძალზედ ინტიმური ხმით ჰკითხა. სიტყვა „ბატონოს“ თითქოს ხუმრობით წარმოთქვამდა, — ხელი გამოუწოდა და ეშმაკური ღიმილით შემოახერხდა თვალღებში... ცხადია ვიღაც ძველი ნაცნობი იქნებოდა, მაგრამ ვერ გაიხსენა.

— უნდა გამოგიტყდეთ, ქალბატონო, რომ... — სკამი შესთავაზა, მაგრამ ქალი არ ჩქარობდა დაჯდომას. ორივე ხელით ჩაფრენოდა მის მარჯვენას და გულზე იხუტებდა.

— აბა კარგად დაფიქრდით, ბატონო მირიან... — ისეთი ხმით უთხრა, რომელსაც მალე საიდუმლოს გამკლავებდა და გრძნობათა აფეთქება უნდა მოჰყოლოდა, თან თვალღებში შესციცივებდა ალერსიანად უღიმოდა და ოქროს კბილებს მალიმალ აჩენდა.

— ნაცნობი სახე კი გაქვთ, მაგრამ... — იცრუა მირიანმა; გააღიზიანა ამ ხანშიშესული ქალის ამჩატებამ — მართ-

ლა ასე ახლობელი რომ ყოფილიყო ვინმე, ამ დრომდე ზომ მივხედებოდიო.

— ანკი რა გასაკვირია... — თქვა ქალმა. — მას აქეთ ოცდაათი წელია..

— აჰ, მედიკო, მედიკო!.. — წამოიძახა მირიანმა და ხელები გაშალა. — ეს შენა ხარ, გოგო?! — როგორც იქნა იცნო სკოლის მეგობარი, რომელიც მას აქეთ აღარც ენახა.

თვალეზგაბრწყინებულნი შეპყურებდნენ ერთმანეთს; მირიანმა იქვე შესთავაზა სკამი და თვითონაც დაჯდა.

— როგორ მიხარია, რომ ვნახე... — ამბობდა ქალი. — არ შეცვლილხარ, მირიან, — თმა გაგვლარავებია, მაგრამ ვიხედება, გასიშპატიურებს... მე კი აი, ხედავ, როგორ მომტეხა ცხოვრებამ?..

— სრულებითაც არა... — მიუგო მირიანმა. — ისეთივე ლამაზი და კარგი ხარ, ჩემო მედიკო, როგორიც იყავი, — ასაკი სულ არ გეტყობა...

იგრძნო, ქათინაური მეტისმეტად ყალბად რომ ეღერდა... მართლაც რა ძლიერი მოტეხილა, — ძველი სილამაზისა და მომხიბლაობის ნიშანწყალიც აღარ შემორჩენიათ, გაიფიქრა... მისი დამუქნარი დაწვებისა და მოღლილი იერის მიღმა, ძნელი იყო იმ ცქრილა, თეთრყირმიხა გოგოს წარმოდგენა, სკოლის მერხიდან რომ ახსოვდა... ათიოდე წლით ხნიერი ჩანდა ასაკთან შედარებით... არადა, მთელ სკოლაში უღამაზეს გოგოდ ითვლებოდა, მის გამო ბევრი ჩხუბი, შეხლა-შემოხლა და დანების ტრიალი ამტყდარა. — სოფლის რჩეული ყმაწვილკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ მედიკოს თავს — ყველა მათგანს სწავავდა ტრფობის აღი... რა დასამალია და მირიანსაც გაგიყებით უყვარდა — დამეები თეთრად უთენებია ფიქრით, თუმც არასოდეს გამოსტყდომია და არც იმ გაწვე-გამოწვევაში ჩარეულა... ფუტ ოცნებად მიაჩნდა მედიკოს დასაკუთრებაზე ფიქრი: მაშინ ზომ არც ნიჭით, არც გარეგნობით, არც ღონითა და ძალგულოვნებით არ გამოირჩეოდა... ასედაც ხდება, თურმე: ზოგი ადრე ყვავილობს, ადრე მწიფდვ-

ბა და ადრევე ამოიქაშს საკუთარ თავს — ზოგი კი მოგვიანებით, ნელ-ნელა იფურჩქნება!..

ნეტა თუ ხედებოდა რაიგ მომწონდა და მიყვარდაო, გაიფიქრა... მაშინ ხომ გოგოს ცა ქუდად არ მიანდა და დედამიწა ქალამნად, — მთელი სოფელი, დიდიან-პატარაიანა მასზე იყო გამოჩნურებული; შესაძლოა, მათ შორის ოდესმე მირიანიც იგულისხმა...

ფიქრიანი მხერა შეავლო და გულდასმით შეათვალეირა: ხომ არ შეიძლებოდა ახლა იმ ძველი ტრფობის გახსენება, ასე მძაფრად რომ ჩარჩენოდა გულში და სიბრაღულს აღუძრავდა საკუთარი თავისადმი, მაშინდელი ბეჩავი და დუხჭირი ყოფის გამო?..

ქალმა იგრძნო მამაკაცის შეცვლილი მხერა და აწრიალდა — გულისპირი შეისწორა, კაბის კალთები შემოიკეცა, უხერხულად ხომ არ ვზივარო... მირიანმა ოდენე ჩაიღიმა და თვალი მოარიდა — ჯერ ხომ არ იცის როგორ წარიმართა ამ ქალის ბედი, დაოჯახდა თუ არა... ისე, ეტყობა, დიდი გალაღებული ცხოვრება არ უნდა ჰქონდეს, — მარტო გარეგნულ ცვლილებებზე კი არა, ისედაც — ჩაცმა-დახურვაზე და საერთო იერზე... გული დასწყდა — იგრძნო დროთა სრბოლის დაუნდობლობა და სისასტიკე, რომლის მსახვრალი ხელი, მართალია მას ჯერ არ შეჭებია, მაგრამ მედიკოს სიტურფე კი გაუცამტვერებია... ვერაფრით ვერ წარმოიდგინა თავი ამ ქალის ბუღუარში... „როგორც დედაკაცი, ის უკვე აღარ ვარგა... — გაუელვა გონებაში. — საყვარლად არ გამოდგება!..“ იღუმალმა გულისტივილია და სინანულმა რომ გაუარა, რაიც მის შეგნებაში ამ დასკვნის გაცნობიერებამ გამოიწვია, კვლავ მეგობრული სხივი ჩაუდგა თვალებში, დასერიოზულდა და ცოტა ოფიციალურიც კი გახდა...

მოიგონეს ბავშვობა, სკოლა... გაიხსენეს თანაკლასელები, რომელთაგან ზოგი ომში დაღუბულიყო, ხოლო სხვებს თავთავიანთი ბუღეები გაეჩინათ

და სოფლად თუ ქალაქად მიმოფანტულიყვნენ. მედიკომ აღიარა: მათგან ყველაზე ცნობილი და გამორჩეული კაცი შენა ხარო!..

— ჰქუა ჰქენი მაშინვე რომ გაიქეცი სოფლიდან... უმადლესში ჩაირიცხე, გაგიმართლა... მეგონი ომსაც შემორდი, არა?

— როგორ გეკადრებათ, — იწყინა მირიანმა. — მეორე კურსიდან გამოყვანეს და მთელი ოთხი წელი დაეყავი ირანში... კავალერისტი ვარ, — ურმიაში იდგა ჩვენი ნაწილი... ისე, რა თქმა უნდა, მაინც გამართლება ჰქვია, ფრონტზე რომ არ მოვხვდი, თორემ ახლა ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა მიწაში...

მედიკომ მოკლედ უაზბო თავისი ცხოვრება: ომიანობის წლები გოგოს სოფელში გაუტარებია, — მერე ქალაქად გადმოსულა, საფერშლო ტექნიკურში დაუშვათარება და ეწათ აქაურ კაცს ცოლად გაჰყოლია. სამი შვილი შესძენიათ, მაგრამ უფროსი ვაჟი მალე დაღუბვიათ... შარშანწინ მეუღლე გარდაცვლოდა, რომელიც პროფესიით ინჟინერი ყოფილა და სადღაც საბროექტოში მუშაობდა, თურმე, განყოფილების გამგედ...

მისი საუბრიდან ირკვეოდა, რომ დიდი წელგამართული, ტკბილი ოჯახი არ ჰქონიათ, და საერთოდ, ბედით კმაყოფილი ვერ ზყო... „გრიშო თავს პაციონებაზე დებდა... — ვერ წარმოედგინა, ხელფასს გარდა თუ რამ შეიძლებოდა გაეეთებულებო, ისე ჩავიდა მიწაში!..“ — გამოუტრია ქალმა საუბრისას... ამას წინათ შემთხვევით რაღაც „სტატია“ წაეკითხა მირიანზე და ახლა იმით მოეგნო...

— კი მერიდება, ბატონო მირიან, — სახეზე უაღრესი მოკრძალება გამოეხატა და რატომღაც „თქვენობით“ მიმართვაზე გადავიდა მედიკო. — მარა, შეგაწუხობთ უნდა... თქვენი დახმარება მჭირდება!

— დიდი სიამოვნებით... მიუგო მირიანმა. — თუ კი რამ შემიძლია!..

გულში მაინც არ ეამა — აი, თურმე,



რა ყოფილაო: მე კი მეგონა სიყრმის მოგონებებმა არ მოასვენესო... „რას იზამ, ყველაფერს პრაქტიკული თვალსაზრისით ზომავს ხალხი!“ ევაჯრებოდა, როცა რამეს სთხოვდნენ — არადა, ჭევეყანა აწუხებდა...

— ბავშვმა აიჩნება, მაინცდამაინც ტექნოლოგიური მინდაო, — დაიწყო მედიკომ და ცხვირსახოციტ ნიკაპზე ოფლი შევიშრალა. — წელს დაამთავრა სკოლა და „გებეში“ აბარებდა, მაგრამ, რა დასამალია — ჩაიჭრა... მინდა ახლა სტაჟის გულისთვის მუშაობა დავაწყებო — გაიხად მაინც გამოადგება... იქნებ წელსაც მოხერხდეს რამე, ოქტომბერში, დამატებით, დაუსწრებელზეო, მითხრეს... ისედაც კარგია, — ერთ-ორ კაბიკს შემოიტანს ოჯახში, ჯიბის ფულს მაინც აღარ მომთხოვს... ვიფიქრე, ვიფიქრე და ის სტატია რომ წავიკითხე, გადავწყვიტე... შავ მუშად არ მინდა მეცოდება — ძალიან ნაზი და სათუთი ბავშვებია... იქნებ რამე იოლი გამოუძებნოთ, **ახელა ქარხანაა!**..

— მდა... — თქვა მირიანმა და თავი ჩაქინდა. — რომ არ მოგატყუო, ჩემო დაიკო მედიკო, ეგ ცოტა საშარო საქმეა, მაგრამ ენახოთ, მოვიფიქროთ...

— თქვენი პირივე, ბატონო მირიან, — ღმერთი იქნებით ჩემი!..

ყველაზე მეტად სწორედ ეს ეძნელებოდა: უამრავი ხალხი სთხოვდა შვილის მოწყობას, მეტწილად „სტაჟის გულისთვის“, თანაც „შავ მუშად“ კი არა, — „იოლ სამუშაოზე“... სამსახურშიაც არ სურდათ მოსვლა, — მთავარი იყო ხელფასის უწყისში შეგვეყვანა; ფულიც კი არ უნდოდათ შენი, ოღონდაც ცნობა მიგვეცათ, ინსტიტუტში წარსადგენად!

რადას არ იგონებდა თავგაბებრებულ მათ მოსაგერიებლად: განცხადებას დააწერინებდა, რეზოლუციას დაუდებდა და კადრებში აგზავნიდა... თუ რეზოლუცია წითელი ფანქრით იყო ნაწერი, კადრების ინსპექტორმა იცოდა, რომ უარი უნდა ეთქვა, მაგრამ მაშინვე

კი არ მიახლიდა პირში, არა — ერთ ორ თვეს მაინც ატარებდა... თუმცა ზოგი ისეთი ხალხისგან იყო მოგზავნილი, უარს ვერ ეტყოდა და კადრების უფროსს ისიც მშვენიერად მოეხსენებოდა, მწვანე ფანქრით წაწერილი რეზოლუცია სამსახურში მიღების თანხმობას რომ ნიშნავდა!

— ახლა, ამ წუთას, ისეთი არაფერი მაქვს, ჩემო მედიკო დაიკო... მომავალში ენახოთ... დატოვეთ მაინც განცხადება, კადრებს გადაეუგზავნი და თუ რამე გამოჩნდება, შეგატყობინებთ, ანდა თქვენ თვითონ გამოიარეთ იქითა კვირაში... მირიანაც „თქვენივით“ მიმართვაზე გადავიდა რატომღაც, — ქალღი და ავტოკალამი გაუწოდა ქალს — საფანქრიდან წითელი ფანქარი ამოიღო და რეზოლუციის წასაწერად მოემზადა.

— განცხადება გამზადებული გვაქვს უკვე, ბატონო... — უთხრა მედიკომ.

— მოიტათ, აბა... სად არის?

— ბავშვსა აქვს... მისაღებში მელოდება, — მოეროდა შემოსვლა!

— დაუძახეთ მერე, მოიტანოს... — მირიანმა წარბი შეიკრა, საქალაქე გადაშალა და კვლავ ფოსტას დაუწყო თვალეირება.

ქალი ფაცი-ფუციტ წამოხტა, ფეხის წვერებზე გაიარა ოთახი, კარი გამოალო და „ბავშვს“ ანიშნა — არიქა, ჩქარა, შემოდიო...

მირიანს ესმოდა მოახლოებული ნაბიჯების ხმა... იცოდა, დედა-შვილი უკვე თავს ადგა, მაგრამ მაინც ქალაქებს ჩაკვირკიტებდა... მედიკოც ველარ ბედავდა „შეწუხებას“, რადგან მყისვე იგრძნო, მისი თხოვნის შემდეგ სიყრმის მეგობარი ოფიციალური რომ გახდა! ამას ვინდა ჩიოდა, ოღონდ კი დახმარებოდა... ჩემგანაც მეტი მორიდება და მოკრძალება სჭირო, — მერე რა რომ სკოლაში ერთად ვსწავლობდითო, გაიფიქრა...

თავი რომ ასწია, გაკვირვებისაგან ლამის პირი დაალო მირიანმა: მის წინ ყაყაოსფერ წითელ კაბაში გამოწყო-

ბილი, ჩვიდმეტოიდე წლის სახელაღწეო-ლი დამფრთხალი ქალიშვილი იდგა.

წელან რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს „ბავშვი“, რომლის სასახურში მოწყობასაც ძველი მეგობარი სთხოვდა, უთუოდ ვაჟი უნდა ყოფილიყო, და ახლა, ქალიშვილი რომ შერჩა ხელში, საბჭად დარჩა...

მეორე, რამაც განაცვიფრა, იყო საოცარი მსგავსება დედა-შვილისა... თითქოს დროის მდინარე ოცდაათიოდე წლის წინანდელ კალაპოტში გადავარდნილიყო და მედიკო იდგა ახლა მის წინ — ახალაფეთქებული და თეთრყიარმიზა, თქმოსრული და მკერდსავე, — ვისი გულისთვისაც, ურთიერთს წაკიდებული ურა-ურა ბიჭები, დანების ფრიალ-ფრიალით დასდევდნენ ერთმანეთს სკოლის დახავსებული, ძველი შენობის უკან: კაბაც ისეთივე ეცვა, უბრალო დეკოლტე — სახელოვნა, გულისპირსა და ქობაზე ზიგზავისებური თეთრი ზონარა რომ ჰქონდა შემოყოლებული...

— დაბრძანდით, დაბრძანდით... — წამოიწია და განცხადება ჩამოართვა გოგოს, რომელიც მოკრძალებით ჩამოჯდა სკამზე და მუხლისთავეებთან კაბა შემოიკეცა... მირიანმა თვალი ჰკიდა როგორ გამოინაკეთა თხელ კაბაში მისა მსხვილი ბარძაყები...

— ერთი სიტყვით, — განაგრძო მან ოფიციალური ხმით. — ვეცდები დაგმხმაროთ, თუ რამ საშუალება მექნა... ჩერჩერობათ კი, როგორც მოგახსენეთ, ისეთი არაფერია...

წითელი ფანქარი უკანვე ჩადო საფანქრეში, მწვანე ამოიღო და განცხადებას სასწრაფოდ რაღაც წააწერა. მერე გაიღიმა და ოდნავ მიღლილი ხმით, შინაურულად დასძინა:

— ახლა კი, ჩემო მედეა და ჩემო... — შეყოყმანდა, განცხადებას ჩაჰხედა.

— ლოლა... — თქვა გოგომ და ბავშვივით დაირცხენია.

— პო... ჩემო მედეა და ჩემო ლოლატა... ნება მიბოძეთ, რაჟი დღეს ჩემი სტუმრები ბრძანდებით, ტრადიციისა-

მებრ, ქარხნის პროდუქციით გაგამასპინძლდეთ!..

კარადასთან მივიდა, სადაც თაროებზე, სხვადასხვა ფორმის ქილებში, ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის საჩვენებელი ეგზემპლარები იყო გამოფენილი... მაგიდაზე ფოჩებიანი, მომცრო ხელსაწმენდები გაჰფინა, — გამკვირვალე პაწია ლამაქები, მაღალყელიანი ბროლის ქიქები და მოოქროვილი კოვზები გამოაღვა კარადიდან; მერე ალუბლის, კომშის, ლელვის და კაკლის მურაბები გახსნა; ვაშლის, ატმის, ყურძნისა და ბროწეულის წვენი ჩამოღდა ლამაზი გრაფინებში... დაჯდა და თავაზიანად გაუმასპინძლა დედა-შვილს. მანამდე კი ფარდები გადასწია და ფანჯრები გამოაღო; მზე გადამდგარიყო — საღამოს პირზე მტკვრის ხეობაში საამო, გრილი ნიავი ქრთდა...

მედიკო ალტაცებული დარჩა ესოდენ გულთბილი მიღებით და თავს ჰკიცხავდა — რამ მომაჩვენა წელან, თითქოს მირიანი თანამდებობას გაეფუჭებინოს, — თვითკმაყოფილი, უგულო, უკარება და ამბარტევანი გაეხადოსო... არა არა — ისევ ის მირიანი იყო; დინჯი, ჰკვიანი, ფრთხილი და წინდახედული, მაგრამ ოდნავ გულჩათხრობილი...

— შესანიშნავი კაკლის მურაბაა, — მოუწონა ქალმა. — რატომ მაღაზიებში არ იყიდება?..

— ცოტას ვუშვებთ. — უთხრა მირიანმა და ლოლიტას ბროწეულის წვენი დაუსხა. — თითქმის მთლიანად ექსპორტში მიდის; ინგლისელებს მოსწონთ ძალიან.

— პირის გემო ჰქონიათ... არც მე დაეწუნებდ!

— თქვენთვისაც გამოიძენება, — გაგატანთ... — მიუგო მირიანმა. — თაფლს ზომ არ გასინჯავდით?..

— რატომაც არა... — გათანამდა მედიკო. — თაფლსაც ამზადებთ?

— თაფლს ფუტკარი ამზადებს, — გაიციინა მირიანმა. — ჩვენ თერმობულად ვამუშავებთ და ქილებში ვასხამთ.

მომცრო ქილა გამოიღო კარადიდან,

რომელსაც ეტიკეტზე ოქროსფერი ფურცარი ეხატა. გამჭვირვალე ლამაზ-ზე ნახად იღვრებოდა ზღანტი სითხე.

— უარს ვამბობ კაკლის მურაბაზე, — ისუმრა მედიკომ. — თავლი მირჩენია წასაღებად!..

აქეთობას ქალები რუსთავის ავტობუსს გამოჰყოლოდნენ, მაგრამ კონდუქტორის არასწორად მიესწავლებინა საკონსერვო ქარხანა — კაი გვარიანად ჩასცილებოდნენ გადასახვევს, — მერე ფხვით ევლოთ და მიტომაც შემოჰგვიანებოდათ... იქითობას მირიანმა წაიყვანა დედა-შვილი, მანამდე კი საწყობის კარებს მიაყენა მანქანა, საბარგული გახსნა და გამგეს უბრძანა, თითო ყუთი: თავლი, კაკლისა და ლეღვის მურაბა, აგრეთვე ატმის, ყურძნისა და ბროწეულის წვენი ჩააწყვეო...

სახლამდე მიიყვანა და თავისი ხელით გადმოუღო ყუთები... მედიკომ აღარ იცოდა მადლობა როგორ გადაეხადა... კი დაინახა წელან, რალაცებს რომ ალაგებდნენ საბარგულში, მაგრამ ალბათ შინ მიაქვსო, გაიფიქრა... რას წარმოიდგენდა, მისთვის თუ იყო განკუთვნილი: დიდი-დიდი, ორ-სამ ქილას ელოდა!

— ლოლიტას საქმე როგორ იქნება?.. — ჰკითხა.

— როგორც ვითხარით, ჩემო მედეა, — მიუგო მან. — ვეცდები რამე ვუშოვო ან ჩემთან, ან სადმე სხვაგან.

— თქვენთან, თქვენთან, ბატონო მირიან. — ყელი გამოუწია ქალმა. — თქვენთან მირჩენია, — ბავშვსაც მიმიჩედავთ და გული უფრო საგულეს მექნება!

— ენახოთ, ენახოთ... — გაიცინა მირიანმა. — დარეკეთ, ან ამ ორ-სამ დღეში გამოიარეთ!

საქვს მიუჭდა და მანქანა ნელა დაძრა... სარკეში ხედავდა როგორ შედიოდა ყუთების სიმძიმისაგან წელში მოხრილი ქალი ეზოში, ხოლო გოგო ჰიდრის ქვეშ იდგა და მანქანას გამოჰყურებდა...

\*\*\*

ხუსტად ერთი კვირის შემდეგ, გოგომ ლაბორანტად დაიწყო მუშაობა პირველ საამქროში; სპეციალური აპარატით, რომელიც მიკროსკოპს ჩამოკავდა, სხვადასხვა წველებისა და ნახარშების შეჭრიანობა უნდა გვეზომა. იოლი საქმე იყო და სწრაფად აითვისა; მალე ქარხანაში ყველამ შეიყვარა სიცოცხლით სავსე, მოკრძალებული ქალიშვილი — გაიგეს, დირექტორის ნათესავიო და ამის გამოც სცემდნენ პატივს. თავისუფალი დროც რჩებოდა საკითხავად და სამეცადინოდ... ერთი სიტყვით, თავს ბედნიერად გრძნობდა: სამსახური კი ჰქონდა ცოტა მოშორებით, მაგრამ ქარხნის ავტობუსს დაჰყვებოდა, რომელიც სწორედ მისი სახლის წინ ჩამოივლიდა ხოლმე, ანაგის ქუჩაზე.

ერთხელ, დილით, ავტობუსს რომ ელოდებოდა, მირიანმა ჩაიჭროლა «ვოლგა»; ეტყობა გვიან იცნო, რაკილა ოციოდე მეტრის მოშორებით შეაჩერა მანქანა — მოტრიალდა და ხელი დაუქნია... გოგომ მიიბრინა.

— დაბრძანდით, ლოლიტა, წაგვიყვანთ. — უთხრა და კარი გაუღო.

— ავტობუსს გავყვები, ბატონო, საცაა ჩამოივლის... — დაირცხვინა გოგომ. არ ეგონა თუ გაუჩერებდა; იფიქრა, ალბათ ტრესტში ან სადმე აპირებს გაელას და ქარხანაში უნდა, ნადიასთან, რამე დამაბაროსო... ეამა თქვენობით რომ მიმართა, როგორც თავის ტოლს... მანქანიდან მუსიკის ხმა ისმოდა.

— დაჯექით, ლოლიტა, — გაუღიმა მირიანმა. — მეც ქარხანაში მივდივარ! დაჯდა და კარი მოიხურა. მირიანმა მაგნიტოფონი გამოართო; მანქანა დაიძრა... გოგო უხერხულად გრძნობდა თავს დირექტორის გვერდით — წარამარა ხან თმის ისწორებდა, ხან — კაბის კალთას.

— როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?.. — ჰკითხა მირიანმა.

— კარგი... — მიუგო დიმილით. — თქვენი დიდი მადლობელი ვარ!

— ეგ რა სალაპარაკოა, იმიტომ კი არ გკითხეთ... გამოცდებისთვის ხომ ემზადებით?

— დიახ... გაისად მინდა ჩავაბარო — ამასობაში სტაუსაც დაეაგროვებ.

— აკი თქტომბერში უნდა იყოს რაღაც დამატებითიო, ქალბატონმა მედიკომ რომ ბრძანა?!. თუ თქვენ დაუსწრებელზე არ ვსურთ სწავლა?

— მომზადებას ველარ ვასწრებ, მანამდე ცოტა დრო რჩება.

— რატომ?... მთელი თვეა წინ.. დაჯექით და იმეცადინეთ, — სულაც ნუ ივლით სამსახურში; დახასიათებას მოგცემთ და ისედაც დაგეხმარებით, — უამრავი ნაცნობ-მეგობრები მყავს ინსტიტუტებში!

— გმადლობთ... — უნდოდა დაეტანებია „ბატონო მირიანო“, მაგრამ მოერიდა, ზედმეტ სითამამედ არ ჩამოშარტვასო. — ენახოთ, თუ მოვასწარი...

— შეიტანეთ უთუოდ საბუთები, — ურჩია მირიანმა. — ერთი წელი რად უნდა დაეკარგოთ?!

— რატომ გამოართვთ წელან მაგნიტოფონი?... — ღიმილით უთხრა გოგომ, სანაპიროზე რომ გავიდნენ და მანქანამ სისწრაფეს უშატა. — ჩართეთ რა ისევ, თუ შეიძლება!..

— როგორ არა, — ახლავე!.. — გადაიხარა და ჩამრთველს მისწვდა; სალონში კვლავ გაისმა ჭაზის ხმა. — ვიფიქრე არ დამკინოს-მეთქი... ჭაზები ხომ უფრო ახალგაზრდულია, თქვენი ასაკის გოგონებს კი მე, უკვე აღმათ, ბებრად ვეჩვენები!

— რას ამბობთ, ბატონო მირიან... — გაიცინა გოგომ.

— გიყვართ მუსიკა? — ჰკითხა მან.

— შეიძლება განა ადამიანს მუსიკა არ უყვარდეს?..

— რატომაც არა... შეძლებით ყველაფერი შეიძლება ამ ქვეყნად, მაგრამ რა ხან თქვენ ასე გყვარებით, ზოგჯერ კარგ ჩანაწერებს მოგასმენინებთ ხოლმე!..

მალე საკონსერვო ქარხნის მშობლავი

მიღებინე გამოჩნდნენ; მირიანმა ზედსაამჭროს კართან ჩამოსვა გოგო.

მერეე რამდენჯერმე დაემგზავრა, და ქალიშვილს ეამყებოდა დირექტორის გვერდით გაკრიალებულ მანქანაში ჯდომა; შეეჩვია და არავითარ უხერხულობას აღარ გრძნობდა. მირიანი არ ჰგავდა იმ ზღენძია დირექტორებს, სალაპარაკო რომ ამადლიან უბრალო თანამშრომლებს — თანატოლივით ექცეოდა, მზიარული და გულლია იყო; ხანდახან ანექლოტებსაც კი უყვებოდა, აცინებდა... ხშირად ეკითხებოდა, გამოცდებისათვის ხომ ემზადებით, და მართლაც აღებინა წიგნი ხელში; საბუთები თითქმის ძალად შეატანინა, თან დაარიგა როგორ მოქცეულიყო: თუ ვინმე ჰკითხავდა, დევიძე რა ახის თქვენიო — ბიძაო, უნდა ეთქვა... რა ბედნიერია, ვინაც მართლა ასეთი ბიძა ჰყავსო — ფიქრობდა თავის გულში გოგო.

იმის ეშინოდა, არ ჩავიჭრე, სირცხვილი არ ეკამოთ და უცებ სტუდენტი არ გახდა!.. ერთხელ ჰკითხეს მხოლოდ (მათემატიკის გამოცდაზე), დევიძე რა არის თქვენიო და — ბიძაო, მანაც მიუუგო; მაშინვე კი დაეტყო, რომ ცრუობდა — ლაწევები წამოენთო, თავი ჩაღუნა, მაგრამ გამომცდელს ყურადღება არ მიუქცევია. სხვები ძველი ნაცნობებით უღიმოდნენ, თითქოს იცოდნენ უკვე მირიან დევიძე მისი ბიძა რომ იყო... ერთი სიტყვით, იმაზე მეტი გაეკეთებინა, ვიდრე შეჰპირდა, თან მადლობასაც ვერ გააგონებდი (ანკი რა მადლობით გადაიხდებოდა ეს პატივისცემა!), — მაინცდამაინც ჩემს დამსახურებას წუ მიაწერთ ამ ამბავსო; მე უბრალოდ გადაუყარი სიტყვა ერთ კაცს, დანარჩენი, ჩანს, თვითონვე გიყოჩაღიაო... იმდენს კი ხედებოდა, თავმდაბლობით მოსდიოდა და სინამდვილეში დიდად იყო მისგან დავალებული. პირველად ხედავდა ასეთ მადლიან კაცს — რა თქმა უნდა, დედამისის ხატორით უკეთუბდა ყველაფერს, მაგრამ განა ესეც მის ადამიანობაზე არ მეტყველებდა?... მეგობრობას კი არა, ზოგი სისხლით ნათესაო-

ბას არ დაგიდევს და ზედ არ შემოგბე-  
დავს, რაგინდ დაღვინებულიც იყოს...

ყველაფერი მოსწონდა მისი: სიტყვა-  
პასუხი, თავდაჭერილობა, გარეგნობა...  
სულ არ ეტყობოდა, ორმოცს გადაშო-  
რებული რომ იყო და მალე ორმოცდა-  
ათს მიუტაკუნებდა... რა ენერგიული სა-  
ხე ჰქონდა, როგორ ამშვენებდა გვერ-  
დზე გაყოფილი, ლამაზად გადავარცხ-  
ნილი ქალარა თმა... რა ჰქვიანური გა-  
მოხედვა; ყველას იმორჩილებდა... სასა-  
ცილო ის იყო, ქარხანაში ზოგს კიდევ  
რომ ეშინოდა მისი — ახლოს არ იც-  
ნობდნენ, ალბათ, თორემ შეიძლებოდა  
განა, ასეთი ღვთისნიერი კაცისა შეგ-  
შინებოდა?!. თვალეზი გაუბრწყინდებო-  
და ხოლმე, როცა მის „ვოლგას“ და-  
ინახავდა — შორიდანვე სცნობდა... ხან-  
დახან ავტობუსი უწინ ჩამოივლიდა და  
ხასიათი უფუჭდებოდა, რაკი იძულებ-  
ული იყო იმას გაჰყოლოდა, მაგრამ მე-  
რე ჰქუა ისწავლა და მოგვიანებით გა-  
მოდოდა სახლიდან, ანდა ავტობუსს  
რომ მოჰკრავდა შორით თვალს, ეზოში  
იმალებოდა!

• • •

შაბათ დილას, მირიანი, საკუთარი  
მანქანით სამსახურში მიდიოდა. წინა  
სალამოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეები  
ერევანში გაემგზავრნენ საექსპურსიოდ:  
ციოდა, გოგოც აპირებდა წასვლას,  
მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მაინც  
ანაგის ქუჩაზე გაუხვია და გაუვირდა,  
ავტობუსის გაჩერებაზე ლოლიტას რომ  
მოჰკრა თვალი.

ნოემბრის მიწურული იყო, ციოდა;  
ასფალტი წვიმის მსხვილ წვეთებს გადა-  
ეჭრებოდა. იმ ღამეს მთებზე პირვე-  
ლად მოთოვა და ქუჩებში მსუსხავი ქა-  
რი დათარეშობდა... მობუზული იდგა  
ტელეფონის ჯიხურს მოფარებული —  
გამჰვირვალე ლაზადა ეცვა, რომლის  
ქვეშაც ყვეთელი ჟაკეტი და შავი ქვე-  
დაწელი მოუჩინდა... მანქანა გაუჩერა,  
ჩაისვა და ჰკითხა, რად არ წახვედიო.  
გოგომ დამნაშავესაგით გაუღმია.

ბოლოს გამოუტყდა: პალტო უნდა

მოეტანა სპეკულიანტს და  
ტაო, — იქ მივდივარ ახლა, შინ უნდა  
მივაკითხოო. პაწია ჰრელი საფულე  
ეპირა ხელში.

მცოდნოდა, მე გამოვნივლებითო,  
უთხრა მირიანმა, ნაცნობების მეტი რა  
მყავს ცეკავშირის ბაზაშიო; გნებავთ,  
ახლავე წავიდეთ: ვილაც ოხერს ორმავე  
რად უნდა მისცეთ, — იმით კიდევ ერთ  
თავ რამეს იყიდითო.

— ყველაფერზე თქვენ როგორ შე-  
გაწუხობთო, — თავშეკავებული სიხა-  
რულით მიუჭო გოგომ, რომელსაც სი-  
ცივისაგან ხელეზი გაღურჯებოდა...

მერე თვალეზი აუჭრელა და გული  
სიხარულით აუჩქროლა თაროებზე გა-  
მოფენილი უამრავი იმპორტული საქონ-  
ლის ხილვამ. ჰაერი ნაფთალინისა და  
ახალი ტანსაცმლის საამო სურნელებას  
გაეჭვინთა.

საწყობის გამგე, წვრილთვალეზა,  
გრძელცხვირა კაცი, რომელსაც დაბამ-  
ბული შავი ჯურტაკი ეცვა და ყურებ-  
აკეცილი ბეწვის ქუდი ეხურა, ერთ-  
ერთ თაროსთან შედგა და ჰკითხა, რა  
ზომა გნებავთო... ლამაზად დაგვირის-  
ტინებულნი დია შინდისფერი პალტო  
ჩამოიღო და გაუწოდა...

გოგომ იქვე მოსინჯა...

— მოგწონთ?.. — ჰკითხა მირიანმა.

— ცოტათი დიდი მაქვს... — ჩაილა-  
პარაკა მან.

— კარგად გაქვთ, ძალიან გიხდებათ!  
თვითონაც კი გრძობდა, მშენებრად  
რომ აღდა ტანზე, მაგრამ შეეშინდა, ვი  
თუ ფული არ მეყოსო; გაიხადა და  
გულდაწყვეტილმა უკანვე თაროზე და-  
დო.

იქვე, თავმოლივებულ ბარდანაში, ყა-  
ვისფერი ჰურჭი შენიშნა. სული შეუფ-  
რინდა შიგ, ისე მოეწონა და, ხომ იყო-  
და მყიდველი არ იყო, მაინც ცდუნებას  
ვერ სძლია — წაეტანა... ისე, უბრა-  
ლოდ, დასათვალიერებლად!

— შეიძლება გავისინჯო?..

— დიახ, დიახ — რა თქმა უნდა!

ქალიშვილმა ჩაიკვა ჰურჭი და ღი-  
ლები შეიკრა.

— სარკე ხომ არაა აქ სადმე?..

— არა, ქალბატონო, სარკეს აქ რა უნდა... — ღიმილისაგან კაცს კიდევ უფრო დაუეწიწროვდა თვალები, ცხვირი დაუგრძელდა.

— მე ვარ თქვენი სარკე... — გაიცი-  
ნა მირიანმა. — ისე გიხსენებთ, მეტი  
რომ აღარ შეიძლება... რათ, არ მოგ-  
წონათ? — ჰკითხა, ყოყმანი რომ დაატ-  
ყო.

— მართო მოწონებაზე ხომ არაა საქ-  
მე... — წამოსცდა გოგოს. დანაღვლი-  
ანებულმა გაიხიდა ქურჭი, მაგრამ მაინც  
არ ეთმობოდა და ხელში ეჭირა... რა  
ღამისად ჰქონდა მაინც კალთები და სა-  
ხელოები მოქარგული ნატიფი ნაყმე-  
ბით...

— რა ღირს ნეტავი?..

საწყობის ვამგემ იმხელა ფასი დაუ-  
ახელა, გოგომ მიმინვე ცივად დაღო  
ქურჭი.

— ეგ ერთი ცილია დარჩენილი, —  
განავრო იმან. — წრეულს მეტი აღარც  
მოფა, ამოწურულია ფონდები.

— მე მგონია, არაა ხელიდან გასაშ-  
ვები, — უთხრა მირიანმა. — ფული  
თუ არ გყოფნით, გასესხებთ, — ამის  
გამთ ხომ არ იკავებდით თავს?..

— თუ მაგ სიკეთეს მიზამთ, ბატო-  
ნო მირიან, მალე დაგიბრუნებთ... —  
მუდარით საესე თვალებით შეხედა. —  
ლატარიას ვთამაშობთ ქარხანაში გოგო-  
ები!

— მე არ მეჩქარება, — მიუგო მან  
ღიმილით. — როცა შესძლებთ, მაშინ  
გადამიხადეთ.

ჭიბიდან ფული ამოიღო და საწყობის  
გამგეს ჩაუთვალა!

გოგოს გული აოტოკდა: იქვე, თარო-  
ზე, ღამისა ჩექმები შენიშნა, — სწო-  
რედ ისეთი, ამ ქურჭს რომ მოუხდებ-  
ოდა; ყელიც იმგვარივე ნაყმებით  
ჰქონდა მოქარგული... რაკე მირიანმა  
ქურჭის ფული მთლიანად ასესხა, თავი-  
სი... ამ ჩექმების ყიდვა გადაწყვიტა.  
სვამზე ჩამოქდა, წინ ქალაღი გაიფინა  
და ჩაიცვა... ისე იყო აღგზნებული,  
ვერც კი შენიშნა კაბის კალთები მუხ-

ლებს ზემოთ რომ წამოიწია. მირიანმა  
დაინახა მისი ქათქათა, თეთრი ბარძა-  
ყები და თვალი მოარდა...

გოგო წამოდგა, იატაკზე ფეხები და-  
აბაკუნა, ჩექმები მოირგო და, რა ღირ-  
სო, საწყობის გამგეს ჰკითხა... დიდე-  
ბულად გამოიყურება ახალ სამოსელში.

თხუთმეტი მანეთი აკლდებოდა, მაგ-  
რამ მაინც რამდენიმეჯერ გადათვალა  
ფული, თითქოს თვლაში წაემატებოდა  
რამე. მირიანმა შენიშნა მისი გასაჭირი  
და კვლავ არ გადაახდევინა.

— არ დაგეკარგებთ, ბატონო მირი-  
ან... — ეუბნებოდა სიხარულით ატანი-  
ლი და აღგზნებული.

— რომ დამეკარგოს, არ ვინანებ, ისე  
გიხსენებთ!.. — ღიმილით მიუგო მან.

გოგომ ახლა ღალისფერი ღილებით  
გაწყობილი ნაქსოვი შალის კაბა დაინა-  
ხა და სადაურაოდ, იკითხა.

— ფრანგული ვახლავთ, ქალბატონო  
— მოგართვით?

— შეახვიეთ, — უთხრა მირიანმა და  
კვლავ ვამგეს გაიკრა ხელი.

— ესეც დიუმატეთ, ბატონო მირიან,  
— ეუბნებოდა გოგო და ხელში ფულს  
ანგზნებდა; ამჯერად ოცი მანეთი აკლ-  
დებოდა...

— არაუშავს, არაუშავს, ლოლიტა...  
ეალებს მიათვალეთ!

უკან გამობრუნებისას ისეც იმ პალ-  
ტოსაგან გაეჭეა თვალი, პირველად  
რომ მოისინჯა. საგაზაფხულოდ უკე-  
თესს რას ინატრებდა...

— ნუ ყოყმანობთ, ლოლიტა, — ყო-  
ველთვის კი არ შემოგვიშვებენ აქ... არა,  
ბატონო ბიკენტი? — გამგეს მიუბრუნ-  
და, რომელსაც ბეწვის ქუდის ავეცილი  
ყურები აქეთ-იქეთ გადმოფლარტოდა.  
— პალტოს ფულსაც გასესხებ, კიდევ  
დამჩნა ცოტაოდენი; თქვენ კი, რახან  
ასე გულით გინდათ დახარჯოთ, სხვა  
რამე იყიდეთ!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!..  
— კვერი დაუკრა ბიკენტომ.

თავისი ფულით გოგომ ყურებიანი  
ბეწვის ქუდი, შხარზე გადასაკიდებელი  
ტყავის ჩანთა და თავშალი იყიდა. მირი

ფარშევანგის ბოლოსავით ლამაზად მოხატულ იაპონურ ქოლგაში შეუფრინდა სული... მირიანმა ჯიბეები ამოიფხვკა, როგორც იქნა მოუყარა თავი-საპირო თანხას და იმაზედაც აღარ დაწყვიტა ვული..

გოგო სიხარულისაგან ფრთებშესხმული ბრუნდებოდა შინ: ნავაჭრი მანქანის უკანა სალონში სავარძელზე ვლია... რა ბედნიერ ფეხზე მიიყვანა დედამ ქარხანაში... რა კაცი ყოფილა მირიანი!.. შესძლებს კი ოდესმე, ნეტავი, მისი ამავის გადახდას?.. ვერა, ვერა... მარტო მადლობის ძახილი კმარა ვანა?.. აბა სხვა რა შეუძლია — მირიანს მისი არაფერი სჭირდება!..

— როგორ გაუკვირდებათ ჩვენებს!.. — თქვა მან სახლს რომ მიუახლოვდნენ.

— იქნებ არც ესამოვნოთ, ამხელა ვალი რომ დაიდეთ...

— ძმას არ ვავეგებინებ... არც დედას... თუ შეითხვევ, ვეტყვი ლატარიის ფული ავიღე-მეთქი!

— საჭიროა ვანა ტყუილის თქმა?

— დიახ... გამიჯავრდებიან, ფულის დასესხება როგორ შეძვდეთ... დედა ისეთ პატივს გცემთ, — გაღმერთებთ პირდაპირ... და ვანა მარტო დედა.

— ნება თქვენია, მაგრამ ლატარიის ფული რომ ამდენს არ ვასწვდებოდა?..

— ჰო, მართლა... რამდენი მშობრებს თქვენნი, ბატონო მირიან?.. ჯერ არც კი დამიანგარიშებია... ვგონებ მთელი წლის ხელფასი დავხარჯე!

— მაგიტომ არ გეუბნებით... უბრალოდ, მეშინია ტყუილში არ გამოგიჭიროს!

— მაშინ ვიტყვი, ფულს ვაკეთებ-მეთქი... — გაიცინა გოგომ. — გლახუნა მაინც სულ მეკითხება, ხელფასს ვარდა არაფერი ვაქვსო?.. რახან საკონსერვო ქარხანაა, ასე ჰგონიათ თითქოს...

— ყველას ასე ჰგონია... — მირიანმა გაიცინა — თქვენი ძმა სად მუშაობს?..

— საკონსტრუქტორო ბიუროში, მხაზველად...

მანქანა ალაყაფთან გაჩერდა.

— გინდათ ჩემი მოხმარება?.. — ჰკითხა და ნავაჭრს გადახვდა.

— არა, არა... მე თვითონ! — მიუგო გოგომ.

\*\*\*

შინ მისვლისთანავე ახალ სამოსელში გამოეწყო და დიდხანს იტრიალა სარკის წინ. მისი მოხდენილი ტანი და მიაპიტო, ბავშვური სახე ჯერ არნახული ქალური მშვენიერებით გაბრწყინდა...

ზიზლით გადახვდა დივანზე მიყრილ ძველმანებს და ის გოგო შეეცოდა, ერთ დროს ამ ძონძებს რომ იცემადა...

ტელეფონის ზარმა გაიწყრიალა... მზია იყო...

— სადა ხარ, სად დაიკარგეო, — უსაყვედურა სკოლის მეგობარმა; არც მოდიხარ, აღარც რეკავ, ვანა ისეთი რა იშოვეო... ხომ არ დაგაგიწყდა, დღეს ჩემი დაბადების დღე რომაო... გამოიარე ამ საღამოს, ისიც აქ იქნება, — უნდა შეგარიგოთო.

მოვალეო, შეჰპირდა და ყურმილი დალო.

მერე დივანზე ჩამოჯდა და ფიქრებში ჩაიძირა...

მეშვიდე კლასში იყო, გუგა სამხარაძე რომ გადმოვიდა სხვა სკოლიდან...

ორიოდე კვირას არ გაუვლია, მთელი ჯგუფი აჩურჩულდა, ლოლიტასა და გუგას ერთმანეთი უყვართო; ანკი საიდან მოიგონეს ნეტავი?..

სწორედ აქედან დაიწყო მისი წამება: დაირცხვინა და თავს შებოტილად გრძნობდა...

გუგა, რატომღაც, საშინლად ვადიზიანა ამ ამბავმა.

გარეგნობით მართალია არ გამოირჩეოდა, მაგრამ მოსვლისთანავე საუკეთესო მოსწავლედ კი აღიარეს მთელ ჯგუფში... ზოლო ლოლიტა სამოსანი იყო და ზანდახან იმ სამებასაც აყვედრიდნენ...

აღმათ ეს ვახლდათ მიზეზი ზიკის გაწიწმარტებისა, თავგამოდებით რომ

საქართველო

ცდილობდა გაეზათილებინა და გაეჭარწყლებინა დარჩეული ხმები...

ხანდახან გაკვეთილზე რამე რომ შეესწავებოდა, ანდა სხვათა ნაკარნახევს შეცდომით გაიმეორებდა, მთელი ჯგუფი გადაიხარხარებდა, როგორც იციან ხოლმე ბავშვებმა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც გუგას სიცილი სტყენდა გულს...

დიახ, იყო თითქოს რაღაც გადაულახავი ზღუდე, რაღაც ფრიადოსან და საშუალო მოსწავლეთა სიყვარულს შეუძლებელს ხდიდა... თავი ისე ეჭირა, ვითომც ვინმე ეძალებოდა, სინამდვილეში კი ამდაგვარი არაფერი ყოფილა...

უფრო სწორად, თვითონაც ვერ გარკვეულიყო კარვად, რა ხდებოდა... ეს კია: ვერხვის ფოთოლივით თრთოდა მის სიახლოვეს და მზად იყო ბიჭის ყოველი სურვილი შეესრულებინა, თუმცა გუგა ამხუდაც დასცინოდა...

სამაგიეროდ იყო წამი, როცა ბიჭი უცნაურად შემოხედავდა და ამ დროს რაღაც საამო, თბილი ელვრებოდა სულში... ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, იწხუბეს და სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს. მზიას ოჯახში მოხდა ეს ამბავი, გამოსაშვებ საღამოზე:

გუგას ძლიერ მოეკიდა ღვინო... მერე მზია ამბობდა — თურმე, პირველი დათრობა ყოფილაო; პირი უნდოდა მოეზანა მეგობარი ვაჟისთვის ცუდი საქციელის გამო, თორემ კაცს ხომ სწორედ სიმთვარელში ამქვადნებს ნამდვილ ხასიათს...

შესვენებისას მაგნიტოფონი რომ ჩართეს და საცეკვაო მუსიკა აელერდა, ვილაცხე წამოიძახა — მოდიო, გოგონებმა გაეიწვიოთ ვაჟებიო... და-ძმურად იყვნენ ერთმანეთში და ყოველგვარი მორცხვობისა და პრანჭვა-გრების გარეშე სწრაფად „დაითრის“ პარტნიორები, გუგა კი თითქოს განგებ დაუტოვეს ლოლას...

მცირე ყოყმანის შემდეგ იგი ბიჭთან მივიდა და მოკრძალებით დაუკრა თავი...

გამოსაშვებ საღამოს შემთხვევით

შემოსტუმრებული, მზიას შეხვედრის შემოღობა, მათეკლასელი გოგო ცისია ესწრებოდა, ძალზე თამამად რომ ეჭირა თავი... იმედროულად მანაც გაიწვია ბიჭი... განგებ არ ჩაუდენია, როგორღაც დაემთხვა, მაგრამ გუგას ბოდიშიც არ მოუხდია, და ლოლიტა თითქოს არც შეუმჩნევიანო, ისე გაჰყვა ცისიას...

მერეც სულ ცისიას ეცეკვებოდა გუგა...

მაგიდა უკვე აშლის პირას იყო, როცა მოულოდნელად გუგა ბარბაცით მივიდა მასთან, გვერდით მოუჭდა და უბრძანა მაკოცეო...

სამარისებური სინქმე ჩამოწვა: ყველამ დაინახა რა უსამართლოდ ეტყეოდა იმ საღამოს ბიჭი, და ახლა ეს ახირება რაღაა ნეტავიო, გაუკვირდათ: მზიამ, როგორც მასპინძელმა, თავი გამოიღო და დატუქსა გტგა: რას ამბობ, ხომ არ გაგიყდი, რად უნდა გაეცოცხო...

— იმიტომ, რომ ვუყვარვარ!... — მიუგო მან.

აქა-იქ თავშეკავებული სიცილი გაისმა, რომელიც მყისვე მჩწყვდა; ნამეტანს აქარბებდა გუგა...

— ვიცი, ვიცი, რომ გიყვარვარ, ლოლიტა... და აბა, მაკოცე!... — ვვლავ უტიფრად გაუმეორა ბიჭმა, წაიხარა და ლოყა მიუშვირა.

გოგამ კი, პასუხად, სილა გააწნა...

ეტყობოდა გუგა ისედაც ძლივს იმაგრებდა თავს და მაშინვე იატაკზე მოადინა ზღართანია...

ასე დასრულდა ყოველივე...

ახლა ნათლად გრძნობდა: ეს უცნაური „სიყვარული“ მხოლოდ და მხოლოდ სხვათა ნათქვამის მაგიური გავლენის წინაშე მორჩილება და ხარკის მოხდა იყო, მეტი არაფერი!

მზიას კი, ეტყობა, დღემდე გულუბრველოდ სჯერა, თითქოს ლოლიტას თავდავიწყებით უყვარს გუგა — ისეთი ალტაცებით უთხრა, ისიც აქ იქნებაო...

აღრე იქნებ მართლაც იყო რაღაც.



მაგრამ იმდენი სიმწარე ნახა, სამუდამოდ ამოირეცხა უკვე გულიდან...

რაც ქარხანაში დიწყო მუშაობა, მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ შეხვდა...

ამ ერთი თვის წინ შემთხვევით შეეფეთა ქუჩაში...

ბიქს ფერი ეცვალა, შედგა... მისალმება დაპირა, მაგრამ მან უბრად აღტყია მხარი; გადასასვლელზე გადავიდა, ქუჩას დაუყუა. მერე ცალი თვალი გაპარა და დინახა: გუგა ისევ იმ ალაგას იდგა და დაფიქრებული გამოჰყურებდა...

ვერ გადაეწყვიტა ახლა როგორ მოტყუებულიყო წასულიყო თუ არა მზიას დღეობაზე...

სკოლის დამთავრების შემდეგ, პირველ ხანებში, დგება პერიოდი, როცა ყმაწვილები ერთმანეთს გაუბრბინა... ეჩვენებათ მერხზე შობილი სიყვარული შემთხვევითია და მოგვიანებით შევიძინეთ ჰეშმარიტ მეგობრებსო... შერისა თუ მეტოქეობის გრძობაც კი უჩნდებათ უნებლიედ, — უფრო სწორად, შიში — არიქა, არ შეგერცხვით, სხებმა არ გვაჯობნო... მერე, როცა ყველაფერი გაირკვევა და ცხოვრება ყველას თავთავს ადგილს მიუჩენს, ძველი სიყვარული ახალი ძალით იფეთქებს და ხანდაზმულნი ახლა უკვე ერთმანეთს დაუწყებენ ძებნას...

შეძლო წელგამართული თამამად წარსდგომოდა თანატოლებს, რაკი ასე მშენიერად წაუვიდა საქმე: სტუდენტი იყო უკვე, სამსახურიც ჰქონდა (მარტოს რად ღირდა, ამ ძვირფას ქურქში რომ იხილავდნენ), მაგრამ მაინც არ მიუწყედა გული, თუნდაც იმიტომ — გუგას ნახვა აღარ უნდოდა...

კარგა ხანს იჯდა დივანზე დაფიქრებული და გარინდული... გარეთ კი წვიმდა და ჰადრის გალუმბულ ტოტებს განუწყვეტლივ სწყდებოდნენ წვეთები; დროდადრო გამვლელთა ქოლგის წვეროკინები გაიეღებდნენ ფანჯარაში...

მერე წამოდგა, რაფას ჩამოეყრდნო და მანქანებს დაუწყო ქუჩაში თვალყურება...

\*\*\*

შემთხვევითი არ ყოფილა, ძველ მეგობრებთან შეხვედრას რომ გაუბრბოდა: მის გულს ჯერაც მოუშუშებელი იარად აჩნდა გუგასაგან მიყენებული წყენა; ეჩვენებოდა — თანაკლასელებმაც დამცინეს, მისი სიყვარული რომ შემწამესო... ახლა, ნამდვილ ცხოვრებაში რომ შედგა ფეხი, დარწმუნდა — აქ გაცილებით იოლი ყოფილა აღამიანებთან ურთიერთობა, ვიდრე სკოლაში ჰედაგოგებთან და ზოგიერთ თანატოლებთანო...

გაუმართლა, კარგ კოლექტივში მოხვდა; ყველანი სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდნენ, მირიანი ხომ პირდაპირ თავს ევლებოდა...

ბოლო დროს ხშირად ფიქრობდა ამ კაცზე და გულში მას თავის მეგობრად თვლიდა... მართლაც არ ეტყობოდა ასაკი, ისე კობტად და მოდურად იცავდა: ქარხანაში მეტწილად ჯინსითა და სქელლანჩიანი „ბათინკებით“ დადიოდა. ყავისფერი ტყავის ქურთუკის ქვეშ მსხვილდნაქსოვი შავი ჯემპარი უჩანდა... ხანდახან მირიანი მხრებზე თეთრ ხალატს წამოიხსნამდა და საამქროში შემოივლიდა... უკვირდა, ამას დედასთან ერთად როგორ უნდა ესწავლო: დედა ხომ უკვე მოტეხილი იყო, მღებრებული... იმის დაჯერებაც უჭირდა, ომის მონაწილე რომ იყო, იმ ომისა, რომელიც მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე ამტყდარიყო და ჩამცხრალიყო, და ისევე შორეული ჩანდა, როგორც ნაპოლეონის ლაშქრობა ან მონღოლთა შემოსევები, ისტორიის სახელმძღვანელოებიდან რომ ახსოვდა...

ყველაზე მეტად, თავის გულში, იორა აოცებდა (მართლა ბავშვი კი არ გახლდათ, ამას ვერ მიშვდარიყო: ამდენი რამ ენახა, წაეკითხა და გავგონა) — როგორ მოხდა, რომ მირიანს ერთხელაც არ შემოუხებდავს მისთვის მამაკაცის თვალით?..

რაც წამოიზარდა და დაქალიშვილდა, ამჯერა მხერას დაჩვეული იყო: ბევრჯერ შეუშინებია უცნობ თუ ნაცნობ

მამაკაცთა თვალბში გაელვებული ვნების ნაპერწკალი... მირიანისათვის კი — არასოდეს!..

იმიტომ კი არა, თითქოს ამგვარი რამ სურდა — არა, რა სისულელეა... უბრალოდ უკვირდა, რადგან მირიანი ძლიერ ჰგავდა მოარწიყე კაცს!.. თანაც ამდენი რამ გაუკეთა და ხომ შეიძლებოდა ვფიქრა, მაქვს კიდევ ამის უფლებაო...

ბირიქით — უხაროდა, რაკი ეს გამორიცხავდა ანგარებებს და მეტ ფასს სდებდა სიკეთეს, რომელიც მან მოაგო...

მაგრამ მაინც, კაცის გვერდით მანქანაში მჯდარი თავს მანეკენად წარმოიდგენდა და გულში გაჰკრავდა იღუმალი წყენა, იმის გამო, მის ქალურ მშვეენებას ყურადღების ღირსად რომ არ თვლიდნენ...

თუ მისი სინორჩე და სიტუარფე არ ხიბლავდა, მაშ სხვა რაღა აძებლებდა, — მარტოოდენ მედიკოს ხათრი და პატივისცემა?.. მართლა ნათესაულები ხომ არ იყვნენ ბოლოსდაბოლოს!..

თავს შეურაცხყოფილად ვრწმობდა და ლამის დედა შეიფავრა ამის გამო: ისე გამოდიოდა, თითქოს მირიანი მედიკოს სცემდა თავყვანს, ხოლო თვითონ ამ თავყვანისცემის საგანი იყო უბრალოდ და მეტი არაფერია... ეს ხომ მოწყალეებას ჰგავდა, მას კი მოწყალეების მიღება არ სურდა, რადგან აცოდა საკუთარი თავის ფასი და უნდოდა მირიანისაგანაც მოესმინა ისეთივე ქათინაურები, სხვები ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ აგონებდნენ...

რა დასამილია და თავდაბირველად ეგონა, გულში სწორედ ეს ფარულა ზრახვა უდევს: ჩემთან დაახლოება და ჩემი შეცდენა სწადიაო... განსაკუთრებით მას შემდეგ — ბახაში რომ წაიყვანა და მდიდრულად შემოსა... წინასწარვე სიამოვნებდა იმის წარმოდგენა, თუ კი მართლა დაატყობდა რამე ამდაგვარს, როგორ მიიყრია სასწრაფოდ უკანვე მის ფულს, სამსახურს მიუტოვებდა და საქვეყნოდაც შეარცხვენდა,

მაგრამ მას შემდეგ მირიანი მთლად გადაიკარგა...

ახლა ეს აღიზიანებდა, ვარაუდი რომ შეეშალა და მადლობის მავიერ გულში ბევრჯერ გამოლანძღა და გამოთათხა კაცი...

დღიობით განგებ ჩამორჩებოდა ავტობუსს: ერთ გაჩერებას ფეხით გაივლიდა, შინაურებს რომ არ შეემჩნიათ, როგორ ჩაისვამდა მირიანი მანქანაში... გულის ფანტკალით ელოდა მის გამოჩენას, მაგრამ დირექტორმა, თითქოს მის ჯიბრზე, სულ სხვა გზით იწყო სიარული.

მერე, ლოდინით გულგადამცირებულა, ტაქსს რომ დაიჭერდა და ქარხანაში მისვლისას კანტორის წინ მდგარი ნაცნობ „ვოლგას“ დაინახავდა, ცრემლებით ეცხებოდა თვალები: ეტყობა, მირიანი მართლაც გაუბრბოდა...

კარგა ხანს იმტვრია თავი, რა უნდა იყოს მიზეზი, რა დაეუშავეო, და ბოლოს ამოიციო: ალბათ, ასე ეგონა, ვალს ვერ გადამიხდისო და იმ ფულს დაკარგულად თვლიდა!..

რაკი ლატარიის ფული აბრილის ბოლოს უწყევდა, ხოლო ვერ მარტის დასაწყისი იყო, სასწრაფოდ ისესხა (გაუჭირდა კი შოვნა, მაგრამ შინაურებს მაინც არ გაუზიხილა, — ისევ ქარხანაში გაიმართა ხელი) და დღის ბოლოს, დირექტორი მარტო რომ დაიგულა, კაბინეტის კარი შეუღო.

მირიანი ვამალებით რაღაცას წერდა... წამით ახვდა, დაბრძანდითო, სკამზე ანიშნა და კვლავ ქაღალდებში ჩარგო თავი... გოგო დაბნია და შეაკრთო მისმა გულგრილობამ; იხანა, რაღა ახლა შემოგვდი, ამდენი საქმე რომ აქვს და თავზე ცეცხლი უკიდიაო... სკამი გამოისწია, დაჯდა და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა: კუნთები არხვოდნენ და თრთოდნენ წერისას კაცის ბრინჯაოსფერ ლამაზ სახეზე; ქურთოყვის ღილები შეეხსნა და შავი ჯემბრი კობტად ჰქონდა ყელზე მომდგარი...

— გისმენთ... — უთხრა მან ისე, რომ



არ შემოუხედავს, თან წერას განაგრძობდა.

— გაცდენთ, ბატონო მირიან... — შეწუხებული ხმით უთხრა გოგომ და ადგომა დააპირა.

— არა, არა... ახლავე მოვრჩები! — ქალღღებმა გვერდზე მისწია, კალამი დადო და თითქოს ახლა იცნოთ, აღტაცებით დასძინა: — აჰ, ეს თქვენა ხართ, ლოლიტა?..

გოგოს თბილმა ყრუანტელმა დაუარა ტანში; მოფერებდასავით ჩაესმა ნათქვამი.

— თქვენა ვალი მოგიტანეთ აგერ... — სახე წამოენთო; იგრძნო არ გამოუდიოდა ლამაზად.

— აიღეთ უკვე ლატარის ფული?.. მირიანმა სიგარეტს მოუკიდა. — მე აბრილის თვე მახსოვდა რატომღაც!..

— არა... ვისესხე! — ჩანთა გახსნა და შიგ ხელი მოაფათურა.

— კარგი მეველისაგან ისესხეთ, ცუდისთვის რომ ჩაგვსესხებინათ, არა?..

— გაუღიმა კაცმა.

— რასა ბრძანებთ, ბატონო... — ჩანთაში ჩაყოფილი ხელი გაუშეშდა გოგოს.

— ნაღდად დამატყვევთ, ალბათ, რამე... — გაიცინია მირიანმა. — დაბლერჩილი ხომ არ გიყურებდით, როგორც მეველებს სჩვევიათ ხოლმე, ჰა?..

— მასე ნუ გამიგებთ, ბატონო... — ფული ამოეღო და უხერხულად ეჭირა ხელში. — ამდენი ხანია მმართებს და...

— წაიღეთ და უკანვე დაუბრუნეთ. ბატონოს... ხომ ვითხარით, არ მეჩქარება-მეთქი. ან რა გარანტია გაქვთ, რომ ის სხვა ჩემზე უარესად არ „გავიშრობთ სისხლს“?..

გოგომ ჩანთაში ჩადო ფული.

— მაინც კარგი ჰქენით რომ შემოიარეთ, საქმე მქონდა თქვენთან.

— ჩემთან?.. — გამოცოცხლდა გოგო.

— ჰო... დაძახებას ვაპირებდი; არ იცით ხვალ რა დღეა?

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

5. „მნათობი“, № 10.

— რვა მარტია... — გაიცინა მირიანმა. — ქალებს გეპატიებათ, ჩვენ კი ვალდებული ვართ გვახსოვდეს... — უკრა გამოსწია და ლამაზი ლურჯი კოლოფი ამოიღო. — სხვებს უკვე ჩამოვურიგე საჩუქრები... თქვენ, როგორც მოწინავე მუშაკს, განსხვავებული რამ შეგხედათ!

— დიდი მადლობა, ბატონო მირიან... — კოლოფი ჩამოართვა და ცნობისმოყვარედ დააქებდა. — შეიძლება ახლავე გავხსნა?..

— რა თქმა უნდა!

სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა გოგოს; უცხოური მარკის მაჯის საათი იღო შიგ — ზუსტად ისეთივე, მირიანს რომ ეკეთა.

სამუშაო დღე უკვე დამთავრებულიყო. ფანჯრიდან ჩანდა ეზოში მდგარი ავტობუსი, ხალხით რომ იესებოდა და საცაა ვავიდოდა კიდევ.

— არ დაგაგვიანდეთ, ლოლიტა... — უთხრა მირიანმა და ავტობუსს გაჰხედა.

გოგოს გული დასწყდა... დარწმუნებული იყო, მანქანით წამოიყვანოს... ადგა და გაბუსხული გაემართა გასასვლელისაკენ, მაგრამ გულმა არ მოუთმინა და კართან მოტრიალდა:

— ჩვენს ქუჩაზე რატომ აღარ დადიხართ, ბატონო მირიან?..

— აღარ დავდივარ?.. — გაუყვირა კაცს. — ჰო, სწორია — მართლა არ დავდივარ... აი, ხვალ უსათუოდ ჩამოვივლი!

მეორე დღეს, დილით, გოგო ქუჩის პირას ბორდიურზე იდგა და მდინარესავით დაძრულ ტრანსპორტს გათაცეცებით აკვირდებოდა. თბილი ქურჭი ეცა და თავზე ღაზლის თეთრი თავშალი ჰქონდა მოხვეული, ხელში კი ფარშევანგისფრად მოხატული, დაკეცილი ქოლგა ეჭირა... მერე უცებ „ვოლგა“ გამოეყო მდინარეს და პაწია თეთრი გემივით მოადგა ნაპირს... მაშინვე კარი გაიღო და ლოლიტაც გახარებული მიუსკუბდა გვერდით დირექტორს.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— რა დღეა?.. — დაიბნა გოგო.

— გილოცავთ! — უთხრა კაცმა და დიდის ამბით გაუწოდა ხელი.

— რას?.. — დაიბნა გოგო. — აჰ... ჰო, ჰო, საათი... — მაჯაზე დაიხედა. — ძალიან მიხდება!

— მაგას არ გეუბნებით... — გაიღიმა მირიანმა. — ეგ რა სალაპარაკოა!

— ჰო, რვა მარტი... — გაეცინა ლოლიტას. — რა სულ მავიწყდება!

ამინდიც მარტას შესაფერი და საკადრისი იდგა: ქალაქის თავზე ჩამოწოლილ ღრუბლებს შორის, აქა-იქ, ცის უძირო, ლურჯი ზოლი ჩანდა; ვიდრე გმირთა მოედანს გაივლიდნენ და სანაპიროზე გავიდოდნენ, ლევა ღრუბლებმა ამოავსეს ცის ნაპირლები და ჰარპრიზზედაც უჩუმრად დასხდნენ მსხვილი წვეთები.

— ჩართეთ რა მაგნიტოფონი... — სთხოვა გოგომ. თავშალი რომ მოიძრო, მხრებზე ჩანჩქერებით ჩამოვლარა ოქროსფერი კულულები. პირველად გუშინ შეიღება თმა, ხოლო ამ დღით ლურჯი ტონიც წაისვა თვალბზე.

— გიხდებათ... — მოუწონა მირიანმა და მაგნიტოფონი ჩართო. — დღე ისეთი დღეა, თქვენი ყველა სურვილი უნდა ასრულდეს!.. მეტს ხომ არაფერს რჩებთ, ქალბატონო?

— მაძლევთ უფლებას?.. — გაიცინა.

— განა მაგას კითხვა უნდა?!

— მაშ მასეირნეთ ცოტა... — გათამამდა გოგო.

— სამსახურში არ წავიდეთ?..

— ჯერ არა, ბატონო მირიან... დავაგვიანოთ!

— ოღონდაც „ბატონოს“ ნუ შეძახით... ვიდაც სხვა მგონიხართ!

— მერე რა... განა „სხვა“ ცუდია?..

— არა, მაგრამ... ლოლიტას ვინ შევდრება!

— რვა მარტის ხათრით შეუბნებით მაგას, არა?

— არა... რვა მარტი მამბედინებს, თორემ დირექტორს არ შეგფერის თანამშრომლების ქება... შემისრულებთ თხოვნას?

— ვეცდები, ბატონო... — გაიტანა ლოლიტამ.

— მაინც რომელ მხარეს გირჩევენიათ?

— ჩემთვის სულერთია!

მირიანმა მანქანა მოაბრუნა და მცხეთის მიმართულებით გააქროლა. ფანჯრებზე მოზუზუნე ქარი ბუნებრივად ერწყმოდა ჯაზურ მუსიკას. გოგომ ქუჩები გაიხადა და მხრებზე მოისხა. მოშიშვლებული მუხლისთავება უჩანდა, მაგრამ გუნებაში გადაწყვიტა, მანამ არ გაესწორებია კაბა, ვიდრე კაცის მხერგას არ დაიჭერდა. ის კი თვალბმობუტულო გაჰყურებდა ტრასას; საჭეზე მსუბუქად ჩამოდებულ მის მარჯვენა ხელში სიგარეტი ბოლავდა. სვეტიცხოვლის ენწერთ გამოჩნდა და მალე ბებრის ციხის ნანგრევებიც მოიტოვეს უკან.

— იქნებ რამე სასწრაფო საქმე გქონდათ, ბატონო მირიან?..

— არაფერი ისეთი... — გაიცინა მან.

— დირექტორობა მიტოვია კარგი. ვინდა სულ არ მიხვალ სამსახურში, პასუხს არავინ მოვთხოვს; თუ მაინცდამაინც წამოგდავებთან, ეტყვი — სამინისტროში ან რაიკომში ვიყავი... ასე რომ შემძლია მთელი დღე ვასეირნოთ!

უცებ წვიმამ დასცხო და მირიანმა შუშის საწმენდები ჩართო. მერე ისევ გადაიღო და მზემ გამოაქყიტა. გორში შედიოდნენ უკვე — პორიზონტზე ციკად მოლალაბე თუნუქის სახურავები ჩანდნენ...

მირიანმა უნივერსიტეტის წინ გააჩერა მანქანა.

ვიტრინაზე აყვავებული ნუშის ტოტი ეხატა, რომლის ქვეშ ეწერა: „გილოცავთ რვა მარტს, ძვირფასო ქალებო!“ და იქვე, უფრო მსხვილი ასოებით: „მამაკაცებო, არ დაგავიწყდეთ საჩუქრების შექმნა ძვირფასი ქალებისათვის!“

— შეცდომა ჩავიდინე... — სინანულით თავი გადააქნია მირიანმა. — საჩუქარი დღეს უნდა მომერთმია და არა გუშინ!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... — გაიცინა ლოლიტამ. — წარმოვიდგინოთ, ვითომ დღესაც გუშინ!

— ეგ ცოტა ძნელი წარმოსადგენია, — მიუგო მირიანმა. — ანკი რა ძალა გვადგას ასე გავიწყვალთ თავი, როცა შეცდომა იოლი გამოსასწორებელია... შევიდეთ, იქნებ კარგ რამეს წავაწყდეთ, სადღესასწაულოდ იცინა ხოლმე გამოტანა — მანქანიდან გადავიდა.

— არა, არაფრის გულისთვის, ბატონო მირიან... — გოგო კარის სახელურს ხაფრინდა.

— გთხოვ ნუ შემიშლით ხელს, შევასრულო ვაჭრობის მუშაკთა გონიერული მოწოდება... — ხუმრობის კილოთი უთხრა მირიანმა. — ან კი რა უფლება გაქვთ... დღეს ისეთი დღეა!

— კარგი... თოდნაც საჩუქარს მე თვითონ ავირჩევ... — შეწუხდა გოგო. უნივერსიტეტში შევიდნენ და თაროები შეათვალიერეს. ლოლიტამ ფრანგული სუნამო ვადმოაღებინა გამყიდველს.

— ნუ აჩქარდებით, — უთხრა მირიანმა. — ნახეთ, იქნებ სხვა რამე უფრო მოგეწონოთ... არ ინანოთ მერე: ყოველთვის კი არ არის რვა მარტი!

— პირობა პირობაა!.. — მიუგო გოგომ და სუნამო ჩანთაში ჩადო.

— შეგძლოთ უკეთ ვესარგებლათ დღევანდელი დღით... თქვენს მაგივრად მე მწყიდება გული, ჩემო ლოლიტა!

— არაუშავს, არაუშავს... — ისე შეყოყმანდა, თითქოს ნათქვამი ენიშნაო.

— ეგ სუნამო ქალბატონ მედეას მიართვით... თქვენთვის კი აგერ, აქ შევარჩიოთ რამე! — ვიტრინასთან მიიყვანა, სადაც საიუველირო ნაწარმი იყო გამოფენილი.

— ბოროტად ვიყენებ თქვენს გულკეთილობას, ბატონო მირიან...

— აი, ამოზე რას იტყოდით, ლოლიტა?... — მირიანმა ზურმუხტისთვლიან ოქროს საყურეებზე მიუთითა.

მღელვარებისაგან გოგოს სუნთქვა შეეკრა: სწორედ იმ საყურეებზე ეუბნებოდა, მან რომ დააღვა თვალი და ოცნებასავით გულში გაიღო — ნეტა-

ვი თუ მედიტაცია ოდესმეო... და უცებ თურმე შეიძლებოდა, ოცნება სინამდვილედ ქცეულიყო...

„პო“ ვერ გაებედა და „არაც“ დაენანა.

ამგვარი საყურეები ცნობილ მომღერლებსა და კინოვარსკვლავებს უკეთიათ საზღვარგარეთულ ფილმებში, რომელთა ელვარებაც წამით მთელ ეკრანს ფარავს...

გაურკვეველად რაღაც წაიღულულა, და იმის მოლოდინში, რა მოხდებოდა, თვალეები მოხუჭა...

მერე ზედავდა როგორ აწვდიდა მირიანი ფულს ნაწილ-ნაწილ, გამყიდველი კი სწრაფად ითვლიდა და თან საანგარიშოს აწკაპუნებდა...

საყურეები მწვანეხავერდგამოკრულ კოლოფში ეწყო... იარლიყზე ათას შეიდასი მანეთი და რაღაც კაპიკები ეწერა!

— მშვიდობაში!.. — უთხრა გამყიდველმა და კოლოფი გაუწოდა.

გოგოს მოეჩვენა, თითქოს შურისაგან ქალს თვალეებზე ცრემლები მოადგა.

მირიანმა ხელმკლავით გარეთ გამოიყვანა, — კარი გაუღო და მანქანაში ჩასვა...

გაოგნებული დასცქეროდა კოლოფს... ხომ იღო ნეტავი შიგ ძვირფასი საყურეები, ხომ არაფერი შეეშალა გამყიდველს?... ან იქნებ ჩუმად შეუცვალა? ფრთხილად გახსნა და მყისვე წყვილი ზურმუხტის ელვარებამ მოსჭრა თვალეები.

— თუ ვნებავთ, ეხლავე გაიკეთეთ, ლოლიტა... გააჩერებ მანქანას!

— არა, ახლა არა... — ამოიღულულულა გოგომ. — ყურის ბიბილოები არა მაქვს გახვრტილი...

— ოო... მე ეგ არ ვიცი, არ მეხება... — გაიღიმა კაცმა. — ისე კი, ამბობენ ძნელი არ უნდა იყოსო... — მერე საათს დახედა და დასძინა. — პირველი გამხდარა უკვე, შესვენების დროა!

— რა შესვენების?... — ვერ მიუხედა რას გულისხმობდა მირიანი. ქარხანაში

კი იცოდა რასაც ნიშნავდა: ზარი რომ დაირეკებოდა, სასაღილოს მიაშურებდნენ, ანდა იქვე, სამკროში, ყავას მოედუღებდნენ გოგოები და ბუფეტთან ნამკებარს მოიტანდნენ.

— ვისადილოთ, ლოლიტა... საწინააღმდეგო ხომ არ გექნებათ რამე?

— მე არა მშობი, ბატონო მირიან... — გულუბრყვილოდ მიუგო და მაშინვე გამოასწორა ნათქვამი. — თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს... როგორც გენებოთ!

მანქანა კვლავ თბილისის გზაზე გავიდა და იქვე, ხელმარჯვნივ, მოშალლოდ წამომდგარი რესტორნისაკენ გაუხვია.

მეორე სართულზე მყუდრო, თბილ კუბეში გამოინახა მათთვის ადგილი. ფარდებგადაწეული ფანჯრიდან ჩანდა შენისლული შორი დაბლობი. ისევ წვიმდა და მინებზე მსხვილი წვეთები შხაპუნობდნენ... ოთახის შუაში სერვიზით გაწყობილი მომცრო მაგიდა იდგა, კედელთან — სარკიანი ბუფეტი, რომელზეც ეახებით ხილი და ტკბილეული ელაგა. მირიანმა გოგოს ქურქი ჩამოართვა და კუთხეში მიდგმულ საკრძე დაკიდა. ქამარშემოჭერილ ნაცრისფერ კაბაში მისი მოზღენილი ტანი და განიერი, მრგვალი თეძოები ინაკეთებოდა...

ყველაფერი ერთბაშად მოატანინა შუახნის დიდულვაში ოფიციატს — ცივი და ცხელი კერძები, ხილი, ტკბილეული, სასმელები — ფულიც წინასწარვე გადაუხადა...

თუ რამ დაგვირდეთ აგე, იმ დილაკს დაჰქირეთ ფითიო, დაიბარა იმან წასვლისას.

მირიანს მართლაც გვარაინად მოშვიწონდა, ლოლიტამ კი პირი არაფერს დააკარა. სასმელს დამაძალგბსო, ფიჭრობდა და სწულხდა, რადგან არასდროს დაეღია — არადა უარი როგორ ვთქვა, სხვანაირად არ ჩამომართვასო, — მაგრამ არ დაუძალებია, თვითონ კი მალიმალ ისხამდა ჭიქაში კონიაკს. გოგომ ერთ-ორჯერ მოსვა ქინძმარაული —

უბრალოდ, ტუნები და ისევე... ლისფრად შეიღება...

მირიანს ქურთუკი გაეხადა და ჯემბარის ამარა იყო; რომელიღაც კინოვარსკლავს ჰგავდა: გრეგორი პეკს?.. არა, არა — ეს მარესი..

რა მოხდებოდა, ან თვითონ დაბადებულყო აღრე, ანდა მირიანი — გვიან... რა კარგად შეეწყობოდნენ ერთმანეთს, რა დიდებული ცოლ-ქმრობა ექნებოდათ!

რა სისულელეა ახლა ამის გაფიქრება, — მამის ტოლა კაცია, დედაჩემის მეგობარი!.. რატომ ექცევა ამა ასე თანატოლივით?..

რა თქმა უნდა, გულკეთილობის გამო... იცის ახალგაზრდა გოგოს ბუნება და ხასიათი — ახლა რომ უხარია ყველაფერი: ჩაცმა-დახურვა და გავლა-გამოვლა, — ვიდრე ოჯახის მძიმე უღელს დაიდგამდეს კისერზე... ასე ამბობს დედა... განა არ ახსოვს, რა გაუთავებელი ჩხუბი და კინკლაობა იყო მათ ოჯახში... დედა იმდენ რამეს ითხოვდა, რაც მამის შეძლებას აღემატებოდა და ისიც მაშინვე „პატიოსნებით“ იმართლებდა თავს, ვითომც სხვები უპატიოსნონი იყვნენ, ლალად და ხელგაშლით რომ ცხოვრობდნენ... ყველა უგერგილო, უშრო და უმარიფათო კაცი „პატიოსნების“ ნაპრალში მალავს თავს პინჯვინითო, ეუბნებოდა დედა, ხოლო გარეთ დაუცველი სხეული აქვს დატოვებული და გამოხეული შარვალი უჩანსო... დასცინოდნენ კიდევ ამ გაუთავებელი „პატიოსნების“ გამო... ხანდახან თვითონაც დასცინოდა... გული მოეწურა ახლა: საწყალი მამა... რა ვუყოთ, რომ მეტი უნარი არ ჰქონდა... აი, მირიანი კი სხვაა, — იგი ძლიერია, კეთილი, შეძლებული და თანაც პატიოსანი!

კაცმა დაიჭირა მისი მზერა და გაუღიმა.

— ცუდი არაფერი იფიქროთ ჩემზე, ლოლიტა!

— პირიქით, ბატონო მირიან... იმას ვწუხვარ, სამაგიეროს გადახდა რომ არ შემიძლია; ერთადერთი სიცოცხლე გა-

მანია და მზადა ვარ შემოგწიროთ...  
 თქვენი გულისთვის წყალში გადავფარ-  
 დები!

— ღმერთმა დაგაფართს... — გაიცი-  
 ნა მირიანმა. — ვიცი, ალბათ გიყვიროთ:  
 რატომ, რისთვისო... როგორ ავიხსნათ...  
 ისე, უბრალოდ — კარგი გოგონა ხართ  
 და მინდა ვასიამოვნოთ, გაგახაროთ,  
 თავი რომ ბედნიერად იგრძნოთ... მაქვს  
 ამის საშუალება, არ მიჭირს — კაცი ამ-  
 დენს ვმუშაობ, ვშრომობ... არ გვგონ-  
 ნოს მართო დედათქვენიც ხათრით...  
 ესეცაა, რა თქმა უნდა, მაგრამ შედიკო  
 აქ რა შეაშა... რა მოხდა ბოლოსდაბო-  
 ლოს, ძველი მეგობრები კი არა, ახა-  
 ლი აღარ ახსოვს ხალხს... თქვენთან  
 რომ ვარ, თავი ახალგაზრდა მგონია,  
 თუმცა ჯერ ისედაც... ხომ შეიძლება  
 გყავდეს პატარა, ლამაზი მეგობარი, —  
 გიყვარდეს და პატივს სცემდე — ისე,  
 უბრალოდ... ვისთანაც ყოფნა გახარებს  
 და გახალისებს... რა მოგივიდათ, ლო-  
 ლიტა?

— მივივა... — მიუგო მან; ხელები  
 მუხლებზე დაეკრია და ბელურასავით  
 მობუზულიყო.

— ღუმელთან მიდით, გათბით... ჭნე-  
 ბავთ — ქურჭს წამოგახურავთ... კონი-  
 აჟს ხომ არ დალევდით ცოტას?

— დაგლევე... — თქვა გოგომ და ჭიქა  
 ტუნებთან მოტანა, მაგრამ ვერ შეძ-  
 ლო... ადგა და ელექტორთრეფლექტორ-  
 თან მივიდა, ციკლოპივით რომ აბრია-  
 ლებდა კუთხეში ცალ თვალს... ციებია-  
 ნივით კანკალებდა. მირიანმა ქურჭი მი-  
 უტანა და მხრებზე წამოასხა.

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?..

— ცუდად... — მიუგო გოგომ. — აი,  
 ნახეთ — ხელები გამყვინა!

მირიანმა მუტებში მოიქცია მისი პა-  
 წაწინა, ქალური ხელები; დიდხანს ეცი-  
 რა და უთბობდა... გოგომ თავი გვერდ-  
 ზე გადახარა, ბაგე გახსნა და ნელ-ნელა  
 წაიწია კაცისაკენ.

— ახლა უკეთა ხარ, ლოლიტა... —  
 მირიანმა სწრაფად შეუშვა ხელები და  
 განებრდა... გოგოს მოწყვეტით ჩამო-  
 უცვივდა მკლავები, ღრმად ამოთხრა  
 და უღონოდ ჩაეშვა სავარძელში.

კაცი კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან;  
 ზურგზე ხელებშემოწყობილი გაყუ-  
 რებდა შენისლულ დაბლობს, სადაც  
 უჩინარი ქარი დათარეშობდა. როცა  
 შემობრუნდა დაინახა: გოგოს ქურჭი  
 ჩაეცვა და მოწყენილი სახით სარკეში  
 თმას ისწორებდა...

— წავიდეთ, ლოლიტა... — უთხრა  
 მან.

სალამო იყო უკვე, თბილისში რომ  
 ბრუნდებოდნენ. დროდადრო წვიმდა  
 და მანქანის მინაზე უცნაურ ზიგზაგს  
 ავლებდნენ წვეთები; მაგნიტაფონი კი  
 მძაფრ რიტმში უკრავდა ჯაზებს, თით-  
 ქოს ჭუნგლებში კინბალურ რიტუალს  
 ასრულებდა რომელიღაც ველური ტო-  
 მი. ლოლიტაც გამხიარულებულიყო —  
 თვითონვე არჩევდა და ცვლიდა კასე-  
 ტებს...

ზეალაც დაგელოდებითო, წასწერ-  
 ჩულა მანქანიდან გადასვლისას; ხელში  
 მკვდარი ჩიტვივით გვირა დაკეცილი  
 ქოლგა. ალყაფის კართან შედგა, მო-  
 ტრიალდა და გაუღიმა... შეორთქლილ  
 მინაში კაცი ისე უცხოდ და ბუნდოვ-  
 ნად ჩანდა, გოგო წამით შეკრთა... საწ-  
 მენდელები კი თითქოს გაკვირვებით  
 ახამხამებდნენ გრძელ წამწამებს



# საბჭოთა ოსეთის მთავრობა



ოსური ლიტერატურა, როგორც ყველა ლიტერატურა ქვეყნად, იწევსა ზემარსიტყვიერების ძეგლებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ნართების ვიარული ეპოსი — უძველესი აქშულტებები ნართების (ოსთა წინაპრების) შესახებ.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა პირიქე ოსური ნაციონალური ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარებისათვის. პირველი ოსი პოეტი იურ ხაქარაძეა, მისი ძეგლები II-ის კარზე აღზრდილი, დიდად გაზოგებული პირიქე იურ ხაქარაძეა, რომელმაც ქართველი და ოსი ხალხების შეგობრული დამოკიდებულება დაუდო საფუძვლად თავის პოემას „აილღუნის“ (პოემა დაწერილია ქართულ ენაზე).

ოსური პოეტური ენაზე პირველად თავისი ქნარი ამბეჯეული უსაზღვროდ ტრავიკული ბედის მქონე პოეტმა თემარბოლად მასხრათმა. წუთისოფლის უკუღმართობამ იგი ჭერ კიდევ თორმეტი წლის ასაკში მოსწვევთა მშობლიურ მიწა-წყალს და თურქეთში გადახიწა... მთელი ნაციონალური მისტიკოდა დაკარგულ სამშობლოს: „ვაი, ჩვენი მწვერვალებო, ვაი ჩვენი მთა-ბარო, როგორღა ვიკოცხლებთ უთქვენოდ?!“.

ოსური პოეზია სამართლიანად ამაყობს სევა და ცომაყ გალიათების, ელიზბედოუ პრიტაის, ახსენ ქოციოთის ხაზლებით, მაგრამ ოსური პოეზიის მწვერვალი მაინც კოსტა ზეთაიაა! იგი იყო მდიდარი და მრავალმხრივი ნიჭით დაქილდობილი ადამიანი: პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ფერმწერალი, თავისი ხალხის ისტორიის, ეთნოგრაფიის და ენის შესანიშნავი მცოდნე.

კოსტა ზეთაიათა დიდი შემოქმედებითი გმირობა ჩაიღია — მან ერთმა შესაძლო თავისა უმჯავადო შრომით შეიქმნა ოსური ნაციონალური ლიტერატურის მტკიცე საფუძველი, შესანიშნავად დაეშუშავებინა საერთო-საზღვო ენა და დაეღვინა ლიტერატურული ენის ნორმები, დაეტოვებინა ოსი მწერლების შემდგომი თავიშეხილვისა და დაეშუშავებინა ოსური მწერლების საერთო-საზღვო ენა და დაეღვინა ლიტერატურული ენის ნორმები, დაეტოვებინა ოსი მწერლების შემდგომი თავიშეხილვისა და დაეშუშავებინა ოსური მწერლების საერთო-საზღვო ენა და დაეღვინა ლიტერატურული ენის ნორმები.

თემატიკის მრავალფეროვნება და პრობლემატიკის დიფინიშენელობა, ფორმის შესანიშნავი უპრობლემა და სინატიფი, ნათელი ენა, ლექსის დიდი ემოციური ძალა — აი, რა ახასიათებს მის უკუდავ პოეზიას.

ოსური ლიტერატურის ისტორიაში საგრძნობი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგ სხვა მწერლებს, რომელთა ვარეშეც შეუძლებელია სწორი წარმოდგენა ვიკონიოს ოსური ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესზე. ესენი არიან — ალიქანდრე კუბალითი, ლირიკოსები — ასლანბეგო ყაიუმბეგო და ალიბეგო თოქათი, პოეტი-დრამატურგი დავით უროსი და სხვები. ოსი ხალხის, მიუხედავად თავისი მცირერიცხოვნებისა და უკუდავარი დევნისა მუდამ ადმინისტრაციის მხრივ, მშობი ნაციონალური და სოციალური წავერის პირობებში ჭარ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე შესაძლო შეიქმნა საკუთარი ეროვნული მხატვრული ლიტერატურის საფუძვლები და დაეწინაურებინა მთელი რიგი პირველადი მწერლები.

ოსური ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის ფუძემდებლებს კოსტა ზეთაიათს ტოლიციებს აგრძელებენ თანამედროვე ოსი ხალხთა პოეტები: ვიორგი ბენსაოთი, ვაფეა, ვიორგი მუხაევი, ვრის ფლიფე, სერგეო ხაქარათი, ნაფი ჭხუთი და სხვები.

ვალწრფელი, უანგარო მეგობრობა აკავშირებს პირველ და ოს ხალხებს. ვურნალ „მნათობის“ რედაქცია ბეჭდავს სამხრეთ ოსეთის პოეტებისა და პროზაიკოსების ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიაც მუდამი ფერადებით არის ასახული ჩვენი დღეების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ოსი ხალხის განახლებული ცხოვრება.





## გარეგანი სურათი

მიქერის მანქანა მსუბუქფრთიანი,  
მოტორი უძველეს სულგამალებით,  
თითქოს მაყარი იყოს გვიანი  
და გზას აკვესადებს ცხენის ნალებით.  
ხან მარჯვნივაა, ხან მარცხნივ მტკვარი,  
ტალღის ტალღაზე გადამფურცელელი  
და შეუმცდარი წარსულის ხარი  
ისევ ისე რეკს, ხმაშუველელი.  
სახეს მესხლება შემხედური ქარი,  
გულს კი — ლეგენდა, წარსულ დროისა,  
ლეგენდა-ხიბრძნე, ლეგენდა-ზარი,  
თამარს აქებს და

სოსლანს — მოისარს.  
რუქნადინს რეგვენს შემოეთვალა  
თამარისათვის სიტყვა აუგი:  
„მე შენს ქვეყანას გადაქაქევი თავლად,  
შენ კი იმ თავლას ზღავეებს დაუკვი!“  
შეკრბა ლაშქარი ამერ-იმერთა,  
მთიდან დაიძრა ტომი მამაცთა,  
როგორც მდინარე ზღვამ შეიერთა,  
ასი — ათასში ისე გაბაცდა.  
ღელაღეს თამარი, თუმცა კი ვრი  
გარს შემორტყვიდა ციხის კედლებად,  
იცის, ქვიშაზე მეტია მტერი,  
ვატყაცობით კი ვერ შეგვედრება.  
ვარძიის ქვაბებს მოინახულებს  
და ხელაპყრობით ღმერთს შესთხოვა მეფე:  
— მხედარ ეიფრო, შენს ჭირნახულებს  
უცხოდ მომდგარი ძალები აყუფენ!

შენ დაიფარე შენი წილხვედრი,  
მიწა, ოდითგან შენად ხმობილი,  
შენ გაუმარჯვე, ამასა გვედრი,  
შენს ძალაზე ვართ დღეს მინდობილი.  
მუხლს დამხობილი დავით სოსლანი  
ხმალს უწვდის თამარს და ვევერება:  
— დღეს კარს მომდგარი ხმალით ოსმალი  
ხვალ ხელჩხირიან დიაცს ედრება;  
ოღონდ მიკურთხე ხმალი სარდლისა,  
ლაშქარი შენი, ლოცვით დასძარი  
და მტრების სისხლით კლდეებს დავეხლავთ  
და მოვედებით, როგორც ხანძარი!  
ეს შესთხოვა და ცხენზე ამხედრდა,  
განრიხხებულმა მტრის ჯარს გახედა,  
თითქოს მიწასაც მოედო ერთოლა  
და ვით ნიავმა ფრთა კერას ნაღვერდალს —  
ლაშქარს ყოფინამ გადაუჭროლა.  
ხმალს შეჩვეული თითქმის აკენიდან,  
მტერს დაეძგერა, როგორც ალალი,  
მნახველი მისი ყველა გაკვირდა,  
თუმცა უხილათ ბრძოლა მრავალი.  
მთების ეჭო და კლდეთა გრიალი,  
მაღემარბოლელი ენაწყლიანი —  
ვით ვარდს,  
შადრეენის საამო შეფეებს,  
ამ ბრძოლის ამბავს უთხრობენ მეფეს.  
და მეფეც უკვე დარდგადაყრილი,  
როგორც სოსანი წელში ასრილი,  
გადარჩენილი ვრივალს საშინელს,



როს ქარიშხალიც აღარ აშინებს  
და სიხარული იბყრობს მაშინვე...  
ხმა სოხლანისა ჩაესმის ყურთან:  
„ხომ შეგისრულეთ მეფეც, რაც გსურდა!“

...მიჰქრის მანქანა, მოღელავს შტაკარი,  
მიატებს ცხოვრების ერთი ფურცელიც  
და შეუმცდარი წარსულის ზარი —  
ის, ისევ რეკავს ხმაშეუცვლელი.

მთებო, რაც უფრო წლები გადიან,  
გულს უფრო მეტად თქვენ ეტკბილებით,  
უთქვენოდ ყოფნა სულს არ სწადიან,  
ჩაფრენილი გყავთ კალთას ფრჩხილებით.  
ვინ შეგქმნათ ნეტავ, რა შემოქმედმა,  
მხრებზე მთლად ზეცა რომ გაგიდევიათ,  
რად მიმაჯაჭვა თქვენს სხეულს ზღმა,  
როცა ქვეყანა ასე დიდია.  
ბე, მთებო, მთებო, ირისტონცხა,  
ვინც გნახათ, მარად გაქვით ყოველი,  
კაცი თუ ქალი, — მრავალ ტომისა,  
და წყაროც, თქვენი ძურუს მწოველი.

თარგმნა ბ. ჯიკანაშვილი

## ს ი ბ ე რ ე

მე ნაღვლიანად ჩავყურებ სარკეს:  
ემ, ვერცხლისფერი ჩამდგარა თმებში,  
თოვლიც ჩამოჩნდა, მოიწვეს აქეთ  
და ამ ხევიდან ფიქრებში ვკვდები.

გებრდებით, ნელა მოდის სიბერე,  
ნელ-ნელა ჭკნება ველებზე ია, —  
ფერსად წაუვალთ, ფარს ვერ ვიფარებთ,  
ის მაინც მოვა ადრე თუ გვიან...

გამჩენმა ყველას ერთი გზა მისცა —  
ესაა კაცთა წერა და ბედი,  
რაც დაეზიადეთ გვეძახის მიწა  
და ჩვენც მივდივართ, ვწნდებით  
და ვკვდებით.

ასეა, ასე,  
მაგრამ მთავარი  
არის ბრძოლა და სულისკვეთება,  
რომ გარდასულთა თფლის მდინარეს  
შევრთოს შენი თფლის წვეთებიც.

და სიკვდილის წინ როცა გახვდავ  
გავლილ სიცოცხლეს, მთავარი გახლავს,  
რას იტყვი — იდექ შრომის ფერხულში,  
გვემლა თუ არა ბრძოლების ტალღა?

გიყვარდა შენი მშობელი მიწა,  
ვით წამებელი მშობელი დედა?

კვავდა ეგ შენი მახვილი ციხეკარს,  
შენი მამულის დამეს რომ ხევდა?

თუ განუდექი საქვეყნო შრომას,  
ოფლით არ რწყავდი ნერვსა და ყვაეილს?  
თუ შეეჩვიე სარდაფში ძრომას  
და ნაღვინევი გიხურდა თავი?

ან როცა თმი ჰქონდა ქვეყანას,  
საზღვარს მოადგა სული ბოროტი,  
როცა სამშობლომ ჯარი შექყარა,  
შენ იქნებ სადღაც ბნელში ცხოვრობდი?

...ჩემს სახეს ვუმზერ ახლა სარკეში,  
გატეთურებია თმები, ძმობილო!  
ხალხის მსახურის ძნელ გზას ადექი,  
თუ უმაქნისის გზაზე ცოდილობ?

არა მითხრა რა დათოვლილ თმებზე —  
ეს ჩემი თეთრი ფრთებია, ფრთები...  
სად ვარ? — ტყუილად ვიარე დღემდე,  
თუ მთაზე ვარ და ვარსკვლავებს ვწვლები?

არა, მე ვიცი, ისევ მთის ძირს ვარ,  
ჯერ მწვერვალამდე დიდი გზა მიდევს,  
მაგრამ მე სწორი გეზი მივირავს,  
გზა მშვიდობისა, ბევრს ვივლი კიდევ!



გეორგიან ჟურნალი

# უკანასკნელი თიბვა

მოთხრობა

უარ უარდასოვი თავისი დაბალი სახლის კიბეზე ჩამოვიდა და მოწყობილებულ ეზოში გაიარა. ცუდად ეძინა, მთელი ღამე წრიალებდა ბოლო ხანებში გულის ტკივილი დასჩემდა და ცუდ ხასიათზე იღვიძებდა ხოლმე.

გული განსაკუთრებით ღამ-ღამობით აწუხებს. საკმარისია ბალიშზე თავი დადოს, რომ ტკივილი იმ წუთში მოვარდება. გული საშინელ ბავა-ბუვს ასტეხს და კაცს ლოგინში არ აჩერებს. წამოღება ხოლმე და გულზელდაკრეფილი, ოთახის ერთი კუთხიდან შეორემდე ბოლთის ცემას მოჰყვება. ასე დაიშომინებს გულს და ისევ ლოგინში შეწვევა. ეს, როცა მარტოა, ხალხში კი სულ იმის ცდაშია, თავი მხნედ და ვეკაცურად ეჭიროს. თავის ავადმყოფობაზე ხმა-კრინტს არა სძრავს, საქციელი და მიხრა-მოხვრაც ძველებური შეიჩინა. მის ყოველ მოძრაობაში, როგორც კეთილშობილი ირმის განავარდებაში, სიამაყე და თავაზიანობა გამოსკვივის.

აი, ახლაც, როგორც ყოველ დღით, წელში გასწორდა, თავისი განიერი მხრები გაშალა და თვალბზე ხელბმონარდილებულმა ვაღმა ქედები მოათვალიერა. კოლმეურნეები დღეს სათიბზე იყვნენ გასულნი. თვითონ ხუთი წელი

ცელი ხელში არ აუღია. სოფლის ახალგაზრდობა შეეხვეწა:

— ბაბავ, ნამუშევარი ბევრი გაქვს და ახლა დროა ცოტა დაისვენო. შენი ღვაწლი ისედაც ვერაფრით გადავიხადეთო.

მართალსაც ამბობენ, ოცი წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყო, არავისთვის მცირედიც კი არაფერი უწყენინებია — არც უფროსისთვის, არც ბავშვისთვის, მისთვისაც, ჭერ არა ყოფილა, რომ ვისმეს სიტყვა შეებრუნებინოსო.

აი, შუა ეზოში დგას იგი, ფიქრებში წასული და ვინ იცის რა აზრები ტრიალებენ ამ მოხუცის თავში, რა გრძნობებით უღულს მგრძნობიარე გული და სად არ ატარებს ფიქრი ამ მრავლის მნახველ, მრავლის განმცდელ არწივს?

ცოტა ხანს იდგა უარ უარდასოვი ასე. მერე დაწნული ღობის ძირას მდგარ, დიდი მუხის ჩრდილში გამართულ ძელურ სკამისაკენ გაემართა და ზედ მძიმედ დაეშვა. ჰქუა კი უტრის ძველებურად, აზრიც კვლავინდებურად სალი და გამჭრიახი აქვს და მისი ჩჩვევა-ღარიგებებიც ისევ ზუსტი და ღრმანი არიან, მაგრამ მუხლი იღარ ერჩის უარს. ასაკი მაინც თავისას შერე-

ბა, შიშვე შრომის წლებს და მრავალრიცხოვან წყენას უკვლოდ არ ჩაუვლია. მაგრამ მას მაინც მაგრად უჭირავს თავი. არც ბებრულად მოხრილა და არც ჯოხი უჭირავს ხელში, ჯოხი. — მოხუცებულის ეს ბუნებრივი თანამგზავრი, უარს თავისი ღირსებისათვის შეუფერებელ იარაღად მიიჩნია. ის კი არა და, შავი ქენის ქუდიც კარგ საბოძოსავით ცერად ახურია. ძველი, გახუცებული ჩოხა მჭიდროდ შემოსაღტვია ჩამოსხმულ ტანზე.

ეს ჩოხა ამ რამდენიმე წლის წინ ცოლმა შეუყვრა. — ნათელი დაადგეს იმის სულს. როცა მოაზრომა, უთხრა, სამკვდროდ შეინახე, სხვა დღეებში არ ჩაიკვაო. მაგრამ თვითონ გაასწრო იმ ქვეყანაში, საწყალმა. ომის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ, როცა გაბედეს და შეიღოს გარდაცვალების ცნობა აჩვენეს, ქალი ლოგინად ჩავარდა და სიკვდილამდე აღარც ამდგარა. შეიღმკვდარ დედას განსაკუთრებით რძლის სახლიდან წასვლამ ჩასცა ლახვარი.

უარ უარდასოვი და მისი ცოლი იკაინი სტუმართმოყვარეობით და პურმარიალიანობით გამოირჩეოდნენ მთელს სოფელში, ერთმანეთშიც სიამტკბილობა და ურთიერთთავაგება ჰქონდათ. მარტო ერთი ის იყო, რომ როდესაც უარი ქორწილიდან ან რაიმე ღვინიდან დაბრუნდებოდა და ვახშამს მოითხოვდა, ცოლი ბრაზობდა: — რა უხეირო კაცი ხარ, აღამიანო, ეს-ეს არის საესე სუფრიდან ხარ ამდგარი და კიდევ ვახშამს თხოულობო! ცოლის ასეთი გულუბრყვილო საყვედურის სიტყვებს უარი მთელ სერიოზულობით პასუხობდა: — შენ გგონია სუფრას მხოლოდ სამსელ-საქმელად შემოვუსდებით ხოლმე? ზრდილობა და თავშეკავება რაღა არის მაშინ? მუცელი თავს ქვევით არის, იაკან, თავს ქვევით!

უარი შევთვალა შევლიშვალან — სოფის ამარა დარჩა. ამ მერცხალებით ხმაიკიკიკა გოგონასთვისდა უხაროდა ცხოვრება, მამობასაც ის უწყევდა ობოლ

გოგონას. და დედობასაც.

კარგი იქნებოდა, რომ მისი ქვრივი რძალი მათთან დარჩენილიყო, მაგრამ მამის სახლმა არ მოასწვნა: ერთი ბაღლის შემყურეს სხვის სახლში რა გინდაო. სოფის წაყვანაც უნდოდა მამის სახლში რძალს, მაგრამ მოხუცებმა არ დაანებეს. ეს გოგო ერთადერთი იმედი იყო მათთვის, მერე როგორ გაჭირვალა ვაშლივით ჰვავდა მამამისს ვერა, მოხუცები მას ვერ შეეღეოდნენ. ერთადერთი მისსაგონარი ისღა ჰყავდათ შვილისაგან და მისი სახელს პატარისცემისათვის ღირსეულად უნდა აღეზარდათ.

როცა უარი ხის ძირას ჩამოჭდა და თვალეზახუქული მის ტანს მიეყრდნო, ფიქრებში წასულს თვალწინ შეიღიშვილის მთელმა ცხოვრებამ ჩაუარა — ბავშვობიდან გათხოვებამდე.

სოფიმ რომ საშუალო სკოლა დაამთავრა, თავის პაპას უთხრა:

— პაპილო, მე გადავწყვიტე არ წავიდე ინსტიტუტში სასწავლებლად, შენ ვინ უნდა მოგიაროს მარტოღმარტოს. ისე მოვახერხებ, რომ დაუსწრებელზე შევიდე.

„პო, მაგრამ მაინც რამდენ ხანს აპირებ პაპასთან დარჩენას? — უარიმ ყურადღებით შეათვალაერა შევლიშვილი.

— ბებიანემივით მწველავად ემღმევევებ, ზომ გახსოვს, ჯერ პიონერიც არ ვიყავი, რომ უკვე თან დავყავდი ძროხების ფერმავა. ახლაც ძალიან ვმეგობრობ მწველავებთან. წამდაუსწმ იმათთან ვარ.

მაშინ უარი გაუყუჩდა. შეიღაშვილიმ ჩემად, მას რომ არ შეუშინებია, ისე ამოიხვნეშა და კოლექტავის კანტორავი წავიდა. დიდი ხანია თავჭლომარედ აღარ არის, მაგრამ საზოგადოებრივ საქმეებში მისი რჩევის გარეშე საფელს მაინც უჭირა. სადაც არ უნდა გამოჩნდეს უარი, მარტო მოხუცები, ქალები და ბავშვები კი არა, თითქონ სოფლან ყორები და ხეებიც კი თავს უკრავენ მის გამოჩენას.

მოხუცის ფიქრები ისევე შეიღიშვილნ

დასტრიალებენ. ახსენდება, ერთხელ დილით, ფანჯრიდან გაიხედა ამინდის ვასაგებად, ხედავს სოფიცი გამოვიდა თავისი ოთახიდან, წამოავლო ხელი აივანზე მდგარ ვედროს და აბრეშუმის თავსაფრის ფრიალ-ფრიალით კიბეზე ხალისიანად დაეშვა. ერთი თვეა მათ სოფელში გეოლოგიური დაზვერვის პარტია მუშაობს და აი, ეხოში ჩასული სოფის გვერდით უცებ ამ პარტიის უფროსი, გამხდარი, ცისფერთვალეა ვაჟი არ აღმოჩნდა! ცოტა ხანს იღვინენ და მერე ჩამოსხდნენ იმ სკამზე, რომელზეც ახლა უარი ზის.

მოხუცს მანამდეც ჰყავდა შემჩნეულა ისინი, ერთად საუბრისას, თუ უბრალოდ ქუჩაში მოსდინენი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია — დიდი ამბავი ქალი თუ ვაჟს დაელაპარაკა. მაგრამ ასე აღრიანად მათი შეხვედრა უარის საექვოდ მოეჩვენა. სკამზე ჩამოსხდარმა ახალგაზრდებმა კი ამასობაში მზიარული მასლათი ვააბეს. სოფი, რაც შეეძლო ხმადაბლა კისკისებდა შიგადაშიგ და წამდაუწუმ ახალგაზრდა ვაჟს მალსტუხზე ექაჩებოდა.

მერე გოგო უცებ წამოხტა სკამიდან, სიცილით წამოავლო ხელი ვედროს და მზიარულად გაეკრდა ქიშკარში. ვაჟიც, თეთრი კეპის ქნვეა-ქნვეით უკან გაედევნა. უარიმ ერთხელ კიდევ დალანდა ისინი, ვიდრე ხელიხელჩაკიდებულნი მოსახვევში გაუჩინარდებოდნენ.

უარი გააკვირვა სოფის მზიარულებად და სითამამემ, თუმცა ზეშეობიდანვე ახტაჯანა იყო, და არა ერთი და ორი თავისი თანატოლი ბიჭიც კარგად გაუსილაქებია. სოფის ეგრე უბრალოდ ვერაფერს ვაეკარებოდა, ახლა რაკი გეოლოგი ვაჟი ასე შეეთამაშებინა, ჩანს, საქმე ცოტა სხვანაირად იყო.

უარი აივანზე გამოვიდა. ხელში პუარის ნამტკრევეები და ახლადმოყვანილი ყველის ნაჭერი ეჭირა და, როგორც სხვა დროსაც სჩევოდა, ახლაც ჭერისაკენ გაექცა თვალი: მერცხლის ბუდისაკენ. უარიმ თავისი ძღვენი ბუდის ქვე-

ვით მიკრულ დაფაზე დაალაგა და საფრენში შეიხედა.

ჯერ შეუბუშმლაღვი ბარტყები კისრებს იგრძელებდნენ, ნოსკარტები დაეფინით და ხარბად ასავსავებდნენ უმწეო უნებს. უარი დიმილით უსმენდა მათ სულწასულ წრიახს, უსმენდა და ესაუბრებოდა კიდევაც: — ჩემო სულელო ბარტყებო, მე რომ შემეძლოს, სიამოვნებით გაგიმასპინძლებოდი, მაგრამ რომ ვერ ვახერხებ! ცოტაც მოითმინეთ, სადაცაა მოფრინდება თქვენი დედოკო და ის დაგაპურებთ! — უარიმ ჩათვალა, რომ ბარტყებმა გაიგეს მისი ნათქვამი და კიბეებზე დაეშვა.

თვალი ისევ ხის ძირში მდგარ სკამს გადააწყდა. სკამის სახურავის კიდეზე მისი შვილიშვილის თავსაფარი ეკიდა. დილის ნიაღვი აფრიალებდა მსუბუქ აბრეშუმს, ჭრელი ფრინველის ფრთებივით არხევდა მის ფერად არშიებს. მოხუცმა ფრთხილად აიღო იგი, თითქოს ეშინოდა. ტყენა რაიმე არ მივაყენოვო, გულზე მიიკრა და მერე, ვითომ ადამიანიო, სევდიანი საუბარი გაუბა.

— ჩემო პატარა მერცხალო, ნუთუ დაფრთიანდი? ნუთუ გადაგიწყვეტია მშობლიური ბუდის მიტოვება? ნუთუ ისე ბედნიერი ხარ, რომ გულმაგიწყვი ვახდი და ამ დილაადრიან შენი ფრთის ბუმბული სკამზე დაგჩა. ეხ, ასე ყოფილა ცხოვრება. ყველა ასაკს თავისი საფიქრალი მოჰყვება. დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, კვირტი გაუშლელი არ ღარჩება.

— პაპილო, მარტოს არასოდეს არ დაგტოვებო!... ეხ, ჩემო პატარა გოგონი! მე არ გაგახსენებ შენს გულუმბრყვილო პირობას. რამდენჯერ ჩამოშკიდებხარ კისერზე, რამდენჯერ გიწვალებია ჩემი ქალარა წვერი! ახლა კი... ალბათ იპოვნე ადამიანი, რომელიც ჩემზე მეტად გეძვირფასება. ღმერთმა ბედნიერი გამყოფოს. ღმერთმა სულ სიამტკბილობაში გამყოფოთ შენცა და შენი გულის არჩევანიც, თუმცა მე საიდან მეცოდინება თქვენი აუკარგი, თქვენ ხომ ჩვე-

ნი სოფლიდან შორს, ქალაქში იცხოვრებთ!

მაგრამ ვაითუ დამინაგრეს ჩემი ამაყი შვილი, ვაითუ სიმწარეში გაატარებინეს დღეები — ამის გაფიქრებაზე უარის თვალები აღნიკვერცხლდა — ერთ დღესაც არ გავაჩერებ მათთან! ნაწველი კაციაო, ამბობენ, გეოლოგიაო. ვინც გინდა ის იყოს, მე მარტო ხელის მოწერა ვიცოდი, მაგრამ ხალხი პატივსა მცემდა.

თუმცა მისი შვილიშვილი ტყვილად თავს არაფის დააჩაგრინებს. ალაღ-მართალი გოგოა და სიჭიქტეც, სიმართლისმოყვარე რომ არის, იმითმ დასჩემდა.

ეხ, ნეტავი აჷ, სოფელში ეპოვა თავისი საბედო. ორივენი კარგად და ბედნიერად ვიქნებოდით, ერთმანეთი მუდამ თვალწინ გვეყოლებოდა. განა რამდენ ხანსა ვიყოცხლბ. ჩემი გვარის ხალხს არ გაუქირდება ჩემი დამარხვა, მაგრამ შვილიშვილს გაუქირდება, პაპა რომ არ ეყოლება. როგორც გინდა კარგად იცხოვროს, უჩემოდ მაინც ცოდოა, მაინც გულნაკულად იქნება. უცხომ შეიძლება ვერ შეატყოს, მაგრამ მე ხომ ვიცი როგორი გულჩვილია.

იქნება შვილიშვილებსაც შეესწროს. დასვამს მუხლებზე ცხვირპაჭუა, ქერათმიან ბიჭს და იმის აღერსში გაატარებს დღეებს. შეიძლება შვილიშვილი ქერა კი არ იყოს, არამედ პაპამისივით შეათვალა და შევეგერმანი. თუმცა... ეხ, შე ჩემო სულელო თავო, რა ბედენაა შევეგერმანი იქნება თუ ქერა, გოგო იქნება თუ ბიჭი. ბავშვი — ბავშვია, მთავარია კარგი აღამიანი იყოს, აღამიანობა კი მშობლებმა უნდა ასწავლონ. ცოტს რბგორც მოხელ, პურიც ისეთი გამოცხვება.

ერთი კია, თავის მამაძალ შვილიშვილს აუცილებლად ასწავლის ოსურს. ჭერ კიდევ ახალგაზრდობაში, ბრუსილოვის ჯარში რომ იბრძოდა და სანგარში რომ ათენ-აღამებდა, თავის მეგობარ ივანეს რამდენიმე ოსური სიტყვა ასწავლა: ბრძოლა, ძმა, ხმალი... პოდა,

რა გაუქირდება რომ შვილიშვილს წავლოს დედისა და პაპის მშობლიურა ენა. ეხ, ასე რომ მოხდებოდეს... სულ დაიფიწყებდა რაც კი ცუდი შეხვედრია ცხოვრებაში!

მეტისმეტი — რეტისრეტოი — ბევრი ითხოვა ბედისაგან ამ სიბერეში. ცოლსა და უფრო კი თავის გაუხარელ შვილს რას ეტყვის, იმ ქვეყნად რომ წავა? მე გაჯობეთო? მე მეტი ვისიამოვნე სიცოცხლეშიო? თქვენი წილი სიხარული მე დავინარჩუნეო? უარი აფორიაქა თავისმა ფიქრებმა, თუმცა მალევე მოეგო გონს:

— არა, სოფლის ბედნიერება იმით მხოლოდ გაახარებს. შეიძლება ცოტა შესურდდეთ ჩემი, მაგრამ განა მალღობლები არ უნდა იყვნენ. რომ კლდესავით ვდგავარ და მათ ნაწიერს პაპანაქებაში ვუჩრდილებ, რომ ჩვენს ერთადერთ მემკვიდრეს თვალის ჩინივით ვუფრთხილდები... განა პირველმა არ შემოგმახე მის ჭორწილში? — მეზობლები გაუაკვირვე, კაი-კაი მომღერლები გაეაწბილე.

სიმღერით კი მღეროდა, მაგრამ გულში ქვითინებდა უარი. მაშ რა ექნა? შვილიშვილი უთხოვდება, წამი-წამზე უნდა გაფრინდეს, თვითონ ორი პარასკევი თუ უღვეს წინ... პოდა, მორჩება ყველაფერი, სახლს კლიტე დაეღება, დადუმდება ერთ დროს სტუმრიანი ჭიშკარი, ეზოს საარეველა მოედება, კარის ანჯამები დაეანგდება, მერცხალი გაეცლება უპატრონო სახლს, აღარ მოიხედავს მისკენ, აღარ მობრუნდება, უპატრონო სახლს ყველა გვერდს აუქცევს, ყველას შეებრალება... მღეროდა უარი და თან ასეთი ფიქრებით ეწამლებოდა სული.

ახლაც, სკამზე ჩამომჯდარს, ისევ უბურღავდა ტენის ფიქრები და კაცმა არ იცის სადამდე გაჰყვებოდა მოხუცო მათ. მეზობლის პატარა გოგონას რომ არ შეეშალა ხელი. გოგონამ დევხელი და წვარიღყელიანი ბოთლით არაყი მოართვა, გრძელი, შავი წამწამები ჩქარ-ჩქარა დააფახულა და უთხრა:

— პაპა, დედამ შემოგიფალათ, დევ-  
ზელი, სანამ ცხელია მიირთვითო და ეს  
არაყვიც გამომატანა.

— მაღლობთ, გენაცვალე, შეილო!  
მაღლობა უთხარი ჩემს მაგივრად დე-  
დას. ჟერ არა მშია, ისიც, რაც გუშინ  
მეზობლებმა შემომთავიზეს, მაგიდაზე  
მილაგია ხელუხლები. წადი, გენაცვა-  
ლე, იქ დაალაგე ეგენიც, მომშივა და  
შეგებამ.

— ვიდრე ცხელია, პაპა! — ხვეწნით  
ეუბნება გოგო.

უარს ეღიშება და ალერსით წვრილ  
წელზე ხელსა ჰხვევს გოგონას — არა-  
შენი ჰირიძე, მე თვითონ გავაცხელებ  
მერე. წადი, დააწყე, სადაც გითხარი.

გოგონას აღარაფერი უთქვამს. რაც  
უთხარეს, ის გააკეთა და მერე დამორ-  
ცხებულ შინისაკენ წავიდა.

უარი კიდევ დიდხანს იქნა მდუმარ-  
ედ, შავი ფიქრები ჭირითობდნენ მის  
ფართო მკერდში... როდემდის იქნება  
კიდევ ასე მარტო — ყორანივით? რო-  
დემდის იქნება მეზობლების სიკეთის  
იშედზე. ხალხს ხშირად თავიანთი ბებ-  
რებიც სწყინდებთ, ნატრობენ კიდევ-  
ვაც ხოლმე — როდის მოკვდებაო. ისე-  
თებიც გამოერევიან, მოხუცს ლუკმას  
რომ აყვედრიან და უკანასკნელ დღეებს  
უშწარბენ. მართალია უარს თვითონაც  
ბევრი სიკეთე უქნია ხალხისათვის,  
ბევრჯერ ამოდგომია მხარში — თუ  
სიტყვით, თუ საქმით, მაგრამ...

ომის წლებში, ვისი სახლის წინაც  
სიკვდილის შავი ყორანი დაიჩხავლებ-  
და, უარი იყო პირველი გამკითხავი და  
მანუგეშებელი. მას აკითხავდა ყველა,  
ვისაც ბავშვები ულუკმაპუროდ დარჩე-  
ნოდა, ვისაც შეშა არ ჰქონდა, ვისაც  
სახლი თავზე ენგრებოდა. არც ერთი  
ქორწილი არ ჩაივლიდა უარის ჩრევისა  
და შეწვევის გარეშე. მეზობლებს შო-  
რისაც დავა თუ რაიმე ატყდებოდა, იქაც  
უარს უნდა ეშუამაგლნა.

თვითონ მას, რაც თავი ახსოვს, ჟერ  
არავისთან არ მოსვლია ჩხუბი. ერთად-  
ერთხელ იყო, კაცს რომ შემოჰკრა. ჯა-  
რისკაცობაში ერთმა ფიცმა, უღელაშებ-

აწყებოლმა ფელდფებელმა ტყუილბ-  
რალოდ შეაგინა დედა. უარს თვალთ  
დაუბნელდა სიმწრისაგან და ისე  
უთავაზა პირმყრალ ფელდფებელს, რომ  
საწყალი ძლივს მოასულეირეს. სამაგი-  
ეროდ, ამ შემთხვევის შემდეგ უარი-  
სათვის აღარავის უკადრებია წარამარა  
გინება.

ეს არმიაში რომ მსახურობდა, მაშინ  
იყო. იქ კი, თავის სოფელ-კუთხეში,  
გადბრუნებული სიტყვაც კი არაფეს-  
თვის უთქვამს უარის. მაგრამ ვანა  
სესხად აძლედა სიყვარულსა და  
ალერსს: როდემდის უნდა შეინახონ მე-  
ზობლებმა? საქმე ყველას თავზე სიყ-  
რელადა აქვს. იმ ცოტადენ საქონელ-  
საც — ხუთიოდე ცხვარს და ხბოიან  
ფურს ზამთარ-ზაფხულ მეზობლები  
უნახავენ, ამოვებენ, წველიან, აზამთ-  
რებენ. როდემდის უნდა იყოს ასე? ხომ  
შეიძლება, ბოლოსდაბოლოს, ყველას  
მობეზრდეს! ესეც რომ არ იყოს, სინ-  
დისიც ხომ უნდა ჩააგდო სათვალავში!

მაშ როგორ მოიქცეს ვის მიყრდნოს  
ბებერი თავი? ყური მოუტარავს, რომ  
უთვისტომო და დავრდომილი მოხუცე-  
ბისათვის სახელმწიფოს მშენიერი სა-  
სახლეები უშენებია, სადაც ეს მიუსა-  
ფარი ხალხი თავის გემოზე ატარებს  
ცხოვრებას. მაგრამ უარი იქ წამსვლე-  
ლი არ არის, ვერასოდეს ვერ მიატო-  
ვებს თავის სახლ-კარს, თავის სოფელს.  
წასვლაც რომ მოინდომოს, ვინ გაუშ-  
ვებს. ნათესავები და მოგვარეები ასეთ  
სამარცხენო ამბავს ვერ აიტანენ. ის კი  
არა და, ამის თაობაზე სიტყვის თქმა-  
საც ვერ მოითმენენ. სოფი ხომ თავსაც  
ურჩენია, მაგრამ იმანაც რომ სთხო-  
ვოს, ჩემთან წამოდიო, სახლიდან ფეხს  
არსად გაადგამს. ანკი როგორ მიატო-  
ვოს თავისი ეზო, თავისი სოფელი, სა-  
დაც ამდენი სიხარული და წყენა უნა-  
ხავს. როგორ მიატოვოს მშობლებიან  
საფლავები? როგორ მიატოვოს ცოლის  
საფლავი? როგორ მიატოვოს მიწა, რომ-  
მელზეც მისი ომში დაღუპული შვილის  
ცარიელი სამარეა გაჭრილი? ან რა-  
ტომ შეაწუხოს სოფი? ვანა ისე კი ცო-



ტა საქმე აქვს? უარი ხომ ყოველნაირად ეხმარება მას, თავისი პენსიის ნახევარსაც შეილიშვილს უგზავნის. მეზობლები და ნათესავებიც ყელს უწვევენ — ჩვენთან იტხოვრეთ!

მაგრამ არა! ვერ მიატოვებს იგი იმ ეზო-კარს, სადაც მისმა შვილმა აიღგა ფეხი, სადაც მან უსტირჯის სიმღერა დასტეკა მიმისერთას ქორწილზე, სადაც ყველაფერი — ქვა იქნება თუ ხე, ცოცხალივით სულწაღმგულია მისთვის, ესმით მისი მწუხარე ფიქრები, გრძობენ მის დაღლილ მზერას, მის შეკმუხუნულ, ჭალარა წარბებს, მის სიხარულს.

და განა შერთო ეს აჩერებს სახლში? ერთიც არის და უცებ დაბრუნდა მისი ფრონტელი შვილი? განა ცოტას მიუღია დაღუპვის დეპეშა — მერე რომ ტყუილი გამომდგარა? ხოდა უცებ რომ დაბრუნდეს იმისი ვაჟკაცი, ხომ აავსებს საყვედურით: „რა იყო, მამო, სახლში ვერ მომიცადე? თბილი ადგილის ძებნაში მე რატომ გამიცივე კერა!“

სოფის გათხოვების შემდეგ უარის ხშირად ერთიდაიგივე სიზმარი აწვალვებს. ესლაც, ნკამზე მითვლემილს და მზეს მიფიცებულს, ისევ ძვალად და ტყავად ქცეული, ატრემლებული ცოლი და ტყვიებით დატბორილი, კრილოზებებიდან სისხლმდინარი შვილი დაუდგა თვალწინ. ერთმანეთისთვის ხელი ჩაუკიდიათ, უარს მწყრალი სახით უყურებენ. დუმან. მერე, უცებ, ერთმანეთს რომ არ აცლიან ისე მოჰყვებიან საყვედურებს:

„ასეთ გულქვაობას არ ველოდით შენგან, ოქახის უფროსო! სოფი ვაათხოვე და ქორწილში არ დაგვატოვე... რა შეგშურდა, რატომ მოგვაკელი ასეთი ბედნიერება... მთელი სიცოცხლე ველოდით ამ შემთხვევას... ახლა ხომ დარჩი მარტო, ჰოდა, ვაძეხი ჩვენი წილი სიცოცხლითაც“.

ესა თქვეს და, როგორც ყოველთვის, დადუმდნენ. შესცქერაინ სევდიანი, ფართოდგახელილი თვალებით. უარი იბნევა, იტანჯება, არ იცის, რა უპასუხოს მოსაყვედურებს, უნდა ხმის ამო-

ღება, მაგრამ ვერ ახერხებს, ყელში ბურთი ეხხირება და ხაცია გონს დაჰკარგავს: მაგრამ თითქოს საშველად შორა ველებიდან ნიავს მთიბაეების სიმღერა მოაქვს.

უარი გამოფხიზლდა. სხეულზე ცივა ოფლი გადაეფლო. გატანჯულმა მიმოიხედა: სულიერი არავინ ჩანდა. სიმღერის ხმები კი ერთიმეორის მოყოლებით მოფრინავენ მისკენ, ხის ფოთლებს ეკიდებიან, ეზოს ავსებენ და მოხუცის გულს ხანჯალივით ერჭობიან. მოხუცს ჰგონია რომ ვარკვევით არჩევს თითო-ერთი მთიბეელის ხმას: ვინ მაღალი ხმით მღერის, ვინ დაბალით, ვაი ხმა წკრიალვებს და ვისი კიდევ ხანს ააბობს.

უარი ნელა წამოდგა. ქვლით სახე მოიჩრდილა. გაღმა გაჭირვებით არჩევს მთიბაეების რიგს. ერთიმეორის მოყოლებით, წეროების გუნდვით რომ ჩამწკრივებულან. ბოლო წლებში შორ მანძილზე ვერ ხედავს უარი. თვალზე ბინდი ეკვრება და ხედვას უშლის. ახლაც ვერ არჩევს მთიბაეებს, მაგრამ ხედება, გრძობს თუ როგორ ელავენ მზის სხივებზე ცელები.

სოფლის სამუშაოებიდან უარის ყველაზე მეტად თიხვა უყვარდა. თიხვის დაწყებას ისე ელოდა, როგორც სულწასული ბავშვი რაიმე ნუგბარს. მერე როგორი თიხვა იცოდა! ეს მთასავით კაცი ხელს რომ გაშლიდა, ერთ რამედ ღირდა ყურება. შამალისეული ერთარშინიანი ცელი თანაბრად შრიალვებდა, შორიდან მაყურებელი იფიქრებდა, მთიბავი კი არ ატანს ძალას ცელს, ეს დალოცვილი თავისით სთიბავსო ზალახს. ოფლიან კანერზე და ზურგზე განუწყვეტლივ გრძობდა მზის თათს, ის კი მიდიოდა და მიდიოდა, მის ცელქვეშ მორჩილად წებოდა ზალახი და მთიბავის ზურგსუკან თანაბარ ზოლებად რჩებოდა.

და აი, ისევ გაიღვიძეს ძველმა გრძობებმა მოხუცი უარის გულში, გაიღვიძეს და უმაღლ სათიბებისაკენ გადრინდნენ, უარი ადგილზე დატრიალდა, ეზო მოათვალიერა. ჭალარა წვერი ჩამოქანა.

თითქოს ნიღაბია და ჩამოშორება უნდაო. ლელავს, მენხერწაშწამებიან ქუთუთოებს გახშირებით ახამამებს, ხან თავის ფეხებს დააჩერდება, ხან ასევე აქეთ-იქით იყურება.

ბოლოს სოფლის ბოლოსაკენ გასწია, თავიანთი კალოსაკენ. გულს ბაგა-ბუვი გაუღას და უარი ხელს იჭერს შერდ-ზე, უჯვარდება გულს, უნდა შეაჩეროს, მაგრამ აწყვეტილ ცხენს ვეღარ იმორჩილებენ უღონო ხელები. მალი-მალ ჩერდება, ქოშინებს, გაშალეულ სუნთქვას ვერაფრით უწამლა.

როგორც იქნა მიადწია კალომდე. საბძლის კარი შეაღო, სხევენს აპხელა. თბლად ჰკიდია უარის შეილის ნაქონი ცელი. რაც მისი პატრონი მოუსაყლეთის გზაზე წაიდა, უპატრონო ცელს აღარავინ მიჰკარებია.

უარის ცელიც შეილის ცელის გვერდით ეკიდა ხოლმე, მაგრამ როცა უარიმ თიბეაზე სიარული მიატოვა, ცელი თავის მოგვარე ვაქს გადაულოცა, ოღონდ გააფრთხილა: — კარგ ცხენს კარგი მხედარი უნდა, ეს ცელიც არასოდეს დაბრუნებულა დამარცხებულ შეჭიბრიდან. ჩემი თხოვნაა, არ შეარცხვინო იგი მეგობრების წინაშე!..

მოხუცი ყოველ ალოობაზე მიდის ხოლმე კალოზე. შეაღებს საბძლის კარს და დაობლებულ ცელს სევდიანად ესაუბრება — ოღონდ არ ჩამოხსნის საკიდიდან, ისე, სახელურს მოეფერება, მიუალერსებს და გულმოკლული უკან გამობრუნდება.

დღესაც ფრთხილად შეაზო ხელი, ჩუმად ჩამოხსნა. ცელის პირზე ხელსაგული მოატარა. ფიჭვის ტარი და მუხის სახელური ალბათ გახმა ამდენი წლის უქმად გდებაში და ცელის პირი ალბათ მოირყაო — გაიფიქრა, ცელი მიაყუდა საბძლის კედელზე და ნიშიდან ჩაქუჩი და სალესავი გამოიღო. გამართა, გაამაგრა ცელი, პირი აუფხიანა, ისევ მოუსვა გამხმარი, გაუხეშებულ ხელისგული.

ასე ჰგონია, რომ ცელის ტარზეც და ცელის პირზეც მისი შეილის ხელების

კელია დარჩენილი, ამიტომაც ასე გახელებული რომ ეფერება მათ უარი. ააყოლებს და ჩააყოლებს ხელს, ცელის ტარს, სახელურს, ცელის პირს... ააყოლებს და ჩააყოლებს, გული ვერ ძლება, ვერ ელვავა სიტკბოს, რომელიც ცელის ფერებით ეღვრება გულში. თიბვიდან თიბეამდე ჰყოფნის ხოლმე სიხარული საგზლად ეს ერთი წეხვედრა შეილისეულ ცელთან, ეს ერთი ალერსი მისი, ეს ერთი საუბარი მასთან.

უარიმ, თითქოს ბურანში წაეიდაო, თვალები მილულა, დაღუმდა... მოგონებები მოეძალა ისევ. აი, მისმა თექვისმეტი წლის შეილიმა პირველად აიღო ხელში ცელი, გვერდში ამოუდგა მამას და თიბვა დაიწყო... მაგრამ ისე ჩქარ-ჩქარა იქნევედა ცელს, რომ რამდენჯერმე მიწას წამოსდო, მერე აქაოდა ასე არ გამოიდისო, ცელი ზვეით დაიჭირა და ახლა კიდევ მხოლოდ წვერებსღა აჭრიდა ბალახს.

ალბათ მიწას რომ რამდენჯერმე წამოჰკრა ცელი, იმან დააბლაგვა ფოლადი, იმან გახადა ხერხივით და პირი აუშალა. უარიმ გამოაჩთვა შეილს ცელი, სათიბის ნაპირზე გადავიდა გამოკვერა და ისევ უკან დაუბრუნა.

— აიღე და სალესავით კარგად გაუარე. ცელს ძალიან დაბლა ნუ გაატარებ, თორემ ისევ მიწას წამოსდებ და დაკებილავ!

ბაბიმ ისევ განაგრძო თიბვა. ახლა უფრო უკეთ მიჰქონდა სვრელი და რამდენიმე რიგზე ვაჟაკურად მიჰყვა მამას. მაგრამ ერთ-ერთ შემოვლაზე ჭიანჭველების ბუდეს გაუყარა ცელი და როცა მიწიდან აძრობდა, ტარი გადაუტყდა. თავზარდაცემულ ბიჭს აღარ იცოდა რა ექნა, სირცხვილისაგან გაწითლდა, მისკენ შემობრუნებულ მამას თვალს ვერ უსწორებდა.

— მაგრამ მერე როგორი მთიბველი დადგა! — ეუბნება უარი შეილის ცელს. — რომელი ახალგაზრდა აჭობებდა ჩვენს არე-მარეში. მეორე წელს ის მოკლეთარიანი ცელი მიაგდო და

შენ გიშოვა ხალაქ! პოდა, თქვენც მა-  
შინვე გაუგეთ ერთმანეთს და არც  
არასოდეს შერაცხვენილხართ, არ ვიმტ-  
ყუნებიათ ერთურთისათვის. ბოლოს  
შინც მიან ვილაღატა: არ დაგიბრუნდა,  
შეეწირა იმ სისხლიან ომს. დაგვაობლა  
ორივენი. ამიტომა ვარ მეც ამ დღეში  
და შენც ამიტომ მოგპარვია ენაღ. წა-  
ვიდეთ, გავისენოთ ძველი დრო! მარ-  
თალია მე შენი პატრონივით ვერ გაჭი-  
რითებ და შენს მხიარულ სიცილსაც  
შვის სხივებზე ვერ ვაკიაფებ, მაგრამ  
წავიდეთ... ეხ, რატომ მიწა არ შესქამს  
ჩემს დასუსტებულ, ძალაგამოღებულ ხე-  
ლებს, სად ვაეპარათ ძველი ძალ-ღონე!

უარიმ ხელი ჩასჭიდა ცელს, საბძ-  
ლის უკან გავიდა და გაჰხედა კარგად  
დაპურებულ ბალახს, თამამად რომ ბი-  
ბინებდა, აქა-იქ ნამშერჩენილი. ისევ  
შვილიშვილი გაახსენდა — ხუთი წლის  
სოფი. როგორც დღეს, მაშინაც აქ იყო  
სათიბად მოსული, თან შვილიშვილიც  
წამოყვანა. სოფი დაბტოდა ბალახებ-  
ში, ყვავილებს სწყევტდა, ბალახს სთე-  
ლავდა, კურდღელივით დაეცანცარებდა.

— ნუ წყვეტ, ცოდონი არიან, —  
ეუბნება უარი.

ბავშვი შედგა, დაფიქრდა და პაპას  
ცნობისმოყვარე თვალებით მიაჩერდა.

— ცოდონი რად უნდა იყვნენ, ადა-  
მიანები ხომ არ არიან!

— დიხაეც რომ არიან, ჩემო კარგო!  
ბავშვი უფრო დაიბნა და უფრო და-  
ინტერესდა:

— რანიარი ადამიანები არიან, რო-  
დესაც ლაპარაკი არ შეუძლიათ!

— საქმე ის არის, ჩემო სიცოცხლევე,  
რომ ეგ ყვავილები ჩვენი წინაპრების  
ძვლებზე არიან ამოსულენი.

ბავშვი ასეთმა პასუხმა შეეკრთო და  
შეაფიქრანა. ხან ყვავილებს დახედავ-  
და, ხან პაპას მიაპყრობდა მზერას. ბო-  
ლოს იკითხა: — აი ის ეკლიანი სარე-  
ველები საიდანღა გაჩნდნენ მაშინ? ახ-  
ლა უკვე უარი დაიბნა. მერე სათიბის  
კრდეებში მოდებული სარეველებისა-  
კენ გაიხედა და შვილიშვილს უთხრა:

— ეგენი, ჩემო შვილო, ცელი, როტი  
ხალხის ძვლებზე ამოვიდნენ. ისინი  
სიცოცხლეშიც ასევე მიუყარე-  
ბენი იყვნენ, იმათი საქმეც და სიტ-  
ყვაც ამ ეკლებივით ესრებოდათ აღ-  
ანებს.

უარი ცდილობდა ფიქრებიდან გამო-  
რკევეს, მაგრამ აზრები გაურბოდნენ,  
ეფანტებოდნენ. როგორც კი თიბდა და-  
აპირა, გაღმა სათიბებიდან ისევ მო-  
ესმა მთიბავეების სიმღერა. როგორც  
ოდესღაც, ახლაც ამ სიმღერას შეტყუო  
ფეხი და ცელი ბალახს მოუქნა, თით-  
ქოს ძველი ძალა დაუბრუნდაო მას გა-  
მოფიტულ სხეულს, მიდის და მიაჭვხ  
ფართო სერელი. შუხ... შუხ... იძახის  
ცელი „მოვდგარ, მოვდივარ“ — ება-  
სუხება უარი. ცელის ხმა ნანატრი პან-  
გივით ჩაესმის და სიტყბოდ ეწვევება  
გულში. ახლადგათიბულ ბალახის სუნი  
ნესტოვებში უღიტინებს, ათრობს, აბ-  
რუებს.

მთიბავეების სიმღერა ნელ-ნელა  
მიწყდა. უარიმაც მიაღწია სათიბის ბო-  
ლომდე. შედგა. თიბვის დროს ვერ ამ-  
ჩნევდა თუ როგორ საშინელი გამალე-  
ბით უცემდა გული, ახლა კი ისე ჩაეს-  
მის, თითქოს ჩაქუჩის ურტყამენო კვერს.  
სუნთქვა ეკვრის. ცოტა ხანს შეჩერდა,  
მერე ცელის გასაწმენდად ბალახისთვის  
დაიხარა.

მაგრამ წელში ველარ გაიძარათა. ეგ-  
რევე წაემხო პირქვე, მოწყვეტით, რო-  
გორც ბებერი მუხა. ტანში რაღაც სასი-  
ამოვნო ყრუანტელმა დაუარა. წამოდ-  
გომა სცადა, მაგრამ ისღა შესძლო, რომ  
ზურგზე გადატრიალდა და სამუდამოდ  
გაცივდა. მის თავითი მიწასადამკვდარი  
ცვრიანი ბალახი იწვა.

მხიარულმა მთიბლურმა ისევ შეარ-  
ხია პერი, მაგრამ უარის აღარ ესმოდა  
იგი. მარტოდენ საღამოს გრილი ნიავი  
ოდნავ ურხევდა მრავლისმომსწრე ტა-  
ღარა წვერს. ჩამავალი მზის სხივი სევ-  
დიანად ლოკავდა დაობლებულ ცელის  
პირს.

ალექსანდრე ვუხაევი

### სსახელო შოკლენი

აი, ყორღანი მდინარის გვერდით,  
ყირიშში — ზღვის და ხმელეთის კართან...  
აქ დაიბადა ზღაპარი ერთი —  
თუმც მთელი ომი ზღაპარს ჰგავდა.

...დღე მოკლა ყორღის ფრთების სიბნელემ  
ის დღე დანებდა სისხლის ნიაღვრებს,  
იმ ყორღის ფრთები ნუმცლა იფრენენ,  
იმ ავდრით ზეცა ნუმცლა იავდრებს.

მთელ ყორღანს თითქოს ცეცხლი გვიდა,  
ცეცხლის და სისხლის კუნძულად იქცა,  
ათი ათასი ყორღის ფრთებიდან  
ბომბების სეტყვა დაატყდა მიწას.

და შეეცვალა ათჯერ პატრონი  
ამ ყორღანს — ათჯერ ხელიდან ხელში  
გადადიოდა. სისხლი ამდენი  
არ დაუნახავს მზეს თავის დღეში.

როგორ აღუწერო აღუწერელი...  
შუადღისას კი ჩაწყნარდა დღეგმა,  
დროშა გამოჩნდა მზით დაფერილი,  
გატყდნენ, ყორღანი დატოვეს მტრებმა.

...სამმა მებრძოლმა ყორღანის თავზე  
გამარჯვებულთა დროშა გაშალა, —  
ჩამოიცალა ცა სისხლით სავსე,  
სიკვდილს ამოსდეს ლავამ-ავშარა...

მაგრამ ჯერ სად ხარ,  
ეს დღე მგრგვინავი  
თურმე სამინელ დასასრულს უცდის —  
ამოფრიალდა მტრის თვითმფრინავი  
და სამი გმირი გათავდა წუთში.

დასასრული და სამარადისო  
დიდება ზუსტად მოვიდნენ ერთად,  
ოღონდ დიდება შეე სამარეში  
ბიჭებს არ ჩაჰყვა — აქ დარჩა, ჩვენთან!

ისინი დარჩნენ პოლკის სიაში,  
არ ამოშალეს, მათი ადგილი  
სამი მაღალი ფიჭვით შეავსეს —  
სამი ხე დარგეს ციხეკენ აწვდილი.

აი, ყორღანი მდინარის ახლოს —  
ეს საოცარი მემორიალი...  
ჩემი სალამი, ვინც ბორცვზე სახლობთ  
და სამი ფიჭვი თავს დაგშრიანლებთ!

ეს გაზაფხული დაბრუნდა ჩვენთან,  
 სხვაგან წასული სამოგზაუროდ,  
 გამოელევიდა ალუბლებს ცეთრად,  
 ჩვენი მდინარე მწვანედ ხმურობს.  
 სამოგზაუროდ იყო,  
 დაბრუნდა  
 ფრინველთა ღედა —  
 ეს გაზაფხული,  
 ჩანჩქერი გასხლტა ზამთრის საბნიდან,  
 ბრწყინავს ბალახზე ნამი ზღაპრული...  
 ნეტაეი იმ გზას, სადაც გაივლის,  
 მის კვალზე ყველგან ყვავის ბალახი,  
 დადგა აპრილი —  
 დიდი ყვავილი  
 ჭრელი ჩიტების მწვანე ქალაქი.  
 ეს ყველგანაა — მწვანე ქარია  
 ბალახში ჩადგა, ფოთლებში ჩადგა,  
 რაც მთავარია,  
 რაც მთავარია,  
 ეს გაზაფხული ჩემს გულშიც დადგა.

თარგმნა მანუშა ნიკლაშვილი

ინიღორა ქოზაძე

## გზა

ეს გზა — ზოგთათვის ხალიჩა ჭრელი,  
 ზოგთათვის — ტანჯვის და სიმწრის ზოლი...  
 გზა ჰგავს მდინარეს თავის სვლით ძნელით,  
 მარადიული სრბოლით და ბრძოლით.

მის მდორეებში და აღმართებში  
 იღვრება კაცთა სისხლი და ოფლი.  
 ხუობა დროის დიდი ნახმლევი —  
 კვალი ბრძოლების, ცხოვრების, ყოფის.

იქ დაიბადა ჩვენი სიმღერა,  
 იმ დღიდან ერთად მოლიან ორნი, —  
 გვიამბობს ხმლები როგორ იმტვრევა,  
 როგორ იწრთობა მარჯვენა ბრძოლით.

გზა ყველასია, აქ ყველას ნახავ —  
 ერთგულს და გამცემს, კეთილს და  
 ბოროტს...  
 ის ოქროს კიბით მიჰყვება აღმართს,  
 ის კი — ტალახის გუბეში ცხოვრობს...

ამბობენ ქვეყნად ბევრი გზა არის —  
 მიდიან გზები, კვეთენ ერთმანეთს...  
 მე ორ გზას ვხედავ:  
 უკვდავებისას  
 და სირცხვილისას,  
 არ ჩანს შესამე...

რაც იბადება,

მხოლოდ ის კვდება —

ასეთი გახლავთ ძველი კანონი.

და თავის მუდმივ ხეტიალში აღამიანი  
წაიბორძიკებს — გაჩერდება, წინ ვეღარ წავა,

აღიშარება კედელივით მის წინ სიძნულე.

მაშინ ამაყი შევარდენი შეუთრთოლებლად

მოსწყდება ღრუბლებს

და უკანასკნელ

ეჭობად და მოწოდებად გადაიქცევა...

ამაყი ჯიხვი, მგლის სუნთქვა რომ წამოწყდება,

არჩევს უფსკრულში ჩაიტანოს თავის სიციცხლე...

რაც იბადება,

მხოლოდ ის კვდება:

შეიძლება რომ ამოშრნენ წყლები —

მიწის ცისფერი არტერიები.

შეიძლება რომ ვულკანურმა ციებ-ციხელებამ

გადაადუღოს ერთმანეთს შიებში...

შეიძლება რომ უღრან ტყეებსაც

მოახრვეინოს ავბედმა ქუდი...

რაც იბადება,

მხოლოდ ის კვდება.

დაე, ამოშრნენ მდინარეები,

იმათი ფსკერი იქცეს სახნაუად;

დაე, შევარდენი ისარივით მოსწყდეს ლაგვარებს...

ოღონდ იცოცხლოს,

რაც ამ მიწაზე დაბადებულა უკვდავებისთვის,

დაე, მზე ადგეს მარადიული!

დაე, არ ქქონდეს მსახურალ ბედს ხელი

აი, ამ წმინდა ადგილებზე,

კერიის ცეცხლზე

და წინაპართა ადათ-წესებზე...

## მ ე გ ო ბ რ ე ბ ს

თქვენს მეგობრობას ერთგულად ვუნდე.  
 მარად გულში მაქვს, რაც გამიკეთეთ.  
 თქვენით ვსულღებულობ ყრმობიდან  
 დღემდე.  
 ვით დაეფიწყო დიდი სიკეთე.

სულს მიხუთავდა წარსულის რისხვა,  
 არ მაფიწვდება მწარე წუთები,  
 ვინც გვერდით შედგა ტანჯულს და  
 ხიხინა, —  
 ეს თქვენ იყავით კეთილი ძმები.

ბევრი დაღვარე ვოდებით ცრემლი,  
 ვიყავე შიშველი, ბედის მორჩილი,  
 თქვენ მომანიჭეთ ნათელი დღენი  
 და მომასორეთ შავი აჩრდილი.

დღეს მივაბიჯებ შედგრად, უშიშრად  
 ძმობის იმედით ოსი პოეტი,  
 ო, მეგობრებო ასე, ამრიგად,  
 მზის სამყაროში თქვენით მოვედი.

## უ შ ე ნ ო დ

შე მარტოდ ყოფნა არასდროს მწამდა,  
 კაცის ცხოვრება აბა რა არი!  
 შენს შემდეგ ყველა გრძნობები ჩაკედა,  
 ვარ კავკასიანი უშენოდ მკვდარი.

## რ ა ბ გ ა ბ ბ რ ი ა

მით იამაყე, რაც გაბადია,  
 ნულარ იღარდებ, რაც ვერ შესძელი;  
 გიყვარდეს შრომა: შრომა განძია,  
 შრომის გარეშე გზებია ძნელი.

## პ ღ ა ნ მ ბ ე ბ ი

ეუმზერ პლანეტებს დღისით და ღამით,  
 ხადაც კამკაშებს ვარსკვლავთა წყება, —  
 მაგრამ არ ვიცი: მარად, და წამით  
 მათში რომელი ბრწყინავს და ქრება?

რეპაზ ასაპი

## კოსტა ხეთაგუროვის ხმა ოჩაკოვში

„თქვენ თავად ხედავთ რა მშვენიერია ოჩაკოვში ყოფნა...“

კოსტა ხეთაგუროვის წერილიდან.

ყურთ მშობლიური ბგერები ესმა,  
მზედ გადმოღვრილი ოსის ბაგიდან,  
მე ოჩაკოვში ვისმინე ეს ხმა,  
და გული ჩემი ღებნივთ აყვირდა.

ეს სიზმარია თუ ცხადი, ნეტავ?  
თუ ცხადად ნანახ სიზმარს ვიგონებ...  
აქ კოსტას ხმა და თრთოლვით ვხედავ,  
რა მღელვარებით სუნთქავს სტრიქონი.

უცებ დამრიეს ფრთები ფიქრებში, —  
ამ სტრიქონებში ოსის მზე მოსჩანს,  
ზღვაში ეძინა დღემდე იქნება,  
იქნება ჩიტის ნისკარტს შემორჩა.

იქნებ მზემ მკლავზე გადაიწვინა,  
მერე გადიცა ფრთაშალ თოლიად,  
ზღვის ლურჯ ტალღებზე თუთრად იბრწყინა  
და ქარმა ჩემთან მოიყოლია.

იქნებ სილაში ჩაფლა სათქმელი,  
შორს განდევნილმა ჩემმა მგოსანმა,  
და მთვარესავით ღამენათევი,  
დღემდე უკვდავი სხივი მოსავდა?

ბრძოლის ქარ-ცეცხლში მკლავს უსწორებდა  
მეორე კოსტას?

იქნებ,  
ვინ იცის?

და ხულს უდგამდა სისხლის მორევთან  
მის მვლდაურებს რაღაც თილისმით.

იქნებ ის იყო ისა ფლივეის<sup>1</sup>  
ხმლის ნაკურწყალი და აღმაფრენა?  
და იმ არწივის თვალთა სიუღვე  
ღღემდე შემოგერჩა მზედ და დაფნებად.

აღბათ ამიტომ ვერ მოითმინა,  
მოსრა მიწიდან მტერი მრისხანე,  
იქნება ეს ხმა მასთან იბრძოდა,  
სტრიქონი იყო ცეცხლის ისარი.

ისა ნაბრძოლი და ვალმოხდილი,  
ბუგის ნაპირთან ჩაწვა საფლავში...  
დღეს კი ცა მიწას არ ჩამოსტირის, —  
ელაფვარდება სივრცეს მხარგამლით.

ვიცი ამ ტალღებს კოსტა უსმენდა,  
იგი უსმენდა სხვა გატაცებით,  
ვთხოვებოდა დაღლილ გულს სვედა  
მოძალებული მტანჯველ განცდებით.

იმდროინდელი ლექსის სტრიქონი  
აქ დარჩენია კოსტას შემთხვევით...  
ვიგონებ წარსულს, მგოსანს ვიგონებ  
და მის უწმინდეს სახელს ვემთხვევი.

დანაღვების თეთრ სახლს ვუცქერი,  
თან განშორების განცდა მათრთოლებს,  
რაკი აქ ცოცხლობს ხსოვნის ფურცელი,  
ამ სახლს გულგრილად ვერ მივატოვებ.

„ვით ეტეოდა კოსტას მდიდარი  
ხული ამ სახლში...“ ვთქვი უნებურად,  
თუმცა ამ მხარის ყველა ტიტანი  
ამგვარ სახლებში დაბადებულან.

თარგმანი ზარიბოლ ჯაღალიძემ

1. ფრანსუაზი, ნიკოლაევის ოქტის ქალაქ ოჩაკოვში გაღასახლებმაში მყოფი კოსტა ხეთაგუროვი 1899 წლის 26 ივნისიდან 9 ივლისამდე დანილოვების ოჯახში შეიფარა.

2. ლაპაჩაია საბჭოთა კავშირის გმირ მებრუნურზე, კოსტა კოჩიევზე.

3. ისა ფლივეი — საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალი.



## ქალის სიმძიმე

შენ ჩემო ქუდო, ბავშვობის დღიდან  
მუდამ ჩემთან ხარ ცხადით, სიზმრებით...  
ღობის სარეზზე გკიდებდი უღვთოდ,  
ბავშვებთან ერთად ქვებს გიმინებდი.

გათამაშებდი, ცემით გხვდებოდი,  
ხან კი ზეცაში, მზისკენ გისვრიდი,  
დაჭრილ ჩიტივით ძირს ეცემოდდი,  
მიბრუნდებოდი მწარე სიმშვიდით.

რამდენმა ბავშვმა ფეხით გაგთელა  
და მორჩილების გწვევდა ხანძარი,  
რამდენ ბუბლას და ციცინათელას  
უგემებია შენი თავზარი.

დღესაც ისა ხარ, შვეტრა ეს ბედი,  
სადარდელი კი ათჯერ იმდენი,  
რაც ვუფოვნებდი წლებით მზის ედემს  
გხედავ, დღითი დღე უფრო მძიმდები.

იქნებ შენ გშობა კლდის მწუხარებამ  
და მკაცრმა ბედმა ასე დაგტვირთა,  
იქნებ ფარი ხარ ზეცის, ვეება  
გამოტყდილი წვით და დაგვიტა.

არვის უნახავს ჩემი სიმცირე,  
ალარც სუსტი ვარ და არც ავთვალი,  
მაგრამ გამსრისოს ლამის სიმძიმემ,  
გზაზე ეტორტმანობ როგორც დამოვრალი.

გისდი თავიდან, როცა ვიძინებ  
და როს გრძელ გზაზე კაცს მივაცილებ...  
ამ დროს შენა გველის გლოვის სიმძიმე  
და უქედობა ვეღარ მამციარებს.

შენი სიმძიმე ცას მიახლოვებს,  
მღლი და ძალ-ღონით მავსებ ისევე,

ჩემთან ხარ, ანდა ჩემს სიახლოვეს  
ირმის წამახულ რქაზე ისვენებ.

ჩვენ ერთად ვუტვეთ ქარის ბორიალს,  
ზაფხულის ხვატში ველარ გიცვილებ,  
თუ მოგისხენი, სული მგონია  
მოვისხენი და მიტანს სიცივე.

მე განა ყინვას შენით გაკავებ,  
ან სითაკარეს კი არ მაცილებ,  
მე კაცი მქვია და მიშკანკალით  
ქვეყნად ვერავის ვერ გაგაცინებ.

მე მხოლოდ ერთი ფიქრი მაწუხებს,  
არ ჩამომცურდე ისე თავიდან,  
რომ ჩავუვარდე სვედის მარწუხებს,  
უშენოდ სვედას ვეღარ ავიტან.

ვიცი, იუდა თვალს არ მაშორებს  
და თუ უშეკმა ერთხელ შეგბინდა,  
კაცურ-კაცობის ზიზღი დამცინებს  
სინდისის მაღალ ლაგვარდებიდან.

მშურს და ყოველთვის მშურდა თავიდან  
მისი ხსოვნაა ღმერთთან სათქმელი,  
ვინაც საფლავეში ბავშვად ჩავიდა  
და ქუდზე მუდამ ადგა ნათელი.

როგორც მჭედელი, ვიწრობ ხასიათს,  
ქუდია ჩემი ფარიც, მახვილიც,  
ისე ცხოვრებას რაღა აზრი აქვს,  
სინდისი არის ქუდის სახელი.

შენ თავს და ზეცას შუა თავსდები,  
მზე ხარ მნათი და რიღით შეგცქერი...  
გაათბე მიწა შენი ნათელით,  
მხოლოდ მიწაზე ნუ დაეცემი! \*

## ზ ა მ თ ა რ ი

პრეტორია

მალგაზრდობაშივე გვითვარდება თმები,  
მაგრამ სამუდამოდ ქაბუცებად ვარჩებით.

გაფუხა.

ეს მერამდენე დღეა გაუნერებლად ბარდნის... თოვს და თოვს... იმძლავრა დეკემბერმა, ასე გგონია ცა საცრებს იცვლისო: პირველ დღეს ცოტა მსხვილად, ზრილივით ზორზოშინა წამოუშინა. მერე წმინდა, წვრილ-წვრილი ფიქვი მოაყოლა და დედამიწა თეთრ საბანშა გახვია. მესამე დღეს მსხვილი ფანტელები თეთრი პეპლებივით ზოზინით მოფრინავდნენ ციდან და დაფარეს ხეებისა და ბუჩქების შიშველი ტოტები. სახლის სახურავეებმა თეთრი კრაველის ქუდები დაიმხეს.

„წივ-წივ, წივ-წივ!“ — ისმის ხეებიდან, საბძლებიდან, სახურავეებიდან ბელურების ყვილი. ასეთი დღე ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ. ფერდობებზე მათი ციგების ნაკვალევი ჩანს, გორაკებზე მათი ნახელავ-ნაოსტარი თოვლის ბაბუები წამოქიმულან — ზოგს ილიაში ცოცხი აქვს გაჩრილი, ზოგს — ნიჩბი. ცხვირის ნაცვლად ზოგს გრძელი წითელი წიწკა აურჩე-

ვია, ზოგს — მოყინული კარტოფილი, თვალების მაგიერ — ნახშირი... ქამრის ნაცვლად წელზე შემორტყმული წნელი... შეხედავ შორიდან და გგონია, აი ახლა დაიძვრებიან და შენსკენ წამოვლენო! რას არ მოიფიქრებენ ახლანდელი ბავშვები. მე შენ გეტყვი, ფანტაზია არ ეყოფათ!

აგერ ორ ბიქს კოსმოსურში რაკეტა გამოუძერწათ: რაკეტას გასაფრენად აღუშართავს ცხვირბ ცისკენ. ბიქვებს უნდოდათ ისეთი რამ გაეკეთებინათ, სხვას ფიქრალად რომ არ მოუვიდოდა. შეძლეს კიდეც. ახლა ამაყად დგანან რაკეტასთან და მისი ცქერით ვერ ძღებინან. სახეებზე კი აწერიათ: „შემოგვხედეთ, ეს ჩვენ ვართ, ესეც ჩვენი გაკეთებულა“.

უცხო სანახავია ახლა ფიზიკაუს მიდამო: სანამ ფოთოლცვენი არ დაიწყება, ეზოებსა და ქუჩების პირას დარგულ კაკლისა თუ თხილის, ცაცხვის თუ მუხის ხშირი ტევრიდან სოფელს

მოსორებული ბაღ-ვენახი არც კი წამს; მეორე სართულის აქანზე კი არა, სახურავზეც რომ ახვადეთ, იქიდანაც ათას მეტრს იქით ვერაფერს დანახავთ. სულ სხვაა ზამთარი — თვალი უფრო შორს წედება, ჩანს ბაღებისა და ვენახების კოხტად გამოჭრილი კვადრატები.

ასეთ თოვში, ფერმაზე თუ არას ვიტყვი, სოფელში სამუშაო იმდენი არაფერია. საცემურებიდან ზანტად მიიწეეს ბოლი ცისაყენ, მით უმეტეს დღევანდელივით უქარო ამინდში. ასეთ ამინდს კაი ხანია ელოდებიან ხოლმე სოფელში: ნასუქ ღორებს უმეტესად ახლა კლავენ. ცხელი წყლით გაფუჭებული ღორი სუფთადრმა თოვლში უნდა გააცურო-გამოაცურო და ისეთი სუფთა და კრიალა გახდება, ერთი ბეწო კუჭყი არსად შერჩება.

ახლაც, შუადღე რომ წამოვიდა, ეზოებიდან მოისმა დასაკლავი ღორების ჭყვირილი, აგერ ბოსლიდან პირუტყვიც გამოუშვეს. საოცარია — ახალ ნათოვლზე, რაც არიან, იმაზე უფრო დიდები ჩანან. ნესტოებიდან სქელი ორთქლი სდით, ერთმანეთს ლოკავენ, ეფერებიან.

სახლიდან სახლამდე, ეზოდან ეზომდე ბილივები დაკვალული, და თუმცა თოვა ისევ ფარავს მათ, ნაფხურები მაინც ატყვია.

ფერდობის ძირში, ბავშვებს ყველაზე კარგ საციგაოსთან ახლოს, ერთი ძველი, ერთსართულიანი მოგრძო ქვის სახლი დგას. სახლის ნახევარი — ბოსელს უჭირავს, მეორე ნახევარი — ორი პატარა საცხოვრებელი ოთახია. ეს თანამაზიანთა ქვრივის — სალიმათის სახლია. სოფელში ბევრმა არც კი იცის, თანამაზიანთა ქვრივი სახელად სალიმათი რომ ჰქვია. დიდი თუ პატარა სალიმონს ეძახის. ადრე, კოლმეურნობაში რომ მუშაობდა, შრომადღებების აღრიცხვის ყურნალშიც ასევე წერდნენ — სალიმონ თანამაზი.

ადრე დაჭვრივდა სალიმათი. მისი ქმარი — ხაძიმათი ომის პირველსავე

კვირას წავიდა ფრონტზე და მას შემდეგ სალიმათს ერთი წერილიც არ მიუღია. ომის დამთავრების პირველ წლებში ქალს ძლიერ სწყინდა, ქვრივად რომ მოიხსენიებდნენ. თეთრი თავსაფარი არ გამოუტყლია; ელოდა მეუღლეს, მაგრამ როცა ხანში შევიდა, ნაბიჯი დაუმძიმდა და ომის დამთავრებიდანაც ოცდაათი წელიწადი რომ გავიდა, მაშინ კი შეიფერა ქვრივის სახელი. ახლა ვინმე რომ იტყვის — აგერ თანამაზიანთა ქვრივი სალიმონი მოდისო, სალიმათი გულმოკლული ჩაილაპარაკებს:

— ახლა როდის დაეჭვრივდი, ოცდათექვსმეტი წელიწადია ქვრივი ვარ.

...ეზოში გამოვიდა სალიმათი, დაუინებით უტყვარის ფერდობზე მოსრიალე ბავშვებს, ხანდახან გამტვრდება, მაგრამ გაეხვევა თივთივის დიდ შალში, ამას წინათ შვილმა რომ გამოუგზავნა.

რას ფიქრობს ასეთ ამინდში სალიმათი, ვინ იცის...

მისი სახლი თავიდანვე მეზობლების თავშეყრის ადგილი იყო. მოდიოდნენ აქ სალიმონობით სოფლის დედაკაცები თუ ქალიშვილები, ლაპარაკობდნენ ცისს და ბრისას, თან ართავდნენ, ჩეჩავდნენ, ქსოვდნენ და სხვა რამ ხელსაქმეს აკეთებდნენ, ბევრი მათგანი დაუმთავრებელ ხელსაქმეს აქვე ტოვებდა. დაიკარგებოთ, ამის შიში არავის ჰქონდა.

ახლა ვიღას ახსოვს ძველებური ადათი — ღამის სათვეად ახლა რომ პირობებია — ელექტროშუქი ვინდა თუ თბილი ოთახები, მაგრამ მაინც აღარ იყრიან თავს — ან დღისით უთავდებიან საქმეს, ან ღამისთვეა არ უნდათ.

ივონებს წარსულ დღეებს სალიმონი, ივონებს ომამდელ წლებს და ხანდახან ომის მძიმე დღეებსაც, დღესხვალობით რომ ელოდა ქმრის ამბავს. ეს მოლოდინი გულში სიხარულის გრძნობას უღვივებდა, ხვალინდელ გასახარებლზე დღეს ხარობდა და სიცოცხლე სურდა, შრომა სურდა. იმედი აძლევდა ძალღონეს, შრომობდა და არაფერს აკლებდა თავის ორ ბიჭუნას.

სალიმათს აღარც კი ახსოვს თავისი შეილებიდან რომელიმე და როდის მონახულა. უფროსი ვაჟი — სულიკო შორს, ჩრდილოეთში, ტიუმენში ცხოვრობს. ნათობზმოპოვების დარგის ინჟინერია, უმცროსი სარდი კი სავაჭრო საქმეს გაჰყვა. მოსკოვის პლენხანოვის სახელობის სახალხო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დედაქალაქის ერთ-ერთი გასტრონომიული მაღაზიის დირექტორის მოადგილედ დაიწყო მუშაობა, ახლა უკვე დირექტორია. ორივე ვაჟს ცოლშვილი ჰყავს.

აგერ ათ წელზე მეტია აღბათ რაც დედა აღარ უნახავთ და დედაც ურბდება ბედს. ერთი ხანობა სარდომ თან წაიყვანა. მთელი ზამთარი, ვახუშტულის სამუშაოების დაწყებამდე, იქ გაატარა. მაგრამ ისე გაბეზრდა უსაქმობით, რომ დღესაც იტყვის ხოლმე:

— დედა, დედა, თქროც არ მინდა ქალაქში, ტყვესავეთ ვიყავით!

მერე უფროსმა ვაჟმა, სულიკომ გადაწყვიტა თან წაეყვანა ტიუმენში, მაგრამ სალიმათი არ დაეთანხმა: „თქვენ იყავით, კარგად, შველებო, და მე როგორმე ვაძლევ. ისედაც ორი პარასკევიდა მიდევს წინ, რალა დროს ჩემი აქეთ-იქით სიარულია“.

სოფლის საქმე — მიჩვეულ ქალს ემნელებოდა ქალაქად ყოფნა: ჰოდა, ახლა მარტოღმარტო ატარებს თავის წუთის-სოფელს სალიმათი. არაფერი უჭირს: ძროხაც ჰყავს, ქათმებიც, ინდაურებიც, პენსიასაც იღებს. ბიჭებიც დროდადრო ცოტა რალაცას უგზავნიან.

...ზამთრის დღე უცებ, თვალსა და ხელს შუა გაქრება ხოლმე, გგონია ახლა გათენდაო, და უკვე შუადღე გადასულა, პირუტყვის დარწყულების დრო დამდგარა.

მეზობლებმა გამორეკეს თავიანთი საქონელი შუა სოფელში, მიღებით გამოყვანილ წყაროს წინ გამართული ბეტონის ვრძელი აუზისკენ. წყარო სალიმათის სახლთან ახლოსაა და ძროხას რომ გამოუშვებს, თვითონვე მიდის

წყალთან ძროხა, დაღვეს და უკან ბრუნდება.

მიერეკება ხალხი წყალზე პირუტყვის, აქ ხვდებიან ერთმანეთს ქვემოტუნელი და ზემოტუნელი ქალები. მართალია, სოფელში კარგა მოზრდილი კლუბიც აქვთ, კინოსაც უჩვენებენ და კონცერტებიც იმართება, საინტერესო საღამოებიც, მაგრამ სოფლის ხანში შესულ ქალებს წყაროსთან დგომა და მასლაათი ყველაფერს ურჩევნიათ.

სალიმათმაც მიუშვა ძროხა წყალზე. პირუტყვმა დინჯად გაკვალა თოვლი გასასვლელამდე... დილის საქმეებს შერჩა სალიმათი და გზის გაკვალვა კიდევ გადააფიწყდა. ძროხას ჩამოუგავა, ნიჩაბით ნაკელი გადაყარა სანათურიდან, ამასობაში ძროხაც მოზრუნდა და პატრონს გვერდზე დაუდგა.

სწორედ ამ წუთში გამოჩნდა მოხუცი თასოლა, ზემო უბნიდან პირუტყვს მიერეკებოდა; მთელმა სოფელმა იცის, რომ ტრაბახა კაცია თასოლა, თანაც ტყუილების გულა. ამ საქმეში მას ტოლი არ ჰყავს. ოღონდ კაცს რაიმე სასიხარულო უთხრას და რას არ მოჩმხახავს. მერე ისე სერიოზულად იტყვის, რომ თავის ნათქვამი თვითონვე სჯერა. მოხუცებულს ასეთი ბეუტური არ უხდებაო, ამბობენ, მაგრამ, რას იხამ, ახალგაზრდობაში როგორიცაა ადამიანი, სიბერეშიც ისაა, თანაც, თვალის და ყურის ეჩვევა.

სალიმათს რომ მოუახლოვდა თასოლა, პირუტყვი ნებაზე მიუშვა, თვითონ კი შედგა.

— საღამო მშვიდობისა, სალიმონს... როგორა ხარ; — შეეხმინა ქალს. სალიმათმა მადლობა გადაუხადა, ძროხა ეზოში შეაგდო და გაჩერდა.

— რა ამბებია, ბიჭები რას იწერებიან? — განავრძობდა თასოლა, — ხომ არაფერი გიჭირს? შეშა ხომ გაქვს? დამკრელი თუ გყავს?

— იცოცხლე, თასოლა... მოკლე-მოკლედაა დახერხილი და ადვილი დასაპობია. მე თვითონვე ვაპობ. ბიჭებიც კარგად არიან. სულ ახლახან მივიღე

წერილებიც, ამანათებიც, ბევრი რაღაცები, — მოპყვა ტყუილებს სალიმათიც, — ეს თბილი შალიც გუშინ მივიღე; ეს თბილი ფეხსაცმელებიც, — ფეხებზე დაიხედა ქალმა, — ბევრი, ბევრი რამეები... იქ შეპატრებებიან სულიყოც, სარდიც, მანდ რას აკეთებო მარტო. მაგრამ მე ქალაქში ცხოვრებას ვერ ვიტან.

— ჰე-ჰე, ღმერთმა გაგაძლიეროს. ი ჩვენი ბიჭიც ეგრეა, აი ამ შემოდგომას თავისი ახალი მანქანით ქალაქიდან რომ ამოვიდა, აღარ გვეშვებოდა მე და ჩემ ბებერსა: ჩამოდით ჩემთან, ყოველდღე მანქანით გატარებთ, კინო ვინდათ, ცირკი ვინდათ, ბაზარი, ცეკვის ანსამბლი, მინისტრი, რესტორანი, მეტრო, ავლაბარი, დიდუბე თუ ცეკავშირიო... წადი-მეთქი, შე მეტიჩარა, ჩვენ შენი მინისტრი და ცეკავშირი რაშეგინდა-მეთქი. შენმა სიცოცხლემ, სალიბონ, შენი არ იყოს, არც მე შემიძლია ქალაქში. ეგრეა ჩემი დედაკაციც. არის ცეკავშირი, რა ცეკავშირი, ჩემს სოფელ ენაცავლონ, სულაც...

თასოლას რომ ჰკითხო, ცეკავშირი რა არისო, ვეტყვის ერთი რაღაც უზარმაზარი შენობააო; მანქანებსაც იქ უშვებენო, საქმელებსაც, სასმელებსაც, ტანსაცმელს, ყველაფერს. ეს სიტყვა პირველად თავისი ვაჟისაგან მოისმინა: „ქალაქში, ცეკავშირში ვმუშაობო“. ჰოდა, აღარც დავიწყებია. ის კი არა, ბოსელს რომ ზეეტავს, ძროხას თავის სახელს — მარგოს კი არ ეძახის, ცეკავშირო, მიდევ იქით, წიხლი არ გამარტყა, თორემ ამ ნიჩბით ერთს მოგაყოლებო!

— სალიბონ, შენი ძროხა თითქო სახსელ მეჩვენება, — მოულოდნელად თქვა თასოლამ ძროხის დანახვაზე, — გული მითქვამს. შენმა მზემ, რომ...

სალიმათი გაშტერდა, ვითომ რას მითქვამს გულიო? სანამ შეეკითხებოდა, თვითონ თასოლამ დაასწრო.

— გული მითქვამს-მეთქი, სალიმათ... შენი ძროხა აუცილებლად ორ ხბოს გააჩენს.

სალიბონს გაეცინა.

— რა გაცინებს! გუფიცები, ბრძანებულებს. ჩვენ ძროხასაც სწორედ ასეთი მუცელი ჰქონდა. ჰოდა, ორი ხბო კი მოვიგო. თანაც ორივე საფურეები... ოთხ წელიწადში — ძროხებია. აჲ, ჩემი ხელი, შენი ძროხაც ზუსტად ისეა, როგორც ჩემი... სალიბონმა იცის — რას არ ათქმევინებს ენას თასოლა, ოღონდ შენი გული მოვიგოს, ხედება ტყუილს რომ აპირებს, რაღაცის გამოტყუებასაც რომ ცდილობს, ესეც ეტყობა.

— სალიბონ, ჩემო მზეო, მარტოხელა ცხოვრება ძნელია. ახლა შენმა ძროხამ ორი ხბო რომ მოვიგოს, იმათაც მოვლა უნდა. ახალშობილი ხბო სუსტია. აგერ, მეც ერთი კინალამ მომიკვდა, — განაგრძობდა თასოლა. მისი მორეკილი პირუტყვი საითათოდ ბრუნდებოდა უკვე შინისკენ, ის კი კვლავ იდგა და ლაპარაკობდა. სალიმათსაც ერთდებოდა და იდგა ზრდილობის გულისთვის, სანამ თვითონ თასოლა არ იფიქრებდა წასვლას, რა უნდა ექნა. ხანდახან ერთ-ორ სიტყვას ისიც ჩაუერთავდა საუბარში, თასოლას ნათქვამზე თუ გაეღიმებოდა, ის მაინც ვერ ხვდებოდა, რაკი ქალს პირა თავშლით ჰქონდა ახვეული.

თასოლა კი განაგრძობდა, ჰყვებოდა რა კარგი მეგობრებია იყვნენ სალიმათის ქმარი ხაძიმათი და ის, როგორ უყვარდათ ერთმანეთი. საქორწილო რომ იყო, მაშინ ხაძიმათის მეგობრედ წაყვანა ჰქონდა გულში, ვის იშოვიდა მასზე უკეთესს, მასზე ერთგულს, მაგრამ სწორედ ქორწილის დღეს ხაძიმათი სხვაგან ყოფილიყო წასული. ახლა მართალია, მოშორებით ცხოვრობენ, მაგრამ რატომ არ უნდა დადიოდეს მათთან სალიბონი? რატომ არ უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა? აკი თავიდანვე ტყბილად ცხოვრობდნენ?

თოვს. ცოტა თითქოს ქარმა დაუბერა, თოვლის ფანტელები ირიბად მოფრინავენ. სალიმათს და თასოლას თავზე, მზრებზე თეთრი ნაბადივით დაედოთ თოვლი, თასოლა კი აღარ თავებებს ლა-

პარაკს, ქვრივიც პირახვეული ძალაუ-  
 ნებურად დგას და უსმენს. ძროხა ეზო-  
 ში აღარ ჩანს, ალბათ, შესცივდა საცო-  
 ლავ პირუტყვის და თავისი ბაგა მოძებ-  
 ნა.

სწორედ ამ დროს, ქვემოდან მომა-  
 ვალი მოხუცი ქვრივი თადიოზი გამოჩ-  
 ნდა. იმასაც პირუტყვი მოჰყავს წყალ-  
 ზე. აღრე დაქვრივდა თადიოზი. ომის  
 დამთავრებიდან ხუთი-ექვსი წელიც არ  
 გასულიყო, ცოლი რომ მოუკვდა. შვი-  
 ლები — ოთხი ბიჭი და ორი გოგო —  
 ყველა მოზრდილები იყვნენ. ბიჭები  
 აღრევე გაიყარნენ, სასწავლებლის დამ-  
 თავრების შემდეგ, უფროსის გარდა,  
 ყველანი სხვადასხვა ქალაქში დარჩნენ.  
 გოგონებიდან უფროსი, კატინე ავად-  
 მყოფობდა, ვერც გონებით იყო სრული  
 და დარჩა მამის კერაზე გაუთხოვარი.  
 სახლს, ბოსტანს, როგორც შეეძლო,  
 ისე უვლიდა. შვილებში უიღბლო მშობ-  
 ლებს სხვებზე მეტად უყვართ, ამბო-  
 ბენ. რამდენად მართალია, ეშმაკმა უწყ-  
 ყოს, მაგრამ, მგონი, ასეთი შვილი და-  
 ნარჩენებზე უფრო მეტად ებრალებათ!

სალბიონსა და თასოლას რომ მოუბ-  
 ლოვდა, თადიოზი მათთან გაჩერდა.  
 თასოლა ზურგიით იდგა და გვიანობამდე  
 ვერ შეამჩნია, სალბიონმა კი შორიდან-  
 ვე იცნო.

— სალამო მშვიდობისა, — თქვა თა-  
 დიოზმა და გაიღიმა, მერე თასოლას  
 მიუბრუნდა:

— ჩემი ტრაბახა თალილიყო, ქვემო  
 უბანში რაღა ამბებია?

— ცეკავშირი... — თქვა თასოლამ  
 და უბა მოიფხანა, — ცეკავშირი... —  
 ჯლავ გაიმეორა, — შენ თითონ რო-  
 ვთრა ხარ, ჩემო ცეკავშირი, ჩემო ძვე-  
 ლო მეგობარო თადიოზი... ეხ, ვბერდე-  
 ბი, ვბერდები... — ვითომ არ გაუგონია  
 ტრაბახა რომ დაუძახა თადიოზმა, ლა-  
 პარაკს მოუმატა და თადიოზს შეიღე-  
 ბი, შვილიშვილები შეუქო. ერთი სიტ-  
 ყვით, ასე გამოჰყავდა, თადიოზისნი-  
 რი წესიერი, პატიოსანი კაცი ძნელად  
 თუ მოიძებნება ქვეყნიერებაზე, თურ-  
 მე თადიოზს ყველგან აქებენ და აღი-

ღებენ. ლაპარაკში კიდევ რამდენჯერ  
 შეურია მეტრო, ცეკავშირი და რაღაც  
 ხუნტა. ეს სიტყვა სულ ახლახან მოის-  
 მინა რადიოში და დაიხსომა.

— რას ლაპარაკობ, თასოლიყო, რის  
 ხუნთა,<sup>1</sup> რის კავშირიო, — რომ შეუძახა  
 თადიოზმა, თასოლა ახარხარდა, ხუნთა-  
 კი არა, ხუნტაო, შეუსწორა. ეხ, იმას  
 რა უთხრა, ვინც წერა-კითხვა არ მას-  
 წავლა, პროფესორი ვიქნებოდი ნაღ-  
 დად. რავინდ უცნაური, უცხო სიტყვა  
 გავიგონო, მაშინვე დავიხსოვებ, თავის  
 დღეში აღარ დამავიწყებდბო. და ჩამო-  
 თვალა უცხოური სიტყვები — კინშა-  
 სა, რანგუნი, ნიუ-ჯერსი, ალაბამა, პინო-  
 ჩეტი, კოლორადო. — და გეომეტრი-  
 ული ტერმინებიც მიაყოლა — პერპენ-  
 დიკულარი, პარალელოპიპედი.

თადიოზმა ხელი ჩაიქნია, თასოლას  
 ზურგი შეაქცია და სალიმათს ჰკითხა:

— დიდი ხანია დგახარ, ალბათ. თოვ-  
 ლმა დაგფარათ. გაცივდები... ამას თუ  
 უსმინე, — მიუთითა თასოლაზე, —  
 საღამომდე აქ იდგებით, — მერე დაუ-  
 მატა: — ზომ არაფერი გიჭირს, თუ  
 რამე საქმე გქონდეს, ნუ მომერიდები,  
 არ დაგზარდებით.

სალიმათს შერცხვა, ხმის ამოღების  
 თავიც აღარ ჰქონდა. უნდოდა შინ შეე-  
 პატიებინა, მობრძანდით, თითო ყან-  
 წი არაყი მიირთვით, დაილოცეთ, მაინც  
 კაცის ლოცვა სულ სხვააო, მაგრამ ვე-  
 ლარ გაბედა, რაკი თადიოზმა თასოლაზე  
 უსაყვედურა, ღვდაკაცი სიცივეში გა-  
 რეთ დაგაყენებიაო.

თადიოზის ყოველ სიტყვაში რაღაცა  
 თბილი, მოალერსე გულისხმა ისმოდა და  
 სალიმათს სიხარულით გააქრქოლა, გამ-  
 ხდარ, გაფითრებულ დაწვებზე სიწით-  
 ლე მოერია.

თასოლა კი ლაპარაკობს და ლაპარა-  
 კობს, როგორ მოიგო მისმა ძროხამ  
 ორი ხზო და სალბიონის ძროხასაც ორი  
 ეყოლება, თავის უცხოურ სიტყვებსაც  
 მალიმალ იშველიებს, სალიმათი და

1. ხუნ — ძღვენი, ხუნთა — ძღვენი (ოსურ  
 ენაზე).

თადიოზი კი აღარც უსმენდნენ. აღარც საუბრობდნენ; მაგრამ რაღაც ძალი, რაღაც უხილავი გრძნობა ერთმანეთისაკენ ეწეოდათ. ალბათ, ორივენი ქვრივები რომ იყვნენ...

მაგრამ მათ ამბავს აქვს თავისი პატარა ისტორია. ეს იყო ოცი წლის წინათ. თადიოზის დაქვრივებიდან ხუთი წლის შემდეგ. მაშინ სალბიონი ჯერ კიდევ მზნედ იყო და არც თადიოზი იყო მოტეხილი. მეზობლები, თადიოზის უფროსი ვაჟი, ქალიშვილებიც ურჩევდნენ თადიოზს — ერთი შენაირი ვინმე მოძებნე, კაცს სიბერეშიც მიხედვა უნდაო. მაგრამ არავის დაუჯერა, გულსა სალბიონისკენ ეწეოდა. ღრმა არის კაცის გული, ვერაფერს ჩაიხედა შიგ. თადიოზს ყმაწვილობაშიც მოსწონდა სალბიონი, თუმცა ამის თაობაზე სიტყვა არასოდეს დასცდენია. ამის თქმის საშუალება რომ მიეცა, მაშინ კი...

თადიოზს უნდოდა ახლანდელი ახალგაზრდებზეთ პირისპირ, თვითონ გამოეცხადებინა სალბიონისათვის გულისწადილი, მაგრამ არ გაუმართლდა, სალბიონმა უარი უთხრა. ეს იყო და ეს. და აგერ საუკუნის მეოთხედია ქვრივად ატარებდა წუთისოფელს. თავისი გულკეთილი დამოკიდებულება სალბიონის მიმართ არ გამოუცვლია, არც საქმით არც სიტყვით ის ამბავი აღარ გაუხსენებია.

მაგრამ ის ძველი ერთხელ თქმული კარგად დაიხსომა სალბიონმა. რაც დრო გადიოდა, ხანდახან სინანულიც მოერეოდა ხოლმე. უფრო ხშირად კი იმით ამაყოფნდა და ესახელებოდა, რომ პატიოსან ქვრივად დაბერდა, წმინდად შეინახა ხაძიმათის სახელი, თანამაზიანთ კერაზე დარჩა.

„მთლად დაგფარა თოვლმა... გაცივდები“... თადიოზის ეს მზრუნველობით სავსე აღერსიანი სიტყვები აღარ ცილდებოდა მის გონებას.

თასოლა მიხვდა ბოლოს, აღარავინ მისმენსო და წავიდა. თადიოზი და სალიმათიც გაცილდნენ — კაცი პირუტყვს გამოუდგა, ქალი შინ შევიდა. სალამოს ბინდი წვებოდა, თავშალი დაიბერტყა და ოთახში შესვლის წინ კვლავ თადიოზის ხმა ჩაესმა ყურში. უცბად შედგა. ყური მიუგდო. თადიოზი პირუტყვს მიერეგებოდა და მილაპარაკობდა. სალიმათი გასცქეროდა, მერე თავისთვის თქვა: „მიწამ შეგკამოს, გულო, არცა ბერდები. შე ტიალო!“ და შევიდა ოთახში. ნაცარა კატა ღუმელის ქვეშიდან გამოძვრა, პატრონს გაეგლასუნა და მიაუ-მიაუო — თავი შეახსენა.

„მთლად დაგფარა თოვლმა... გაცივდები“, — კვლავ და კვლავ ესმოდა ყურში.

— რას იზამ? ზამთარია... თოვს... — ახლა უკვე ხმამაღლა თქვა ქალმა.

01013 370030

### ა ნ ნ ი ვ ი

განთიადისას  
ზოინობდა ცაზე არწივი,  
თითქოს ტკბებოდა საკუთარი ძალით, უნარით,  
ბუნების ჭერეტით თვალგართული ბრძენი კაცოვით,  
მასაც ალხენდა ქვეყნის მადლი გაუბუნარი.

გადაჰყურებდა ხეობებს და ველებს რძიანებს,  
— დედას სძოვს ნუკრი, ვერცხლის გზაზე მირბის მდინარე,  
არც ადრე მოდის, არც არასდროს არ იგვიანებს,  
ძალი ბუნების, არსებობამოუწყინარე.

მაგრამ ვილაცამ, — ვინ ვილაცამ — უღირსმა კაცმა,  
თოფი ჰკრა არწივს, ფრთა მოსტეხა, ცას ჩამოგლიჯა  
და ყველაფერი ისე უცბად დააზიანა,  
არც შეუტყვია, გზა განაგრძო თავისთვის დინჯად.

წყველიმც იყოს, ეგ ბუნების მადლის ხელმყოფი,  
არმცოდნე დიდი სიკეთისა, ავის მოთავე,  
ხან ქვით, ხან კეტით, ხან სატვერით და ხანაც თოფით,  
ვინც ჩვენს საუნჯეს ანაკლულებს და აცოტავენს.

### მ ი ნ ა ხ ა ვ ს

მზის ამოსვლამდის,  
მე მინახავს, მზის ამოსვლამდის,  
რქადაგრებილი  
ჯიხვი ნაპარალს დაეყუდება  
ჩასცქერის ჩანჩქერს,

ვით სასწაულს,  
ვით სიზმარს ნამდვილს  
და უხასრულოდ  
უნდა ასე მისი ყურება.  
მზის ამოსვლამდის,



მე მინახავს მიწას გართხმული  
 ეპარებოდა იმ ჯიხვს მგელი,  
 გველივით ფრთხილი  
 და როგორც ჯიხვი  
 იმ წყლის ცქერით იყო ჩანთქმული,  
 მგელსაც იმ ჯიხვზე ოცნებებმა  
 წაჰგვარა ძილი.  
 ეპარებოდა  
 და ბუნებაც სულგანაბრული  
 შესცქერდა იმით,  
 რას იქმოდა, ან რას იზამდა,  
 როგორ სხვადასხვა გრანობით ფეტქდა  
 იმითი გული  
 და მგელიც როგორ ახლოს იყო  
 თავის მიზანთან.  
 ცოტაც არის და... უძგერება,  
 ჩაასობს კბილებს,  
 რა მშვენიერი რამ იქნება, რა დიდებული...  
 წაიღებს სახლში  
 და თვისტომებს დაუნაწილებს,  
 ოღონდ წამითაც იღვებს ჯიხვი  
 გარინდებული  
 მაგრამ უბიძგა თითქოს მიწამ,  
 შეჰკრა კამარა,

მშვილდევით ტანი იმ უფსკრულზე  
 გადაატარა,  
 ბეწვი რა არის, კლდის წვერს ისიც  
 არ გააკარა,  
 და გადაეგლო მდინარესაც, როგორც  
 სატყვეარს;  
 და ველზე მშვიდად რომ დაფრინდა,  
 მოჰხედა მდევარს...  
 მგელიც მსხვერპლს მიჰყვა,  
 არ ჰქონია უფსკრულის შიში,  
 საბედისწერო თუმცა გამოდგა,  
 შეჰკრა კამარა,  
 იგი ჰქმნა,  
 რასაც უკრძალავდა თავისი ჯიში,  
 და თავი თვისი  
 უფსკრულის ძირს დაასამარა.  
 ჯიხვი კი იდგა,  
 კვლავ ამაყი და დიდებული,  
 შორს დარჩა შიში  
 და ღვარცოფით ავსილი ხევი,  
 იდგა ლამაზი,  
 ამომავალ მზით ანთებული,  
 ისე უნაკლო, როგორც ღმერთის  
 ნაქანდაკევი.

თარგმნა ბასია ზარანაულია

წუგზარ ბაკაივი

## ნაჩივი მშობლიურ აუღში

უნდა დავსახლდე მე ჩემს აულში,  
 მშობლიურ მთების ზღაპრულ ხმაურში.

სადაც მღერიან ნაკადულები,  
 არის სიმწვანე და ცა უღვევი.

ოქროს დალალებს სადაც მზე იწნის,  
 და ნეტარება ჰყვავის მთელი წლით.

ცაა ქიშხირის მწვანე მანდილი,  
 მთაზე კრილით ჩამოვარდნილი.

უნდა დავსახლდე მე ჩემს აულში,  
 მშობლიურ მთების ნეტარ ხმაურში.

სადაც სიმწვანე ასე მომელის,  
 როგორც ძვირფასი მამა, მშობელი,

მამა, რომელიც აქ მუშაკობდა,  
 და სოფლის ტვირთი მხრებით დაჰქონდა.

აქ, ამ მთებიდან მისი საფლავი,  
 ბაღს გადმოსცქერის, დასადაფნავი.

და აქ დავინთებ კერას ზვალიდან,  
ბედნიერება მე სხვა არ მინდა.

რამდენი მოყმე ამ მთებს გაექცა,  
და უცხო მიწის მკერდზე დაეცა,

გახდა სიკვდილის ადრე მნახველი...  
და ცოლს არგუნა ქვრივის სახელი.

ჩვენ მათ სიცოცხლეს დღემდე დავსტორით,  
იმ წრფელ საფლავებს ჩემი პატივით\*

მე ამ აულის კართან დავედგები  
და ყველა საფლავს მოვრთავ ვარდებით.

აქ დარაკებად მთები დამდგარან, —  
ვერ შემობედავს სულით სატანა.

აქ კარს და ფანჯრებს ვინ დამინისლავს,  
ნათლით ამივსებს სხივი დილისა.

აქ ხე, ბუჩქი და ხიო, ფრთამაღლი  
ყველა ტკივილის არის წამალი.

და აქ დავინთებ კერას ზვალიდან  
ბედნიერება მე სხვა არ მინდა.

ყველგან, ასული მსგავსი თოლიას,  
ჩემი აულის მკვიდრი მგონია.

და სხვისი დედის სახე ასევე  
ჩემი აულის დედას მახსენებს.

მე ყველგან მწედება სითბო ამ მთების,  
და სულს მინთებენ როგორც სანთლები.

მე სხვა ლამაზი კუთხე არ ვიცი,  
ამ სიამაყეს ვგრძობ და განვიცდი.

აქ იდგა ჩემი სიყრმის აკვანი,  
ჩემი პაპათა ძვლებიც აქ არის.

მე დაეფუძნდები ისევ ამ მხარეს,  
ჩემი აული მე გამაზარებს.

სხვაა აქაურ პურის სურნელიც,  
სხვის ოქრო-ვერცხლის არ ვარ მსურველი.

## ჩ ა რ ხ ე მ ბ... ...

ორმოცი წელი,

როგორც ერთი მტრედი ნაცარა,

ისე გაფრინდა დამუნახოს თითქოს არც არა...

ციცინათელას ტოლი სხივიც ვერ დავინათლე,

რომ მშობელ ოსეთს წასდგომოდა ჩემი სინათლე.

სიცოცხლეს ვაშა,

კვდომის დარდი რად გვაუსეშებს?

ამ მოკლე გზაზე ძნელი არის კაცის სიკვდილი...

ვაი თუ ადრე ჩავეუვარდე სიკვდილს მუსლებში, —

მივსტირი კალამს და უმწეო დღეებს მივსტირი.

იქნებ სჯობია დავიმალო, და არ ვუეჭირო

როგორ დამდება გზად სიცოცხლე უღეთოდ დაღერილი,

მაგრამ თუ მამულს გაუჭირდა,

ვაი ხირცხვილო,

რადღას გააწყობს დატანგული ჩემი მახვილი!

ბრძოლის შემდეგ კი უსირცხვილოდ, როგორც ვერავი

მკერდვაჭიმიული ვერ დავდგები გამირთა რიგებში,

მძიმე იქნება სატარებლად სხვისი პერანგი,  
 ხულს გამოსრობს გამწარებულ გულის ნუგეში.

და მაინც თუ კი მიწერია ყოფნა ამგვარი,  
 ჩამედგა სული გამყიდველის და მუხანათის,  
 სხვისთვის ნათელი დილა იყოს ჩემთვის ჩამჭრალი,  
 არ მაბატის არასოდეს ბედმა ღალატი!

ბოლოს და ბოლოს ღეთის განგებას რადგან ვერ შევცვლით,  
 და რაკი ვკედებით,  
 უნდა მოვკედეთ, როგორც კაცები,  
 დავიმარხები ვაშლის ხეთა გამლილ ფესვებში,  
 მერე ვაშლის ხე აფეთქდება ჩემი განცდებით.

ორმოცი წელი,  
 როგორც ერთი მტრედი ნაცარა,  
 ისე გაფრინდა დამენახოს თითქოს არც არა,  
 ციცინათელას ტოლი სხივიც ვერ დავინათლე,  
 რომ შშობულ ოსეთს წასდგომოდა ჩემი სინათლე.

თარგმანა ზრიპოლ ჯულუხიძე

63316 ნათითი

## ქ მ ს ბ ა ს

როგორ შევეხო იმ დიდ კარიბჭეს,  
 მარად, რომ ბრწყინავს „ირონ ფანდირი?“  
 ვით ავედენო მგონის ნაბიჯებს,  
 რთს მისი სიტყვა მოთქვამს და ტირის.  
 სად განისვენებს ნაზი ფატიმა?  
 სადღა ქვითინებს „ობლები დედა“,  
 ალბათ მდინარის ტალღამ ჩაძირა,  
 თან ჩაიტანეს ოსეთის სვედა.  
 ეს ნაკადები შენი ხისხლია  
 და გულის ძგერა — ჩანჩქერის ხმები,  
 შენი სახე და შენი ფიქრია  
 ცად ატყორცნილი თურწვერა მთები.  
 და მეც მსურს დავდნე ლეჟის ბწყარებად,  
 ჩემი ოცნებაც გახდეს ნათელი,  
 დაუდნე სტრიქონად, დაუდნე აზრებად,  
 რომ მოგაწვდინო წრფელი სათქმელი;  
 აღარ გვაწუხებს ბატონის რისხვა,  
 ჰყვავის სამშობლო, ვით ია-ვარდი,  
 დიდმა ლენინმა ქვეყანა იხსნა,  
 შენც მოიცილე გულიდან დარდი.

## მით უკვლავა

მზე სხივთა კონას  
 მოაფრქვევს თბილისს,  
 ეამბორება  
 ნორჩსა და აზიზს.  
 აღარ დაფარავს  
 ბუნება ღიმილს, —  
 მწვანე ელფერი  
 მიეცა გამზირს.  
 ქალაქში უცხო  
 დაუდივარ მარტოღ,  
 ყველა ქუჩების  
 მოძებნა მიჭირს...  
 თუმც ვერ გავიგე,  
 როდის და რა დროს, —  
 რუსთველზე მოვხვდი  
 მთიელი ბიჭი.  
 — ხალხი ირევა  
 აქ მილიონი;  
 ძველთან შეჩერდა  
 კაცი ჭაღირა;  
 გალაკტიონი,  
 გალაკტიონი!  
 იმეორებდა  
 დიდი, პატარა.  
 ქუჩა გადისჭრა  
 ნელი ნაბიჯით,  
 მთაწმინდის ნიავს  
 ურთავდა ფოქრებს.

ხან იყო სწრაფი,  
 ხან კიდევ დინჯი;  
 და ხან ბავშვივით  
 იფშენებდა თითებს.  
 მგოსანს მივდედდი  
 ოსი ჭაბუკი, —  
 მსურდა მემზირა  
 უსომოდ, ხარბად...  
 რომ ყოფილიყო  
 სეტყვა-ქარბუქი, —  
 ვერას ვიგრძნობდი,  
 მის გარდა ალბათ.  
 მივედი ისე,  
 როგორც სიონთან,  
 იგი მისდევდა  
 საყვარულ მწრის, —  
 შემდგ ამაღლდა  
 კავკასიონთან, —  
 დიდი პოეტი  
 ქართველი ერის.  
 პლანეტას გასცდა, —  
 მზეს ვჯიბრება  
 ვით უკვდავება,  
 ვითარც დიდება!  
 და პოეზიის  
 წმინდა ქმნილებად, —  
 ხალხის გულებში  
 მარად მკვიდრდება.

## ნ ა ყ ი ნ ი

### მოთხრობა

ოხ, ნეტავ ეს წუთისოფელი ისე იყოს მოწყობილი, რომ არავინ კვდებოდეს, თორემ მოგივლო ბოლო ამ საბათაჲთა\*... მიიღებ თუ არა ხელფასს. იქვე გაგიფრინდებიან ხელიდან ათმანეთიანები, წავლენ ყველა მხარეზე — ჩერ ერთი ნაცნობი მრგადგება, მეორე მეორე: ერთი ქელეხის ფულსა გთხოვს დაკრძალვის დღეს, მეორე — ორმოცზე გადასახურავს.

ერთი მართლაც შეგეცოდება, გაიზიარებ მის მწუხარებას, მეორეს კი — ყველა აძლევს და შენ უკან რად უნდა დაიხიო — ამასობაში ჩიბე ისე ცარიელდება, რომ ოჯახში სადილის ფულს აღარ მიგყვება, რაიმე საჭირო ავეჯის ყიდვაზე კი თიქრიც ზედმეტია. გამოდის, რომ მუშაობ ისე, მარცხნივ და მარჯვნივ გადასახურავზე — ხმამალა ფიქრობდა ვასო იმ დღეს, სახლში რომ ბრუნდებოდა. ხოლო მისი ცოლი ნაზო მდუმარედ უსმენდა ქმრის ბუზღუნს და ბოლოს შუა სიტყვაზე გააწყვეტინა:

— ძალიან მაკვირს შენგან, ვასო, კისრისტეხით გაიქცევი ხოლმე ქელეხზე იმათთანაც კი, ვისიც ჩვენ არაფერი

არ გემართებს; მაშ ახლა რა მოგივიდა, რომელმა ბზიკმა გიკბინა! რაო, ხომ არ ფიქრობ, რომ პირი უნდა შევიტყვიანოთ ადამიანებთან, რომლებსაც უბედურება დაატყდა თავს და რომლებსაც განაც დიდად დავალბებულები ვართ.

ვასომ ბოლომდე არ ათქმევინა სათქმელი:

— ვისი რა მმართებს, ერთი მიიზიარე? მაგ გაბერილმა ქოფაკმა ორი ვაჟი დააქორწინა, გოგო გაათხოვა და არც ერთ ქორწილზე არ დამპატივია. რა სინდისით შეძახის ახლა თავის მამის ქელეხზე?

ნაზო მიხედა, რომ ქმარმა გაკენწლა მათი ოჯახის ახლო ნათესავე ნიკო და სცადა სიტყვა ბანზე აეგდო:

— დამიგდე, კაცო, ყური...

მაგრამ ვასო უფრო მეტად გაფიცდა:

— დიდხანს გივდე ყური, მორჩა! დღესვე დავიფიცავ, რომ თუნდა ათასი მოციქულიც გამომიგზავნონ, ჩემი ფეხა არ იქნება არც ერთ ქელეხზე, გარდა ახლობლებისა და ნათესავეების ქელეხისა.

— მერე, ვაჟბატონო, შენ რომ მოკვდები, ვინ მოვა შენს ქელეხში? — ჩაურთო ნაზომ და ვასომ მთლად დაკარგა მოთმინება:

\* საბათაჲ — გადასახურავი, ფულადი დახმარება მიცვალებულის კირისფულისათვის.

— პატივი მეცი, სანამ ცოცხალი ვარ; როცა მოვეცდები, გამზადე ყველაფერი, შემახვე ტილოში და გამათრიე აივანზე. შენ კი დაეჭვი და დაისვენე. ხოლო დილით, ნაცვის მანქანა რომ ჩამოივლის, ერთი ხუთმანეთიანი მიეცი შოფერს ჩემი წაღებისათვის და მშვიდად წადი სამუშაოზე...

— მოიცა ერთი, რას მიედ-მოედები ნეტავი! — ისევ ამოიღო ხმა ცოლმა, მაგრამ ახლა ვასოს გამჩერებელი კაცი არ იყო ქვეყანაზე:

— ჰო, ჰო, მართალს გეუბნები... კაცს სიცოცხლეში უნდა სცე პატივი, ხოლო ეს მთელი ზარზეში სიკვდილის მერე — სულ ამაო ფართი-ფურთია! მაგრამ როდის მიხედება ამას ხალხი — ვერ გეტყვი...

ვინ იცის კიდევ რას იტყოდა ვასო, მაგრამ ნახომ მას ხელახლა გააწყვეტინა:

— კარგი მოიქეცი, როგორც ვინდა, ოღონდ ახლა წადი კარის მეზობლის ქელესში და მერე, რაც ვინდა, ის ქენი! ვასოს განცვიფრებისაგან პირი ღია დარჩა.

— კარის მეზობელს რა ქელები აქვს, გგ რა გამოიგონე?

— რა ქელები აქვს? მაშ არ იცი ვანას სიდედრი რომ მოუკვდა, აი, ამ მთავრებელს გადაღმა ცხოვრობდა... სწორედ შენი მოსვლის წინ გამოგზავნა მოციქული, ზეალ მარხავენ, ნაშუადღევს სამ საათზე... მე ბავშვს აბა რა ვუყო, შენ კი უნდა წახვიდე!

ვასოს თვალეში ბრახმა გაიელვა.

— რას იდექი აქამდე ჩემად, დამუწვდი?

ნახომ თავის მართლება დაიწყო.

— მე მაშინვე მიწოდდა მეოქვა შენთვის, მაგრამ ვანა ადამიანს დააცილი რამეს?

— ო, მაგათთან უნდა წავიდე, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია! — უცებ მოღბა ვასო, — მაგრამ ვიდრე ავტობუსით ქალაქში ჩავალ, ვიდრე მაგ სოფელში მიმავალ მანქანას ვიშოვი, ყველაფერი გააჩვენება, ქალს დამარხავენ და რა

აზრი აქვს მაშინ ჩემს გამგზავრებას, — წუხდა ვასო, მაგრამ ცოლის სიტყვებზე გამახვევს იგი:

— მანქანაზე ნუ ღელავ. ვანას უთქვამს, რომ თუ ვასო წასვლას აპირებდნო, მაშინ ჩემი ნათესავი ჰასანა თავისა „ვოლგით“ წაიყვანსო.

ვასოს გაუკვირდა.

— ვანა ვერ არ წასულა?

— არა, ვერ აქ არის, ხოლო მისმა ცოლმა ზეალამდე აღარ მოიკადა.

— ეს კარგია, — გაუხარდა ვასოს, მაგრამ რაღაცაზე იქვე მძიმედ ჩაფიქრდა, — კარგია, მაგრამ უფულოდ რომ ვარ, ხოლო საბათავს ბლომად უნდა ფული, ახლა გზის ხარჯები თქვი...

— ეგ ნუ გეფიქრება, წაიღე ჩემი ოცდაათი მანეთი, თხუთმეტი მანეთით გადახურავ, დანარჩენი საგზაოდ არ გეყოფა?

— რა არის თხუთმეტი მანეთი, თუმცა ვინ იცის რაში დამჭირდება ფული, — გახარებულმა ვასომ ცოლს ფული გამოართვა და ის იყო კიდევ კარზე დაუკაქუნეს, შემდეგ ჰასანას ბოხი ხმაც მოესმა:

— შინა ხარ ვასო?

— აქა ვარ აქ ჰასან, — ფართოდ გაუღო კარი ვასომ, — შემოდი, გეთაყვა!

— გქაღობოთ, არა მცალიან. ყური მოუკარი, ჩემი ქვისლის ნათესავი შენცა გაბატრებებს და მინდა გავიგო წამოხვალ თუ არა, თორემ რაზე უნდა ვატარო ქედს გადაღმა ცარიელი მანქანა, ვიფიქრე თანამგზავრი სჯობია-მეთქი.

— თუ წამიყვან, მე უმკველად წამოვალ, — პირფერულ კილოზე უთხრა ვასომ, რაზედაც ჰასანამ უპასუხა:

— ძალიან კარგი. დამელოდე დილით ხუთ საათზე აქ, შენს სახლთან.

ვასო, თითქოს გრძნობდა მომტყუებენო, ამიტომ ნახევარი საათით ადრე გამოვიდა ეზოში, ოთხიოდე წუთი რომ გავიდა, მოტორის ხმა შემოესმა და ის იყო კიდევ მისი მეზობელი ვანა გამოვიდა სახლიდან.

ვასო, როგორც წესი და რიგია, პირველად მას მიესალმა, ზელი ჩამოართვა,

შემდეგ სამიძიარი უთხრა, და ის იყო კიდევ მოახლოებული მანქანიდან გოგრაასავით თავი გამოჰყო პასანამ და ბოხი ხმით, თითქო ქვევრს ჩასძახისთ დაილაპარაკა:

— აბა დასხედით, შხის ამოსვლამდე უღელტეხილს უნდა გავცდეთ, თორემ ამ სიტუცეში მანქანას გაუჭირდება.

— მანქანაზე ნუ გეფიქრება. შენ მისთვის შეჩვეული ტვირთი ხარ, ჩვენ ორისგან კი ერთი მგზავრი ძლივს გამოიქრება, — ისუმირა ვანამ და დაჯდა უკანა სავარძელზე, ვასოს გვერდით.

პასანამ, თითქოს პირველად დაინახაო ისინი, თავისი შავი თვალები შეანათა ორივეს და გადაიხარხარა ისე, თითქოს დოქის ყელიდან წყალი მორაკრაკებსო.

— ვინ შეგთითხნათ ასე მიღვეულე-ბი? ერთი ნორმალური მგზავრი თუ არ ვიშოვე, მანქანა წინა მხარეს გადახრილია, მაგრამ ამ დილით ვის იპოვნის კაცი!

„ო, რა მწარე ენა აქვს“ — გაიფიქრა ვასომ, ხმამალა კი ესა სთქვა:

— ტყუილად ედავები მაგას ვანა, პასანას მართო ნახერხი ყოფნის, ისე ძლება, რომ მეტი არაფერი უნდა რა.

პასანამ გაიგო გადაკრულად ნათქვამი და ხლა თავის მხრივ გადაწყვიტა ეჩხვლიტა ვასოსათვის: — შენ ისეთი დიდა ეკონომისტი მყევხარ, რომ შენს თავზეც კი ეკონომიას ეწევი. ნეტავ შეგახედა რასა ჰგებარ, ყვავსაც ვერ გააძღობს შენი ლეში.

— შენ გგონია არა ვკამ და ამიტომ ვარ ასე გამხდარი? — ჰკითხა ვასომ.

პასანამ დაცინვით უპასუხა:

— ზედვე გეტყობა, როგორა სკამი ცუდი არ იქნებოდა მიგებელა თავის თავისთვის შენცა და ჩემს ნათესავსაც. ღმერთი ადამიანს სიცოცხლეს მართო ერთხელ აძლევს და ადამიანურად უნდა ვაატარო ეს წლები.

— ჰო, მაგრამ ღმერთი თბილ ადგილებს ყველას როდი აძლევს. — ისევ გაეწწლა ვანამ და პასანამ ბრაზით დაუქნია თავისი მოკლე მსხვილი თითი:

— ეჰ, შტერი ხარ შენ, ჩემო ნათესა-

ვო და აბა რა გითხრა, თორემ შენ სამუშაოზეც კაცს შეეძლო შეეძინა რამე... შენს ადგილას ავიღებდი და ნაწილ-ნაწილ შევკამდი იმ დაზვას, რომელზედაც მუშაობ. რაო, შენმა ეკონომისტიმაც ვერაფერი დაინახა ისეთი, რომ შენ წაიღოს? მაგრამ თქვენ მართლაც არაფრის მაქნისები ხართ, თორემ იქ, ქარხანაში ვიშოვიდი ძმაკაცებს და მათთან ერთად, მთელ ქარხანას ნიავ-ქარს ვავატანდი. მაგრამ რას იზამ კაცი, შტერი შტერია...

— მაგრამ რა გამოვა, რომ ქვეყანაზე რაც ხალხია, ყველამ ვერე ქურდობა დაიწყო? — ჰკითხა ვასომ. პასანამ თავისი სწელი ტუჩები დაღმიჯა.

— ერთი ეს მითხარი, ვინ რას გვეითხება და რა შენი საქმეა რა მოხდება და რა იქნება? აბა, მიჩვენე კაცი, რომელიც არ ქურდობს? ვინ იქნება ასეთი, თუ არა თქვენსავით გულუბრყვილო და ყვეყნი, ვისაც არაფერი არ შეხვდება ხოლმე, — ავჯით წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს პასანა და თან სიჩქარეს უმატებდა. ვანამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეს სიტყვები რა გაუგონია. არაფერი არ უპასუხა მას არც ვასომ, მაგრამ თავისთვის გაიფიქრა:

„საზიზღარი ქურდი... ეზიღება შენ სახალხო დოვლათს და, დაზე, კიდევ ფილოსოფოსობს. ეჰ, ამისთანა კაცს თავის აწევისა უნდა ეზინოდეს, მაგრამ არ ვიცი და ვერ მივხდარვარ, ვისი იმედი აქვს... არა მგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს მაგას მეზი არ დაატყდეს თავზე“.

— ამ სასადილოში ასე ადრინად არა მგონია რომ რამე იყოს, — გააწყვეტინა მას ფიქრი პასანამ, — ჩადი ვანა, ნახე, იქნება რამე იყოს, მე გაბატეობთ...

ამ სიტყვებზე ვასოს გული აუღუღლა, მაგრამ თავი შეიკავა.

„დაე ძაღლებმა ჰკამონ შენი პური... მირჩვენია ჩემი თხუთმეტი მანეთი დაეხარყო, ვიდრე შენი მოვალე გახდეს“.

— ჯერ დაკეტილია, — ახლა ვანამ შეაწყვეტინა ფიქრები.

— რაღას უღგებარ შუა გზაზე, ჩავე-

კი მანქანაში. ერთ ლუკმასაც ვეღარ ეღირსებოდა ვიდრე, შინ არ მივალთ. — ჰასანას სიტყვებმა ხანჯალივით დასჭრეს ვასოს გული. მანქანა დაიძრა და ის ისევ ფიქრებში წაიღო.

„თითონ არამზადაა და სიტყვაც არამზადული აქვს. ლუკმას ნუ მოეღიფო, თითქოს ჩვენ მისი ძაღლები ვიყოთ. ნეტაი ავტობუსით წამოვსულიყავით, ამის ბეტეტურს მაინც არ მოვიწყენდი“.

ჰასანამ, თითქოს მის ფიქრს ჩასწვდაო, წყნარად თქვა:

— ხუმრობა იქით იყოს და, მართლა უნდა წამოგველო რამე, თორემ ამ სასადილოში ცხრაპირ ტყავს გაგვაძრობდნენ. კიდევ კარგი დაკეტული იყო. როგორც კი გადავცდებოთ მთავრებოდა, მე თქვენა გპატიებოთ.

— არა, არა, წაგვიყვანე, სადაც მივდივართ. რაც უფრო ჩქარა მივალთ, მით უფრო ესიამოვნება მიცვალბუღონ ოჯახს, — შეეხებოდა ვანა. ჰასანი აღარ შედავებოდა.

როცა მიცვალბუღი დედაბერის ჰორისუფლებს სამძიმარი უთბრეს, ჰასანამ განზე გაიყვანა ვანა და ვასო და ჩასჩურჩულა:

— ამ დამით იმდენმა ხალხმა მრჩიყარა თავი, აქ პაწია კუნჭულიც აღარ დაგვრჩება, რომ თვალი მოვატყუოთ. ამიტომ იცით რას გეტყვით? მოდით დაუდოთ ქალაქისაკენ, იქ კარგად გამოვიძინოთ სასტუმროში და დილით დავბრუნდეთ აქვე.

— ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ რას იტყვიან ჩემი ცოლი და ნათესავები, მე ხომ ამათი სიძე ვარ! — შეუყოვნა ვანა და ხელით მოქაჩა ჰასანა, თითქოს ეხვეწებოდა...

— წამო, წამო... ახლა ვის ახსოვს ვინ ვისი სიძეა, ვინ ვისი პატარძალი. ცოლს არ ეწყინება. შენ რას იტყვი, ეკონომისტო?

— მე ისე დავილაღე, აღარ ვიცი სად მივევლო, — უპასუხა ვასომ და თითონაც ვერ შეამჩნია როგორ შეძერა მანქანაში. იქიდან ჩამოსვლას აღარ აპი-

რებდა, ღამეს აქ გავეთვევ. თორემ უნდა დაუბნებოდა თვალები და ვიდრე ჰასანა აფორმებდა ადგილს სასტუმროში, მას ღრმა ძილით ეძინა. ალბათ დილაზე არ გაეღვიძებოდა, რომ უკან მობრუნებულ ჰასანას მხარში ხელი არ ჩაეცლო და წვრილად არ დაეწყო:

— ეკონომისტო, ადექი, ღამით ძილი აღარ გინდა?

ვასო შეკრთა, ნაშინარეგმა თვალები მოისრისა.

— რაო, უკვე მოვედი?

— ჰო, მოვედი, გამოდი, დაიბანე ხელი და ვივასშვით.

ვასო განცვიფრებული იყო, „ახლა არ ავღვეით ქელებს სუფრიდან და ისევ საკმელზე ფიქრობს“, — უნდოდა ეთქვა ეს ჰასანისათვის, მაგრამ ვადაიფიქრა, — „ახლა ეს გამძლარია და არც უნდა საკმელე, მაგრამ მე მისი მოვალე ვარ იმიტომ, რომ მისი მანქანით ვმგზავრობ. ახლა დროა, რომ მასთან ანგარიში გავასწორო“, მაგრამ ჰასანას სიტყვებმა, რომელიც მან წარმოთქვა, როცა ნომერში პარს იბანდა, შეაშფოთა ვასო:

— ამ ოთახში თქვენ მოისვენეთ... აგერ, მეორეში, მეზობლად, მე ვიქნები, მაგრამ მარტო არ ვიქნები, რა თქმა უნდა; სანამ ადმინისტრატორს ოცდახუთიანი არ მივეცი, არ უნდოდა ერთად შევეშვი. ახლა კი ხედავთ? მართალია, ოთუზბირად დამიჯდება ეს ყველაფერი, მაგრამ... — აღარ დაამთვრა ჰასანმა.

„ესეც ასე! მას გადაუხდია ჩვენი ნომრების ქირაც... აუცილებლად საჭიროა, რომ პატარა ვახშამი მაინც გავმართო და მოვიხადო მაგისი ვალი და ვახშამი“ — გადაწყვიტა ვასომ, მაგრამ როცა ორჯერ დაიანგარიშა რესტორანში ჰასანის მიერ შეკვეთილი კერძები და სასმელები, დარწმუნდა, რომ ანგარიშის გასწორებისათვის მისი თხუთმეტი მანეთი ამას არ გასწვდებოდა, საჭირო იყო ხუთჯერ მეტი, ისე რომ, ჯიბისკენ ხელის წაღება ვერ გახდებოდა, ხოლო ვახშამის შემდეგ, როცა მარტონი დარჩნენ,



მან უთხრა ვანას: — ამ კაცმა თავის მოვალედ მაქცია.

ვანას გაეღიმა.

— მაგაზე ნუ სწუხხარ... რაც უნდა გაგიკეთოს ახლა მან, მაინც ამ ქვეყნიდან რომ წავა, შენი ვალი წაპყვება!

— არა, მე სერიოზულად გეუბნები, — კიდევ უფრო შეცბუნდა ვასო.

— მეც სერიოზულად გეუბნები, ეგ კაცი ჩვენ ხარჯზე ცხოვრობს, თავის ხელფასზე კი არ გვპატიყებს, — არ ცხრებოდა ვანა, მაგრამ ვასოს არ ეძინებოდა, რალაც აწუხებდა.

დილით პასანამ შემოაღო თუ არა კარი, მათ მიმართა:

— აბა, ბიჭებო, გაემზადეთ, და წადეთ ხაშის საქმელად.

ეს რომ გაიგონა, ვასომ გადაწყვიტა:

„არა, ჩემი საქმე მაინც კარგად მიდის... ხაშის შემოძლია გადავიხადო, მაგრამ ისევ მოესმა პასანას ხმა:

— აბა წავიდეთ ხაშზე, მაგრამ სასადილოში კი არა, ერთ ჩემ ნაცნობთან. დამიჯერეთ, ქვეყანაზე ისეთ ხაშს ვერა ნახავთ, თანაც იცოდეთ, ჩვეულებრივ ფასზე სულ ცოტათი მეტს იღებს, — ამის გაგრძნებაზე ვასო ისევ მოიღრუბლა. „შეუძლებელია მან ორმაგად ან სამმაგად მეტი არ გადაგვახდევინოს“, — გაიფიქრა თავისთვის ვასომ და იქვე დაიბნედა თავისი თავი, — დიდი ამბავია ორმაგი ან სამმაგი ფასი ასეთ საქონელზე. ნუთუ ჩემი თხუთმეტი მანეთი არ ეყოფა. გადავიხდი მე. რატომ უნდა დამამიკროს ამ არაბობამ, გადავიხდი და ეგ იქნება“, რამდენჯერმე გაიბნეოდა გულში ვასომ. ფიქრში იყო წასული, როცა პასანას სიტყვები შემოესმა:

— მოგვიტანე თითო თევზი საცხე ხაში, წვენი არ უნდა და ორი ბოთლა მოსკოვური არაყი, — იქ ვასოს ეღდა ეცა, ხელუბნაროგორღაც უცნაურად შეათამაშა, მძიმედ დაიწყო სუნთქვა და ცდილობდა დაეფარა სულიერი მღელ-

ვარება. აღარათფერად აღარ ემოძღვრა აღარათფერი არ აინტერესებდა. არც სიპარაკი უნდოდა, არც ჭამა, წას ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქმის ოცი-სი მტრის მიერ სამუდამოდ დაეღებულ იყო.

უკან წამოსვლისას, როცა მასპინძლებმა მათ საქმელი და სასმელი გამოუტანეს, ვასომ შემფოთებით წამოიძახა:

— რად გეინდოდა ამდენი, რაო, შიმშილობა ხომ არ დაიწყო?!

— რა სალაპარაკოა, სანოვავე იმდენია, რომ ვინ უნდა შეჭამოს, ვინ უნდა დალიოს, — გაუწყრა მას ვანას ცოლი და ისიც გაჩუმდა, მაგრამ როცა მგზავრებმა გზაში ჭამა დაიწყეს, მას ერთი ნაჭერიც არ აუღია და წვეთიც არ დაუღვია. გაკვირვებულმა ვანამ ჰკითხა:

— რა დაგემართა ვასო? არცა სვამ, არცა სვამ...

— რალაცა მაციებს, მაქრეოლებს და არათფერი არ მინდა, — იცრუა ვასომ და პასანამ კი ტუნდაბრეციით თქვა:

— რომ არ სვამ, იმიტომ ხარ ასეთი მსუქანი!

— რას იზამ, ყველა ხომ მარტო ჭამისათვის არ ცხოვრობს, — მკვებედ უპასუხა მას ვასომ და გადაწყვიტა აღარ ჩამქდარიყოს მის მანქანაში, მაგრამ ვანას პატივისცემით მაინც ჩაქდა და როცა საქმოდ გზა გაიარეს, წას მუხრუჭების ზრქიალი შემოესმა და შემდეგ პასანას სიტყვები:

— აი, გაიხედ, გაციებას წამლსა ჰყილიან... გაიქცი, იყოღე შენთვის ორი ულუფა ნაყინი და თითო მე და ვანასაც გვიყოღე. — პასანამ ნაყინის გამყიდველზე მიუთითა ვასოს.

— რას ნიშნავს თითო? — თხზოთხი უნდა შეჭვამოთ ყველამ! — გადმოხტა მანქანიდან ვასო და თავისუფლად ამოისუნთქა.

ოპ, ნეტავ ამ წუთისოფელში არავინ არ კვდებოდეს!

ზაურ კავისოვი

## მისი ხასიათი

მოთხრობა

„ჰეი, ან სიცოცხლე, ან“... — ურუზ-მაგმა ისევ სცადა წამოეწყო სიმღერა, რომელსაც მაშინ მღეროდა ზოლმე, როცა გუთანს მიჰყვებოდა კვალში. არ გამოუვიდა, ყელიდან დაგუდული ხრი-ალი ამოსდიოდა. განა ასეთი ხმა ჰქონ-და ადრე? მაშინ ალბათ ახლადმოხნუ-ლი მიწის სუნი არბილებდა და ატკ-ბობდა ყელიდან ამოშავალ ბგერებს, თუმცა ახლაც ზომ გაზაფხულია. ურუზ-მაგი ხანდახან ისე ძალუმად იგრძნობს ზოლმე მიწის სუნს, რომ თავბრუ ეხვე-ვა და გაოგნებული თვლებს აცეცებს, ვითომ სადა ვართ. აქეთ-იქით იყურე-ბა, ეძებს ახლადმოხნულ მიწას, ჭიკაყე-ლებზე სანადიროდ გამოსულ ყვავებს, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებს! თთ-ხივე მზრიდან სახლის მოწყენილი კედ-ლები მისჩერებიან. რა დაემართა ურუზ-მაგს? რატომ მოუწყენია, ირგვლივ ყვე-ლაფერს?.. ეხ, უმიზნო არაფერია!

— ხიო, ქობორი... — ფანჯრიდან შე-მოიჭრა ვილაცის ხმა, — ბური, ჩადე-ქი კვალში, თორემ ამ სახრეს ზედ გა-დაგამტვრევ, აგიკრელებ მაგ ფერდებსა, შე მგლებს შესაძმელო, შენა!

ურუზმაგს გულში მოხვდა ეს სიტყ-ვები. წამოდგა. ღია ფანჯარასთან მივი-და, დაიხარა და რაფაზე დააწყო თავი-სი დიდი, მძიმე ხელები. მზერა ისარი-ვით გასტყორცნა მინდერისაკენ, იქით-კენ, სადაც ხარები ზანტად მიათრევენ გუთანს. უნდოდა დამტკბარიყო მათი ცქერით, მაგრამ სახნავეც და გუთ-ნეულიც ბურუსს დაეფარა.

არა ჩანან ქობორი და ბური, ვერ ხე-დავს მათ თვალბმომწყლიანებულ ურუზმაგი. ოოხ, რა ძნელია ყოფნა უიმათოდ, ურუზმაგი ვერ ხედავს მათ, გულით საყვარლებს, სულს რომ არ და-იშურებდა მათთვის...

„ჰეი, ან სიცოცხლე, ან“... ტირილ-ტირილით, ხმის კანკალით მღერის ურუზმაგი.

— ურუზმაგი! — საიდანღაც შემოეს-მა სოფის ხმა.

— რა იყო?! — უსიამოვნოდ გასძა-ხა, ურუზმაგმა.

— რა გემღერება, კაცო, ასეთ ღროს?! —

— ვითომ რაო! — სოფის მზარეს არც გაუხედავს, ისე ჰკითხა ურუზმაგ-მა. რომ გაეხედა კიდეც, დაინახავდა კი! გული ბოლმით აქვს საესე, თვლები ცრემლებით. ეგ კი არა, თავის საყვა-

1. ქობორი და ბური — ხარების სახელებია.

რელ ხარებასაც ვეღარ ხედავს, — ქობორი და ბური გადაღმა გუთანს მიათრევენ და თვალგადახედულს მათი გარჩევაც კი ვერ მოუხერხებია. მინდორი ხელისგულივით სწორია, ბორცვი კი არა, ხეც არსად დგას, რომ ხარებს იმათი მიზეზით ვერა ხედავდეს. ეხ, სად დაეკარგენით პატრონს თქვე ქედლონიერებო, ღვინის გადამხდევლებო, ვალის გამსტუმრებლებო!..

— ურუშმაგ, კაცო, შენ რომ წახვალ, მე რა მეშველება! — სევდიანად, ტირილგარეული ხმით ეუბნება სოფი.

— აგე, გამოჩნდნენ, მაგათ ვენაცვალე! რა ეშველებათ მათ უჩემოდ, უთუოდ გააწვალბენ ეგ ცხვირმოუხოცავა ბალები!

— კაცო, შენს თავზე იფიქრე, ის გირჩევნია.

— ქალო, გაიგონე, როგორ დასკვირდნენ ხარებს ეგ ცხვირმოუხოცავები?

— ვისზე ლაპარაკობ?

— ვისზე და, სახრეებს რომ უღერებენ წამდაუწუმ ხარებს.

— ნეტავი მოგასვენებდნენ!

— რას ამბობ, ქალო!

— ისაღილე, გენაცვალე, სადაც არის გამოვივლიან, წასასვლელები ხართ.

„პეი, ან სიცოცხლე, ან“... — ურუშმაგს აღარც სოფის მოსმენა უნდა და აღარც ხარებისაკენ იყურება...

— ურუშმაგ! — შემოსასახეს ეზოდან და სიმღერა შეაწყვეტინეს.

— ეხ, მომაბეზრა თავი ამ ლექსომ, — წაიბურტყუნა ურუშმაგმა და კარისკენ გაემართა.

ურუშმაგი და ლექსო მეგობრება არიან. უერთმანეთად არც ღვინი აქვთ და არც კირი. ლექსოს ხომ ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს ურუშმაგის ვარგვე და ისიც ყველგან თან წაყოლიებს ხოლმე მეგობარს. ახლაც ერთად უნდა გაუდგნენ გზას, თუმცა ურუშმაგი ასე აღრე არ ელოდა და, ცოტა არ იყოს, არც ესამოიფნა ლექსოს ნობრძანება.

— კრებაამდე რომ მივიდიოდე, წაეყვანდი, კრებაამდე გინდა ხელით ატა-

რებს კაცი, მაგრამ მერე? იმას ადევნოს თვალ-ყური, თუ იომოს... ნუთუ უნდა იომოს, ნუთუ კაცი უნდა მოკლას? ჭიანჭველისთვის არ დაუდგამს ფეხი და ახლა სისხლში უნდა იაროს? მაგრამ არა! ჭიანჭველა სხვა არის და კარზე მომხედური მტერი სხვა! თუ მაგ მამაძაღლებს სიცოცხლე მოებზრდათ, ურუშმაგმა იცის წამალი — ერთი კარგად დაუნაყავს ცხვირ-პირს და მერე წავიდნენ და იარონ, გზაზე რომ სული გასძვრეთ, ურუშმაგს ნუ დამედურებიან, გლეხი კაცია, უროკვერივით მუშატი იცის.

ფიქრობდა ურუშმაგი და თან მეგობარს კარს უღებდა.

შემოვიდა დაბალ-დაბალი, მზით გემრიელად გარუჯული კაცი. ძველი ფარჯა ეცვა, სახე ზომაზე მეტად უღაქლავებდა, ეტყობა, სამგზავრო გადაეკარა.

— სოფი, დეიდა ჩემო, ჩემი ცოლი ატირებელი დავტოვე და გეხვეწები, გადდი და ცოტა დაამშვიდე. თუმცა, რა ვიცი, დამშვიდდება კი! გაგაცილებო, აინგმა, მე ვეთხარა, შენ რომ ჩემს გვერდით დაგინახევენ, სასაცილოდ ამიგვებენ-მეთქი, ეგრე არ არის? როდეს იყო რომ ომში მიმავალ კაცს გვერდით ცოლი მისდევდა ფეხდაფეხ... უნდა გამაგრდეთ შენ დარჩენილები, მტერს ჩვენ მოვეუვლით.

ლექსო ხელების ქნევით, აღვზნებულ ლაპარაკობდა, მერე ურუშმაგს მიუბრუნდა, მხარზე ხელი ჩანთავო და უთხრა:

— ურუშმაგ, აქამდე ხომ შენ დაგყავდი ყველგან, უშენოდ არ ევარგოდი, ნაბიჯს ვერ გადავდგამდი, წინ შენ რომ არ წამძლოლოდი... ახლა ეგრე აღარ აქნება, აღარც შენ აგეშლი ნერვებს და მეც ჩემს ქუთაზე ვეჭნები. ანას ხომ ხელავ—ლექსომ ფარჯის კალთა გადაიწია და მამამისის ნაქონი ხანჯალი გამოაჩინა, რომელიც მამის სიკვდილია შემდეგ სახლის კედელზე ეკადა.

— ლექსო კი არა, გუბის ბაყაყი ვიყო, თუ ამ ხანჯლით მუსრი არ გავაველო

მტერს. აქამდე ხომ ღორიც არ დამიკლავს ამით, იყო წყნარად და ისვენებდა, ახლა ნახე, მტრის სისხლით როგორ გაეაძღო. ხო, ხო, ნუ გეცინება, ლექსოშიც გაიღვიძა ოსურმა სისხლმა.

— ნუ ჩქარობ, ლექსო, ფეხი არაფერს წამოკრა, შენ ის მითხარი, ქარქაშში ხომ არ ჩაგეიანგდა ამდენი უხმარობისაგან. ერთხელ მაინც ამოგელო დღის სინათლეს.

— მთელი დამე ვბოხავდი თხის ქონით, სისინებს, ისეთია. თუ გინდა გაჩვენებ, ფხა გაუსინჯე. — ლექსომ ისევ წაიგელო ხელი ხანჯალზე, მაგრამ ურუხმაგმა არ დაანება.

— კარგი, მოეშვი, გაგებუმრე! ურუხმაგმა სოფის გახედა. სოფი გარინდებული იდგა მათ შორიახლოს და გულჩუყებული თავსაფრის ბოლოთი იწმენდა ცრემლებს. თითქოს აქამდის ვერ დაეცერებინა, რომ ურუხმაგი ფრონტზე უნდა წასულიყო. თითქოს სიზმარში ყოფილიყო აქამდე და მხოლოდ ახლა, ლექსოს გამოჩენის შემდეგ მიმხვდარიყოს სიმატლეს.

— სოფი — მიუბრუნდა ცოლს ურუხმაგი.

— რა იყო?

— ტირილისათვის ადამიანს თავისუფალი დრო სჭირდება, ჩვენ კი გზაზე ვდგავართ, სუფრა გაშალე! ჩვენა მფარველი წმინდა გიორგის — უსტირჯის საღვთაგროდ უნდა შევსვათ.

ურუხმაგი ისევ მივიდა ფანჯარასთან, ისევ ჩამოაწყო ხელები რაფაზე და თქვა:

— ოი, ბალო, ერთი გავიგო, რომ ჩემს ხარებს უღმერთოდ მოეპყარი, ყურებს აგახლეჩ, ყურებს!

— ვის ელაპარაკები, კაცო! — გამოსძახა ლექსომ და მაგიდასთან სკამი მიიჩოჩა, სასმელით სავსე ხელების ახლოს.

\*\*\*

„პოი, ან სიცოცხლე, ან“... ისევ ცდილობს სიმღერის თქმას ურუხმაგი, და ისევ ამოდ. რაღაც წადილი აკლია

გულს... წინათ, გუთანს რომ მიჰყვებოდა ხოლმე, ისეთ სალაღობოს შემოსძახებდა. — ჭიკელებზე სანადიროდ გამოსული ყვაეები მიწაში ჩიჩქენას შეეშვებოდნენ და გაკვირვებულნი თავებს მაღლა სწევდნენ. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ სიმღერის სმენით გატაცებულ ყვაეებს ჭიკელები ავიწყლებოდათ, ეს საწყლებიც სარგებლობდნენ ამით და მიწაში უჩინარდებოდნენ. მაშინ უფრო მეტად სალაღობო, სასიყვარულო სიმღერებს ამბობდა ურუხმაგი. ან სხვაზე რა უნდა ეფიქრა ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცს. ახლა კი ენის წვერიდან ვერ იცილებს: — „ან სიცოცხლე, ან...“

ეს, კარგი იყო, კარგი კაციშვილი ხელს არ გიშლიდა, შენც არავისი არ გერიდებოდა. ქობორი და ბური ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ხნულს, შენ მარტო ის გვევლებოდა, რომ მაგრად დაგეჰკირა გუთნის სახელურები, რომ ხნული არ გამრუდებულყო, მთავარი ეს იყო. ისე კი მერე გინდა სიმღერა დაგეწყო, გინდა ცეკვა.

აქ კი სულ სხვანაირადაა. როცა დალილ ჯარისკაცებს სძინავთ, სიმღერა აკრძალულია. თუ მაინცდამაინც ვერა სძლებ, გულში იმღერე! რა ქნას ურუხმაგმა. ფიქრებით მიდგებ-მოდგება, ქვეყანას შემოიგლის და ბოლოს ისევ თავის ხარებს გაიხსენებს. ეშინია, არ გაუღახონ, არ დააშვიონ. „აკი გავაფრთხლე! თუ ჩემი ნათქვამი დაივიწყა, მერე თავის თავს დაბრალოს, რაც მოუვა“.

კარგი იქნებოდა, ერთხელ კიდევ გაეფრთხილებინა წამოსვლის წინ ის ლაწირაკები. ხელეე მისწერს სოფის, რომ თვალყური აღევნოს და ბიჭებსაც შეახსენოს, რაც ურუხმაგმა დაიბარა.

„პეი, ან სიცოცხლე, ან“...

ხმამალა გამოუვიდა სიმღერა ურუხმაგს. ტანმალალი ჯარისკაცი, რომელიც მის გვერდით იწვა, შეიძრა და თვალების ფშვენტით წამოქდა.

— ურუხმაგ, გაიღვიძე უკვე თუ ძი-

ლში ლაპარაკობ?! — ხმადაბლა ჰკითხა მეზობელმა.

— ხო! — მოკლედ მოუჭრა ურუხმაგმა, რომ ლაპარაკში არ შეჰყოლოდა და ფიქრის ძაფი არ გასწყვეტოდა.

— რომელზე ამბობ „ხოს“ — ვერ მიუხედა ტანმალაღი. თუმცა რა დიდი მიხვედრა უნდოდა, უზურმაგი მძინარე რომ ყოფილიყო, პასუხს ხომ ვერ დაუბრუნებდა! მაგრამ ტანმალაღ მეზობელს ამის საინგარიშოდ არ ეცალა.

— აბა მძინავს!

— მე კი მეგონა, რომ მძინარე ლაპარაკობდი.

— არა. გულში ვლიღინებდი და ხმამალა გამომივიდა.

— რა ცხოვრება ჩვენა გვაქვს, რომ სიმღერა მოგანდომა.

— მართალი ხარ, მაგრამ რა ვქნა, ქობორი და ბური ვერ ამოვიგდე გულიდან, განუწყვეტლივ იმათზე ვფიქრობ, ყუმიარის ნამსხვრევებივით სხეულში მყვანან ჩარჩენილნი.

— ვინ არიან, შენი შვილები?

— არა. ჩემს ხარებს ვეძახი ასე. როცა ემღერი, გულიდან გადამეყრება ხოლმე იმათზე დარდი.

— ეხ, შენ ხარებზე ფიქრობ, მაგრამ... — ტანმალაღმა ბოღმიანად ამოისუნთქა, გულაღმა მწოლიარემ ხელეები თავქვეშ ამოიწყო და კერს მიაშტერდა.

— რალაცის თქმა გინდოდა კიდევ?

— იქნება ხარებზე აღარ ვიფიქრო, და საუბრით თავი შევიქციო? — შევეითხა ურუხმაგი.

— ურუხმაგი! — პასუხის მაგიერად მიმართა მეზობელმა.

— რაო!

— ტრაქტორი თუ გინახავს როდისმე.

— ეხ, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! — ამოიოხრა ურუხმაგმა.

— რატომ, რა მოხდა?

— ჩემი ხარები რომ დაგენახა...

— მანდ ვინა ხმაურობს?! დაგავიწყდათ, რომ ხვალ ფრონტის ხაზზე ვართ გასასვლელები? — დაივეირა ვილაცამ

და ურუხმაგმა თავზე საბანი წაიხურა. კარგახანს იწვა გაუნძრევლად, სულგანახებული, მერე დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ როგორც კი დროს იხელთებდა, სოფის მისწერდა წერილს, და გულში რამდენიმეჯერ გაიმეორა, თუ რასაც მისწერდა. „სოფი, გახსოვს ის დღე, მე რომ სოფლიდან წამოვედი? მე არასოდეს დამავიწყდება. გახსოვს, როგორ მოუქნია ჩემ ბურის იმ ლაწარაგმა სახარე? სოფი, გააფრთხილე ერთხელ კიდევ ეგენი, თორემ როცა ჩამოვალ, კარგა დავათვალიერებ ჩემ ხარებს და თუ საბრის კვალი რამე შევამჩნიე, მაშინ, იცოდნენ, ცხვირიდან ძმარს ვადუნ. სოფი, კინაღამ დამავიწყდა, რა ისმის იმ უქნარა ლექსოზე? მალევე დაგვაშორეს ერთმანეთს, სხვადასხვა ნაწილში დაგვარიგეს. ცრემლები წამოსცივდა ლექსოს. მეც ძალიან მეწყინა მასთან განშორება. აუცილებლად მომწერე ლექსოს ამბავი და ხარებს მიმიხედე“.

— კარგი წერილი გამომივა, — თავს ირწმუნებს, ურუხმაგი, — კარგი და მშვენიერი წერილი, ოღონდ არაფერი არ უნდა დამავიწყდეს, როცა ზღლში კალამსა და ქალაღს დავიჭერ.

— ადექით! — გაისმა ვილაცის გამოკვიანი ხმა. ურუხმაგმა საბანი ფეხებით დაიქნია და სწრაფად წამოხტა.

\*\*\*

„— ოი, ან სიცოცხლე, ან...“ — ურუხმაგი ბალახზე წვეს პირქვე. მარცხენა ხელი ნიკაპქვეშ ამოუღვია და მღერის. მღერის ხმადაბლა, რომ არავინ გაიგონოს. თუმცა რა ემღერება ნეტავი? ამ ცოტა ხნის წინ, ერთ დიდ ბრძოლაში, ვილაცამ მარჯვენა ხელის თითში დაჭრა. კიდევ კარგი, რომ თითი იქმარა. ბედს უნდა უმადლოდღეს ის მურღალი, რომ ურუხმაგს გადაღრჩა, რომ ხელში არ ჩაუტარდა და თავა დაიძვრინა, თორემ ერთი ალიყულა ჰქონდა ურუხმაგს მისთვის განზადებული. არა უშავს რა, იქნებ კიდევ ჩაუტარდეს ხელში და მერე გაუსწორდება... „მე“!

გულში ჩაიციხა ურუშმაგმა — დამენახა მაინც ვინ იყო, როგორი იყო, როგორ ვიცნობ, კიდევაც რომ შემხედდეს მომავალ ბრძოლებში? არა უშავს რა, ჯაერს მაინც ამოვიყრი. კაცის მოკვლას ვერიდებოდი აქამდე, მაგრამ პირველნი ისინი დაგვესხნენ თავს, მათ აიღეს პირველებმა ხელში იარაღი.

პოლიტხელი გაზეთს კითხულობს. კითხულობს გატაცებით, თვალმოუშორებლად. ალბათ მასაც პირველად ესმის, რასაც გაზეთი აუწყებს, და ფრონტის ცხელ-ცხელ ამბებს ისე გაუტაცუნია, რომ არც კი ამოწმებს, უსმენენ თუ არა ჭარისკაცები. პოლიტხელს ალბათ ვერ წარმოუდგენია ისეთი ჭარისკაცი, რომელიც ფრონტის ახალი ამბებით არ დაინტერესდება. და იქნებ მართალიც არის, იქნებ ჭარისკაცები მართლაც უსმენენ, ურუშმაგმა ამის თაობაზე რა უნდა იცოდეს, სხვა ჭარისკაცებიც მასაც თუ სულგანაბული სხედან, ეგ არის და ეგ. ან იქნებ მათ არა ჰყავთ ურუშმაგისნაირი ხარები. და ურუშმაგი ფიქრობს ქობორზე და ბურიზე. სოფოზეც ფიქრობს ურუშმაგი, თუმცა მისი ბედი არ აწინებს. სოფიმ იცის თავისი მდგომარეობა და შეუძლია იყოს მომთმენი. მაგრამ წერილი რომ ვერ მისწერა!

„მოსკოვის მისადგომებთან მოსპობილია 25 ტანი“, „სტალინგრადის მისადგომებთან განადგურებულია ფაშისტების რამდენიმე დივიზია, მაგრამ ჩვენს ჭარებსაც ცოტა დანაკლისი როდი აქვთ“. პოლიტხელი აგრძელებს სხვადასხვა მონაცემების კითხვას, ურუშმაგი კი კვლავინდებურად ნაწყვეტ-ნაწყვეტ უსმენს მას. არც აქამდის უსმენდა თავგამოდებით. გაზეთის გარეშეც მობეზრდა ლაპარაკი მკედრებზე და სიკვდილზე. ბევრი უბედურების ნახვა მოასწრო ურუშმაგმა ამ ხანებში.

მის გვერდით ვილაცამ ხვრინვა ამოუშვა. ურუშმაგი მისკენ მიბრუნდა. ოო, ეს მისი შავტუხა ამხანაგია; გულაღმა გაშოლტილა, მუთაქასავით დახვეული შინელი თავიქვეშ ამოუდგია და გულიანად ხვრინავს. ხვრინავს და არ-

ხეცს თავის მოკლე, „შავტუხა“ შიგადაშიგ ილიმებოდა კიდევაც შეგვერმანი. ხარაძე იყო გვირაოდ. ურუშმაგს სიამოვნებდა, დაღლილი ჭარისკაცი ძილში მაინც რომ ილიმებოდა. სხვა დროს სად მოიკლიდა: ან თვითონ უნდა მოეყლა, ან დაღუპულ ამხანაგებზე ედარდნა. როცა გძინავს, მაშინ სხვა საქმეა. თუ კარგი სიზმარი გეჩვენა — შენი ბედი, თუ არა და გამბორტებით უნდა იხვრიო.

ურუშმაგი ხარაძისაკენ გადებრუნდა. ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა: „რა იყო საყვარელო, მუხრანელი ღვინო გესიზმრება?“ ხარაძემ კიდევ უფრო გაიღიმა და ნეტარებით თქვა: „ეხ, შენი ქირიმე, ქართული ღვინო!“ — ხო მართალი მითქვამს, ეტყობა, მივხვედრილვარ. — ურუშმაგს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ პოლიტხელმა შეაწყვეტინა. მან გაზეთში ვილაც ლექსოზე წაიკითხა ნარკვევი და ურუშმაგი, როგორც კი „ლექსოს“ მოკრა ყური, ცოფიანივით წამოხტა.

— მოიცადეთ, — მივარდა იგი პოლიტხელს. პოლიტხელი სათვალადან მიაშტერდა მას, მაგრამ როცა ურუშმაგი ახლოს მიეჭრა, სათვალე შებლზე აიწია, რადგანაც იგი მხოლოდ გაზეთის წასაკითხად იყო სახმარი.

— რა გინდა ურუშმაგ, რა მოხდა?  
— თქვენ ვილაც ლექსოზე წაიკითხეთ, ვინ არის და სადაურია?

— ოსია, მაგრამ შენ ყველა ოსი ხომ არ გეცოდინება!

— ყველას, რა თქმა უნდა, ვერ ვაეწვედებოდი. მაგრამ ჩემს მეზობელ ლექსოს კი კარგად ვიცნობ. ფრონტზედაც ერთად წამოვედი. იქნება ის არის. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ, — ყელი გამოუწია ურუშმაგმა პოლიტხელს.

— მაშინ მისმინეთ! ყველამ ყურადღებით ისმინეთ, მე თქვენ ურუშმაგის თვისტომის გმირობაზე წაგიკითხავთ — ურუშმაგმაც მოათვალეირა ჭარისკაცები, თითქოს სთხოვდა — ყურადღებით მოისმინეთ, იქნება მართლაც ჩემს მეგობარზე ეწეროსო გაზეთში.

„გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინა ოსმა კაბუქმა ლექსო კანევემა“.

— სწორია, სწორი, ეს მართლა ჩემი მეზობელი ლექსო ყოფილა!

ურუზმაგმა უღვაშებზე ხელი გადაისვა და თავის დაჭრილ თითს დააჩერა.

„უნდა მომეკლა ის მამაძალი, არ უნდა გამეშვა“ — და ურუზმაგი შერისიძების გრძნობით აღენათ.

„ფაშისტების ნაწილთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა მისი სამი ამხანაგი, მაგრამ არ შეშინდა მამაცი ოსი და...“

— ფუი, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, ლექსო, სახლში ძაღლებისაც კი გეშინოდა. — ხმაშალა წამოიძახა ვახარებულმა ურუზმაგმა.

„გაანადგურა მოწინააღმდეგე. მან მარტომ შეასრულა მეთაურის დავალება: შეაერთა სატელეფონო ხაზი. ამ მამაცობისათვის სარდლობამ იგი საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარადგინა“.

ესეც შენი „უხეირო“... არა, მეგრძეზე თუ გმირის ვარსკვლავს დაიკიდებს, ეს სახელი მას აღარ შეფერის. უხეიროს ვინ მისცემს ასეთ ჯილდოს. ურუზმაგი ფიქრებში წავიდა, მას უკვე აღარ ესმოდა პოლიტბელის ლაპარაკი.

— ჩემნაირი კი მედლის ღირსიც არ არის. თითში დამკრეს და ისიც ვერ გავიგე ვინ მესროლა, — და ურუზმაგმა დახედა მკვიდროდ შეხვეწულ თითს.

„ნუთუ ხელს შემიშლის? — გაიფიქრა და მტკივანი თითით ჩახმახი მოსინჯა. — ხელს კი შემიშლის, მაგრამ არაფერია, დაჭრილი თითითაც შეიძლება ბრძოლა“.

\*\*\*

— მოეწყეთ! სწორება! — დაივრგვინა მეთაურმა. ქარი ოდნავ ურხვედა ხუჭუჭ თმებს, ეტყობოდა რაღაც სასწრაფო ზრძანება მიეღო, იმდენად სასწრაფო, რომ ქუდის დახურვაც კი ვერ მოეწყრო.

— დახვერვაზე უნდა გაიგზავნოს რამდენიმე კაცი. ვინც თანახმაა, ხელი ას-

წიოს. — მტკიცე, მშვიდი ხმა წავიდა. თქვა მეთაურმა და მის წინ ჩაწყვირებული ჯარისკაცები შეათვალიერა. „ზუსტად ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარესავითაა, აგრემც იმ ქვეყნად ერთმანეთს უზიდავენ წყალს. იმანაც ასე იცის, კოლმეურნეებს მშვიდად ეკითხება — რომელი თქვენგანი გამოვა სამუშაოზე და მისი ამგვარი შეკითხვა შელოცვასავით, მოქმედებს გლეხებზე — მეორე დილით მთელი სოფელი სამუშაოზე გადის. მეთაურის სიტყვებიც ასევე მოქმედებს ჯარისკაცებზე, ისინი მუდამ მზად არიან ყოველგვარი დავალების შესასრულებლად“... ეიღრე ურუზმაგი ამას ფიქრობდა, მის გარშემო ყველამ ასწია ხელი.

— ურუზმაგ, არ მეგონა თუ ასეთი მშიშარა იყავი, — უთხრა მეთაურმა და თვალი თვალში გაუყარა.

ურუზმაგი სირცხვილისაგან გაწითლდა, ერჩია კიწა გასკდომოდა, მაგრამ ისევ მეთაურის სიტყვებმა დამშვიდა.

— უკეთ რომ გაგიცნო, მე შენ მარტოს გაგაგზავნი დახვერვაზე! — მეთაური შეტრიალდა და ბრძანებით დაუმატა, — აბა წამომყევე, ნაბიჯით იარ!

\*\*\*

„— თი-ოჰ, ან სიცოცხლე, ან“... მღეროდა ურუზმაგი და მიაბიჯებდა. მხარზე ავტომატი ეკიდა, შეეძლო ჯობითაც ეტარებინა, მაგრამ...“

„ვინ გამოიგონა ნეტავი? ხანჭალიც იარალია, მაგრამ ამას ბევრად სჯობია. ხანჭლით თავსაც დაიცავ, ამით კი შეგიძლია კაცს შორიდან ესროლო, თითქოს ახლოს მისეღისა გეშინოდეს. ეს... სამი კაცი არც ისე ბევრია, ეს ხმაგრილა მაკახელები რომ არ ჰქონდეთ. მე არ შეშინია, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ სროლა დამიწყებს, შეიძლება ვერც მე მოვითმინო და რომელიმე მოვკლა კიდეცა. მაშინ თავიანთ თავს დააბრალონ. ომში, ფრონტის ხაზზე ბევრნი იხოებებიან, ოღონდ იქ სულ სხვანაირადაა საქმე. მოწინააღმდეგეები ისე აირევიან ხოლმე ერთმანეთში, რომ მთელი

ქვეყნის ღმერთებიც ვერ გარკვევენ, რა ხდება, ვინ ვისა ჰკლავს, ვისი ტყვია ვის ხვდება”.

ურუშმაგმა მეთაურთან საუბარი გაიხსენა. მეთაურმა გააფრთხილა განსაკუთრებით ყურადღებით ყოფილიყო ტყეში — ყოველი დაუღვეარი ნაბიჯი, ყოველი გამტყდარი ფიჩხი სასიკვდილო საფრთხეს შეგიქმნისო — ეუბნებოდა. „რა ჩანდაბად უნდათ სატელეფონო ხაზი, ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე არ ვისხდებით აქ. ან იქნებ მეთაურს ჩემი გამოცდა უნდოდა და ამიტომ გამომგზავნა“, — ისევე ფიქრებში ვაიხლართა ურუშმაგი.

ამასობაში კი წინ მიიწევს, ყურადღებით ათვლიერებს ყველაფერს, ფრთხილობს, გამხმარ ტოტებს გარს ეფლის, ემინია რომ ფეხი არ დააბიჯოს და თავი ვასცეს. შორიდან ხმაური შემოესმა. მატლის მძებნელი კოდალა უკაკუნებდა ხეს. ურუშმაგი ფიქრებიდან გამოერკვა, კოდალაზე გაჯავრდა — რა ახმაურებსო.

ისევე წინ მიდის, დანიშნული ადგილისაკენ, და ისევე ათასნაირი ხმები ჩაესმის, ვერ გარკვეულა, რომელი მათგანია ნამდვილი და რომელი ეჩვენება. რაღაც შრიალი შემოესმა, თითქოს თავის თიბავენო. მერე თითქოს ურმის ჭრიალსაც მოჰყრა ყური. „შუსტად ასე ჭრიალებენ ურუმები, როცა ხუროს ხეობიდან თავით დატვირთულნი ბრუნდებიან“. ჰაი გიდი! რა ჩანდაბას დავეთრევი ამ უცხო ტყეებში? — ურუშმაგმა ავტომატის კონდახი მიწას წავრიანად დაჰყრა. — ის არა სჯობდა, ხუროს ხეობიდან თვით მეზიდნა. მწვანე ბალახით კარგად გაფიქობილი ქობორს და ბურის, შემოვფლებოლი ურმის კოფოზე და მიდი!.. „ჰოი, ან სიცოცხლე, ან...“ ფუი, რა ღმერთი გამიწყრა სიმღერის დრო მაქვს ახლა?!

ხმაური კი სულ უფრო ახლოს გაისმის. ახლა იგი ხერხის ხმასა ჰგავს. იქნება ვინმე სამასალე ხესა ხერხავს. მაგრამ ვის უნდა მოუვიდეს თავში ასეთ დროს ხის ხერხვა? ეშმაკსაც წაუღია

იმის თავი, მთავარია გამხმარ ტოტებს არ დააბიჯოს.

მოდის. წინ მიიკვლევს გზას.

„ხხხ-ხხხ-ხრრ“ — „ტყის ეშმაკი ხომ არ მატყუებს ნეტაე“ — აქეთ-იქით იყურება, მაგრამ ვერაფერს ხედავს. მართალი რომ თქვას კაცმა, ცოტა შეეშინდა. მაგრამ ლექსოს გმირობის ამბავი გაიხსენა და თავისი თავის შეჭეცხვა. ხმელი ფიჩხებიც კი დაავიწყდა, ტანი შემართა და ფართო ნაბიჯით წავიდა. წავიდა და... უცებ გაბეჭებული შედგა. საოცრება: ვიღაც უცხო კაცი წევს ხის ძირში და გულწინად ხვრინავს. ისე არხეინად ხვრინავს, თითქოს თავის სახლში იყოს წამოწოდლი.

იმ კაცის გვერდით ორი ჩემოდანი იდო, ჩემოდნების გარშემო კი მავთულის ნაწყვეტები ეყარა. ურუშმაგმა იცნო სატელეფონო ხაზის მავთულები. იქვე ავტომატიც იდო. ალბათ მისმა პატრონმა იგი თავქვეშ ამოიღო, როცა დასაძინებლად დაწვა, მაგრამ მერე ძილში გვერდი იცვალა, გადაბრუნდა და ავტომატიც ცალკე დატოვა.

ურუშმაგმა იმ უცხო კაცში გერმანელი ჯარისკაცი შეიცნო. ჯერ გაღვიძება უნდოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. „ჯერ ეძინოს, ჯერ ჩემოდნებს გადავაბა? ერთმანეთს, იქნება როგორ სიზმარებს ხედავს, რატომ მოვაცდინო?!“ ურუშმაგმა ირველივე ყურადღებით მოატარა თვალი, ემანდ ფაშისტის ამხანაგები არ ტრიალებდნენ გარშემო. არავინ ჩანდა... იხილ მიძინარის ავტომატი, ჩემოდნები კარგად გადააბა და კიდევ მოათვლიერა იქაურობა. კაცის ქაპანება არ იყო, გერმანელი ისევე გაბმულად ხვრინავდა. ურუშმაგი ჩემოდანზე ჩამოქდა და ერთი ომხიანად შემოსძახა „ოი-ოჰ, ან სიცოცხლე, ან...“ მიძინარე ფეთიანივით წამოხტა, უნდოდა ავტომატისათვის ხელი ეტაცნა, მაგრამ საღლა იყო!

— დაქვქი, დაქვქი, — ეუბნება რუსულად ურუშმაგი და თან ავტომატს უღერებს ფაშისტს. შეეშინდა კაცს. უნდოდა სცემოდა, მაგრამ ურუშმაგს ისე





ჩაებლუჯა ხელში ავტომატი, რომ მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა. ურუხმაგი ნელ-ნელა წამოდგა ჩემოდნიდან, მეორე ავტომატიც მხარზე გადაიკიდა და გერმანელს ეუბნება:

— რაკი გამოიძინე, მოდი, ახლა ენ ჩემოდნები წამოიკიდე, თორემ აქ რომ დაგვრჩენს, შეიძლება ვინმემ წაიღოს.

— მე არსად არ მიჩქარება, დამტვრეული რუსულით უპასუხა გერმანელმა.

— წამოდი, წამოდი, ასე სჯობია, რად გინდა ამ დაბურულ ტყეში ძილი, შეიძლება უხსენებელი ჩავიძვრეს პირში, — ისე ეუბნება ურუხმაგი, თითქოს თავის ძმობილ ლექსოს ელაპარაკებოდეს. კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, როცა გერმანელმა შეატყო, რომ ურუხმაგს მოთმინების ფიალა აეცხო, აიკიდა მეთუღით გადაბმული ჩემოდნები და კარგი მეკურტნეაგით ურუხმაგის მითითებულ გზას დააღტა.

— თი-თი, ან სიცოცხლე, ან... — მეტისმეტად გამხიარულდა ურუხმაგი. ხარებიც კი გადააფიწყდა. სხვა სიმღერებსაც შემოსძახებდა, მაგრამ ახლა ეს ურჩევნია ყველას.

— ბიჭო მოიხედე — მიმართა მან ჩემოდანაკიდებულს.

— რა გინდა? — გაბუტულივით გამოეპასუხა გერმანელი.

— თუ გყავს შენ ხარები! — ურუხმაგმა ზურგზე გადაიგდო გერმანელის ავტომატი, თავისი კი ისევ მიუღირა, ემანდ თავხედური აზრები არ მოუვიდესო თავში.

— ეხ... — ამოიხვნეშა ტყვემ და თავის ენაზე რაღაც წაიბურტყუნა.

— არც ოჯახი გყავს?

— ოჯახიცა გყავს და ხარებიც.

— ვაჰ! მართლა გყავს ხარები? მაშინ აქ რალას აკედებ, კაცო! ის არ გირჩევნია, იმათ გვერდით იყო!

— კი მირჩევნია, მაგრამ იქაც რომ სხვებს ემსახურებოდი! ახლაც სხვების ტვირთის ორგევა მიწვევს. როგორც შენ შენაბი ამ წუთში, ასე ვიყავი მუდამ

შებმული. მხარები გადატყავული მაქვს...  
ცოტა მაინც დამსვენე.

— ნუთუ ასე მძიმეებია?

— მაშ რა იქნება, ჩემოდნებში ხომ აპარატებია. სატელეფონო ხაზს ვაკეთებდით. ჩემი უფროსები სოფელში ჩავიდნენ... ახლა ალბათ გამწარებულნი მეძებენ.

— არა უშვას რა, თუ კარგი მეძებრებია, სუნზე გამოჰყვებიან შენს კვალს.

— ეხ, ალბათ ველარასოდეს ვნახავ ჩემს ოჯახს, — დაიწყო მოთქმა გერმანელმა.

— გამაგრდი, გამაგრდი. იმედს ნუ დაჰკარგავ. შენი სულელი უფროსები როცა გონს მოვლენ და ჩვენებს დანებლებიან, მაშინ შენც გაგიშვებენ სახლში.

— ვიდრე ხარს დაჰკლავდე, მარალი მოალოკინეო!

— ვერ გაიგე!

— რა ვერ გაიგე, სასიკვდილოდ მიგვევიარ და იმედი არ დაჰკარგოო, მუუნებში.

— შენ ხომ არ გაგიყდი, რა სიკვდილი აგიტყდა!

ასე საუბარ-საუბარში მიიღწიეს შტაბამდე. ურუხმაგმა ტყვე მეთაურს მიპგვარა. მეთაური ჭერ დაიბნა, მაგრამ როცა ყველაფერს მიხვდა, გაიღიმა...

— თი-თი, ან სიცოცხლე, ან... მიღლობა ღმერთს, დღეს კი გამოუჩნდა ბარათის დაწერის საშუალება. წერილის ბოლოს, სხვათა შორის, დაურთავს თუ როგორ შეიპყრო გერმანელი და როგორ სახედარივით მიიყვანა ნაწილში, და რომ შემდეგ ფაშისტის ორი ამხანაგიც დაატყვევეს. თანასოფლელების თვალში ავტორიტეტი აეწვეა და იმის ხარებასაც უფრო კარგად მიხედავენ.

სოფი, პირველ რიგში ჩემი ხარების ამბავი უნდა გკითხო, როგორ არიან, ხომ არაიენ მიჩაგრავს, იმათ შემოგვევლე... ასე დაიწყო ურუხმაგმა დიდი ხნის ნაოცნებარი, შინ გასაგზავნი ბარათი.

სარგო მინდიაშვილი

### ზღვაზე წვიმა...

ზღვაზე წვიმდა  
და წყალს წყალი დაემატა.  
გემზე აფრა დაგვიჭიმა ქარიშხალმა;  
დაიშხაშა  
მთელი დილის სიხარული...  
განთიადის სიხარული  
დაიშხაშა...

ზღვაზე წვიმდა...  
ციდან თეთრი თოლიები  
ფრიამულით  
გემის ანძებს ეხვეოდნენ...  
ზღვაზე წვიმდა, —  
მგზავრნი ნაპირს მოველოდით,  
და ნაპირიც  
მღელვარებით მოგველოდა.

ზღვაზე წვიმდა  
და გრძნობები — წმინდანები  
ზღვის ტალღებში  
დაგველაუდნენ წმინდა ნებით...  
ცა გაიხსნა...  
ზღვაზე წვიმამ გადაიღო: —  
ქარიშხალმა ლურჯი ფრთები დაიკეცა...

დაიღწა  
გემში რაც კი ძრწოლა იყო: —  
შორს  
ნაპირი  
მზის სხივებით  
გაიკვება...  
დაიკვნესა გემმა  
შვებით,  
სიხარულით,  
და გულებშიც  
სიხარული დაიპრესა.

სანაპირო, —  
ტრფობისა და ყვავილის ტყე,  
ატმის თეთრი ყვავილებით  
მოგვეგება; —  
ქალიშვილი,  
ყვავილების თაიგული  
და...  
ტრფიალი  
დამარჩებიან მოგონებადა.

## საპირთუქოს

შენ ჩემი სიმღერის უზადო კერა ხარ,  
 შენ ჩემი ოცნების წყარო ხარ უღვევი.  
 ისევ დაგიბრუნდი,

რომ კვლავაც მენახა  
 შენი დიდებული დედულ-მამულები.

როგორც ბავშუობიხანს,

ახლაც ისევ იხე,

უსაზღვრო ოცნების ცეცხლში გამახვიე...  
 მოველ და...

ოქროსფერმა ღრუბლებმა აისზე  
 ვარდებს სიხარულის ცრემლი დააფრქვიეს.

ველუაჲ და...

(რა გულმა გაუძლოს ამ ღელვას),  
 გრძნობებს ჩაქსოვია ფანდურის

ტკბილი ხმა,

მთებს გადაგრაგნილი ულავს ცისარტყელა,  
 ცეცხლივით ანთია ველად ყვავილის ზღვა.

ველუაჲ და...

თაფლივით სულში იღვევთება  
 პოეტურ გრძნობების ნაჯერი თბილი ხმა,  
 ოსეთის მთებში რომ ლექსად აენთება,  
 ისმინოს მოსკოვმა!  
 ისმინოს თბილისმა!



# ს ი ზ მ ა რ ი

## მოთხრობა

— აბა, სწრაფად, დირექტორთან — მოულოდნელად ჩაესმა გარინდებულ სოლოთის. ნაცნობი ხმა იყო — მდივანი-მემანქანე მაღალი ქუსლების ბაკა-ბუკით უახლოვდებოდა, მაგრამ სოლოთის ის არ შეუშინებია, თვალეზზე თითქოს ლიბრი გადაკვროდა, „ამ გახურებული მუშაობის დროს შეიძლება კაცა მოაციდინო?“ გაიფიქრა სოლოთიმ და — ის იყო დააპირა ეკითხა: „რა უნდა დირექტორსო“, რომ მდივანი ქალი ისე ელვასავით გავარდა ოთახიდან, თვალიც ვერ მოჰკრა.

„რას იზამ, გინდა, არ გინდა, უნდა წახვიდე, — ფიქრობდა სოლოთი, — გადადე ყველა სასწრაფო საქმე და წადი... აბა რა, უფროსის ბრძანება! თუმცა, საკვირველია, რაზე გავახსენდი დირექტორს. რამდენი ხანია ჩვენს ქარხანაში მუშაობს, ერთხელაც არ გამოუძახივარ. ახლა კი... ნეტა რა მოხდა“...

ამ ფიქრებში გართული სოლოთი თავისდაშეუმჩნევლად დირექტორის კაბინეტის კართან აღმოჩნდა. სახელურს წაველო ხელი, რომ ისევ ეპვემა გაურბინა: „მაინც რატომ მიბარებს? ადრე ხომ ვერც კი მაჩვენებდა, ყურადღებას არ მაქცევდა. არა, კარგი ამბავი არ

არის ჩემს თავს“. აფორიაქებულმა სოლოთიმ სახელურს ხელი უშვა და უკან დაიხია, მაგრამ, დახეთ სკოცრებას, კარი თავისთავად გაიღო და, თითქოს უფალი თავის საბრძანებლიდან დაეშვაო, ისე წამოვიდა მის შესახვედრად გაბრიელ მასტისოვიჩი... დიან, თვითონ ქარხნის დირექტორი. სოლოთი თვალეზს არ უჭერებდა; დირექტორმა თავაზიანად გაუღიმა, მამობრივი შრუწველობით შეიპატიჟა კაბინეტში და სასიამოვნო საუბარი გაუბა...

ცოდვა გამხელილი სჯობია და, სოლოთი დაიბნა: ამ მყუდრო ოთახში არაფერმა არ მიიზიდა იგი: მწყობრად დადგმული მაგიდები, ტელეფონის აპარატები, კუთხეში ცეცხლამძლე კარადა... ერთი სიტყვით, ეუცხოებოდა აქ ყველაფერი, შესანიშნავად მოხატული კედლებიც კი.

დირექტორს პირდაპირ ვერ იცნობდით. აბრეშუმზედ რბილი, სათნო, კეთილი და თავაზიანი, ფრთხილად და აღერსიანად ესაუბრებოდა სოლოთის:

— დაბრძანდით, ღვთის გულისათვის, დაბრძანდით, სოლოთანბეგ კიაზოვიჩ (მამის სახელიც რომ დაუმახსოვრებია!), რატომ გერიდებათ, გეთაყვა. მე-

რე რა, რომ დირექტორი ვარ? სამაგიეროდ, ჩვენ მეგობრები ვართ. თქვენსავით რიგით მუშაებს უფრო ვცემ პატივს. ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანები. სწორედ ასეთი გულახდილები... ცოტა უფრო ბევრინც, რომ იყვნენ... აი, მაშინ გენახათ მუშაობა, აღვიღალ წავიდოდა საქმე წინ. რაც შეგებებათ თქვენ, ჩემო ძვირფასო, ყოველგვარ მოლოდინს გადააბარებთ. არ გეგონოთ, დამაუწყდა თქვენი დამსახურება; არავითარ შემთხვევაში, არც იფიქროთ. მე არ ვიყო გაბრიელ მასტისოვიჩი, თუ სიკეთით არ გადაგიხადოთ თქვენი ასეთი გულმოდგინეობისათვის... ახლავე გაჩვენებთ...

გაბრიელ მასტისოვიჩმა მაგიდის უკრა გამოსწია და ქაღალდი ამოიღო... სოლთის ვერც კი მოუსახურებია, რა უნდა ყოფილიყო ეს ქაღალდი.

— ხედავთ? — დირექტორმა ღამაზად გაფორმებული ქაღალდი მრავალმნიშვნელოვნად მიაწოდა სოლთის, — წაიკითხეთ რა სწერია, ჩემო კეთილი მეგობარო...

დირექტორი გულთბილად იღიმება. სოლთი კითხულობს მსხვილ სანუკვარ ასოებს: „საგ-ზუ-რი“.

— ჰე, ჰე! — აღტაცებას ვერ მალავს მასტისოვიჩი. — აბა, რა გეგონათ? განა მე სიკეთის სიკეთით გადახდა არ შემიძლია? თქვენ ხომ ყველაზე მეტი ჯაფა გაწევთ ჩვენს ქარხანაში. რა თქმა უნდა, ძალიან იღლებით — ფიზიკურადაც, გონებრივადაც. ცოტა როდი გაგიკეთებია ჩვენთვის, პირადად ჩემთვისაც...

სოლთი დაიბნა. უაზრო თვალებით შეპყურებდა უფროსს და სიტყვას ვერ ძრავდა.

— რატომ მიყურებთ ასე უნდობლად? გამომართვით! — თავაზიანად აწვდის ფურცელს დირექტორი. — სპეციალურად თქვენთვის ვიშოვნე. გამომართვით და გზა მშვიდობისა! კარგად დასვენებას გისურვებთ აგარაკზე, გესმით? მე გისურვებთ, მე, გაბრიელ მასტისოვიჩი! მე არასდროს არაფერს

ვიეწყებ, არასოდეს. ყველსმინდობს ჩემსადმი რებისამებრ მიეუზღავ ხოლმე, ჰე-ჰე!

— რა... რატომ?... რიის... თვის? — სიხარულსა თუ ძლიერი მღელვარებისაგან მთელი საუბრის დროს წარმოთქმული ორად-ორი სიტყვაც წესიერად ველარ დააბოლავა სოლთიმ.

მიუხედავად ამისა, დირექტორმა ყველაფერი კარგად გაუგო:

— თქვენი ბრძნული კრიტიკისათვის, ჩემო კარგო! გულახდილად რომ გითხრათ, თქვენი ნათელი გონების წყალობაა, რომ მე ჩემი შეცდომები შევიგნე: ბევრი რამ გამოვასწორე... ახლა წარმოებაში დისციპლინაც მაღალ დონეზე დგას. თქვენ რომ არა, ყველაფერი ისევ ძველებურად გაგრძელდებოდა. ახლა გეგმებს, ხარისხს, ეფექტურობას არ იკითხავთ? ყველაფერი რიგზეა!.. აღარ გვინდა, მოგვებზრდა ჩამორჩენილებში ყოფნა. მგონი უკვე გესმით რა გვირობა ჩაიღინეთ? თქვენი დახმარებით, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, სულ შეიცვლება ცხოვრება ქარხანაში და ჩვენ მოწინავეთა რიგებში ჩავდგებით. აი, რატომ გიშუამდგომლეთ ჩვენს საქარხნო კომიტეტთან, რომ დამსახურებული დასვენება გრგვობოდათ. თქვენისთანა ნათელი გონების აღმამიანები ქუჩაში როდი ყრია. თქვენ განსაკუთრებული მზრუნველობის ღირსი ხართ! ჰე, ჰე, ჰე!

— მასტისოვიჩის უდარდელ სიცილზე (ასე მოეჩვენა სოლთის) სოლთი შეკრთა და გამოეღვიძა. დამთავრდა სამოთხე და ჯოჯოხეთური წამება დაიწყო... დილაშდე წრიალებდა ლოგინში, ხან ერთ გვერდზე გადატრიალდებოდა, ხან — მეორეზე. სულ რაღაც გამოურკვეველი შიში იპყრობდა. „სასიკეთო პირი არ უჩანს ამ სიზმარს, ცუდად ამხედება, ნამდვილად რაღაც უბედურებაა ჩემს თავს, მაინც სად ჯანაბიდან გამოტყვრა დირექტორი თავისი საგზურით? რა დავუშავე?“

და სოლთის თანდათანობით გაახსენდა... ეს იყო არც თუ დიდი ხნის წინათ,

საერთო კრებაზე... ოპ, როგორ ცხარედ ილაპარაკა მაშინ სოლომი:

— სიმართლე მწარეა მოსასმენად, ამხანაგებო, ეს ფაქტია! მიუხედავად ამისა, გულახდილად ვილაპარაკებ. უპირველეს ყოვლისა, მინდა შეგახსენოთ ის უბრალო კეშმარიტება, რომელიც ყველამ ვიცით, და რომელზეც ხშირად ვდავობთ, ოღონდ ჩემად, ჩვენთვის, არა საჭაროდ. ხოლო დავა რას ეხება? იმას, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი კოლექტივის საქმეები უკან-უკან მიდის, და როგორც არ ვეცადეთ, ვერაფერი ვიღონეთ მათ გამოსასწორებლად. ეს ფაქტია, ცოდვა გამხელილი ჯობია, და უკვე რამდენიმე წელია, ბოლოში მივჩანჩხალებთ. წლის დასაწყისში კი სოციალისტურ შეჭიბრებაზე ყვირილით ყველას ყურებს ვუქადავებთ. ვიღებთ ვალდებულებებს, მაგრამ ყველაფერი ქალაქდღვევ რჩება. ეს კი დაიწყო იმის შემდეგ, რაც ჩვენთან დირექტორად დანიშნეს... მპატიეთ, ნუ ეწყინება... გაბრიელ მასტისოვიჩი. დიახ, დიახ! მე ხომ გაგაფრთხილებთ, რომ ამერიკის აღმოჩენას არ ვაპირებთ. მე მხოლოდ ხმამაღლა ვთქვი ის, რასაც თქვენ ფიქრობთ, რასაც ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ ხოლმე. მე ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც ამბობენ: „უფროსი უნდა იღვეს თავის სიმალეზე, თორემ მუშა კაცი არასოდეს გვიოლატებსო“. სწორია. უფროსმა ხომ მაგალითი უნდა გვიჩვენოს. რა მაგალითს გვაძლევს ჩვენი დირექტორი? აი, სულ ახლახან საქმეზე შევიდა მასთან, მაგრამ ჩემი თავი სად ჰქონდა, მპატიეთ... გაღეშილი ბრძანდებოდა. ეს განა ერთადერთი შემთხვევაა, ამხანაგებო? საერთოდ, რომელიმე თქვენგანს უგრძენია მისი მზრუნველობა? აბა, გაიხსენეთ, ვეთაყვა, როდის, რომელ საამქროში შესულა, რომელი მუშისათვის უკითხავს, როგორ შრომობთ, რა სიძნეეების გადალახვა გიხდებათ, როგორ გამოვასწოროთ ნაკლოვანებებიო? საერთოდ, იცის კი მან რითი ვცხოვრობთ, რითი ვსუნთქავთ?

დარბაზში ტაში დასცხეს. კარგად ილაპარაკა მაშინ სოლომი. კრების შემდეგ ამხანაგებმა მიულოცეს კიდევ. სამაგიეროდ, ამის შემდეგ დირექტორმა აითვალწუნა. და უცბად ასეთი სიზმარი...

„არა, კარგად არ ამხილება“ — საბოლოოდ დაასკვნა სოლომი. დილით კი ცოლს ყველაფერი უამბო. ცოლი სოლომის ერთგული მეგობარი იყო, ამასთანავე, ყველაფერს იმედის თვალით შეტყუარებდა.

მან ქმრის დამშვიდება დაიწყო.

— აი, თურმე რატომ ოხრავდი მთელი დამე! მაგრამ შენ ხომ არასდროს გჯეროდა ასეთი რამეებისა? ან იქნებ მკითხაობა დაიწყო? სიზმრების ახსნაც შეგიძლია? როგორ გავიგო ყველაფერი ეს? გუნებას იფუქებ და მეტი არაფერი. აბა, მოთხარი, ძვირფასო, რა ჰქუა აქვს სიზმარს?

ამ სიტყვებით, თანამეცხედრემ და განუყრელმა მეგობარმა, როგორც ყოველთვის, გაამხნევა, ჩაიცი დააღვივნა. ერთი სიტყვით, სამსახურში კარგი განწყობილებით გაუშვა, მაგრამ იქ...

— სიმართლე ძნელი მოსასმენია, იგი ყოველთვის მწარეა მოსასმენად, — მისივე სიტყვებით შეხედნენ სოლომის შესასვლელში. ეს მთავარი პულტრის ხმა იყო. ყურადღებაც არ მუქცევია მისთვის, უნდოდა გვერდი აეწლო და შესულიყო, მაგრამ მთავარი ბულატერი წინ გადაუდგა და ხელახლა გაუმეორა:

— შენ გეუბნები, შენ, სოლომანგე კიბოვიჩი! დილიდან გელოდები. თვითონ გაბრიელ მასტისოვიჩმა დამაგაღლა. წამომყვივი, სულიყო, ბრძანება უნდა გადმოგცე — დირექტორის ბრძანება შენი... და ბარემ ანგარიშიც გავასწოროთ. დიახ, დიახ! სიმართლე ძნელი მოსასმენია, თვალეებს წვაეს, აბა! ჰე-ჰე!

ამ „ჰე-ჰე“-მ სოლომის რაღაც სხვა მოაგონა. წარმოიდგინა როგორ ხითხითებს ახლა, ალბათ, დირექტორი და ტანში ცივი კრუანტელმა დაუარა. იდ-

გა გაქვავებული მთავარი ბუღალტრიწ  
წინ და ადგილიდან არ იძვროდა.

„როგორ? რატომ? რისთვის?“ —  
ფიქრებში ეკითხებოდა თავის თავს,  
თუ ვილაცას, თავადაც არ იცოდა, ვის  
მიმართავდა. ბრძანებაში ყველაფერი  
ნათლად ეწერა: შფოთისთავი, დეზორ-  
განიზატორი, ლოთი, მოჩხუბარი, საბო-  
ტაჟის მომწყობი, ალიაქოთის ამტეხი.  
— აი, თურმე, როგორი ყოფილა სო-  
ლოი; თურმე დირექციას რამდენჯერმე  
გაუფრთხილებია იგი, სასტიკი საყვე-  
დურიც მიუღია უკანასკნელი გაფრთხი-  
ლებით, მაგრამ ამოდ დამშვრალან,  
აღზრდას ნაყოფი ვერ გამოუღია.

ისე ხატოვანად იყო ყველაფერი ეწ  
აღწერილი ბრძანებაში, რომ სოლოიმ  
კინლამ თვითონვე დაიჭერა! „კარგი,  
დავეშვათ... მაგრამ სასტიკი საყვედუ-  
რი როდისღა გამომიცხადა, ისიც უკა-  
ნასკნელი გაფრთხილებით“ და ეს მო-  
ნაჩმახი უნდა სიმართლედ გაასაღოს?  
არა, მე მაგას ვაჩვენებ ნამდვილ სიმარ-  
თლეს“.

მტკაცე გადაწყვეტილებით გამო-  
ვარდა სოლოი ბუღალტერიიდან. ცოტა  
როდი ირბინა, რამდენი დინსტანცია  
მოიარა სიმართლის ძებნაში, ხან ვის  
მიადგებოდა ხან ვის... მაგრამ ყველა-  
ფერი ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. დად-  
გა ნათელი დღე და სოლოიამაც თავისუ-  
ფლად ამოისუნთქა. და აი, ახლა მიღის  
იგი თავის მშობლიურ ქარხანაში: დი-  
ლის მსუბუქი სივრილე და რიგში  
მკაცრად ჩამწკრივებული ზეგები მიაცი-  
ლებენ სოლოის, გაზონებში ჩარგული  
ყვავილებიც უცინიან, ხოლო მზე ნახად  
და ალერსიანად ეთამაშება; ერთი სიტ-

ყვით, ყველაფერი, თვით შენობის ცივი  
ქვებიც და მშობლიური ქალაქის მოტი-  
ტულაბული ასფალტიც კი ესალმება...

და ის ხალისით ადის ნაცნობ კიბე-  
ზე. ხოლო ზემოდან, თითქოს მის შესა-  
ხედრად, ვილაც ეშვება... ეს ვის ხე-  
დავს სოლოი? თვითონ გაბრიელ მას-  
ტისოვიჩი... მარცხენა ხელზე დაუდევ-  
რად გადაუყიღია ლაბადა, მარჯვენაში  
კი ცარიელი პორტფელი უქირავს.

უფროსი დაბლა იყურება... ვერც ვე-  
რავის ხედავს და არც არავის დანახვა  
სურს. ასევე ჩაუვლიდა იგი სოლოისაც,  
ვერც კი შეამჩნევდა, მაგრამ სოლოი  
თვითონ შეჩერდა და გამოელაპარაკა.

— ამხანაგო დირექტორო! მასტისო-  
ვიჩ, მაპატიეთ... ბოდიშს ვიხდი, მაგრამ  
ბრძანების შეცვლა მოგიწევთ. აი, სასა-  
მართლოს დადგენილება მოვიტანე.

მასტისოვიჩი ელდანაკრავივით შეჩე-  
რდა, შემდეგ სისხლჩამდგარი თვალე-  
ბით შეხედა სოლოის და ისტერიულად  
იყვირა:

— კმარა, თავი დამანებეთ! აღარ ვარ  
მე შენი დირექტორი! აღარც გაბრიელ  
მასტისოვიჩი ვარ! წავიდა ყველაფერი,  
გაქრა! ისევ გაბრო გავხდი, გაიგეთ?  
გაიხარეთ, ისტუნეთ, იღრიალეთ, მყვირა-  
ლა ლაწირაკებო! გესმით? ხომ მიაღ-  
წიეთ თქვენსას, ხომ განთავისუფლდით  
ჩემგან, თქვე უტვინოებო, მით უარესი  
თქვენთვის — ახლა ვისღა გააკრიტი-  
კებთ?!

სოლოი იდგა ყოფილი უფროსის წინ  
და ილიმებოდა.

თარგმანი თამარ ანდლუჯაძე



# 100 კორნელი კეკელიძე

პაპი შანიძე

## კორნელი კეკელიძე

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი კორნელი კეკელიძე ის ცაცი იყო, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების შესწავლას შესწირა, ბევრი და მეტად მნიშვნელოვანი საქმეები გააკეთა ამ დარგში და დიდად ვალ-მოხდილი წავიდა ჩვენგან.

კ. კეკელიძემ უმაღლესი განათლება კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღო, სადაც მან 1904 წელს პროფესორთა საბჭოს საკანდიდატო დისერტაციად წარუდგინა თავისი ნაშრომი, რომელმაც ერთბაშად მიიპყრო მის მასწავლებელ-პროფესორთა ყურადღება. ეს იყო ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვა და მათი სამეცნიერო მნიშვნელობის დასაბუთება. ეს ნაშრომი მან შემდეგ გადაამუშავა, შეავსო და 1908 წელს გამოისცა თბილისში რუსულ ენაზე. ამ ვრცელმა გამოკვლევამ მის ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა მეცნიერთა წრეებში როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. სპეციალისტებმა დიდი მოწონებით აღნიშნეს წიგნის გამოსვლა. თემის სიახლემ, ორიგინალურმა დამუშავებამ, მრავალი ტერმინის ახსნამ, ქართული ძეგლების მნიშვნელობის წარმოჩენამ — ყველა ამან წიგნის ავტორს მოუტანა გულწრფელი პატივის-

ცემა და მას დამსახურებულად მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

მალღმთიანი სვანეთი ყოველთვის ძნელად მისადგომი კუთხე იყო, რის გამოც გარეშე მტრების შემოსევის შიშით წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იქ მიედინებოდა დასაცავად კულტურის ძეგლები. ამის გამო იქ შემონახულ იქნა ძველი ქართული ხელნაწერები, მათ შორის ადიშის ოთბთავი, გადაწერილი 897 წელს შატბერდში. 1908 წ. სვანეთში იყო ისტორიკოსი თედო ქორდანიანი, რომელმაც იქაური ხელნაწერები გასინჯა და მათ შესახებ ცნობა გამოაქვეყნა გაზეთში. ამ ცნობის მიხედვით კ. კეკელიძე 1911 წ. ავიდა სვანეთში, რომ ადგილობრივ დეტალურად გამოეკვლია საქმის ვითარება. იგი ახლო გაეცნო ძველ ქართულ ხელნაწერებს, რომელთაც დიდი კრძალვით და რიდით ეპყრობიან სვანები, და ლაგურკაში (სოფელ კალაში) და ლატალში შეისწავლა საგანგებოდ ორი ძველი ხელნაწერი მეათე საუკუნისა, რომლებიც შეიცავენ იერუსალიმის ეკლესიის წესსა და განგებანს და უკვე 1912 წელს გამოისცა რუსულ ენაზე „იერუსალიმის კანონარი VII საუკუნისა“, რომელსაც სპეციალისტები დიდი მოწონებით შეხედნენ. აქ აღწერილია ეს ხელნაწერები, წარმოდგენი-



ლია მთელი საკალენდრო ნაწილი რუსული თარგმანითურთ, მოყვანილია იქიდან ბიბლიური ტექსტების ნაწყვეტები და ახსნილია მრავალი ტერმინი, მათ შორის „კიმენი“, რომელიც მცდარად ესმოდათ.

ამის შემდეგ იმავე 1912 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა არქიერატრონის ქართული ტექსტი. ამ ძეგლს სპეციალისტები წინათ იცნობდნენ რუსული თარგმანის მიხედვით, რომელიც კ. კეკელიძემ დაბეჭდა თავის სადისერტაციო ნაშრომში 1908 წელს, და მოუთმენლად მოელოდნენ ქართული ტექსტის გამოცემას. და, როცა ისიც დაიბეჭდა, მაშინვე გადათარგმნეს ინგლისურად და გერმანულად. ეს „არქიერატრონი“, ისე როგორც „კანონარი“, გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიას პირველ ხანებში მჭიდრო კავშირი ჰქონდა პალესტინასთან, კერძოდ იერუსალიმთან.

გელათის ქართულ ხელნაწერებზე მეშაობისას კ. კეკელიძემ აღმოაჩინა ლიტერატურული მოღვაწეობის მასალები მე-11 საუკუნის ბიზანტიელი მწერლისა, რომლის შესახებ სპეციალისტებმა არაფერი იცოდნენ. ეს იყო იოანე ქსიფილინოსი, რომელმაც განაგრძო მე-10 საუკუნეში დაწყებული საქმე სიმეონ ლოლოთეტიისა. ამ უკანასკნელმა გადაამუშავა ძველი ქრისტიანული სალიტერატურო ძეგლები, რომლებიც შედგენილი იყო თავის დროს უბრალოდ და მარტივი ენით, ხოლო მის დროინდელი განათლებული საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებას აღარ შეეფერებოდა. ლოლოთეტმა გადაამუშავა ძველი ძეგლები სტილისტურად და რედაქციულად ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად, მაგრამ მოასწრო გადაეკეთებინა მხოლოდ ის თხზულებანი, რომლებიც იკითხებოდა ეკლესიაში ხუთი თვის განმავლობაში, სექტემბრიდან დაწყებული იანვრამდე (მაშინ წელი ხომ ენკენისთვეში, ე. ი. „განაზღების“ თვეში იწყებოდა, ე. ი. სექტემბერში). ქსიფილინოსმა კი მათ

დაუმატა ის თხზულებანი, რომლებსაც კითხვა ეკლესიებში დანარჩენ შვიდ თვეზე მოდიოდა — თებერვლიდან აგვისტომდე. ეს ცნობები, ამოკრეფილი ქართული ხელნაწერებიდან, კორნელი კეკელიძემ დაბეჭდა ეურნალის „ხრისტიანსკი ვოსტოკ“-ის I ტომში. ეს ეურნალი ის-ის იყო დაარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან პეტერბურგში. მისი მოთავე და რედაქტორი იყო ნ. მარი. კეკელიძის გამოკვლევამ ქსიფილინოსის მოღვაწეობის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სპეციალისტებს შორის და მეცნიერები იმეორითვან უფრო მეტი ნდობით ეპყრობოდნენ ქართული წყაროების მონაცემებს. ამის შემდეგ კ. კეკელიძე გახდა აქტიური და მეტად სასურველი თანამშრომელი ამ სოლიდური ეურნალისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები: თეითონ რედაქტორი ნ. მარი, ვ. ბენეშევიჩი, ბ. ტურაევი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ი. ორბელი, ვ. ბართოლდი, ე. კრაჩკოვსკი და სხვები.

შემდეგ კ. კეკელიძემ გულდაგულ მოსკიდა ხელი მდიდარი ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლას, განსაკუთრებით პირვანდელი რედაქციისას, რომელთაც არ შეჰხებია მეტაფრასტის (ე. ი. გადამკეთებელ-გადამშუშებელის) ხელი და 1918 წ. გამოსცა დიდი ტომი ტექსტებისა, რომლებიც ნათარგმნია ქართულად მეტბრე-მეათე საუკუნეებამდე. სხვათა შორის, აქ პირველად გამოქვეყნდა ერთი თავი განთქმული სინური მრავალთავიდან, რომელიც დაიწერა 864 წ. საბაწმიდის მონასტერში (პალესტინაში, იერუსალიმის ახლოს) და მაშინვე გაიგზავნა სინას მთაზე (ეგვიპტეში), სადაც ის-ის იყო ქართველები იწყებდნენ მოღვაწეობას. ეს ხელნაწერი დღესაც იქ არის. მთელი ტექსტი ამ უძველეს-თარიღიანი ქართული ხელნაწერისა, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის, გამოსცა ჩვენი უნივერსი-

ტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ 1959 წელს.

პირველადი რედაქციის (ე. წ. კიმენური რედაქციის) ტექსტების მეორე ტომის გამოსვლას დაავიანდა, იგი გამოვიდა 1946 წელს. მაგრამ მთელი ეს პერიოდი კ. კეკელიძის ცხოვრებაში საკვსე იყო თავდადებული შრომის, დაუშრეტელი ენერჯისა და შემოქმედებითი კვლევა-ძიების გამოვლენით სხვა მრმართულებით. მაგრამ მაინც ძველ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის მხრით უნდა აღინიშნოს, რომ მან 1935 წელს გამოსცა ქართული ორიგინალური ძეგლები აღრეფეოდალური ეპოქისა: თხზულებანი იოანე საბანისძისა (მე-8 საუკ.) და ბასილი ზარხმელისა (მე-10 საუკ.).

1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მეტათურობით ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელშიც კ. კეკელიძეც შედიოდა, დააარსა თბილისის უნივერსიტეტი. ამ უმაღლეს სასწავლებელში კ. კეკელიძეს მოუხდა გასძლოლოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და მთლად ჩაეფლა პედაგოგურ მუშაობაში, რასთანაც დაკავშირებული იყო დიდძალი მასალის მომზადება ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსისათვის, რომელსაც ის სისტემებრ კითხულობდა ყოველ წელს. ამის შედეგად უკვე 1923 წელს დაიბეჭდა მისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი, რომელიც შეიცავს ქართული სასულიერო ლიტერატურის მიმოხილვას მე-5 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე (ამის ჩათვლით). შემდეგში ავტორი თანდათან ასწორებდა და აესებდა პირვანდელ მონახაზს და 1941 წელს დაბეჭდა ამისი მეორე გამოცემა, ხოლო 1951 წელს — მესამე. უკვე საკმაოდ გაზრდილ მეორე ტომი კი, რომელიც შეიცავს ქართული საერო ლიტერატურის ისტორიას, პირველად დაიბეჭდა 1924 წელს, მეოთხედ კი — 1958 წელს.

ამგვარად, კ. კეკელიძემ შექმნა ორტომიანი ისტორია ქართული ლიტერა-

ტურის ისტორიისა უძველესი დროებიდან მე-18 საუკუნემდის და მკითხველს მიაწოდა მშვენიერი გამოკვლევა, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა ყოველი განათლებული კაცისთვის, რომელსაც ჩვენი წარსულის ამბები ეინტერესება. აურაცხელი ფაქტები, რომლებიც დაგროვდა საუკუნეთა მანძილზე ქართველ მწერალთა მოღვაწეობის შედეგად, ამ ორ ტომში განხილულია მეცნიერულად. ავტორი უშუალოდ იცნობს პირველწყაროებს და ეს მეტ დამაჯერებლობას აძლევს მის დასკვნებს. ფართო შეხედულება, გამჭირაბი გონება და ოსტატური ხერბი, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს განცალკევებული მოვლენები, — აი რა ახასიათებს ამ ორ კაპიტალურ ნაშრომს, რომელთაც საფუძვლად დაედგა ცალკეული საკითხების გამოკვლევის შედეგები. ამ გამოკვლევებს ავტორმა ზოგს თავი მოუყარა და გამოსცა ცალკე წიგნებად ამ საერთო სათაურით: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. მან მოასწრო გამოეცა რვა წიგნი, დანარჩენი შვიდი წიგნი კი დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ. ამ „ეტიუდებში“ გაშუქებულია სხვადასხვა ხასიათის საკითხები: ისტორიული, ქრონოლოგიური, საქართველოს გაქრისტიანებისა, ქართულებიზანტიური და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, შოთა რუსთველი და ნიზამი განჯელი და ბევრი სხვა. მხოლოდ მას: ვინც მთლად შესწირა თავი, სამეცნიერო კვლევა-ძიებას, შეუძლია წარმოიდგინოს და გაიგოს, თუ რაოდენი გონება, შრომა და ენერჯიაა ჩაღერილი შიგ.

მონღოლთა შემოსევამ და ქვეყნის განადგურებამ მე-13 საუკუნეში დიდი ხნით შეაჩერა საქართველოს კულტურული განვითარება. მრავალი ისტორიული და ლიტერატურული ძეგლი სამუდამოდ დაიღუბა, შემთხვევით გადაჩენილ თხზულებათათვის აღარ იყვნენ განათლებული მკითხველები და რიგიანად მომზადებული გადამწერლები. ძველი ნაწერები უფიცდა მოუშა-

დებელ გადაწერათა ხელში საშინლად მახინჯდებოდა და ირყუნებოდა, რის გამოც მათ ჩვენამდის საცოდავ მდგომარეობაში მოაღწიეს. ერთი ასეთი ძველია თამარ მეფის ისტორია, რომელიც შემონახულია მეტად შერყენილი ხელნაწერებით. კ. კეკელიძის გამჭრიახმა გონებამ შესძლო შეესწორებინა და განეშარტა ამ ძველის ბევრი გაუგებარი ადგილი. ვასწორებული ქართული ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა 1941 წელს, თარგმნა თვით კ. კეკელიძემ რუსულად და ცალკე წიგნად დაბეჭდა 1954 წელს.

კ. კეკელიძე საჭიროდ თვლიდა, რომ ქართული ისტორიული ძეგლები რუსულად თარგმნილიყო. მან თვითონ მოგვცა კარგი მაგალითი: თარგმნა კარგი რუსულით და გამოსცა სამი ორიგინალური თხზულება: შუშანიკის წამება (მე-5 საუკ.) აბო ტფილელის წამება (მე-8 საუკ.) და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება (მე-10 საუკ.).

კ. კეკელიძის სტიქია ეს არის ძველი ქართული ლიტერატურა სასულიერო შინაარსისა, მაგრამ მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საერო ხასიათის ქართული ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. იგი იყო ერთერთი თავმჯდომარე კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა 1937 წლის იუბილეისთვის (მეორე თავმჯდომარე იყო ამ წერილის ავტორი). საიუბილეო გამოცემის ტექსტი მეორედბოდა შემდეგ წლებში ცოტაოდენი ცვლილებებით და სარედაქციო კომისიაში კ. კეკელიძეც იღებდა მონაწილეობას. ამას გარდა, კ. კეკელიძემ გამოსცა ნოდარ ციციშვილის „შეიდი მთიები“ (1930 წ.). განთქმული სპარსული ეროვნული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ („მეფეთა წიგნის“) ქართული თარგმანის პირველი ტომი 1916 წ. გამოსცა იუსტინე აბულაძემ, ხოლო II ტომის გამოცემაში (1934 წ.), ისე როგორც „ვისრამიანის“ ქართული ტექსტის გამოცემაში (1938 წ.) კ. კეკელიძეც იღებდა ახლო მონაწილეობას.

ამას უნდა დაესძინოთ, რომელიც ლიძემ აღზარდა მრავალი მოწაფე, რომელთაგანაც ბევრი წარმატებით განაგრძობს მის დაწყებულ საქმეს.

კ. კეკელიძეს კავშირი ჰქონდა რუს და საზღვარგარეთელ მეცნიერებთან. ყოველთვის ხალისით ჰხედებოდა მათ შეკითხვებს და ეხმარებოდა მათ სამეცნიერო მოღვაწეობაში. ასე, მაგალითად, 1928 წელს მან დაბეჭდა მოკლე შენიშვნა იმის შესახებ, რომ გელათში მოიპოვება ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ძველი ძველი ქართული ლიტერატურისა. ამ ცნობამ ცნობილ ბელგიელ მეცნიერს პაულ პეეტერსს სურველი აღუძრა, რომ ეს ძველი გამოეცა. პროფესორ რობერტ ბლეიკის დახმარებით (პარეარდის უნივერსიტეტი, ა. შ. შ.) ბოლანდისტმა პ. პეეტერსმა მიიღო ძველის ფოტოპირი და 1941 წ. გამოსცა ქართული ტექსტი, თარგმნა იგი ლათინურად და დაურთო ახსნა-განმარტება ფრანგულად. ამგვარად, სამი ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის შედეგად პორფირი ლაზარელის ცხოვრების ქართული ტექსტის შინაარსი ცნობილი გახდა სპეციალისტთა ფართო წრეებისთვის. სამწუხაროა მხოლოდ ერთი: იმის გამო, რომ ბელგია ამ დროს დაპყრობილი იყო ჰიტლერის ჯარების მიერ და მეტად დიდი გასაკვირი ადგა, ქართულ დაბეჭდილ ტექსტში მრავალი შეცდომა გაიპარა.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს შორის მოიპოვება კალენდარი მე-10 საუკუნის ცნობილი მწერლის იოანე-ზოსიმესი, რომელიც მოღვაწეობდა ჯერ იერუსალიმში და შემდეგ სინას მთაზე, ამ კალენდარს უარესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის როგორც შედგენის დროის მიხედვით (მე-10 საუკ.), ისე შიგ მოთავსებული დიდიძალი მასალის გამო. ეს ძველი დამოწერა სინას მთაზე 1902 წელს მაშინ ახალგაზრდა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა, მაგრამ გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ (1949 წ.). ეს ძველი ხელმეორედ გამოსცა კ. კეკელიძემ

1951 წ. და დაურთო საქირო ახსნა-განმარტება. ეს გამოცემა საფუძვლად დაედო ბელგიელი პროფესორის ევარარ გარიტის დიდ ნაშრომს, სადაც მოთავსებულია ქართული ტექსტი, მისი ლათინური თარგმანი და ვრცელი კომენტარი ფრანგულად (1958 წ.).

დიდი ხანია საკითხი იდგა იმის შესახებ, რომ თარგმნილიყო რუსულად და დასავლეთ ევროპის რომელსამე ენაზე კ. კეკელიძის ორ-ტომიანი „ქართული ლიტერატურის ისტორია“. დასავლეთში უფრო აფასებენ პირველ ტომს, სადაც ძველი ქართული სასულიერო მწერლობის საკითხებია გაშუქებული. რომში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველთმეტყველი მიხეილ თარხნიშვილი, რომელიც წარმოშობით სკრიდან იყო. იგი ცნობილია, სხვათა შორის, იმით, რომ გამოსცა ქართული წარწერები მეხუთე-მეექვსე საუკუნისა, რომლებიც აღმოჩნდა ბეთლემის ახლოს (პალესტინაში, ურიასტანის უდაბნოში, იერუსალიმიდან შვიდიოდე კილომეტრის დაშორებით) იტალიელების მიერ 1953 წ. გათხრილი ქართული მონასტრის ნანგრევებში.<sup>1</sup> მ. თარხნიშვილმა მოიწადინა, რომ გერმანულად ეთარგმნა კ. კეკელიძის „ქართ. ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი, მაგრამ მან იგი სიტყვა-სიტყვით კი არ გადაიღო, არა-

მედ გადაამუშავა (ზოგი რამ გამოაყოლო, ზოგი რამ დაუმატა) და მიუხეხნელი პროფესორის იულიუს ასფალგის თანამშრომლობით გამოსცა იგი 1955 წელს. ეს წიგნი კარგად მიიღეს დასავლეთში. პროფესორმა შორის ბრიერმა, რომელმაც ნ. მართან ერთად გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო (პარიზში 1931 წ.), დაბეჭდა ვრცელი რეცენზია ამ გერმანულად გამოცემულ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ. მაგრამ ნორვეგიელმა პროფესორმა ჰანს ფოქტმა, რომელსაც ეკუთვნის კარგად შედგენილი ქართ. ენის გრამატიკა ფრანგულ ენაზე, სწორად მიუთითა, რომ საქირო იყო, ზუსტად აღენიშნათ, თუ როგორ გადაამუშავეს სხვისი ნაშრომი, რა ცვლილება შეიტანეს შიგ და სხვათა.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე იყო დიდი და ფართო გაქანების შემოქმედი, რომელმაც ბევრი შესძინა ქართულ მეცნიერებას და რომელმაც თავისი მოღვაწეობით უკუდავეყო თავისი სახელი.

კ. კეკელიძის დაბადების ასი წლისთავზე მე, მისი მეგობარი, და მისი მოწაფეები, რომლებიც მის საქმეს განაგრძობენ, დიდი სიყვარულით ვიგონებთ მას. ხოლო ჩვენი ერის მომავალ თაობათ მისი უჭკნობი სახელი მარად დარჩებათ მოსახსენებლად მაღლიერების გრძნობით.

1. მ. თარხნიშვილი გადაიკვალა ველს ბრნზისაგან (ველის კიბოსაგან) 1959 წელს.

# კორნელი კეკელიძე — ახალი ქართული ფილოლოგიის ფუძემდებელი

„უოველი წერილი ძველი არს მეტყველი,  
გამომჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ“.

არსენ ბულმაიასისძე

კორნელი კეკელიძე იმ დაუფიწარ მეცნიერ-  
თა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც წმიდათაწმი-  
და მოვალეობად მიიჩნიეს ახალი ქართული  
კულტურის აღორძინება.

თეორიულ კვლევა-ძიებასთან ერთად მათი  
მეცადინეობის შედეგია კულტურის არაერთი  
უხაპიროსის კერის ჩამოყალიბება და აღორ-  
ძინება. სამაგალითოდ აქ თბილისის უნივერსი-  
ტეტი და შემდეგ წეცნიერებათა აკადემია იკ-  
მარებდა. კორნელი კეკელიძე იმთავითვე ქარ-  
თული კულტურის აღორძინებისაკენ მიმართუ-  
ლი უოველი პრაქტიკული ნაბიჯის ერთ-ერთი  
უუფლებე აქტიური მონაწილე იყო.

თითქმის შეიდე ათეული წლის მანძილზე  
მან ძლიერი შხრებით წიდა ქართული ფილო-  
ლოგიური მეცნიერების მძიმე ტვირთი და უძ-  
ვირფასესი შემკვადრეობა დაუტოვა ჩვენს მო-  
მავალ თაობებს.

კორნელი კეკელიძე საყოველთაო აღიარებით,  
სამართლიანად ითვლება ახალი ქართული ფი-  
ლოლოგიის მამამთავრად.

• • •

დიდი ქმრთველი მეცნიერის, აკადემიკოს  
კორნელი კეკელიძის დაბადების ასე წლის-  
თავს იხდის დღეს მისი მადლიერი მშობელი  
ხმლი. ახლანდელ ფაქტიურად დამთავრდა მისი

ცალკეული ნაშრომების პუბლიკაცია. შე-  
ვფულისხმობ მეკლევარის სიეოცხეშეივე დაწ-  
ყებულ კრებულებს „ტირულები ძველი ქართუ-  
ლი ლიტერატურის ისტორიიდან“. ხოლო ეს  
კრებულები მეცნიერის სახელმისევექელ ქარ-  
თული მწერლობის ისტორიის ვეებერთელა  
ტომებთან ერთად ქმნის ამ საძირკველს, რომ-  
მელზედაც აღმართულია დღევანდელი ქართუ-  
ლი ფილოლოგიის მკვადრი შენობა.

მეკაცი მეცნიერული მეოოდები (მან შეხა-  
ნიშნაჲ მეცნიერული სკოლა განელო კიევის  
სახულიერო აკადემიაში), მადალი ნიჭი და ფან-  
ტასტიკური შრომისმოყვარეობა იმთავითვე  
იყო გარანტია იმ, მართლაც, განსაცვიფრებე-  
ლი შედეგებისა, რომლებმაც მეკლევარს მსოფ-  
ლიო მანშტაბის მეცნიერის სახელი მოუხვექა.  
უწინარეს სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ,  
რომ დღეს უძველები და უნიკალური ქართუ-  
ლი მწერლობა, რომელიც, თვით მეცნიერისავე  
სიტყვით, როგადი კულტურის ისტორიკოსებმა-  
სათვის ერთგვარ terra incognita-ს წარ-  
მოადგენდა, დღეს სამართლიანად იკავებს  
კუთვნილ ადგილს მსოფლიო მწერლობის ის-  
ტორიაში.

გადაუტარებელად შეიძლება ითქვას, რომ  
კორნელი კეკელიძის მეცნიერული გზის თუნ-  
დაც ერთი თვალის გადავლება, თავისთავად

წარმოგვიდგენს ახალი ქართული მეცნიერების აღრობების შთაბეჭდვად სურათს. მთელი მისი ცხოვრება მეცნიერული გმირობის მტკიცე-ლი მგავალითაა.

დიდი მეცნიერი არასოდეს მდგარა განზე ყოველდღიური საქმიანობით საქმიანების გა-დაწვევით და რის. დაუფასებელია მისი ღვაწ-ლი ახალი მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში.

მაგრამ კორნელი კეკელიძის უპირველესი მოწოდება მაინც მეცნიერული მუშაობა იყო და იგი პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად გან-საკუთრებულად დიდ ღრის უფროს კვლევა-ძიებას. არასწავლუბრივად დიდი ერთდღივად, განსაკუთრებული მეცნიერული აღლო და თა-ვისი საქმიანობის თითქმის ფანჯრისმომდე ასული სიუვარული აძლიერდა საშუალებას, რომ წინა-წარ ეგრძნო და გადაეწყვიტა ურთულესი პრო-ბლემები. აშვიათია ისეთი ღარგი ჩვენი წარსუ-ლი კულტურის სტეროდან, რომელსაც არ შე-საძლებდეს იგი და ღრმა კვალი არ გადავლოს. შე-სანიშნავ ტექნიკოლოგ გამოკვებებული აქვს ძველი მწერლობის ძვირფასი ძეგლები. მახვი-ლი დაკვირებები მოეპოვება ძველი ქართული ენის თავისებურებებზე. საინტერესო მოსაზ-რებები აქვს გამოკვებული ქართული სამართ-ლის საკითხებზე და ამასთან რამდენიმე ურთუ-ლესი ტერმინი გახსნილია და ამოხსნულია. კორნელი კეკელიძე ამავე ღრის ბრწინვალედ ისტორიკოსია. მან ფუნდამენტური შრომები მიუძღვნა ძველ ქართულ მატრიანებს, მათი წყაროების საკითხებს და პრაქტიკულადაც შე-დევდა შუქი მოეხსნა უძველესი საისტორიო ძეგლებსადაც. საქმარისა აღინიშნოს მეცნი-ერის ღვაწლი თამარის შესანიშნავი, მაგრამ ჩვენამდე საბეჭად დამახინჯებული სახით მო-ღწეული, ისტორიის (ისტორია და ახმანი შარავანდედთა...) აღდგინა-გამოცემის საქმე-ში. ეს არის ისტორიულ-ფილოლოგიური კვლე-ვის აშვიათი ნიმუში. აღნიშნული ტექსტის აღ-დგენით მკვლევარმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. ეს უძნე-ლესი ტექსტი მან ამავე ღრის თარგმნა და ხელ-მისაწვდომი გახადა რუსი და დასავლეთეურო-პელი ისტორიკოსებისათვისაც. კორნელი კეკე-ლიძის, როგორც ისტორიკოსის, დასახსნივად-ლად საქმარისა დავასაბულოთ მისი ასეთი სა-ყურადღებო ნაშრომები, როგორც არის, „ქარ-თული ერა და ეობრალაოგური წელწადი“, „ლორნტი შროველის დატერატურული წყარ-ობები“, „ეპიტაფე გორგასალის ისტორიკოსისა და მისი ისტორია“, „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში“ და ა. შ.

მაგრამ აუღმეყოთ კორნელი კეკელიძე, როგორც გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარ-ი, წვენი ძირითად წარმოგვიდგება იმ ღარ-

გში, რომელსაც ეწოდება ძველი ქართული მწე-რლობის ისტორია.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის სა-კითხები, როცა სამეცნიერო ასპარეზზე გამოვ-და კორნელი კეკელიძე, მხოლოდ ნანახს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის გამო, მარ-თებულად შენიშნავდა 1880 წელს გამოჩენილ ქართველი პროფესორი ალექსანდრე ცაგარე-ლი: „ქართული ლიტერატურის ისტორიის და-მუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ, ბიბლი-ოგრაფიულად, ანუ სტატისტიკურ პერიოდში“. ამის ემატებოდა შენდევნი, ერთი შეხედვით, საკვირველი ფაქტი. იმავე ალექსანდრე ცაგარ-ელის, ნიკო მარის და ივანე ჭავჭავაძის წყალობით მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათ-ვის შედარებით უკეთ იყო მოგვარებული სას-ღვარცხრობული ძველი ქართული სამწერლო-ბო კერების (ათონის, აერუსალიმის, სინას მთის) ქართული ხელნაწერი კოლექციების აღ-რაცხვა და აღწერალობა, ვიდრე საქართველო-სა და რუსეთის სიძველეთსაცავების ფონდები-სა (აღ. მარამიძე).

ძველი ქართული მწერლობის მკვლევარს ძნელი გზით უხდებოდა წინსვლა. მაგრამ ახალ-გაზრდა მეცნიერს — კორნელი კეკელიძის სრულიად არ აწინებდა ასეთი ვითარება. გან-საკუთრებულად ენერგიით შეუდგა იგი საშვა-ლიშვილო საქმეს — ძველი ქართული მწე-რლობის მთლიანი კურხის შედგენას.

პირველ რიგში აუცილებელი იყო ძველი ქა-რთული მწერლობის ზღვა მასალის მოწესრიგე-ბა, კატალოგისა და ერთ სისტემაში მოყვა-ნა. სწორედ ამით დაიწყო ახალგაზრდა მეცნი-ერმა თავისი მეცნიერული საქმიანობა. მისი პირველი, მაგრამ ფუნდამენტური შრომა, რომელიც მან სამეგობროდ წარადგინა, ყურად-ღებას იმუხრობდა ზღვა მასალის გამოყენებით. ემპირიულ კვლევასთან ერთად, ამავე ნაშრომ-ში უკვე ქარგად მოჩანდა მეცნიერული აღლო და სწრაფად განმარტავებული დასკვნებისაგან. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, პროფ. ლიტრი-ევსკიმ თავმოყრილი მასალის სიუხვისა და მა-ღალ მეცნიერულ თვისებათა გამო ამ ნაშრომს კერძოებრად მონიშნა „ქართული უწოდ და სასული-ერო მწერლობის დარგში ძვირფასი განმად აღიარა“.

აღწერა-კატალოგისადაცთან ერთად კორნე-ლი კეკელიძე ბეჭდური გზით აქვეყნებდა სრუ-ლიად უცნობ უნიკალურ ძეგლებს და პარალე-ლურად მუშაობდა ძველი ქართული მწერლო-ბის ბნელი მოცული საყდაცების მონივარევი-ულ შესწავლაზე.

კ. კეკელიძე იმ პიონერთაგანა, რომელმაც ქართული მწერლობის ძეგლია შესწავლის წა-რუმძღვარა გამოკვლევები, რომლებშიც გაჩ-ვეულია ძველქართული ქრისტიანული მწე-რლობის აღმოცენების რეალური პირობები. მან-

ვე წართმეულად განსაზღვრა ამ მწერლობის განვითარების მართალი პერიოდები. კ. კეკელიძის წინადადებად კერძოდ შრომებში დეტალურადა შესწავლილი აგრეთვე ეს კულტურულ-ლიტერატურული სავანანაოდესლგო კვრები, რომლებშიც შეთქმულა სედი ქართული სამწერლო კულტურის ყოველწინავე ეტაპებში ენასა და აღორძინებას. კორნელი კეკელიძემ ყველაზე დაინახა, რომ ქართული მანაგების, დაბაძლ ხელნაწერთა კლასიციების შესწავლის გარეშე შეიძლებოდა იყო მსოფლიო ქრისტიანული მწერლობის მართალი სურათის აღდგენა. ამის გამო მკვლევარი არა ერთხელ შეინახა, რომ „არცერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი ხქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის არა იმ ხქრისების შესწავლას ეძღვნება, სათანადო საყიბის ყოველმხრივად ემყუბება და გამოკვლევის თვალსწინათ არ შეიძლება ქოილეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერთა ზაგანძურებით შეიანიხლელი ცნობების გარეშე“. ამიტომ იყო, რომ კორნელი კეკელიძემ დიდი ენერჯია და დრო შესწერა საქართველოში დიდულ ხელნაწერთა აღწერას, სისტემაში მოყვანას, მისი გამოკვლევები მუდამ ეყრდნობოდა პირველწყაროთა კრიტიკულ შესწავლას. საქმარისა აღნიშნოს შესანიშნავი გამოცემები უმეირფასები ძველებსა „იერუსალიმის განწინება“ და „ძველი ქართული არქიტეკტონი“. რომელთა გამოცემას დიდი გამოსწავრება გამოიწვია დაშინდელ სამეცნიერო წრეებში. „იერუსალიმის განწინება“ („Иерусалимский канонарь“) უნიკალური ძველია ძველი ქრისტიანული კულტურისა და პალესტინის ისტორიის შესასწავლად. ამ ძველს გამოცემას და მასზე დართულ გამოკვლევას მალე შეფასება მიესცე ცნობილია მეცნიერებასა პ. პეტერსშია, ი. კარანოვშია, ნ. მარმა და სხვ. საგულდსშია ნ. მარის სიტყუები, რომ იმ კვეყანაში, სადაც ასეთი მეცნიერები ნოდენეობენ, იგრძნობა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაო; მისი ასრით, უკვე იმ ფაქტი, რომ საქართველოში დაიწერა ასეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები (საგულდსშია კორნელი კეკელიძის შემოთავლიშნული შრომებია), თავისთავად უარყოფს ყალბ მოსაზრებას, თოიქონ ქართველი საზოგადოება ქერ არამა მხად აქ უნივერსიტეტის დაარსებისადგო. კორნელი კეკელიძის ნაშრომები, რომლებიც ერთვის ახლად აღწინდელ ქრისტიანული კულტურისათვის მნიშვნელოვან ძველებს, გამოარჩევანი შკაცრა მეცნიერული ანალიზით და საქმის დიდი ცოდნით. მათი ავტორი შეხანიშნავად არის ორიენტირებული ყუალტურის ისტორიისა საყიბებში.

საგულდსშია, რომ ნ. მარის შემდგვაში აღწაროვანებით ხვედებოდა ახალგაზრდა მეცნიერის გამოკვლევებს და ყოველმხრივ უწყობდა

ხელს სამეცნიერო მუშაობაში. ნ. მარის წინადადებითა და რეკომენდაციით ქერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს მიწელო, მავალიად, ისეთი სასახებშიველო სერისი გამოცემა, რეგირიცია „წილითა ცნობარებას ქართული ტექსტები“ (1918 წელს გამოვიდა ამ სერიის პირველი გამოცემა „სოქვის“ ხელნაწერებით). კორნელი კეკელიძის პირველ გახელდულ ნაბიჯებს გამოეწეოდა მისი ერთ-ერთი შომაგონებელი და მასწავლებელი, ისტორიკოსი თვ. დო ურდანი. ამიველ ძეირფასი ხაზუქარი, — წერდა იგი თვის მოწუფებს, — თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский канонарь“, თველი ვაღუვაველ და ნაღლოთა შეეწირეღ ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩვეი წილილი: კართ-გორც იყო ამ პოლო ვას მოვეცილია ქართულდს გაწმინა, საქმინა და მეოდენე გამოწმობებელი ქართული ხელნაწერების... თქვენი მეცადინებომა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა, სოვერული მეცნიერებათადა მეშმარობც, უმწველო შექს მოიღვეს ჩვეს ახალგირას“.

ჩაც უფრო უღრმადებოდა ახალგაზრდა მეცნიერს ქართულ მახლებს, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ამ მახლესზე დურდნობით შესაძლო იყო არა მარტო ქართული აზრების ისტორიის შესწავლა, არამედ მეწოდელ ხელხა ზოგი ბნელი მოცული საყიბებს ამოწეორავც. კორნელი კეკელიძე ფართო თვალსაზრისით იყულებოდა ამ მახლებს; მისი აზრით, ქართულ ლიტერატურას მტკიცე, გაწურული კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სხელდობრ, სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულსა და დასავლეთ ევროპულთან. ამიტომ მან შემოვიცინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ასეთი ძველები, რომელთა ორიგინალები დროთა მსვლურეობაში დაკარგულია და მეცნიერებაში საძიებელი გამოხდოდა.

კ. კეკელიძემ ქართული ხელნაწერების გამოყენებაში გამოარკვია ბერძნული ლიტერატურის ბიზანტიური პერიოდის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და ამითაც ნათელსყო ქართული მახლების სეროიზული მნიშვნელობა მსოფლიო მეცნიერებისათვის. მხოლოდ ერთი მაგალითი:

კორნელი კეკელიძის ღვაწლის აღწუსების დროს მწირად ახსენებენ გამოკვლევას, რომელიც ქერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა შექმნა. ეს არის მისი ცნობილი ნაშრომი „Синеон Метафраст по грузинским источникам“. ამ შრომისთან ერთად კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ქართული ხელნაწერებში აღწინდელი ეტაპები მეირც „მოსახსენებელი“, რომელიც საშუალებებს იძლევა დავადგინოთ ბიზანტიური პერიოდის დიდი მოღვაწის, მსოფლიო ლიტერატურის მეტად მნიშვნელოვანი

წარმოადგენლის სვამეონ მეტაფრასტას მოღვაწეობის შესტი თარღებში. ამასთან, ირკვევა, თუ რა უნდა ვივლით სვამეონის კუთვნილებად. როგორც ცნობილია, სვამეონმა გადამეტაფრასა სექტემბერ-იანვრის თვეების მავიოგრაფიული ძეგლები, მაგრამ არ ჩანდა, თუ ვინ განავრცო სხვა თვეების წმინდათა ცხოვრებას. კ. კველიძის წილად ხელა აღმოეჩინა სვამეონის საქმეთა გამგებლებელი — მწერალი. ქართულ მასალებში აღმოჩნდა მანამდე უცნობი მწერლის ითანე ქსიფილისოსის ანდრეა, რომელთაც ნათელი ვახდა ერთ-ერთი მუდგოვანი მონაკვეთი ბიზანტიური მწერლობისა, ითანე ქსიფილისოსს ჩაუტარებია მეტად შრომატევადი სამუშაო და ბოლომდე მიუყვანა „წმიდათა ცხოვრების“ რედაქციითა გადასმუშავების საქმე. საგულისხმოა ეს ფაქტიც, — დაძინდა ამის გამო შეკლებარი, — რომ ქსიფილისოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შემოსახულა, ქართულად მთლიანად არის დაცული. ასე რომ, შესაძლებელი ვახდა სამუდგო საფუძვლეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი დიდი ხარვეზის ამოცხება.

ცნობილია ეს დიდი გამოხატულება, რომელიც კ. კველიძის ამ შრომამ გამოაწვია, აკადემიკოსმა ლატიშვიტმა „დადა აღმოჩნდა“ უწოდა ამ შრომის და აღერთოვანებული რეცენზიად მოუძღვნა. უკვე ამ დროს კ. კველიძის შრომებზე ფართო აღიარება მოკვა სამეცნიერო წრეებში და მათი ავტორი ქართველთა კულტურისა და მწერლობის საამეთო მკვლევარად მიიჩნეხ. ამიტომ ნ. მარის წარდგინება ასე ერთხმად მოაწონა 1915 წელს რუბიკთის მეცნიერებათა აკადემიამ და კ. კველიძეთა დავადა ქართული აგიოგრაფიული ტექსტების სისტემატიკა გამოცემა. ამასთან დაკავშირებით, საფუძვლესა ნ. მარის წარდგინების ან ადგილი, ხადე პირდაპირა ნათქვამი, რომ ერთადერთი პიროვნება, რომელიც დაძღუეს ამ ურთულეს საქმეს, არის ახალგაზრდა მეცნიერი კორნელი კველიძე. რომ იგი არის ურველ-შხად განსწავლული ფილოლოგი, იცნობს აგიოლოგიას როგორც ზოგად საქიბებს. ასე ქართულ ხელნაწერთა უმდიდრეს კოლექციებს. ამასთან ნ. მარი, ამ დროისთვის უკვე სახელგანთქმული ლინგვისტი, მადლ შეფასებს აძღუეს კორნელი კველიძის დიდ განსწავლულობას ძველი ქართული ენის ცოდნით.

როგორც მოხალისეობით იყო, კ. კველიძე დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ამ წინადადებას: «Что касается столь лестного для меня предложения взять на себя издание грузинского текста Жития святых, то предложение это совпало с заветною моею мечтою». მანვე შეადგინა გამოცემათა ამ სერიის მეტად ორიგინალური გეგმაც.

გამოცემა უნდა გამოფილოლოგ საქმეებში პირველი ნაწილში შევიდოდა ე. წ. მარტვი, კომენტარი ტექსტები, მეორეში მეტაფრასული ხასიათის ცხოვრებანი, ხოლო მესამე ნაწილში დაბეჭდებოდა ქართული წმინდათა ცხოვრებანი. ამ დიდი მასშტაბის წამოწყებას, როგორც აღვნიშნეთ, ფაქტიურად 1918 წელს ჩაეთარა საფუძველი, როცა გამოვიდა პირველი ტომი კომენტარი ტექსტისა.

ინტე, როგორც წინა შრომებში, ამ გამოცემაშიც მსწრაფლ მიიპროცე მეცნიერთა ფართო წრეების უზრაღებმა. ცნობილია ორიგინალის ტმა და მაგიოლოგმა პეტრეტიკმა დადებითი რეცენზია უძღვნა წიგნს და ამასთან დაიწყო ნაწილ-ნაწილ თარგმნა ლათინურ ენაზე კ. კველიძის მიერ გამოცემული უნაკლები ძეგლებსა.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროიდან კ. კველიძის შესანიშნავმა გამოკვლევებმა, რომლებშიც ამ წლებში ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ, უცხოურ ენებზე და ქართული ტექსტების მეცნიერულმა გამოცემებმა დიდად შეუწყო ხელი იმ დაინტერესებას, რომელსაც იჩენენ რუსი და უცხოელი მეცნიერები ქართული კულტურისადმი.

მასაღის შერჩევისას კ. კველიძის ტექსტების მხოლოდ ფილოლოგიური შხარე არ აინტერესებდა. მისი მიზანი იყო გამოცემა ცხოვრება-მარტვილობანი ამ წმინდანებისა, რომელნიც აგიოგრაფიაში ცნობილი არ არიან, ან იხეთებისა, რომლებიც თუმცა არიან ცნობილი, მაგრამ არ გვქონია მათი ცხოვრების აღწერა და აღსახარულ, ისეთი ტექსტები, რომლებიც ქართულად განსწავლებული რედაქციით არსებობენ.

კ. კველიძე დაბეჭიბებით ამტკიცებდა, რომ ურველვეარი ლიტერატურულ-ისტორიული ხაკითხის გადაქრა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ვერაღმობით მეცნიერულად დადგენილ საიმედო ტექსტებსო. იგი შეინიშნავდა ერთ თავის წერილში, რომ „სადგეო არაა, ძველი ტექსტების გამოცემათა დიდი სიჭრბილეთა საქირო. საქმე ისაა, რომ არასწორად წყაობული და გადებული ტექსტის საფუძველზე ხშირად უახლი და შეუწინარებელი დაქვენები კეთდება და უნიადავო თეორიები ითხვენება ამა თუ იმ საქიბის შესახებ“. ქართული ენის დრმა, მეცნიერული ცოდნა, დიდი ფილოლოგური ერთდაცია, განსავუთრებელი დავიერებების უნარი და დიდა შრომისმოყვარეობა იყო ეს საწინდარი, რომლის გამოც მის მიერ გამოცემული ტექსტები უამრავ ღებობს ამახატებენ.

ბერძნულიდან ნათარგმნ ქართულ ძეგლებს კ. კველიძემ უძღვნა საგანგებო გამოკვლევები, რომლებშიაც ნათელყო არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური კულტურის მრავალი ბუნ-



დუანი ხაიითი. საქმარბია აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის შრომების შედეგად შეცნობურება გამოდრდა მსახლებით, მსოფლიოში ისეთი ცნობილ პიროვნებათა მებაზე, როგორცაა: მავლითად, სვიმონ ლლოთეტარ, ცოანე ქაბუაძე-ლომის, იოანე დამასკელი, პეტრე კაპადოკიელი, სვიმონ მესვეტე, ტიმოთე ანტიოქიელი, სპაპალტანელი, პეტრე იერუსალიმელი, პეტროსანე სმირნელი და მრავალი სხვა. ამათამ, როგორც აღვნიშნეთ, კ. კეკელიძის დიდი დამსახურებაა მსოფლიო შეცნობურებას წინაშე იყ. რომ მის ტრადიციებს პირველად: წინა მესვეტე უპირადლება იმ გარემოებათ, რომ ძლიერ ქართულ მწერლობას თარგმანებას წახით შემოუნახავს მსოფლიო მნიშვნელობას მებრძვლი, რომელთა დედნებო ამებად დუარგულად თვლიდა. კ. კეკელიძის ხაიურად მსოფლიოებად გამოკვლევა უცხო ავტორებო ავლქართულ ლიტერატურაში არის ენციკლოპედიური ხახათის ნაშრომი, რომელიც, როგორც სმავლიც წიგნი და გზამკვლევი, დატარდება ყველა, ვინც კი დაინტერესდება ქრისტიანული კულტურის კვლევის ხაიითებოთ.

კ. კეკელიძე პრინციპულად ხვამდა ხაიითს. ძველი ქართული კულტურის ხაიითების კვლევის დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ და მხოლოდ ქართული ორიგინალურ ხაიითებოთ. ძველი კულტურის ხაიითის სურათის და ხახათის დახადენად დიდი უპირადლება უნდა დავთმობს ნათარგმნი ლიტერატურატარსაც. რადგან ეს უკანასკნელი ერთგვარა ბარომეტრია კულტურული დონის დახადენად. კ. კეკელიძის ნათარგმნი ლიტერატურა ეროვნული მწერლობის ისტორიის ორგანულ ნაწილად მიიჩნდა: „ქართველი ხალხი არახადეს არ ყოფიდა კულტურულად შემოღებულად; სე ყოველთვის კარსში იყო ამ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა, რომელიც ამა თუ იმ დროს აღულებდნენ კაცობრიობას“. როგორც ერთ შეხანისწავ გამოკვლევაში („ნათარგმნილობით მეთოდი ძველ-ქართულ ლიტერატურაში...“) ნაწევნები აქვს, თარგმანის ეს პროცესა მუშაობის არახიდეს ყოფილა. ქართველი ხალხი შემოქმედებათად ითვისებდა ყოველგვარ საკუთხოვს, არჩედა იმ თხზულებებს, რომლებიც უფრო ახლოს იდგა მის სულიერ მოთხოვნებებთან. მართებულად შენისწავ ამის გამო კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ ერთ შრომაში აღუქმანდრე ბარამიძე: „ნათარგმნი თხზულებებო შემოხვევით და უმარგოდ როდეს იწდებთან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ოხინი გამოწვეულენ არიან იმ სოციალური და კულტურული-ისტორიული მოთხოვნებებოთ, რომელიც აუცილებს არკონების ადვალმობრივო მიმდინარეობა. თარგმნებას ეს, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, თარგმნება უცხო მსახლა, ხოლო შერჩევის აწარმო-

ებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული ციფიკა... ანე რომ, თუ ქართველებო თარგმნიენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს ნიშანს, რომ იმაში ხედვადნენ და პოულობდნენ პარტის მითთვის საქმობროტო და ხახიდობლო საკითებზე“.

აღსანიშნავია ეს გარემოებაც, რომ კ. კეკელიძის გამოკვლევათა შედეგად ნათელი გახდა თავისებურა მეთოდი, რომელიც ხელმძღვანელობდნენ ძველი ქართველი მარგმნილებო. ეს იყო დ. წ. თავისუფალი თარგმანის ტრადიციანი მწერლობის ათონელის ხიტუთი რომ ვიქცია, მეთოდი „შემატება-კლებიანი“. ქართველი მარგმნილებო ეროვნულ სულს ანიჭებდნენ უცხო სამუაროდან წამოსულ თხზულებებს.

ძველი ქართული და ეგრძოდ, ხასულიერო მწერლობის ფართო თვალსაზრისით კვლევამ კ. კეკელიძე ერთ-ერთი მარგმნილობის მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ სხვა ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. რომ, მავლითად, ქართულ-ბიზანტიური კულტურული თანამშრომლობა ხასულიერათო იყო და ქართველებსაც შეუძლიათ თავიანთი წილითა ბიზანტიურ ლიტერატურაში. საქმარბია აქ გავიხსენოთ ექვთიმე ათონელი, რომელსაც ბერძნულ ენაზე შეუქმნია ორგანიზებული თხზულებებო, ანდა ამავე მწერლისი განუწობილად დუაწლი „სიბრძნე ბალავარისა“ და „ახუგურას“ ბერძნულად თარგმნის საქმეში. ქართულიდან ბერძნულად თარგმნილა „სიბრძნე ბალავარისა“ მსოფლიო ლიტერატურის კეთენილება ვახდა.

უახდაუდებელია ავად კორნელი კეკელიძის დუაწლი ქართული ორიგინალურ ხაიითიერო მწერლობის შესწავლის სტეროში. თავისი ბრწინავად გამოკვლევებით მან ხასუძვლიანად ნათელყო, რომ ხასულიერო მწერლობა ხასუკუნეთა მინიწილე (მე-5-მე-11) იყო ერთადერთი ხტერო, რომელიც წერლობით ფორმდებოდა ქართველი ხალხის ფირკი და წარბა, რომ ხასულიერო მწერლობაში დისხა ყველა ეს ძირითადი ხაიითი, რომელიც აუცილებელი იყო ეროვნული თვალსაზრისის შემოშავებისათვისა და ძლიერი ხასულმწიფოს მშენებლობისათვის.

კორნელი კეკელიძის მოღვაწეობაში ხასულიად ახალი ეტაპი დაიწყო სამკოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, როდესაც იგი თავის დიდ ხაშქნიერო მუშაობას უკავშირებს ახლად დარსებულ ქართულ უნივერსიტეტს და სათავეში უდგება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. ყველეთი მუშაობათან ერთად გამოჩენილა მცენიერი დიდი გულიანური ეპრობოდა ახალგაზრდა კადრებს აღზრდას და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი არის უპირველესი მოძღვარი და მამყავლებელი ამ დარგში მომუშავე მცენიერება, რომლებსაც დღეს ენახებრებთან ქართული

კულტურის წეროვნად შეესწავლას.

უნივერსიტეტის დარბაზების რამდენიმე წლის შემდეგ გამოდის კორნელი კეკელიძის უძუნდა-შენატური შრომები — „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი და მეორე ტომები. ეს იყო ჩვენი მეცნიერების დიდი მონაპოვნი, აღნიშნულ ტომებში კორნელი კეკელიძემ თავი მოუყარა მის მიერვე გაწერილი კვლევა-ძიების შედეგებს და შექმნა ძველი ქართული ლიტერატურის ერთი მთლიანი კურსი. თუ მანამდე კორნელი კეკელიძე გვევლინებოდა როგორც ძველ-ქართული ძეგლების აღწერა-მოწერაზე-ბის ინციდენტური, აღნიშნული ტომების გამოსვლით იგი საფუძველს უდრის სრულიად ახალ ეტაპს ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. კერძოდ, საქმე ეტაპს მეცნიერების სფეროების გაფართოებას და ფილოლოგიურ კვლევაშიან ერთად განსაზოგადებელი ხაზის მონოგრაფიების დამუშავებას. ამ ტომების გამოსვლამ ნათელი გახადა ისიც, რომ კორნელი კეკელიძე არის არა მარტო სასულიერო მწერლობის, არამედ ძველი ქართული საერო მწერლობის უხადლო მკვლევარი. კ. კეკელიძე წლებების მანძილზე ზეწვდა და ამუშავებდა, ახალი მანალებით ავსებდა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უძუნდაშედეგულ ტომებს.

სასულიერო მწერლობა რამდენიმე ძირითად დარგს მოიცავს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „წმინდათა ცხოვრებას“ ანუ აგიოგრაფიას, მაგიოგრაფიულ თხზულებათა მიწანდასაზღვლობის თავისებურებათა გამო მწერლობის ეს განცემი ბევრად უფრო მძლავრად აღედგა მათი ავტორების მხატვრულ მიდრეკილებებს, ამიტომ აგიოგრაფიული თხზულებანი ყველაზე უფრო განეკუთვნებიან მხატვრული ლიტერატურის სფეროს (მიწნოგრაფიასთან ერთად). კორნელი კეკელიძე, მართლაც, მაგიოგრაფიულ თხზულებათა კვლევისას არასოდეს არ იფარებლებოდა მხოლოდ ისტორიულ-ფილოლოგიური ინტერესებით და მხატვრულ-ლიტერატურული კუთხიდან თავი განიხილავდა ქართულ ორიგინალურ თხზულებებს. ასეთი ტიპის უამრავ ნაშრომთა შორის საყურადღებოა დასახელებულ ოქნის ბრწყინვალე მონოგრაფია: „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“. 1. იონანე ხაბაინსძე, 2. ბასილ ზარზნელი (1895 წ.), კ. კეკელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უბრუნებდა ამ ტიპის ძეგლთა შორის მხატვრული ნიჟაღბ გამოწვევლებას და ამ უყარასწრელს ანალოგებს ახსნას აძლევდა ქართული მხატვრული ანალოგების განვითარების პროცესში. ასევე განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა გამოცემილი მეცნიერი მდიდარი ქართული მონოგრაფიული მემკვიდრეობის ნიმუშებს. როგორც ცნობილია, მან ვაარქვია მიწნოგრაფიაში მხატვრული მრავალი საცილობელი ტერმინი, და

ადვიანა ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის და განვითარების ვსები. უნივერსიტეტში კორნელი კეკელიძემ საინტერესო გამოკვლევები უძლენა ისეთ საკენის საკითხებს, როგორცაა ქართული ანბანის წარმოშობას პრობლემა ქართული მწერლობის საწყისებზე და აღმოცენების პრობლემს, ქრისტიანობას ვაერტულების პროველ ნაბჭებსა და ა. შ. მის ერთ-ერთ ვრცელ შრომაში — „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, აღდენილია ქართული კულტურის ის მიწნეველოვანი მიწვევით, როცა უფის აღგანდა, იმ დროისათვის, პროგრესული, ქრისტიანული იდეოლოგია. საკულისწნითა, რომ ამ შრომას მრავალი რეცენზია მიეძღვნა უცხოურ ენაზე.

თუ სასულიერო მწერლობის ერთიანი კურსის შედგენის დროს კორნელი კეკელიძე უპირატესად საკუთარ კვლევა-ძიების შედეგებს ეყრდნობოდა, ეს მთლიანად არ იქმნის საერო მწერლობის შესახებაც, აქ მის შედარებით უცუთესი ვითარება დაუზღდა, პლ. იონელიანიის, ა. ცუარბლის, ა. ხაბაინსძის, ნ. მარტოს, მ. ჭანაშვილის და სხვათა ცალკეულ შრომებში ვაშუქებული იყო საერო მწერლობის რიგი საკითხი. მაგრამ ნამდვილად მეცნიერული და განსაზოგადებელი კურსის შექმნის პროტე მანც კორნელი კეკელიძემ გაუთინის.

კორნელი კეკელიძე წლების მანძილზე იკვლევდა ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთმიმართებებს პრობლემას. მან ერთ-ერთმა პროველთაგანმა დამაქრებლად ვაარქვია, რომ არ შეიძლება ამ ორ სხვადასხვა მიმდინარეობას შორის ვაუვალი უფსკრულის აღდება, როგორც ამას სწადის ზოგი მკვლევარი.

სასულიერო მწერლობამ შესაფერი ლიტერატურული ნიჟაღი შეუქმნა საერო მწერლობას, დამუშავა მხატვრული ფორმები და სიუჟეტები, რომლებიც შექდომ თავისებურად ვადამუშავდა საერო მწერლობაში. დასასრულ, სასულიერო მწერლობაში დაიხვეწა ბრწყინვალე ხალიტერატურო ენა, რომელმაც შემდეგ მოგვცა მხოლოდი მიწნეველობის ლიტერატურული ძეგლები. სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობა არ იყო უტკივრეული პროცესი, მაგრამ, მისი აზრით, ქეშნოატი შეეღწევის ამოცანა დაინახოს არა მარტო წინაღმდეგობანი, არამედ ის ძირითადი მარცვალი, რაც სასულიერო მწერლობამ უანდერძა საერო ლიტერატურას.

